1522
2010

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა და ხელოვნება

N7
7/2010

ესაუბრებოდა
ზაურ დეისაძე

ინტერვიუ
ნინო ქუთათელაძე

ესეი
ვაჟა დურგლიშვილი

ინტერვიუ
მამუკა დოლიძე

ლიბერალი
აბრამ ბაზელი

ფერმწერები
ეთევან აბრამიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ზაურ დეისაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა და ხელოვნება

N7(55)
7/2010
ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:
vaja otarashvili
Literature And Art

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, გამომცემელი და მთავარი რედაქტორი:

ვაჟა ოთარაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი:
დავით კახაბერი

რედაქტორი:
ვერიკო ზამთარაძე

დიზაინერი:
ლექსო ოთარაშვილი

სტილისტ-კორექტორი:
მაია მიქაია

გარეკანის მხატვრობა:
ზაურ დეისაძე

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი მხატვრის ქ. №4
ტელ.: (+995 32) 32 73 62;
(+995 32) 31 70 47;
(+995 99) 25 60 14.
E-mail: litandart@yahoo.com
vaja.otarashvili@yahoo.com

ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთავაზობთ რეკლამის განთავსებას ჟურნალის ფურცლებზე. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
მობ: 899 25 60 14;
893 58 95 44;

123

სარჩევი

ლექსი, პოეზია

3. ვანო ჩხიტვაძე - შუშების ომი (ჰომანი)
18. ნინო ქუთათელაძე - ლექსები
20. მამუკა დოლიძე - ჩემი ბილიკით დიდგორისკენ
29. თენგიზ სვანიძე - ლექსები
31. ზუსაბ ჯოხაძიძე - ჰეე, სანუთოო!

დრამატული

36. ნათია ხოსბაღაძე - ლექსები

ასტრომანია პოეზია

37. გოგა ბუღუა - ლექსები

ოსტატები

39. ო. ჰენრი - ამაო ეოეობზიეობა (ინგლისუიდან თარგმნა მაია ცეესვაძემ)

ეროვნული

42. ქეთევან აბესამიშვილი - ვისაც მტერობა მოსნყეიდეს...
49. გაბრიელ ბარჯაძე - განდეგილი მგოსანი - ფალავანი

ხელოვნა

51. ნინო ეიტრიამშვილი - ცრემლები

ფიზიკონი

52. ქეთი დიდიშვილი - აბრამ ბაზელი

ისტორიული

56. ნანა მიქელაძე - ეოტეეტი XIXს-ის ბოლოს

მუსიკა

60. სალომე გოგოლაძე - ვაეა ფუეგლიშვილი

მოგონებები

62. თენგიზ უთმელიძე - ილიკო სუხიშვილის იუმორი

ოფლური

67. ლაშა ჩხარტიშვილი - მოლდოვური ჩანანეერები

მხატვრობა

73. მანანა თევზაძე - ზაურ დეისაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რიგორც უფალი, სამშობლო, ერთია ქვეყანაზელა!"

რაფიელ ერისთავი

საკონსულტაციო საბჭო:

ჭაბუა ამირეჯიბი, ბაჩანა ბრეგვაძე, მერაბ ბერძენიშვილი,
მაყვალა გონაშვილი, ზურაბ ქაფიანიძე, თენგიზ უთმელიძე,
გივი სიხარულიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი,
თამაზ ჩხენკელი, გოგი წერეთელი

***

მინაწერი გივი სიხარულიძის
წიგნზე „აწყვეტილი სიცოცხლე"

უკანასკნელო მოჰიკანო ძველი თბილისის,
მოცეკვავეთა, მოჩხუბართა ყოჩო და ჯილავ,
ყარაჩოხლებთან სიზმრად გიწევს ალბათ ღვინის სმა,
ბულბულის ფრთებზე დასკუპდება ქალაქის დილა...
ვორონცოვისკენ გაგექცევა ხანდახან მზერა,
ცაზე კი ამჩნევ ძველი მთვარის გარდაცვალებას...
სიხარულის როლს ცხოვრებაში თამაშობ მჯერა,
თუმც ბავშვობაში არ მოგაკლდა ტანჯვა-წვალება...
მანდილოსნების გადარკალულ წელსა და მკლავებს
აღარ დაითვლი... არ გჭირდება... იყო... გაფრინდა...
არაკაცები ბოღმითა და შურით ვერ გკლავენ,
ხალხს კი უყვარხარ და იმედის გრთავენ დაფნითა...
სხვა ჯიგარი გაქვს, ძველი ძმობის ბოლო სარდალო,
არც მომავალში დაისმება შენთვის წერტილი...
სახეზე ღიმით, გულში დარდით ვის შეგადარო —
შენი სიცოცხლე სულ იქნება თავაწყვეტილი...

ვაჟა ოთარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვანო ჩხოკვაძე

შუშების ომი

რომანი

ვიქტორ პეტროვიჩ, ხომ ამდენი ვიბორგე და ვიბობოქრე, „ჩმჭყ“ საზოგადოებას მაინც „დავუმშვენე“ საშობაო-საახალწლო საღამო.

რამდენიმე ძვირფასი სადღეგრძელო მივირთვით, სიკეთე, დოვლათი და, რაც მთავარია, მშვიდობის წელი ვუსურვეთ ერთმანეთს.

აბა, რა ვიცოდით, გემის ძირი თუ გახეთქილი იყო და შორს ვერ წავიდოდით...

ტელეფონი რეკავს!

ბიჭოს, ისევ ჩაირთო.

ავიღე ყურმილი:

— გისმენთ!

— ღმერთო ჩემო, როგორ მიხარია, რომ მისმენთ! — მპასუხობს მამაკაცის ხმა.

— თუ ძმა ხარ, ამ შუაღამისას ხუმრობის დროა? — არ გამნელებია წეღანდელი გაღიზიანება.

— არა, გეფიცები, ნამდვილად მიხარია...

ეტყობა, ნასვამია.

— რა გახარებთ, მე ხომ არც მიცნობთ.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს... ახლა ხომ ერთმანეთისათვის უცნობი აღარავინა ვართ.

— ჰო, მართალი ბრძანდებით, — მომილბა გული.

— გამაგიჟა ამ სიჩუმემ, მეგობარო... თავი სასაფლაოზე მგონია... როგორც კი ტელეფონი ჩაირთო, ავიღე ცნობარი, მივყვები ანბანის მიხედვით და ყველა ნომერზე ვრეკავ... ჯერჯერობით სულ რამდენიმემ მიპასუხა, თქვენ მეთერთმეტე ხართ.

— ზოგი სარდაფშია და ვერ იღებს ყურმილს... მეც ნათესავის ოჯახში ვიმყოფები, ამიტომ 42-04-ზე თუ დარეკავთ და არ გიპასუხებთ, ნუ ჩათვლით რომ ქალაქში არა ვარ.

ჩემი ხუმრობა სერიოზულად მიიღო:

— კარგით, 42-04 არა? გმადლობთ, რომ გამაფრთხილეთ... ტუ... ტუ...

აი, ასე! განა გასაკვირია, ცოტა-ცოტა ყველამ რომ დავუსტვინეთ?

მოიერიშეებისა და ბომბდამშენების მოლოდინში, რა ჭკუაზე უნდა ვიყოთ.

ისე, თქვენიც მესმის, ვიქტორ პეტროვიჩ, მაინც რამხელა ქვეყანა გქონდათ, თბილისში რომ თენდებოდა, კურილის კუნძულებზე ღამდებოდა... ცოტა შეთხელდით, შემსუბუქდით მსოფლიო რუკაზე და ბრაზობთ, მერამდენედ გადმოაცოცეთ ტორი კავკასიონზე... გამაგებინეთ, თქვენი ბედოვლათობით დაკარგულ თუ გაყიდულ ალიასკაზე რატომ არ იჭაჭებით, ის უფრო არ გეკუთვნით, ვიდრე სამურზაყანო და ლიახვის ხეობა?.. აა, იქ დიდი ძაღლი აბია, არა? ძია სემი ეგეთი ავი ბულდოგია, რომ...

რადგან გამახსენდა, ბარემ ამასაც მოვყვები:

მოსკოვში, სასტუმრო „როსიაში,“ ჩვენი იმდროინდელი მწერალთა კავშირის თავმჯდომარის „ლუქსიდან“ წითელ მოედანს გადავყურებთ, თან მაშინდელ იშვიათობას, თუნუქის ქილებში დაკონსერვებულ ლუდს ვწრუპავთ.

წითელ მოედანზე ავიაციის მარშალს კრძალავენ.

დააკაკუნეს. შემოვიდა ორი ტიპი. მოგვიბოდიშეს, ვიდრე დაკრძალვა დამთავრდება, ფანჯრიდან თვალყური უნდა ვადევნოთ, თქვენ თქვენი გააგრძელეთ, ყურადღებას ნუ მოგვაქცევთო.

თქმა არ უნდა, უშიშროების თანამშრომლებია. ეტყობა, წითელი მოედნის მხარეს, ყველა განაპირა ნომერი კონტროლზე აქვთ, რომ ვინმემ, ამ შემთხვევაში ჩვენ, ერთ-ერთ თავყრილობაზე ჩამოსულმა მწერლებმა, თბილისიდან წამოღებული, ოპტიკურ სამიზნიანი შაშხანით, დაკრძალვაზე მობრძანებული გენერალური მდივანი არ გავაგოროთ.

კეთილი, ბრძანდებოდეთო, არცთუ ხალისიანად დავეთანხმეთ და ვუყურებთ, როგორ მიდის პროცესია მავზოლეუმთან, მერე კრემლის კედელთან...

— მე მითქვამს და კომუნისტები კრემლს თავისი ხელით დაანგრევენ, — ამბობს „ლუქსის“ მასპინძელი რუსულად.

დაუპატიჟებელმა სტუმრებმა ყურები დაცქვიტეს — რა ბრძანეთ, იქნებ გაიმეოროთო, თავაზიანად სთხოვეს.

გაუმეორა —

კრემლს, კომუნისტები თავისი ხელით დაანგრევენ, მითქვამს მეო.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

გაგრძელება. დასაწყ. № 6

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლ...

კარგად ვერ გავიგეთო, ისევ თავაზიანად, მაგრამ კბილებში გამოსცრა მარჯვნივ, გაწეულ მძიმე ფარდასთან აყუდებულმა, ალბათ, მეორეზე ჩინით უფროსმა.

— რა არის გაუგებარი, გამოიღებენ კრემლის კედელში აგურს, შედგამენ ურნას, გამოიღებენ კიდევ აგურს, შედგამენ ურნას... აბა, რა დაემართება, ბოლოს და ბოლოს არ დაინგრევა? — ჭირისუფალივით მოეჭმუხნა სახე.

სიცილი ვერავინ შევიკავეთ.

ვერც სტუმრებმა — ჩაიქნიეს ხელი და „ლუქსიდან“ დაკრძალვის ცერემონიალის დამთავრებამდე გავიდნენ.

მაშინ გაიხსენა, ბატონმა ვახტანგმა, ჩვენმა უფროსი თაობის მწერალმა:

ოცდაათიან წლებში, ადამიანებს მხოლოდ კი არ სჯიდნენ, ხვრეტდნენ და აციმბირებდნენ, აჯილდოვებდნენ კიდეც.

კულტურის მოღვაწეებს, კრემლში, შრომის წითელი დროშის ორდენები უნდა გადასცენ. დარბაზი თითქმის შეავსეს, სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსულმა, „სულის ინჟინრებმა.“

მასიურ, გრძელ, მაუდგადაფარებულ მაგიდას წვერცანცარა კალინინი, რევოლუციის ცოცხალი ლეგენდა ვოროშილოვი უსხედან და, როგორც ერთი ცარიელი სკამიც მეტყველებს, მესამეს ელოდებიან.

მაგიდაზე „ბორჯომი“ და ჭიქები დგას. ალბათ, ეტიკეტისათვის, თორემ დალევას ვინ გაბედავს, ვის ეყოფა სიმამაცე.

ჰოდა, იმ მესამეს მოლოდინში გასუსულან ქვეყნის ყველაზე უფრო წარმატებული შემოქმედები და პრეზიდიუმში მსხდომები.

სად არის ბუზი, თორემ გაფრენის ხმას გაიგონებ.

ელოდებიან, ელოდებიან, ელოდებიან.

მესამეს, რა თქმა უნდა.

ამ საერთო დუმილში, დარბაზში, სადღაც უკან, განაპირა სკამი აჭრიალდა. მალე რიგებშორის დაგებულ ნოხზე მწვანე, მაუდგადაფარებული მაგიდისაკენ რომ მიემართება, რბილი ფეხის ხმა მოისმა. სიმძიმისაგან, ალაგ-ალაგ, მეფის დროს დაგებული იატაკიც დაჭრაჭუნდა.

ყველამ ერთი კაცივით მოღრიჯა კისერი და, მაღალი, ჩოხა-ახალუხიანი, ლაღად მომავალი შალვა დადიანი დაინახეს.

მოდის მშვიდად, წელგამართული და მოაცილებენ გაკვირვებული თვალები — რა უნდა, რას აპირებს ქამარ-ხანჯლიანი ქართველი მწერალი, კალინინს ან ვოროშილოვს ხომ არ უნდა ეფარიკავოს.

მიბრძანდა ბატონი შალვა მაგიდასთან, თავის ოდნავი დაკვრით მიესალმა იქ მსხდომებს, ხმაურით ჩამოარაკრაკა „ბორჯომის“ წყალი ჭიქაში და სვენებ-სვენებით მოსვა. მერე თეთრი, ქათქათა ცხვირსახოცი გადააყოლა შეჭაღარავებულ ულვაშებს და ისევ მძიმე ნაბიჯებით უკან გამობრუნდა.

მაგიდას რომ გამოსცდა, კალინინმა ვოროშილოვს გადაულაპარაკა თურმე, კნიაზ აპახმელილსაო.

გაყინული მდუმარება ამ ერთმა ფრაზამ გაალღო.

დარბაზს მსუბუქი ღიმილის შრიალმა გადაუარა...

დაანგრევენ კრემლსაც და ქვეყანასაც, მაშ რა იქნება, დასძინა ბატონმა ვახტანგმა, ჯილდოებს მაშინ თუ ასეთი ზარ-ზეიმით გადასცემდნენ, ხალხთა მეგობრობის ორდენი, ამასწინათ, სამსახურში მომიტანა „ცეკას“ პროპაგანდის განყოფილების ინსტრუქტორმაო...

ოი, `Боже царья храни!“

კედლიდან აგურების გამოღებას რომ სიკეთე მოეტანა, იმ მესამეს დაასწრებდნენ, კალინინი და ვოროშილოვი რომ ელოდებოდნენ?

სოფელში, მტვერი რომ არ ჩამოსულიყო, ჭერზე სქელი, შპალერის ქაღალდი გვქონდა გაკრული.

დღე არაფერი და ღამით ატყდებოდა დიდი ფაციფუცი, ფხაკა-ფხუკი — ჭერში, ქაღალდზე დარბოდნენ, დაშლიგინებდნენ სხვენიდან ჩამომძვრალი თაგვები. კატა კი გვყავდა, მაგრამ ისეთი ზარმაცი, ღუმელქვეშ მოკუნტული, რომ ჩემზე ადრე იძინებდა. ან რა უნდა ექნა, აკრულ ქაღალდქვეშ ხომ არ შევსვამდით.

გამიფრთხებოდა ძილი, ამოძრავებულ, აქანავებულ ჭერზე ზემოთ-ქვემოთ, კოჭების გასწვრივ დაგორავდა ხმაური. მეგონა ქაღალდი ველარ გაუძლებდა სიმძიმეს, ჩამოიფხრიწებოდა და მთელი სათაგვეთი თავზე დამახტებოდა.

ახლაც იგივე დღეში ვარ, ახლაც მაღლა ავიყურები, ოღონდ მაშინდელი ჭერი, უკვე მთელი ცაა, ჩემს ქალაქს რომ ახურავს და, არ ვიცი, სად ჩამოიხევა, დაგვეცემა ათასი სიკვდილით დატუმბული ლითონი.

მერე როგორ გადაივლიან ხოლმე, ხრიალით, როგორც მლესავმა დატრიალებულ, ხორკლიან სალესავ ქვაზე ცულისპირი გაატაროს.

გაძლება ხომ გინდა!

ქალბატონი ლოლას პროგნოზის მიუხედავად ღამემ, შედარებით, მშვიდად ჩაიარა. მზესაც არ დაურღვევია განრიგი, დროულად ამობრძანდა.

კაკლის ქვეშ, უბანში შემორჩენილი რამდენიმე მეზობელი, იღლიაში ამოდებული ხელჩანთებით, გეგმას აწყობდნენ, საით სჯობდა ჰუმანიტარულ საშოვარზე წასვლა. რა ქნან, უბედურება ტრიალებს, მაგრამ ვინ იცის წინ როგორი ზამთარი ელოდებათ, თუ პროდუქტი არ დაიმარაგეს, გოდორივით მუცლები რომ აუტირდებათ, რა უნდა ჩაახეთქონ?

ყანჩამ სულზე მოუსწროთ, ჯერ სკამზე ჩამომჯდარ კულიჩას, ღიპი ნათხოვარი ტიკივით რომ ჩაედგა კალთაში, სიგარეტი გამოართვა, ბოლით დაელმებული თვალები ამოიმშრალა და საიდუმლოდ გაანდო, მუნიციპალიტეტის ეზოში, თბილისიდან გამოგზავნილი წითელი ჯვრის ავტობუსები უნდა მოვიდნენ და, რა გინდა სულო და გულოო...

რა ვიცი, მე პირველ სკოლასთან მეგონა, მუნიციპალიტეტის ეზო საიდან გაიგეო, — დაკეცილ ხელჩანთას დახედა დომენტიმ.

მოდის ზუსტი ინფორმაცია ბიჭთანაო, — თავი შეიქო ყანჩამ.

მეხორცე ალიკამ, კულიჩაზე არანაკლებ მძიმე მუცელი სკამიდან მსუბუქად აიტაცა და,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღას ველოდითო, მოწინავედ ჩაუდგა შვიდკაციან ჯგუფს.

ვუყურებდი დამწკრივებული როგორ მიდიოდნენ, თან — დამფრთხლები, ცაზე მიყურადებულები. ომამდე განსხვავებული ტიპები, ახლა ბრეიგელის პერსონაჟებივით ერთმანეთს დამგვანებოდნენ, როგორც სიცხეში დადებულ ყველს მარილი, ეგრე გამოსვლოდათ, დასტყობოდათ სიხარბე, რომელიც იოლად იკითხებოდა მათ სახეებზე, მიხრა-მოხრაზე, იღლიაში ამოჩრილ ხელჩანთებზე.

წავიდნენ, დატოვეს ხის ქვეშ წენგოიანი, გაკუჭული კაკლების ნახევარსფეროები და გამოცარიელებული ეზო.

ქალბატონმა ლოლამ საჭმელი ჩაუტანა დედას და ცოტა ხანში დასცხეს კიდეც.

რატომღაც, მაშინვე საათისაკენ გამექცა თვალი — თორმეტი სრულდებოდა.

კიდევ ორჯერ გაიმეორეს.

რაღას ელოდები, დაბლა ჩამოდიო, დამიძახეს სარდაფიდან.

მე, პირიქით, სადარბაზოში გამოვედი და ზემოთ გავიქეცი. ბოლო სართულზე, კედელში ჩაბეტონებული რკინის კიბით სხვენზე ავედი.

სამერცხლედან სახურავზე ამოვყავი თავი. შიფერის ნატეხების ტკაცუნით აგურის საბუხრემდე მივაღწიე და ქალაქს გადავხედე.

ქალაქის აღმოსავლეთით, სატანკო ნაწილის შენობები, შტაბი და ყაზარმები ბოლავდნენ, უფრო ზემოთ კი, საცხოვრებელი კორპუსები კვამლსა და ცეცხლში აღარ ჩანდნენ, მაღალი სართულების ფანჯრებიდან, აივნებიდან წითელი მხურვალება გამორბოდა.

„ნუთუ არც სიძულვილსა აქვს საზღვარი?" — კეფა გამიხურდა.

ჩავჯექი, ხელებში თავჩარგულმა ვინატრე, ნეტავი ახლა მეც მესროლონ და აქვე გამათაონ, ამ გარეულ მტრედებთან ერთად, გულგახეთქილები რომ ყრიან პარაპეტის გასწვრივ-მეთქი.

გაბრუებულს თანდათან ყრუდ ჩამესმა სირენებით დაფორიაქებული სახანძრო და სასწრაფო დახმარების მანქანების ხმა. სადღაც, იქ, ერთ-ერთი ჩამოქცეული შენობის პირველ სართულზე, ომამდე საბავშვო კაფე იყო, ბევრი სათამაშოებით, გასართობებით. ყურებში იმ კაფეს დამსკდარი შუშის ვიტრინების და დიდი აკვარიუმის ტკაცუნის ხმები გუბდება. ცეცხლი ლოკავს ბოლო სართულის ლოჯიებიდან გადმოღვრილ წყალს და გახურებულ ფილაქანზე იხრუკებიან დაკლაკნილი ოქროს თევზები.

როგორი საყურებელია ამხელა შენობების კრემაცია.

აგვისტოში მერცხლები გაფრინდნენ და თოვლი მოვიდა, ჭურვების ქვასანაყით დაფშვნილი ბროლისა და შუშის თოვლი.

ამ თოვლით მევსება, ცხრა აპრილს გაჩეხილი, სახეზე ხელახლა პირგახსნილი ნაჭრილობევი.

მეჩვენება, ქუჩაზე როგორ მიდიან ხელჩაკიდებული საბავშვო ბაღის პატარები, მიდიან, გაგანია ზაფხულში, უცხო სანახავით გაოცებულები და მოხიბლულები. ცოტაც და შევლენ თვალისმომჭრელ, აბრჭყვიალებულ ნამსხვრევების ბარდნაში.

მინდა ვიყვირო, პატრონები სად არიან, მოაცილონ ბავშვები აქაურობას-მეთქი, მაგრამ რანაირად, როცა მე თვითონაც შუშის ყინულებით გაბოჭილი ვწევარ, როგორც სუნდაცემული, ორი კვირის მიცვალებული, ბალზამი რომ არ მიიღო.

ხომ ავყროლდი და ავქოთდი, მეტი რაღა გინდათ, ვიქტორ პეტროვიჩ.

თუ დასცალდათ, ვიდრე ინდოეთის ოკეანეში დაღუდუდებულ ტანს განიბანენ და განგის წმინდა წყალს, კატაპულტებით რუსეთის დედა მდინარეს შეურევენ, გზადაგზა რამდენ ჩემსავით ცოცხალ ცხედარს დატოვებენ თქვენი მშვიდობისმყოფელები...

ჩამოვედი სახურავიდან, კიდევ ერთხელ დათრგუნული, შეურაცხყოფილი.

ძლივს მოვარგე კლიტეს გასაღები.

ჩემს ოთახში, სანოლზე გულდაღმა დავეგდე.

ოთხმოცდაცხრიდან მოყოლებული, ასე მგონია, ყველა ტრაგედიამ ჩემს ხერხემალზე გადაიარა. მაინც ვერ გაქვავდა გული და გონება, ვერ ვიქეცი ახალი, მარტივი ჯიშის საკვებმომპოვებლად, ერთხელ და სამუდამოდ რომ ჩაიქნია ხელი, რაც მოხდება მოხდესო.

საშინელია იმის შეგრძნება, როცა ხვდები რომ არაფერს არ ნიშნავ, თუნუქის ჟანგიანი კასრის სარტყელივით გამოცარიელებული ნოლის ტოლიც კი არა ხარ. ჩვენ ბავშვის გაბერილი ბუშტებივით ვართ, გაბოროტებული სეირის მოყვარულები ქინძისთავებით რომ დასდევენ. ცრემლი და სისხლი ჩვეულებრივ სითხედ იქცა — რაც მეტი დაიღვრება, მით უკეთესი...

საიდანღაც ისევ ჩამესმა, გაინელა სიმზე დაცურებული ვიოლინოს ხმა — როგორ მოვახერხო, როგორ გამიძლოს გულმა, როცა ვიცი, რომ სადღაც, ნანგრევებში მოყოლილი ბავშვი თუ მოზრდილი ადამიანი ჯერ კიდევ ფეთქავს, ჯერ კიდევ შეიძლება შველა...

ხმას მძიმე შუშის ფენები ფარავენ და გადამსკდარ ასფალტში ამოწვერილი ბალახივით ძახილი თანდათან სუსტდება.

ბალიშქვეშ თავი შევრგე — ასე მეგონა, მთლიანად შევძვერი, შევიტანე სხეული და მოვყუჩდი, როგორც ლოკოკინა ნიჟარაში. თანდათან დაპატარავებული მოვიკუნტე, მოვირკალე, დავუბრუნდი იმ საწყისს, როდესაც ჭიპლარიდან პირის მოსაწყვეტად და ამაოების შხამიანი ფიალას დასაწაფებლად მამზადებდნენ.

არ უკითხავთ მაშინ დაბადება მინდოდა თუ არა.

ჩემი გულუბრყვილობით ისარგებლეს, თორემ აქ მომსვლელის...

ტელეფონი რეკავს.

იქნებ თბილისია?

ძლივს გამოვძვერი ნიჟარიდან.

გუშინდელი ხმა ჩამესმა:

— მაპატიეთ, წუხელის სახელი ვერ გკითხეთ.

ვუთხარი.

— გვარი?

გვარიც ვუთხარი.

აა, ტელევიზორიდან გიცნობთო.

გამიკვირდა, „აა," რატომ უსასრულოდ არ

გააგრძელა-მეთქი და ლამის ჩავძახე:

— ადმინისტრრატორრრ!..

გინდა მთა მოგლიჯე, თუ ეკრანზე, კბილის პასტის რეკლამაში მაინც არ გამოჩნდი, ვერ გახდები „ცნობადი“ სახე, ხოლო ქვეყანა თუ ტელევიზორიდან ქათმის გრიპით ან „სტაბილურად მძიმე მდგომარეობით“ დააშინე, ხომ მადლიერი მაყურებელი, გულში მედალიონივით ამოგიჭრის. სწორედ ისე, რა, ერთ ძველ, ქართულ ვესტერნში, თითებგაშვერილი ბავშვები რომ ჭყლოპინებენ:

— აი, ბაში-აჩუკი, ბაში-აჩუკი!..

თანაც რამდენი ბაში-აჩუკი გვყავს, ტრიბუნას ლაჯებში რომ ამოიდებენ და მონოლოგებს მიერეკებიან.

ახლა ეს პოლიტიკაში მომრავლებული ამორძალები?

ერთმა გაწიწმატებულმა ქალბატონმა, მგონი წამყვანი პარტიის სპიკერმა თუ სპიკერის მარჯვენა ხელმა, ომამდე, ტელევიზორიდან რამდენჯერ დაგვიბრიალა თვალები, გვაცალეთ, ბატონო, ქვეყნის მოვლა-პატრონობაო.

ვაცალეთ და, აჰა, ხომ შეუყარეს დათვს ბუნაგში მუგუზალი.

„ჩემს ერს ბავშვები მართავენ და დიაცები უბატონდებიან. ჩემო ერო, შენმა მეგზურებმა დაგაბნიეს და გზა-კვალი აგირიეს,“ — ძალიან მებრალება ოცდარვა საუკუნის წინანდელი ისრაელი...

მგონი არ მისმენთო, ყურმილში ამოიოხრა ჩემმა მოსაუბრემ.

ჰო, მაპატიეთ, ფიქრი გამექცა-მეთქი.

წუხდა, ყველა აბონენტის ნომერი ავკრიფე და ძალიან ცოტამ თუ მიპასუხაო.

მისგან გავიგე, სატანკო ნაწილის დაბომბვას მთელი მორიგე პერსონალი რომ შეეწირა. საცხოვრებელ კორპუსებშიც დახოცილან, მაგრამ რამდენი, არ იცოდა.

ნიკამ მოიტანა ამბავი, სატანკო ნაწილში, ჯერჯერობით, თექვსმეტი დაღუპულია ნაპოვნი, თანაც სულ ახალგაზრდა ბიჭებიო...

ომს ციფრების სიდიდე არ აღელვებს.

არც იმათ, ვისაც დასჭირდება, რომ ხვალზეგ, ეს ციფრები მტრის ცოდო-ბრალის სასწორს დააწონოს.

აკი ვთქვი, რაც მეტი, მით უკეთესი — მტყუანის აღმოჩენას, მსხვერპლი სჭირდება...

მეორე დღეს, ხეივნის ქუჩის მესამე ჩიხში, მე და ნიკა, ღია ჭიშკართან ვიდექით.

ჩვენი ნაცნობი, ნაწილში ერთ-ერთი დაღუპულის მამა, ჩაფერფლილი, მაგრამ რაღაცნაირად გაყოჩაღებული ავალებს გარეშემო მყოფებს, ვინ რა უნდა გააკეთოს.

— აი, გუშინ ასეთი მეხი დამეცა!.. ორი კვირის ბავშვი და თექვსმეტი წლის ცოლი დარჩა... ახლა ამათი ჯავრი უფრო მაქვს... ათ წუთში უნდა გამოცვლილიყო და გამოასწრებდა... რა ვქნა, დღეს თუ არ დავკრძალე, ხვალ რა ვიცი რა მოხდება... — კი არ უნდა, მაგრამ მაინც ლაპარაკობს, ლაპარაკობს, ნარკოზიანივით, ჯერ კარგად რომ არ გამოფხიზლებულა, — დილით ადრიანად გავთხარეთ საფლავი... კიდევ გადაგვიფრინეს, თანაც სულ დაბლა, თავზე დაგვტრიალებდნენ, მაგრამ მე ამაზე მეტმა რაღამ უნდა შემაშინოს...

კარშეღებული ოთახიდან მღვდელი და ქალები გამოვიდნენ და შინაური კაცები შევიდნენ.

მე და ნიკა მარტო დავრჩით.

მღვდელი ჩვენსკენ წამოვიდა.

— შეიძლება, მამაო, მეორე დღესვე დაკრძალვა? — ჰკითხა ნიკამ.

— ისეთი მდგომარეობაა, რომ შეიძლება, ყველა წესი შევასრულეთ... ქვეყნისათვის დაცემულები, პირდაპირ სასუფეველში ხვდებიან.

გამახსენდა ჩვიდმეტი წლის წინანდელი ამბები, მაშინდელ ომში დაღუპულებს, ჩვენმა ვაიპატრონებმა კონფლიქტად რომ შემოგვასაღეს, ასე დაატირებდნენ ხოლმე დედები, ჩემო სამშობლოსათვის შეწირულოო.

— ეგღაა ერთადერთი ნუგეში!

— თანაც დიდი ნუგეში! — დააზუსტა მღვდელმა.

ეზოს უკუსვლით მოუახლოვდა ძველი, კარღია „რაფი.“

მიცვალებული ხეივნის ქუჩამდე ჩავაცილეთ.

ქალებმაც იქ იტირეს, ივაგლახეს და უკან გამობრუნდნენ. მანქანაში შედგმულ კუბოს მიცვალებულის მამა და რამდენიმე ბიჭი შემოურიგდნენ.

ჩაჯდომამდე მამა მომიბრუნდა:

— სხვებთან შედარებით მაინც ბედნიერი ვარ — იმათ შვილებს ზოგს თავი ჰქონდა წაწყვეტილი, ზოგის ხელ-ფეხი ვერ იპოვეს, ზოგის... — რას ვროშავო, შუბლზე გამეტებით მიირტყა მუშტი და ატირდა თავის „ბედნიერებაზე.“

წავიდა, ჯაყჯაყით, „რაფი.“

გამობრუნებულ ქალებში გაწვრილებულ, ბავშვურ, ჯერ კიდევ ზრდადაუსრულებელ ფეხებს ძლივს მიათრევდა, ვიღაცის მკლავზე დაკიდული, მხრებზე ჩამოშლილ თავსაბურავში კიდევ უფრო დაპატარავებული, თექვსმეტი წლის ქვრივი.

9
უბის წიგნაკიდან

9.05.2004

„დღეს, პროფტექნიკუმის აბალახებულ ეზოში, პირველად გაიშალნენ ყაყაჩოები.

ერთ ადგილზე, ბღუჯა-ბღუჯას ამოეხეთქათ, ბალახზემოთ წითლად ამოყელყელავებულები ოთხივე მხარეს თავს უკრავდნენ.

დავიხარე და ნამიან ფურცლებს მოვეფერე.

ცხრა მაისია – იმათი დღე, მკერდზე აყვავებული სისხლის ყაყაჩოებით რომ ჩაილეწნენ, ჩაილექნენ ომის უფსკრულებში, ვისმა ღიად დარჩენილმა თვალებმაც უკანასკნელად აირეკლეს უკიდეგანო სივრცეები.

ღმერთო, ყველა ჯარისკაცს დაუმკვიდრე სასუფეველი, მათ ხომ სამართლიანობა თუ უსამართლობა, ზურგზე მიბჯენილი ლულასავით მიერეკებოდათ ერთმანეთის დასახოცად.

დიდი სერგო ზაქარიაძის ხმა ცაში ჰკიდია და მარადიულ ზარებს არისხებს:

„ბიჭო, გოდერძიი!..“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ხმა გაუნელებელი, მძიმე დარდია.
განა ყველა დროში ასე არ იყო:
— შვილები ფრონტზე,
მამები ზურგში!"

10

აგვისტო ყაყაჩოსათვის მკვდარი სეზონია.

მაინც ერთბაშად იფეთქა ლიახვის და ფრონისპირებში, თამარაშენთან, ქურთასთან, ცხინვალის მისადგომებთან...

ქვეყნის ჭრილობებისათვის, ყველაზე უებარი მალამო, ჯარისკაცის სისხლია.

მოგვიანებით, უმაღლესი მთავარსარდალი გაოცებით იტყვის, რატომ გიკვირთ, ომი უმსხვერპლოდ ვის გაუგია, ჩვენ მაღალანაზღაურებადი ჯარი გვყავს, ისეთ ხელფასებს ვაძლევთ, თავი უნდა გაეწირათ, მაშ რა უნდა ექნათო.

ამ ბატონმა არ იცის, რომ არანაირი სიდიდის ხელფასი არ ღირს თავის დასადებად.

აი, ასე იოლად ყოფილა ყველაფერი.

ქართველი ჯარისკაცისთვის, მაღალი ხელფასის გარდა, უფლისაგან ნაბოძები სიცოცხლის გასაწირად, თურმე სხვა მიზეზი და პასუხისმგებლობა არ არსებულა, მისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონია, ავნევთან დაიღუპება თუ ბაღდადის შემოგარენში.

საინტერესოა, რამდენს უხდიდნენ მღვდელ თევდორეს, ქეთევან დედოფალს, იოთამ ზედგენიძეს, ზეზვა გაფრინდაულს, ცოტნე დადიანს, ბახტრიონის გმირებს, სამას არაგველს, დიმიტრი ყიფიანს, ილია ჭავჭავაძეს, გიორგი მაზნიაშვილს...

რამდენიმე წლის წინ ჟიული შარტავას ფონდის თავმჯდომარემ მიამბო:

— სოხუმში, 1993 წლის საბედისწერო ოცდაშვიდ სექტემბრამდე, ორი დღით ადრე ჩავფრინდი. ჟიულის აეროპორტიდანვე დავურეკე, შენთან მოვდივარ-მეთქი. ხეირიანად მისალმებაც არ მაცალა, ახლავე, პირველივე თვითმფრინავში, რომელიც თბილისისაკენ გაფრინდება, ჩაჯექი და უკან წადიო.

იცი, შენ, ჩვენი ძმობა საიდანაც მოდის და მეწყინა, კალისტრატოვიჩ, ამდენი ხანია არ შევხვედრივართ, შენგან ორ ნაბიჯზე ვარ და უნახავად როგორ წავიდე-მეთქი...

ასეა საჭირო, დროს ტყუილად ნუ კარგავო... მერე ხმა დაურბილდა, ამ გასაოცარი ოპტიმიზმით დამუხტულ კაცში უჩვეულო ნაღველმა იმძლავრა, — შენ ხომ მაინც უნდა გამიგო, ყველაფერი დამთავრდა, დაიღუპა, დაიკარგა აფხაზეთი... მომავალში იტყვიან, რატომ და ვის გამო... ახლა მთავარია მეტი ახალგაზრდა გადავარჩინოთ, ტყუილუბრალოდ არ ჩავახოცინოთო...

რაღაც იცოდა ისეთი, რაც არ უნდა სცოდნოდა. ამიტომ არ დაამადლეს ტყვია, ოღონდ მტერმა თუ მოყვარემ, თუ ორივემ ერთად, „საკითხავი აი, ეს არის!"

უკანასკნელი კადრები.

აკვამლებული საბჭოს შენობის წინა მოედანი.

როგორი სახით მოდის, გაფითრებული, წელგამართული, სიკვდილთან შეხვედრამდე მცირე ხნით ადრეც ვიღაცას მფარველობს, ზედ ეფარება.

უჰალსტუხო ჟიული არც ფრჩხილებს იჭამს და არც პერანგის საყელოს ღეჭავს...

ნეტავ რამდენს უხდიდნენ, ერთ-ერთ უკანასკნელ გმირს, საქართველოს ისტორიაში?

ან ამ დღეებში რა რჯიდა, უბრალო, უსახელო სოფლელ ბიჭს, ოსურ დროშას რომ არ აკოცა, ამიტომ, შაშხანის ლულა პირში მისცეს და ტვინი გაასხმევინეს!..

არ არის აგვისტო ყაყაჩოების თვალის ახელის თვე!

მაინც რა მოხდა, რამდენმა ამოხეთქა შიდა ქართლში — ერედვთან, კეხვთან, ნიქოზთან, ცხინვალის მისადგომებთან...

11

გავიდა ჩვენი ჯარი და შემოვიდნენ რუსები. იყო დრო, როდესაც სამამულო ომის თემაზე შექმნილ ფილმებში რუსებსაც „ჩვენებს" ვეძახდით.

იყო დრო...

ახლა ვის დავუძახებთ „ჩვენებს" და მერე ვინ მოგვეკიდება მტრად?

ეს უკვე ჩენს სურვილზე აღარ არის, მტრებსაც და მოყვრებსაც ხელისუფლება შეგვირჩევს.

აკი გვითხრეს კიდეც, გვაცალეთ, ბატონო, ქვეყნის მოვლაო.

ვაცალეთ, ვაცალეთ, სოფლები დავცალეთ — გაასწრეს ანდა უკანდახეულ ჯარის ნაწილებს გაჰყვა აყრილი მოსახლეობა.

ქალაქში შემოსულ რუსის ჯარს, დიდ ნადირს ადევნებული, ნამუსრევზე სუნაღებული აფთრები და ტურები შემოჰყვნენ, მოროდიორები ძვირფას მანქანებს დაერივნენ და სადაც მოიხელთეს, როკის გვირაბისაკენ გზა უჩვენეს. პირველივე ღამეს, ეკლესიის ეზოდან ორი ავტომობილი გაიტანეს, ხოლო ქალაქში ცნობილი „კარბიურატორების" ხელოსნის, კოლია გრიბოვის გარაჟში შეჭრილებმა „ვოლვოც" გაიყვანეს და პატრონს, კარი რატომ დროზე არ გაგვიღეო, ავტომატის კონდახით ახალჩაყენებული კბილის პროთეზი ჩამოუღეს.

მძარცველებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, მკვლელსა და ავაზაკს ეროვნება რომ არა აქვთ, თორემ კავკასიონის იქით რუსი ცოტაა, კოლია გრიბოვის გასაძარცვად საქართველოში რომ არ ჩამოხვიდე?

რადგან შემოვიდნენ, ავიყვანოთ ქალბატონი ამალია მაღლა, რუსები თავისთავს ხომ არ დაბომბავენ-მეთქი, სიტყვით გამოვედი სარდაფში გამართულ, „დახურულ" სხდომაზე.

შვილიშვილი დამეთანხმა, მაგრამ შვილმა არ ქნა, დაიწყებენ ახლა სახლებში ბოდიალს და, აქ რომ ვინმე გასაძარცვად შემოეთრეს, დედაჩემი გადაჰყვება კიდეცო... დამარხვაც, ხომ ხედავთ როგორი პრობლემაა, დაატანა ბოლოს.

დედის თანდასწრებით ისე მშვიდად ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრება ამ დამთრგუნველ და უსიამოვნო საკითხზე, თითქოს კარადისათვის ადგილის შეცვლაზე მსჯელობდა.

რა ვქნა, უძლური ვარ-მეთქი, ხელები გავუშალე ქალბატონი ლოლას ნათქვამით განანყენებულ ღვაწლმოსილ პედაგოგს.

— კრუპსკაია არ ჰყოლიათ ამდენ ხანს,

კონსპირაციულად, იატაკქვეშეთში, — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

— სჯობდა, რომ საერთოდ არ ამოეშვათ, ისიც და იმისი საყვარლებიც.

— რას ერჩი, დედა, იმ პატიოსან ქალს? — ბებიას სანთელი ფეხზე დაანათა ნიკამ.

— პატიოსანიო!.. ყველა რევოლუციონერი თურმე საყვარლად ჰყოლია.

— ნუ იცი გადამეტება... — გაეცინა ნიკას, — მომაწოდე ეგ საფენი!

— რუსები წერენ, თვითონ, თორემ მე არც კრუპსკაია მინახავს, არც იმისი საყვარლები.

— ნეტავი ამ ჩვენ „ბიჭთან" არ ექნებოდა საქმე? — სარდაფიდან, ჩემი ვარაუდით, ქალაქის ცენტრში აღმართულ ძეგლისაკენ მივანიშნე ქალბატონ ლოლას.

— აბა, მაგას იკადრებდა სწორედ!..

— რა შედარებაა, — სასანთლე დადგა ნიკამ, — ფეხი თანდათან თავის ფერს იბრუნებს... მალე ჯოხით გაივლი, მერე კი გაიქცევი ბავშვებში სათამაშოდ, — ენა მოუჩლიქა ბებიას და თმა მოფერებით გადაუსწორა.

— რა ვიცი, დედაშენი კი საიქიოს მისტუმრებს და...

— დედაჩემზე როგორ უნდა გაბრაზდე, ვერ ხედავ, ნადეჟდა კრუპსკაიას რა აღარ აკადრა?

— იმასთანაც ძალიან ტყუის!

— იმასთანაც ტყუის და მამაჩემთანაც! — ბებიას გულისწყრომას თავისიც დაამატა ნიკამ.

— მამაშენთან რაღა დანაშაული მიმიძღვის? — დოინჯი შემოიყარა ქალბატონმა ლოლამ.

— გეტყოდი, მაგრამ ახლა შინაომების დრო არ არის. გავლენ ოკუპანტები და ჰააგის სასამართლოზე წაგაყენებთ.

— ნეტა შენ, რომ ხუმრობის ხასიათზე ხარ!

— ეგრე იყოს ჩემი მტერი... დაცარიელდა პალატები, გადავაგზავნეთ ავადმყოფები და თითქმის მთელი პერსონალი გაჰყვა... რამდენიმეღა დავრჩით...

— რატომ, დამთავრდა ომი? ექიმები აღარ დაგვჭირდება?

— ბრძოლები დამთავრდა, ომი კი არა...

— მართალი ხარ, — კიბეზე ასასვლელად მიბიძგა ნიკამ.

გარეთ გამოვედით.

ნიკა საავადმყოფოში მიდის, იქაურობის მიტოვება არ შეიძლებაო.

— ხომ ხედავ, რა დღეში ვართ... შენ კიდევ, ცოლი რატომ არ მოგყავსო... კიდევ შვილების დარდი მინდა?

— რა ვქნათ, აბა, გადავშენდეთ?

— არ ვიცი... მე თავი დამანებეთ... რაც ამ დღეებში პროზექტურასა და საოპერაციოში ვნახე, მთელი სიცოცხლე მეყოფა სატანჯველად... გუშინწინ მაინც რამდენი ჩამოიტანეს!.. ჯგუფურად ამოეხოცათ და ერთმანეთში იყვნენ ალუფხულები... უბედურები, მოროდიორების შიშით, სოფლის განაპირას, ფერმას შეფარებოდნენ... პირდაპირ შიგ ჩაეგდოთ, ჰაერიდან... — სიგარეტს მოუკიდა, — დავდექით, დაღუპულები თავიდან ავაწყეთ, მივაკერ-მოვაკერეთ, როგორც კიდურებმოწყვეტილ თოჯინას აკერებენ, ეგრე... თავიდან არაფერი — უკვე ისეა ნერვები გახევებული, რეაქცია, ემოცია აღარა მაქვს, სამუშაოა შესასრულებელი და ასრულებ, მორჩა და გათავდა!.. — დადუმდა, რამდენიმე ნაფაზით სიგარეტი ყუაზე დაიყვანა, — იცი, როდის გავფუჭდი? ორი ფეხი რომ დარჩა ზედმეტი, ტანის გარეშე...

— გაჩერდი, თუ ძმა ხარ! — ამოსანთხევად ყელში მთელი გულ-მუცელი მომაწვა.

— ხედავ? შენ მოსმენაც კი გაგიჭირდა და ჩვენ რა დაგვემართებოდა.

— შვილმკვდარმა მამამ რომ გვითხრა, სხვებთან შედარებით ბედნიერი ვარო, ვიფიქრე, აურია-მეთქი, საწყალმა.

— აბა, ამ უბედურებაში, შენ წარმოიდგინე, ეგეც კი ბედნიერებაა... ახლა ის საცოდავი ანზორი, ჩვენი ექიმი? მიმღებთან ვიდექით, კასეტური რომ გასკდა. დამიზნებულივით შიგ შუბლში მოხვდა და ადგილზე გაათავა... რას გაიგებ, ხუთიდან ის ერთი გამოარჩია... — კედელს მიასრისა სიგარეტის ნამწვი, — არადა, ჩამოვა დედაქალაქიდან ვიღაც გაბღენძილი, ზედმეტად მაძღარი ზემდგომი და ისეთ რამეზე შეგედავება...

— მერე, თქვენც შეედავეთ.

— რანაირად, ამათ ხომ არც საქმე იციან, არც – მოსმენა... ალბათ, ჩემი ნაკლია, ვიცი როგორ ვესაუბრო ნორმალურებს, მაგრამ არ ვიცი როგორ ველაპარაკო სულელებს... — გაეცინა, — ეს რაღაც ზედმეტად ჭკვიანურად გამომივიდა, ნეტავ ჩემი ნათქვამია თუ სადმე ამოვიკითხე?

— ნუ გეშინია, ნამდვილად შენი ნათქვამია, — დავკარი მხარზე ხელი.

— გაჩუქებ, თუ გინდა.

— ბებიაშენს აჩუქე.

— მერე ის ხომ პროზაში არ მუშაობს, პოეტია.

— ეგ სულ დამავიწყდა... ისე, ლექსებით იწყებენ და მერე პროზაში გადადიან.

კორპუსის კუთხემდე მივაცილე.

— გახსოვს, რომელიღაც ფილმში, ლენინთან ცეკვის დროს, კრუპსკაიას ფეხსაცმელს ქუსლი რომ მოტყდა?

— ეგ არა, მე იმ შაქრის გემო მახსოვს, ბელადი ბავშვებს რომ გვიგზავნიდა.

— ყოჩაღ, შენც კარგი პაპა ყოფილხარ!

— ჰო, დიდ ქალბატონზე ცოტა უფროსი.

ნერვიული სიცილი აგვიტყდა.

— გაგიჟდები კაცი, თუ დაფიქრდი, ჩვენ აქ ვსაუბრობთ და, ამ დროს ჩვენი ქალაქი დაბომბილია, მტრის ტექნიკით არის ჩახერგილი შემოსასვლელ-გასასვლელები, უცხო ჯარისკაცები პატრულირებენ და ათასი ჯურის მოროდიორი დაძრწის... ერთი კვირის წინ ამას წარმოიდგენდი? — გარაჟებს შორის, ჩაბნელებული ბილიკი, ჯიბის ფარანით გაანათა და თვალს მიეფარა.

„რატომ ჰქონდა ლენინს იმ სურათში ნაღვლიანი თვალები? იქნებ გადაღების მომენტში გაიგო, მეუღლე რომ მთელი სიცოცხლე ღალატობდა?"

ოქტომბრელების სამკერდე ნიშანზე გამოსახულ, ოქროსფერკულულებიან ვალოდია ულიანოვს თუ არ ჩავთვლით, ის ერთადერთი პორტრეტია, სადაც, ბელადს ადამიანური სევდის ნიშნები ეტყობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ დედამ უთხრა:

— ვალოდია, რომ ეწევი, შენი ჯანმრთელობის გარდა, ჩვენი ოჯახის ბიუჯეტსაც გვარიანად აზარალებ!

— აა, ბიუჯეტსაც ვაზარალებ? თუ ასეა საქმე, მოწევას თავს ვანებებ! — ვალოდიამ ჯიბიდან ამოღებული პაპიროსის კოლოფი მაგიდაზე დააგდო და იმ დღიდან აღარ მოუწევია.

ამას, მგონი, ზოშჩენკო ღადაობს. ჩვენ კი, ამნაირ სულელურ ლეგენდებს სერიოზულად გვასწავლიდნენ...

სამზარეულოში მაცივარი არახრახდა. სინათლე მოვიდა, მაგრამ ფანჯრები მაინც ჩაღამებულია, სატელევიზიო არხები — გათიშული — ეკრანი აჭრილი რძესავით ციმციმებს.

არა გვაქვს უფლება, რომ ვიცოდეთ ჩვენს თავს რა ხდება?

ბედზე ეკამ დარეკა.

აქ რუსის ჯარი შემოვიდა და, მანდ რა ამბავია-მეთქი.

ნურც იკითხავო, მომახალა მაშინვე.

თურმე, მთავარი მოედნიდან, დიდი მიტინგის ტრანსლიაცია მიმდინარეობდა. მიკროფონებთან ერთმანეთს ცვლიდნენ „მაღალ ხმაზე“ დაყენებული პოლიტიკოსები, მომღერლები, არტისტები, თავისი მგზნებარე მჭერმეტყველებით კმაყოფილი ორატორები.

ეკამ ყურმილი ტელევიზორთან მიიტანა.

პირველივე ფრაზაზე დავიცენტრე — ხომ გავიმარჯვეთ, ხომ დავაჩოქეთ აგრესორი რუსეთიო, ვიღაც დორბლებს ეკრანს შიგნიდან აყრიდა.

ვიფიქრე, ალბათ, ერთი კინოგმირივით თელავში რომ რეკავს და ტელ-ავივში მოხვდება, მეც ასე დამემართა, რომელიღაც ბედნიერ, გამარჯვებულ ქვეყანაში აღმოვჩნდი-მეთქი.

მაგრამ ეკა? ქართული, ომახიანი გამომსვლელები?

ვერ ეღირსებიან ჩვენი სახელმწიფოებრიობის ჩამოშლასო!

„ღმერთო, ჩამომიყვანე ტელ-ავივიდან და გამაგებინე თბილისში რა ხდება!“ — გადავიწერე პირჯვარი.

არ მჯერა, მაგრამ... ღმერთმა რა ქნას, ნამდვილად თბილისია.

სახელმწიფოებრიობა აქამდე მიწაზე მეგონა, ღონივრად ფესვგადგმული და თურმე ჰაერში ყოფილა გამოკიდული, მერცხლის ბუდესავით — აბა, თუ ბიჭია, მისწვდეს რუსი და ჩამოშალოს!

ამას ვერც მიხალკოვის საჟენნახევრიანი გოლიათი, ძია სტიოპა მოახერხებს და, ჩოფურა თეთრი ხელმწიფე ხომ — მით უმეტეს...

გაგიჟდები კაცი, თუ უკვე არ გადახვედი ჭკუიდან – ჩამქრალ, ნაღმებითა და ტანკებით გადახნულ საქართველოს რუკაზე, ახლა ყველაზე მძიმე ლაქა სინათლეებით გაჩირაღდნებული, უსაფუძვლოდ აღტკინებული თბილისია.

ვინ დაამარცხეს, სად გაიმარჯვეს ნეტავ? შამქორისაკენ ილაშქრეს თუ დარუბანდისაკენ, ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილებსაც ხომ უნდა გაგვაგებინონ, გაგვახარონ.

— ეკა, ეკა! — ჩავძახი ყურმილს, — გესმის?.. ჰო, მოაცილე ყურმილი ტელევიზორს, აღარ მინდა მაგ ნაძირალების მოსმენა!.. მითხარი, როგორ გავიმარჯვეთ, როცა მთელი ქართული სოფლები ნასოფლარებად აქციეს და დაუმარხავ მკვდრებს მიწის მიმყრელი არა ჰყავთ... როცა...

— ჩუმად, ხომ იცი სადაც ცხოვრობ... ყველას უსმენენ, დაგიჭერენ და დავიღუპებით, — მაფრთხილებს ცოლი.

ეს გაფრთხილება უფრო მაგიჟებს:

— ვერ დამიჭერენ, აქ აღარ ვრცელდება მაგ „გამარჯვებულების“ იურისდიქცია!.. „გამათავისუფლა“ რუსმა! — მეც აღარ ვიცი რას ვბოდავ.

გასული დღეების ბოღმა ტვინში ცეცხლს მიკიდებს და უფრო მწარ-მწარეებს ჩავყვირი ყურმილს, მაგრამ ამ საცოდავმა ჩემმა თანამეცხედრემ რა ქნას, მთავარსარდალია, თავდაცვის მინისტრი თუ ტრიბუნაზე ჭილყვავივით შეფრენილი ოკეანესგაღმელი, ჩვენი მფარველი შავი ქალბატონი.

ეკამ ტირილი დაიწყო, თვითონაც ისე განერვიულდა.

ტელეფონი გათიშა.

„გიშველა ღმერთმა“! — თავი თითქოს ცხელი შხაპიდან გამოვყავი, წურწურით ჩამომდის ოფლი. ყურმილს მოჭერილი თითები მტეხენ და კეფა ლამის გამომვარდეს.

კარის ჩარჩოს მიყრდნობილი ქალბატონი ლოლა დამფრთხალი მომჩერებია.

— რაც გვჭირს, იმაზე უარესი მოხდა რამე?

— ჰო, იმაზე უარესი!.. — ორივე ხელი კეფაზე დავიფარე.

გაბრუნდა. სამზარეულოში სინათლე აანთო და თაროდან წამლების ყუთი ჩამოიღო.

„ეჰ, პულჩინელა, პულჩინელა, ჩაწყვეტილი თოკიდან კისრის მოსატეხად ჩამოვვარდი, მაყურებელს კი მორიგი ტრიუკი ჰგონია... მითხარი, გადავურჩები ამ სასიკვდილო ნომერს?..

„თქვენი ახალმთავრობები და ზეიმები შეიძულა ჩემმა სულმა, ტვირთად დამაწვა, დავიღალე მათი ზიდვით,“ — ბრძანებს ესაია წინასწარმეტყველი... მეც დავიღალე, პულჩინელა. მომხსენი ეს ტვირთი, წამიყვანე და, ისევ თეატრის ფოიეში, აჭრაჭუნებულ სკამზე დამსვი... ამას თუ არ იზამ, მაშინ სონეტის კითხვა მაინც გავაგრძელოთ:

„რა ლხინი უდგათ სასახლეში ამ
ქვეყნის მამებს,
კარის ლაქიებს, სავარძლებში
გადაბღენძილებს,
ან რა ამღერებთ მეფესა და
ნაზირ-ვეზირებს,
როცა ძაღლები უპატრონო ჩვენს
მკვდრებსა სჭამენ...“

კმარა, ზოგი მერე — ქალბატონმა ლოლამ, ხელისგულზე დადებული წამალი და ყავის ჭიქით, მისაყოლებელი წყალი მომიტანა.

ბალიშამდე თავი ძლივს მივიტანე.

მაშინვე ჩამეძინა.

ჯერ ოცი წლის წინ ნანახი პარიზი და პომპიდუს ცენტრი მესიზმრა, მერე მუქ-ლურჯი შუშით შემინული, მრავალსართულიანი დაწესებულებების თუ საოფისე შენობების კვარტალში

ვიდექი. მზეზე ალაპლაპებულ შენობებს თვითმფრინავები თავს დასტრიალებდნენ, პიკირებით წამოსულები, როგორც მანჰეტენის ტყუპებს, ალესილი ფრთებით ჭრიდნენ და სართულები შუშის მსხვრევითა და გამაყრუებელი გრუხუნით მიწას ენარცხებოდნენ.

ვუყურებდი და მიკვირდა, ასეთ უბედურებაში ხომ ჩემს ქვეყანაშიც ვიყავი, აქ რაღამ წამომიყვანა-მეთქი.

გამეღვიძა, ქუჩისპირა ფანჯრის წინ ტანკმა ჩაიარა — ქვემოთ, სადგურის ხიდისაკენ მირახრახებდა. ნომერსაც მოვკარი თვალი — 210.

მოძრავ კოშკურაზე ხელის ტყვიამფრქვევს ჩაფრენილი, ჩაფხუტიანი ოკუპანტი, „ცოცხალი შესრულებით“ პირველად ვნახე.

ალე, ჭროღა, კამფეტა და ყანჩა, კორპუსის კუთხეში იდგნენ და ახლა ხიდის მხრიდან მომავალ მძიმე ტექნიკას უყურებდნენ.

— რა ხდება, „პარადს“ იღებთ?

— ეგრე მიიღონ ამათმა გამომგზავნებმა, — ამოიოხრა ალემ.

— გუშინ რომ გავიგე შემოდიანო, მაგრად გავტიალდი, — დაბურთული ქუთუთოები მოისრისა კამფეტამ.

— რუსების შემოსვლამდე ხომ აკლებდი, აი!..

— ამ ქვეყანას ვინც ფხიზელი უყურებს, იმან რა მოიგო.

— ის მოიგო, რომ ჩვენ ლოთებს გვეძახიან, იმათ — არა! — ალესაც კაი ოხშივარი ასდიოდა.

— გვეძახონ, მერე რა, რომ გაჭირდა, ხომ გამოჩნდა ამ ქალაქს გულშემატკივრები ვინცა ჰყავს?.. ხალხმა ქონება, ჯიპები, მერსედესები გადარჩინა... ჩვენ კი ფეხი არ მოგვიცვლია, ჩვენი სიცოცხლე დავდეთ სასწორზე... ასე არ არის, ძმაო, ჭროღა?

— ასეა, კამფეტ, ასე.

ყანჩამ ალეს სიგარეტი გამოართვა, ჭროღას — ასანთი.

— შენი მარტო პირი გაქვს, შე ჩემანალა!

— გეხმარებით, ბევრმა ნიკოტინმა კიბო იცის.

— კიბო შენზე უარესი როგორ იქნება... კამფეტ, მიდი ამათაც წაუკითხე, გუშინ რომ დაწერე, — შეეხვეწა ჭროღა.

— კარგი ერთი... სიმთვრალეში რაღაც მივქარე.

— ჰაა, რას გვახვეწიებ! — დაუტია ალემ.

კამფეტამ დაჭმუჭნული ხელსაწმენდი ქაღალდი გაშალა:

— ვეთაყვანოთ იმ უბრალო კიტელს,
ჩიბუხიდან გაბოლებულ თუთუნს.
მადლიერო პროლეტარო, ნუთუ,
სტალინური იმპერია გვიტევს.

ამას მისამღერი მოაყოლა:

სტალინური, დარი-დური, დარი-დარარე,
სტალინური, დარი-დური, დარი-დარარეე...

წაუმღერა, მაგრამ ალემ ჩათავება აღარ აცალა:

— დაანებეთ სტალინს თავი, რაც იმან შემოგვინახა, ეხლა ეს დედამონათლულები რომ კარგავენ, იმაზე იფიქრეთ!

— ალე, ფრთხილად იყავი, თორემ ესენი წავლენ, მოვლენ ისინი და ყველაფერს წვრილად გიანგარიშებენ, — გააფრთხილა ყანჩამ.

მაგარია ნასვამი კაცი —

მოვიდნენ და მოვიდნენო, ალემ შარვლის უბესთან დაირტყა ორივე ხელი...

მოედნისაკენ წავედით.

ცარიელ, უპატრონოდ მიტოვებულ მუნიციპალიტეტის კიბეებთან ხაკისფერი, სამხედრო მანქანები მიეყენებინათ, ჯარისკაცები და ოფიცრები, ისე აჰყურებდნენ ფანჯრებ-ჩალეწილ, ჩარჩოებგამოყრილ შენობას, როგორც კოლიზეუმს ტურისტები.

მუნიციპალიტეტიდან პარმაღზე გამოსულმა, მხრებაჩეჩილმა გენერალმა ხელები გადააატრიალა, რაც იმას ნიშნავდა, რომ შიგნით ვერავინ ნახა და ოთხკარიან „ნივაში“ ჩაჯდა.

ფოსტის ქუჩის გავლით მანქანები თვალს მიეფარნენ, ადგილზე ნიღბიანი ჯარისკაცები დარჩნენ, ოღონდ ვერ გავიგე, დაცლილ, უცხო ქალაქში სახეს ვის უმალავდნენ.

გადასასვლელ ხიდთან ჩამოვედი. მთელი ასფალტი „ტ-55“-ის მუხლუხებით იყო დაკბენილი.

ხიდთან, პირისპირ დამდგარ ტანკებს, გზა ისე გადაეკეტათ, რომ შუაში მსუბუქი მანქანა გატეულიყო. ნაპირებზე აღმართულ სილის ტომრების ყორეებთან ჯარისკაცები ირეოდნენ.

მოქალაქეთაგან არც ხიდს იქით ჩანდა ვინმე, არც – აქეთ. ტანკებშორის დატოვილ „განსაწმენდელში“ რომ გავდიოდი, ასე მეგონა, ყველა ლულა მე მიყურებდა.

ახლა უფრო დავიბოღმე, ვიდრე მაშინ, როცა თვითმფრინავები თავზე დაგვბზუოდნენ — მე ხომ სულ ახლოს, გვერდით ჩავუარე როკის გვირაბიდან გამომძვრალ დამპყრობელს.

ჯერჯერობით, პირობით საზღვრად, მდინარის მარცხენა ნაპირი დაედგინათ, თუმცა იქითაც რომ გადასულიყვნენ, ვინ იყო ხმის გამცემი.

ცხრა აპრილსაც დამპყრობელის პირისპირ ვიდექით, მაგრამ მაშინ ყველაფერი დუღდა, ამოდიოდა ხორხიდან ორასწლიანი ბოღმისა და ჯავრის ლავა, იყო უიარაღო გლადიატორების შერკინება ჩვენს რიგებში მოსიარულე, ხორცშესხმულ სიკვდილთან, როგორც ჩვენ ნიჩბები და ხელკეტები, ჯარისკაცებსაც თავზე ელეწებოდათ ფარები და ჩაფხუტები და უკანდახევა დამარცხებას სულაც არ ნიშნავდა.

დღეს კი, ჩემი პროტესტი, მხოლოდ იმით გამოვხატე, რომ მათ შორის დაკოპილმა გავიარე, თან მაგრად მომუჭული თითები ლურსმნებივით ლამის ხელისგულებში ჩაძვრნენ.

ისინიც იდგნენ, განზე ფეხგადგმულები, გახევებულები, გამოცარიელებული თვალებით და ჩვენი შეიარაღებიდან ამოღებული, დაწუნებული „კალაშნიკოვებით.“

გავცდი ჯარისკაცებს — ზურგზე ჭიანჭველები აფუთფუთდნენ, ადი-ჩადიან ხერხემალზე — რა ვიცი, რამდენი ჭკუაგადაბრუნებული ან ომისაგან გონებაამღვრეულია, დიდი საქმე, ტყის გაჩეხვისას, ერთი ნაფოტით მეტი თუ დავარდება მიწაზე.

მშვიდობიანად გადავედი ხიდზე. ხელმარცხნივ დაკეტილი ბენზინგასამართია, მარჯვნივ — ვაგონების ჩიხი.

არსად კაციშვილი არ ჩანდა.

რკინიგზის ქვეშ გამავალ გვირაბში ჩავედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ოკუპირებული სამშობლოდან გადმოსვლის მღელვარებას თუ არ ჩავთვლით, ჯერჯერობით, „თავისუფალ სამშობლოში“ უპრობლემოდ აღვმოჩნდი.

გვირაბში ბნელოდა. გამსკდარი მილიდან ჩამონაჟონი წყალი აყრილ ფილებს შორის გაჩენილ გუბეში წვეთავდა. ზემოთ რახრახით გაიარა სატვირთო მატარებელმა. სატვირთო იმიტომ მეგონა, რომ სადგურს შეუჩერებლად ჩაუქროლა.

ბაქანზე ამოვედი. ლიანდაგების პირველი ხაზი ჯერ კიდევ ძიგძიგებდა.

შევბრუნდი და ახლა აქედან გავხედე მტკვარგაღმა, ოკუპირებულ ქალაქს.

პირველი დღეა, როცა არსად არაფერი ბოლავს. სამაგიეროდ, ერთ ღამეში გაუცხოვდა, გაცივდა, კიდევ უფრო ჩაკვდა და გაუკაცრიელდა იქაურობა.

რა ვქნა, აღარც უკან დაბრუნება მინდა, არც გამარჯვების ზეიმით გაბრუებული დედაქალაქისაკენ მიმიწევს გული.

გავდივარ და გამოვდივარ ბაქანის თავსა და ბოლოში. ხელს ვინ შემიშლის, მუდამ ხალხმრავალ სადგურის მოსაცდელში მხოლოდ ორი ხნიერი ქალი ჩამომჯდარა, ახლო-ახლო მიჭუჭკულან და ისე ჩუმად ტუტუნებენ, თვითონაც ძლივს ესმით. ნეტავი ისეთს რას ლაპარაკობენ, ცარიელ სკამებსა და კედლებს რომ უმალავენ.

ამ ქალებმა იციან საით უნდა წავიდნენ, მე — არა, თითქოს უისრო კომპასს დავყურებდე, ჩემი გზა ციფერბლატზე არა ჩანს. სალაროსთან მივედი. რა მინდა სალაროსთან? მით უმეტეს რომ შიგ არავინ არის. სადგურისწინა მოედანზე, დაკეტილ სახინკლესთან ვიღაც-ვიღაცები დგანან. ალბათ, ჩვევას არ უღალატეს, ინერციით მოვიდნენ. სახინკლე დღეს თუ არა ხვალ, ზეგ, ერთი წლის მერე ხომ მაინც გაიღება, — ამოყრიან ქაფქაფა ხინკალს, მოაფრქვევენ შავ პილპილს... პრეტენზიულ გურმანებს ამოუჩემებიათ, შავი უხდებაო... ხინკალი იყოს და, ვითომ წითელ პილპილს რა უჭირს... დაელოდებიან, მეტი რა საქმე აქვთ. ამათაც იციან რაც უნდათ და სადაც მოვიდნენ. მე არ ვიცი, რა მინდა და სად მინდა.

ისევ ბაქანზე გავედი. კიდევ დავტკბი პიონერული საყვირივით ჰაერში აშვერილი ტანკის ლულების ხილვით.

ჰაერში გაკიდულ გადასასვლელ ხიდზე არავინ მიდი-მოდის. მხოლოდ მტკვარი არ ემორჩილება ომის კანონებს თუ უკანონობას, კვლავ დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიედინება.

ძველსა და ახალ ხიდებს შორის, ორად განტოტებული მდინარის შუაგულში, წაგრძელებული, ქვიანი და შლამიანი კუნძულია ამოზიდული.

ასე იყო ჩემს ბავშვობაშიც, სკოლიდან, შატალოზე წამოსულები, ძველი ხიდის შუაგულში, მოაჯირზე გადავალაჯებდით ხოლმე, ბეტონიდან გამოშვერილ, არმატურის კაუჭზე ჩამობმულ მსხვილ მავთულს დავეკიდებოდით, ხიმინჯს დავუყვებოდით და კუნძულზე ჩავდიოდით.

კუნძულზე, წყალდიდობიდან წყალდიდობამდე, ნერგებიც ასწრებდნენ წამოზრდას და ნაგერალივით ამოყრილი ბუჩქებიც. რიყის ქვით მოფენილ შლამზე მეწამულ ხავსივით ძირს გართხმულიყო ბალახი. კუნძულის ნაპირები დღევანდელ, ძირს მოღავებულ ხარახურის ბაზრობებს გავდა. რას აღარ მოაყრიდა, გამორიყავდა წყალი — მინგეჩაურისაკენ მიმავალ მდინარეს, მეწვრილმანესავით გზადაგზა უცვივდებოდა კონსერვის ქილები, ბოთლები, ლანჩაარღვეული ფეხსაცმელები, ძირგახვრეტილი ქვაბები, ძონძები, ყველაფერი, რასაც მოსახლეობა სანაგვეში გადასაყრელად იმეტებდა.

მთელ ამ ავლადიდებას ჯოხებით ვქექავდით, ბოთლებს და ქილებს ნიშანზე დავსვამდით და მიზანში ვესროდით, ვბანაობდით, ხან ბურთიც ჩაგვქონდა, მერე და მერე, თუთუნს გემო როცა გავუგეთ, აქვე, სადგურში, რუსეთიდან მომავალ მატარებლებს ვხვდებოდით, ვაგონ-რესტორანის ოფიციანტებისაგან სიგარეტს ვყიდულობდით, კუნძულზე არც მშობლის, არც მასწავლებლის რომ არ გვეშინოდა, ჩვენს ნებაზე ვაფუილებდით.

კუნძული სრულ დამოუკიდებლობას გვაძლევდა. მთელი ნეტარება იყო, წელზემოთ შიშველი, თბილ ქვებზე გადაწოლილი ბიჭებისათვის, ნაფაზის მერე, პირიდან რგოლების გამოშვებაში შეჯიბრი.

ყველას ალეკო ჩოჩელი გვჯობნიდა, მაღალი, ერთთავად ცხვირგაწითლებული თანაკლასელი.

ალეკო არამარტო ცხვირგაწითლებული, არამედ ცხვირაწეულიც იყო, და ამის საბაბიც ჰქონდა:

პაპამისი, რუსეთის არმიის პოლკოვნიკი, ალექსი ჩოჩელი, ჯერ რუსეთ-იაპონიის, მერე რუსეთ-გერმანიის ომების მონაწილე, თავის ნაწილთან ერთად, კაიხანს, ირანში მდგარა.

როგორ, რატომ, რანაირად მოხვდა იქ, ამაზე არაფერს ამბობდა. ალექსიმ, ასევე ჩვენთვის უცნობი ვითარების წყალობით, დიდძალი ოქრო, ძვირფასი თვლები დააგროვა და საკმაოდ მდიდარი კაცი შეიქნა. სამშობლოში წამოსვლა რომ დააპირა, თავის სიმდიდრე ჩააწყო ზურგჩანთაში, გადაიკიდა ოფიცრის ოქროსფერტარიანი, ოდნავ მორკალული ხმალი და, სხვა ქართველ სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად, გზას დაადგა.

ფეხით მოდიოდნენ. გრძელ გზაზე ტვირთი უფრო და უფრო დამძიმდა. ამიტომ, იფიქრა, ქაღალდი უფრო მსუბუქიაო, ლითონი ფულად აქცია, მაგრამ სამშობლოში ჩამოსულს ფული შეცვლილი დახვდა და ფასიანი კუპიურების ნაცვლად, სამუზეუმე, მხოლოდ ნუმიზმატებისათვის საინტერესო, გამოუყენებელი, დაპაჭკული ქაღალდი შერჩა.

რევოლუციით გაბედნიერებულ ქვეყანაში, მის ძველ დიდებაზე მოღაღადე ხმალიღა ჩამოჰყვა, ახლა ტახტზემოთ, კედელზე გაკრულ, ჩრჩილით შეჭმულ ხალიჩაზე რომ ეკიდა.

გამხდარი, დაპატარავებული, ცოცხალთვალება ბერიკაცი, წარბები და ხელეურებივით ულვაშები ერთიანად რომ გასთეთრებოდა, იშვიათად მინახავს გარეთ გამოსული, უფრო ხშირად ტახტზე ან იწვა, ან იჯდა, თითქოს საამაყო ხმალს დარაჯობსო.

მეზობლად ვცხოვრობდით. ძალიან პატარები როცა ვიყავით, მე და ალეკოს გვერდით დაგვისვამდა, თვითონ ცალ ფეხს ტახტზე ამოიკეცავდა და ყოველთვის, მორიგი ამბის

მოყოლას ასე იწყებდა:

„ჰოოდა, თავრიზში ვაართ! "— დასცხებდა გაშლილ ხელს მუხლისთავს.

სიტყვა „ვაართ", მრავლობით რიცხვს სულაც არ ნიშნავდა, თავისთავს მიმართავდა თქვენობით.

ასეთ, ტრადიციულ დასაწყისს ვრცელი, მოსაწყენი მონათხრობი მოჰყვებოდა ხოლმე. სამაგიეროდ დასასრული იყო საინტერესო და, ჩვენც მოუთმენლად ველოდებოდით, მოლაყბე ბერიკაცი, გარდასული დიდების ნაშთს კედლიდან სასოებით როდის ჩამოიღებდა.

ქარქაშიდან ამოღებულ ხავერდის ნაჭრით გაპრიალებულ ხმალზე, ფანჯრიდან შემოსული სხივი, თვალისმომჭრელად გაივლიდა ხოლმე.

ხმალს ჯერ თვითონ გაიქნევდა ჰაერში, მარჯვნივ და მარცხნივ „ჩაჰკაფავდა" ასკერებს, მერე ჩვენ, მორიგეობით დაგვაჭერინებდა.

ბოლოს ისევ ქარქაშში ჩააბრძანებდა, ტარს ვაუკაცურად დაჰკრავდა ხელისგულს და თასმით კედელზე ჩამოაკონწიალებდა.

ალექსი ჩოჩელი ას წელიწადს მიღწეული ჩაბარდა პატრონს. სიკვდილის წინ, აგონიაში მყოფმა წამოიწია, მარჯვენა შემართულმა ბოლო ბრძანება რუსულად გასცა:

„Кавалерия, к строю!.."

და, სული განუტევა...

ვიქტორ პეტროვიჩ, იფიქრებდა ალექსი ჩოჩელი, დაბომბილი სამხედრო ნაწილის სიახლოვეს, სასაფლაოზე რომ განისვენებს, რუსეთის ერთგულებაში დამდნარ მის ძვლებს, თქვენი თვითმფრინავები და ტანკები თუ შეაწუხებდნენ?

თუმცა, სხვებს თავი რომ დავანებოთ, რაც თქვენებურებმა ბოროდინოს გმირის, პეტრე ბაგრატიონის ნეშტს დამართეს, არც ალექსის და არც ჩვენ, უკვე აღარაფერი არ უნდა გაგვიკვირდეს.

ასეთი კაცის შვილიშვილი იყო ალეკო. მოწევაც, სხვებთან შედარებით, ნაადრევად დაიწყო — მეოთხე-მეხუთე კლასში უკვე ისეთ ნაფაზებს ურტყამდა, უნივერმაღის სტაჟიან, ნიკოტინით კბილებჩაყვითლებულ ღამის დარაჯს შეშურდებოდა.

ამ მხრივ დანარჩენებსაც არა გვიშავდა, ქალაქში გამორჩეული კლასი გვქონდა.

გაკვეთილებიდან გაპარვისათვის, ვიცოდით, სკოლაში ხეირს არ დაგვაყრიდნენ, მაგრამ კუნძული ისეთ სიამოვნებას გვანიჭებდა, რომ მასწავლებლებისა და მშობლების რისხვად ნამდვილად ღირდა.

მტკვრის ნაპირზე, სადგურის მხარეს, პატარა შუშაბანდიან სახლებს მიკერებულ ხელისგულისოდენა ბაღჩების ძირში, მიწა წყალდიდობას რომ ჩამოეკბიჩა, ანკესიანი მეთევზეები სხდებოდნენ ხოლმე. აქ, მყუდრო ყურეში მდორე დინებას აქოჩრილი ტალღები არ აშფოთებდნენ. ტბასავით წყნარ ზედაპირზე ლაღად მისრიალებდნენ ბრტყელი, სიფრიფანა ქვები. ვიდექით და ვეჯიბრებოდით, ქვას ვინ უფრო შორს გააცურებდა.

ბავშვის ფანტაზიას ხომ საზღვარი არა აქვს — მერე, ნაპირიდან ნაპირამდე გადარკალულ ძველ ხიდზე კენჭების გადატარებაში ვეპაექრებოდით ერთმანეთს.

ხიდზე ტრანსპორტი არ მოძრაობდა, მხოლოდ სადგურიდან მომავალი ან სადგურზე მიმავალი ფეხით მოსიარულე მგზავრები იმოკლებდნენ გზას.

ჩვენი ქვების სროლა მანამდე გაგრძელდა, ვიდრე, ერთხელაც, ვიღაცამ არ შეჰყვირა და მალე, მოაჯირს, თავგატეხილი მოლიციელი არ გადმოეყუდა.

იღბალი არ გინდა? ვინც გინდა ყოფილიყო, ოღონდ მილიციელი არა.

ჩვენს ყურებს, მაშინ, დიდი ჯაფა დაადგათ. ცხადია, კუნძულზე „ვიზიტებიც" კარგა ხნით აგვეკრძალა

სამასწავლებლოში ვერ გამოგვტეხეს, ვინ გაუხეთქა შუბლი წესრიგის დამცველს. სამაგიეროდ, მერე, ჩუმ-ჩუმად ყველა ჩვენგანი ამტკიცებდა, მილიციელს ჩემი ნასროლი ქვა მოხვდაო.

საკვირველია, მის ადგილზე ჩვეულებრივი მოქალაქე რომ ყოფილიყო, ალბათ, არავინ დავიბრალებდით ამ დანაშაულს, მაგრამ თავად წესრიგის დამცველს თუ შებედავდი და თავს გაუტეხავდი, იმ დროს გმირობის ტოლფასი გახლდათ.

მაშ საამაყო არ იყო, დაბადების დღეზე, უცხო გოგოები, თვალებს რომ დაიწვრილებდნენ — აა, ეგ რომელი პირველსკოლელი, მილიციელს გოგრა რომ გაუპოო?

თან შენც, ვითომ სხვათა შორის, სიტყვაძუნწად თუ აღწერდი მთელ ამ საგმირო ისტორიას:

— ჰო, რა, ყვირილით მოაჯირს მოადგა, ახლავე ამოეთრიეთო... მგონი შეგვაგინა კიდეც... მეც ავიღე კაი ბატის კვერცხივით ქვა და...

ამ ერთი გასროლით, ვინ მოთვლის, რამდენი გოგოს გული შეიძლებოდა დაგება!

აი, ასე, ქალაქში თავგატეხილი მილიციელი ერთი იყო, თავის გამტეხავი თხუთმეტი...

ბაქანზე ბავშვი და გოგო შემოვიდნენ. უკან ბიჭი მოჰყვებოდათ.

თბილისისაკენ, ამ დროს, „ბორჯომი" გადის ხოლმე და ნეტავი თუ ჩამოდგებაო, მკითხა ბიჭმა და გამომემცნაურა, სადგურელი ვარ, მუსიკალურ სასწავლებელში მორიგედ ვმუშაობო.

გოგო და ბავშვი დედა-შვილი გამოდგა — სოფელში სტუმრად ყოფილიყვნენ, დაბომბვა რომ დაწყებულა ღამით, ბაღებზე გამოქცეულებს, ქალაქამდე ძლივს ჩამოუღწევიათ.

ოთხი-ხუთი წლის გოგო დედას ხელს არ უშვებდა, ზედ ეკვროდა.

ღამეც ასეა, გაფაჩუნებაზეც წამოხტება, აცახცახებული მეხუტება, ეშინია არ დამკარგოს, მეც არ ვიცი რა ვუშველო, ავტირდები და ვართ ამ დღეშიო.

თავად დედაც პატარაა, გამხდარი, შეძრწუნებული იმით, რაც გადახდათ სოფელში — დასასვენებლად ჩავიდნენ და მესამე ღამეს ლოგინიდან წამოვარდნილებმა, თვითონაც არ იცოდნენ საით გარბოდნენ.

ეჰ, პეტროვიჩ, თქვენი „ორთავიანი" პრეზიდენტი რომ ბრძანებს, მხოლოდ სამხედრო ბაზებს ვბომბავთო, რა ბაზები ეგულებოდა მიყრუებულ სოფელში ან შემოდგომის ბაღ-ბოსტნებში,

ასე გულუხვად რომ დააბერტყეს ნახევარტონიანი ჭურვები და ეს უმწეო დედა-შვილი მთლიანად შეშინებულ თვალებად აქციეს!

იქნებ დადგეს დრო და თავისი პატარაობის მოგონებებიდან, ამ დაღვრემილმა გოგონამ, ყველაზე მძიმე შთაბეჭდილება გადაიტანოს ფურცელზე — ნახნავებით შავად ამობრუნებულ მინდვრებზე გაქცეულ ბავშვებსა და ქალებს, როგორ მისდევენ მფრინავი ძაღლებივით აყეფებული რუსული მოიერიშეები?..

ჩამომდგარი მატარებელი, როგორც სასტარტო გარბენის წინ მარათონელი, ჩქარობს, ცდილობს მალე გაასწროს, გავიდეს უბედურების ზონიდან

„ნუთუ შინაურებიც არ გენატრება?“ — დავანამუსე ჩემი თავი, მაგრამ ფეხი მაინც არ მოვიცვალე.

ომი აციებს ადამიანებს.

მეც გავცივდი. გავცივდი კი არა, ისე გავითოშე, კბილს კბილზე მაცემინებს. აკი ვთქვი, ზამთრის განწყობილებით ვცხოვრობ-მეთქი.

ტამბურში ასულ დედა-შვილს ხელი ავუწიე.

უკან აღარ მოუხედავთ, მაშინვე ვაგონში შევიდნენ. ანდა რატომ უნდა მოეხედათ? რა რჩებოდათ აქეთ, გულდასაწყვეტი ან მოსანატრებელი? ახლა მთავარი იყო მალე გასცლოდნენ, გარიდებოდნენ იქაურობას, ყველაფერს, რაც გადატანილ კოშმარს გაახსენებდათ.

მე კი... მე, რა მნიშვნელობა აქვს სად ვიქნები. უფალსა და ჩემ შორის ეშმაკი ჩადგა, აიმ ტანკებით, ერთმანეთისაკენ ლულამიშვერილები, ჩასანისკარტებლად აფოფრილი მამლებივით რომ აყინჩულან... მწვანე მამლები... არა, ხაკისფერი... ხაკისფერი უფრო აღვივებს ზიზღის ნაღვერდალს. ეს სიტყვა, ბავშვობაში წაკითხულ, რომელიღაც ანტიფაშისტური რომანიდან თუ მოთხრობიდან მომყვება და ქვეწარმავლებით და გომბეშოებით სავსე ორმოს ასოციაციას იწვევს.

დამპყრობელს, რა ფერის ფორმაც არ უნდა ეცვას, ჩემს წარმოდგენაში მაინც ხაკისფერია.

დაძრული მატარებლის პირველი ვაგონიდან ჩამოსული, ვიღაც ქალბატონი ბაქანზე მობაკუნობს. ჩემი ყურადღება უფრო იმიტომ მიიპყრო, რომ მთელი მატარებლიდან მხოლოდ ის ერთი ჩამობრძანდა.

„აქედან ყველა გარბის და ამას რაღა დარჩენია?“ — უკან გამობრუნებულს ქალის წვრილქუსლიანი ფეხსაცმელის პაკიპუკი მომდევს.

დავაკვირდი და...

„არა, რა სისულელეა!“ — ისევ გავაგრძელე გზა.

— თუ შეიძლება, ერთი წუთით! — დამეწია ქალის ხმა.

„ორი იყოს... მეც, ახლა, სადმე მაგვიანდება!“ — ხელჩანთით ცალ მხარეს გადახრილ ქალბატონს სხივილა, ღია წაბლისფერი თმა სახეზე ეფხატება.

მოვიდა, დადგა ჩანთა, გაისწორა თმა, პირველი და ბოლო თითებით უკან რომ გადაიწევენ ხოლმე, ისე, და გამოიხედა თვალებში...

ნაცნობი რეჟისორი გამახსენდა — რეპეტიციის დროს, გაჯავრებულმა ხელი ხელს გაჰკრა და მსახიობს დაუყვირა:

— ხომ დაინახე, სცენაზე პარტნიორი შემოვიდა!.. პირველ რიგში, ვიდრე რეპლიკას მიაწვდი, ყურადღებით შეხედე, დააკვირდი, შეაფასე!

ქალმაც „შემხედა, დამაკვირდა, შემაფასა“ და რეპლიკაც ისე აუღელვებლად „მომაწოდა,“ თითქოს ცოტა ხნის წინ დაწყებული დიალოგი გააგრძელა:

— მართლა უკვე შემოვიდნენ?

— ვინ დაუშლიდათ.

— ტელევიზორში თქვეს...

— იტყოდნენ, ან იმათ რა დაუშლიდათ, — გამოვბრუნდი და პაკიპუკი ამედევნა.

— ახლა აქ ჩამოსვლა შეიძლებოდა?

— ან შენ ვინ დაგიშლიდა...

— ეგ რა ძვირფასი სიტყვა გისწავლია, რაც აღარ შეგხვედრივარ... დაუშლიდათ... დაგიშლიდა...

— დაგაძალე, შემხვდი-მეთქი?

— რა ჩემი ბრალია, ვიღაც მხრებში მოხრილ ბერიკაცს დავუძახე, მოიხედა და... შენ შემრჩი ხელში.

— მეც ახალგაზრდულმა თმის საღებავმა შემაცდინა... ვხედავ, საღრენი და საკბეჩი კბილებიც დაგიცვლია...

— დიახ, ამერიკაში... — ტუჩები გახსნა და დაკრეჭილი, ლამაზი კბილები გამოაჩინა.

— კიდევ, რა გამოიცვალე?

— ყველაფერს შუა ბაქანზე ხომ არ გაჩვენებ!

„სულ ასეთი ტუტუცური ლაპარაკი იცოდა... მაშინ ნორჩი იყო და უხდებოდა, ახლა... ისევ ისეთად დარჩენილა! ანდა ვის უნახავს გამოსწორებული ადამიანი? ყოველ შემთხვევაში, მე — არა... ჩემი ჩათვლით.“

— ასაკი არ დაგტყობია.

— რომ დამტყობოდა, ხომ ვერ მიცნობდი.

— გარეგნობას არ ვგულისხმობ, — საფეთქელზე მივიკაკუნე საჩვენებელი თითი.

— მაგ მხრივ, ბევრი სატრაბახო, არც შენ უნდა გქონდეს.

— ჰო, მართალი ხარ, არც ერთს არ გვქონდა ჭკუა, მე იმიტომ, რომ შენ მიყვარდი, შენ იმიტომ, რომ — მიმატოვე...

— მაგ სიბრძნეებს, აჯობებს, ხელჩანთა გამომართვა, — დამიდგა ფეხებთან.

ავწიე. მემძიმა. რა უდევს ასეთი, დივერსიული აქტის ჩატარებას ხომ არ აპირებს?

— საით ინებებთ წასვლას?

— შინისაკენ!

— აღარც მახსოვს, სად ცხოვრობდი.

— მე გაგახსენებ!

ლიანდაგები გადავჭერით.

ძველ ხიდთანაც იდგნენ.

ჩვენს დანახვაზე ორი ჯარისკაცი მოაჯირს მოსცილდა.

ქალმა იდაყვთან ხელი ჩამკიდა. თითების თრთოლვაზე ვიგრძენი, რომ ღელავდა.

გახსენითო, ჩანთას ავტომატის ლულა მიაშვირა ყვრიმალებამოყრილმა, ვიწროთვალება ჯარისკაცმა, რომელიც იმ ასტრახანელ მოვაჭრეებს მივამგვანე, დაუვიწყარ საბჭოთა ხანაში, თბილისის ბაზრებთან ნესვისა და საზამთროს პირამიდები რომ ედგათ ხოლმე.

ჩანთა დავდგი. ქალი დაიხარა. აკანკალებუ-

ლი ხელით ძლივს გახსნა ელვა-შესაკრავი.

ეს ჩვენი „ასტრახანელი“ დაკოპილი, კმაყოფილი გამომეტყველებით უყურებდა ქალის წვალებას, მეორემ კი, ქერათმიანმა, ჩემი თანამგზავრი დამცინავი ღიმილით დაამშვიდა:

_Тетя, не беспокойтесь, мы ведь люди, а не звери.

_Люди не захватывают чужие земли! — ამოხედა გამკაცრებული სახით.

ჯარისკაცები დაიბოღმნენ. უფრო — „ასტრახანელი.“

კარგით, კარგითო, ხელი ჩაიქნია მეორემ და გვანიშნა, გაიარეთო.

ჩვენც გავიარეთ, არ მოგვიხედავს, მაგრამ ვგრძნობდით, რომ გვიყურებდნენ.

ქალი ხელკავით გამომყვა და იდაყვი ფერდთან მიბიძგა, წელში გაიმართე, მაგათ მართლა ბებრები არ ვეგონოთო.

— როგორ უცებ გამამაცდი.

— Тетя რომ დამიძახა, მაგიტომ გავმწარდი.

— კიდევ კარგი პასპორტი არ მოგთხოვეს, თორემ სახელს თუ ნახავდნენ, მერე როგორ გაგატარებდნენ, არ ვიცი.

— სახელს?.. ჰო, — გაეცინა, — ნატო ვაჩნაძის ხათრით დამარქვა მამაჩემმა... ნატო ქართული ეშხის საბადოაო, იტყოდა ხოლმე... უცნაური კაცი იყო... მსახიობი უნდოდა გამოვსულიყავი...

— მერე, არ გამოხვედი?

— კარგი, შენი ხათრით გამოვედი... — დამითმო და დაწინაურებულმა მუსიკალური სკოლის კუთხეში შეუხვია.

სკოლის უკან, მყუდრო ხეივნიან ეზოში, სამი აგურის ბელეტაჟი დგას. ნატოს ბინა ზურგით მგალობლიშვილის ქუჩას ესაზღვრება. ბელეტაჟის რამდენიმე საფეხურიანი კიბე, ღრმა ნიშაში შედის და მოხარატებულ, ორფრთიან ხის კართან მთავრდება.

ნიშა ჩვენი თავშესაფარი იყო. თუ შებინდებულზე მივაცილებდი, ვიდრე ნატოს ბრაცუნა, გაუთხოვარი მამიდა კარის გასაღებად ჯაჭვს ააჩხრიალებდა, ნიშაში, სუნთქვაშეკრულები ერთმანეთს ვკოცნიდით.

— ოცდათხუთმეტი წელიწადია, ამ ეზოში აღარ შემოვსულვარ.

— აქეთ სამი ფანჯარა მე მარგუნეს, იქით — ჩემს ძმას, — მძიმე კარი ჭრიალით შეაღო.

ბელეტაჟის კუთხეში, მავთულის წნულით შემორტყმული, ბებერი ვაზის ნამხარი თითქმის მთელ ეზოს ფარავს. ცხელ აგვისტოს უკვე დაუხრუკია ხეივანზე ფოთოლი, სასუფრე ყურძნის დიდრონი, მარცვლებდაჩუტული მტევნები, გამოღეჭილი ჯიქნებივით ჰკიდია.

აქ, აუზიან წყლის ონკანთან, ტირიფი და პატარა მაგიდა იდგა ხოლმე.

მყუდრო სამეზობლო, მაგიდასთან ხშირად იკრიბებოდა.

— ტირიფი გახმა, მაგიდა დალპა და წაიქცა... ეს ბინებიც გამოიკეტა... ჩემი ძმაც, ნახევრად თბილისშია, შვილებთან.

— თავის დროზე ეზოში სიცოცხლე დუღდა.

— ახალწლებში მაინც ბევრნი ვგროვდებოდით... დაიკვლებოდა ღორი, გაიშლებოდა საერთო სუფრა...

— ახლა მოვა ვიღაც გადამთიელი, დაეპატრონება, დასახლდება, ნელ-ნელა სარეველასავით მოედება, სხვა ეზოებსა და სახლებსაც დაიპყრობს, გამრავლდება ტანკისა და ავტომატის გარეშე... ამტკიცე მერე, ჩემია და სად მიგაქვთო, თუნდაც ღვთისმშობელის ხელმოწერილი, ბეჭედდასმული ჩუქების საბუთი წარადგინე, ვინ რაღას დაგიბრუნებს... ქალდეველები, ხეთები, ხალიბები, არც დავითის სახლეულია ჩვენთვის უცხო... რა, მერე, სხვებიც იყვნენ და აღარ არიან... ჩვენი წინაპარი იერუსალიმში გაშლილი დროშებით შედიოდა... მაგარი იყო და შედიოდა... შენ საკუთარ სახლში დაუკითხავად ვერ შესულხარ... მთელი ზღვისპირეთი ულამაზესი, ძვირადღირებული სასტუმროებით, დასასვენებელი, გასართობი კომპლექსებით დაიქსელებაო, იქადნება ჩვენი პრეზიდენტი... მერედა ვისთვის იქნება ეს ყველაფერი? მხოლოდ სოხუმი, გაგრა და ბიჭვინთა კი არა, ბათუმი, ქობულეთი, ურეკიც კაიხნის დაკარგულია გაღატაკებული, გენეტიკურად ქართული მოდგმისათვის... ახლა ხომ შვილებსაც აღარ ვაჩენთ საქართველოსთვის, ერთი სული გვაქვს საზღვარგარეთ როდის ვუკრავთ თავს... იმპერიებს კი რა ენაღვლებათ, მიჰყავთ პატარა ქვეყნის შვილები, თავის გემოზე ტვინს უხარშავენ და უკან გარყვნილ, პოლიტიკოს მოღალატეებად და სამშობლოს მკვლელებად გვიბრუნებენ... შინაურმა ხომ უკეთესად იცის, „ოქრო“ სადაც დევს...

— გეყოფა, ამოისუნთქე მაინც! — შემანჯღრია ნატომ, — ნერვოზია... ახლა ყველა გამოსულია მდგომარეობიდან.

თუ გადავედი ჭკუიდან, საფეთქლები მტეხს და სახე მიფორაჯდება.

— ახლა ვხვდები, სწორად მოვიქეცი, ცოლად რომ არ გამოგყევი.

— რატომ, გიჟივით ვლაპარაკობ?

— მთელი ცხოვრება გულს შემიჭამდი.

— მერე, მიაქიმებდი და მოვრჩებოდი.

— არა, — გაეცინა, — შენნაირები არ რჩებიან, არც მკურნალობას ექვემდებარებიან... ან მე ვიღას აქიმობა შემიძლია, ათი წელიწადი, ოკეანეს გაღმა, ხან კიდურებმოწყვეტილ, განუვითარებელ, ეპილეფსიან ბავშვს ვუვლიდი, ხან მიხრწნილ, პრეტენზიულ დედაბერს... იმიტომ, რომ დედა გამომეკვება, ძმას დავხმარებოდი, შვილები გზაზე დამეყენებინა... ჰოდა, მეც დავაყენე — ახლა ისინი არიან წასულები, ნელ-ნელა საფუძვლიანად მკვიდრდებიან და მთხოვენ, მეც ჩავიდე, შვილიშვილებს მივხედო... აქაურობა არ მეთმობა, მაგრამ რა ვქნა, აქ ვის ვუყურო, იმათზე ძვირფასი ვინ მყავს?.. ომის წინა დღეებში მამისეულ სახლს ჩამოვაკითხე, მთელი აგვისტო დარჩენას ვაპირებდი... მერე ბორჯომში, ჩემს დასთან გავიქეცი. საბუთები ხელჩანთიანად აქ დამრჩა, იმის წასაღებად დავბრუნდი, თორემ პირდაპირ თბილისში წავიდოდი და ღმერთმა უწყის, კიდევ გნახავდი თუ არა, — კიბეზე ავიდა, — შინ არ შემოხვალ?

— არა, მელოდებიან.

— ამ დაცარიელებულ ქალაქში ვინ გელოდება, აკი თქვი ცოლ-შვილი თბილისში მყავსო.

როდის ვთქვი, არ მახსოვს.

— ვინ მელოდებიან და ბეღელაშვილები... თუ არ მივედი, ქალბატონ ამალიას დღესაც არ

ამოიყვანენ სარდაფიდან, ბოლოს და ბოლოს შენი პედაგოგია.

— დაწყებითში მასწავლიდა... აუ, რამდენის იქნება ახლა.

— ლექსების წერა დაიწყო.

გაეცინა.

— რას ამბობ... ხედავ, ომისაგან რა სახის ანომალიას არ უნდა ელოდე! — ქუჩამდე გამომყვა, — დაგირეკავ...

„ეჰ, მაინც კარგი იყო პარიზი... ოცი წლის წინანდელი, რა თქმა უნდა.“

— იცი, გადავუსწორე ჩამოშლილი თმა, — ფრანგებს ერთი „მოცლილი“ პოლიტიკური მოღვაწე ჰყავდათ, რომელმაც ფრანგული პოეზიის ანთოლოგიას ბრწყინვალე შესავალი წერილი დაურთო და თავის ხალხს კულტურის ცენტრი აუშენა, რადგან სწამდა, ადამიანს ხელახალი გაველურებისაგან, მხოლოდ კულტურა იხსნისო... მერე ის პოლიტიკური მოღვაწე, საფრანგეთის პრეზიდენტი გახდა...

— პომპიდუ?

— გცოდნია და რაღას მალაპარაკებ!

— მე გალაპარაკებ? — გაუკვირდა, — არა, ნამდვილად სწორად მოვიქეცი... წარმომიდგენია, როგორი გასაძლებიც იქნებოდი...

ცოტაზე რომ გამოვცდი, დამიძახა:

— სპექტაკლი „ანა ფრანკი“ გახსოვს?

— ანა კი არა, ანე, ანე ფრანკი.

— რა ვიცი, ჩვენ დროს ანა ეწერა წიგნზეც და აფიშაზეც.

— ჰო, ანაც მახსოვს, ანეც და შუა წყალში გაჩერებული „მოსკვიჩიც.“

— მართლა, „კინო?“ — თავი გადააქნია.

შენც კარგი გიჟი ხარ-მეთქი, საფეთქელთან დავატრიალე თითი.

„ანა ფრანკი“ ჩვენი შეყვარებულობის დროინდელი სპექტაკლი იყო. იმდენჯერ ვნახეთ, რომ თითქმის ზეპირად ვიცოდით.

მერე... მერე მე მესამე კურსზე ვიყავი, ნატო — პირველზე, მოულოდნელად რომ დაჰკრა ფეხი და თბილისელ, ასაკით საკმაოდ უფროს, ინსტიტუტში ლექციების წასაკითხად ჩამოსულ ლექტორს ცოლად გაჰყვა.

ახლა იოლად ვამბობ, თორემ, მაშინ მაგრად განვიცადე.

იმ ზაფხულს მე და ჩემი მეგობარი, მისი სოფლიდან, ქალაქში მოვდიოდით.

სამანქანო ტრასამდე ფეხით უნდა გვევლო.

„მოსკვიჩით“ ვიღაც წამოგვეწია, ცოტაზე გაგვცდა და გაგვიჩერა.

ბიჭებო, დასხედით, წაგიყვანთო, ჩაწეული ფანჯრიდან თავი გადმოყო მძღოლმა.

შევიხედე სალონში და... ჩემი გამბედნიერებელია, თავის ლექტორ მეუღლესთან ერთად.

ელდა მეცა, მაგრამ რაღა უნდა მექნა.

საიდან გამოტყვრნენ, რა ვიცი. მგონი, ნატოს ნათესავებთან, სტუმრად ყოფილიყვნენ.

ლექტორი გვეკითხება, ვინა ვართ, სად ვსწავლობთ, როგორ ვსწავლობთ, რა გვაინტერესებს, რად გვაინტერესებს, რას ვაპირებთ უმაღლესის დამთავრების შემდეგ... მოკლედ, კარგი ყბედია, რა.

ჩემს მაგივრადაც მეგობარი პასუხობს. მე ვზივარ ალეწილი, ჩემს წინ, სკამის საზურგეზე ამოყელყელავებულ ნატოს ლამაზ კისერს მიჩერებული.

გზამდე ვიდრე გამოვიდოდით, ხიდწაღებული ღელე უნდა გამოგვევლო.

ნატოს ქმარმა მანქანა თამამად შეაგელვა, მაგრამ გაღმა ვეღარ გავაღწიეთ, როგორც თავად ბრძანა, მოტორს “სვეჩები” დაუსველდა და შუა წყალში გავჩერდით.

რაკი ვეღარ დაქოქა, ლექტორმა და ჩემმა მეგობარმა შარვლის ტოტები აიკეცეს, სოფელში ვინმე მანქანიანს ვნახავთ, რომ ამოგვიყვანოსო.

გატოპეს წყალი და გავიდნენ ნაპირზე.

ვსხედვართ. ველოდებით. ერთმანეთს, რა თქმა უნდა, ხმას არ ვცემთ. ნატო მანქანის რადიოს აწვალებს, ვითომ საინტერესო გადაცემას ეძებს.

უცებ მობრუნდა, ცრემლიანი თვალებით მომაჩერდა.

სულ ამერია გონება, ვეღარაფერი დავინახე, მივწვდი, მოვხვიე ხელები, ჩემსკენ მოვიზიდე, მაგრამ არ მომყვა, სახე მომარიდა.

რაღაც დაიჩურჩულა, მგონი, მაპატიეო, ჩაილუღლუღა და შებრუნებულმა ტკაცუნით გახსნილი, მძივებით გაწყობილი ხელჩანთიდან ამოღებული ცხვირსახოცი აიფარა სახეზე.

მოდი ნუ გადახვალ ჭკუიდან, თუ ვუყვარდი, სხვას რაღად მიჰყვებოდა!

მე კიდევ ეს მინდოდა? სახეზე ყველაფერი მაწერია, როგორ უნდა შევხედო იმ საქოჩრემოსწორებულ, შთამბეჭდავი, საყვარელი ღიპით დამშვენებულ, ორგანული ქიმიის ლექტორს — გამოვაღე კარი, ეგრევე ჩავდექი ღელეში, ორივე მუჭით ამოხაპული წყალი სახეზე შევისხი და ფეხსაცმელის ჭყაპა-ჭყუპით წყალ-წყალ წამოვედი.

ოცდათხუთმეტი წელიწადი გავიდა...

ომმა შეგვარიგა.

ანდა რაღა აზრი აქვს, ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ, ძველი ბრალეულობის ამოქექვას.

ხანდაზმულობის გამო, საჩივარი აღარ განიხილება.

მაშინ თუ ღელე-ღელე ვიტოპე, ქალაქამდე ვიბლაყუნე და დასიცხულმა ლამის ტვინის ანთება დავიმართე, ახლა მტკვარში ხომ არ ჩავხტები.

განელდა ღადარი, დრომ თუთქი მოაყარა, მაგრამ ჩარჩენილი ნამსხვრევივით მაინც, დროდადრო, რაღაც მტეხს, შელახული თავმოყვარეობა, ღალატის სიმწარე თუ დაუკმაყოფილებლობის ჟინი მახელებს, როცა თითქმის მთლიანად ჩემი იყო ხოლმე, ვგრძნობდი მის სხეულს და, უცებ, მკლავებიდან წყალივით გამიცურდა, დამტოვა პირდაფჩენილი.

ოი, „Боже царья храни!“

ვინც წაიფორხილებს, თვითონვე უნდა წამოდგეს.

მეც წამოვდექი.

როგორც ერთ ფრანგულ კინოსურათშია, „სიყვარულისაგან მხოლოდ ფილმებში კვდებიან!“

იქნებ სიყვარულისაგან ცხოვრებაშიც კვდებიან და ეს სიკვდილი უკვე გადავიტანე? აუცილებელი არ არის ბალდახინი და დედის

ცრემლები, შეიძლება, გარშემომყოფებმა ვერც იგრძნონ, ვიღაც შენში, სამუდამოდ როგორ განადგურდა.

დაკოდილ სულს სისხლი არ მოსდის, ყველა ფიზიკურ ჭრილობაზე ძნელად შუშდება და შეხორცებულის კვალი მაინც რჩება.

არავინ იცის, „ნაკერი," ხელახლა როდის გაიხსნება...

რაღაც ამდაგვარ სისულელეებს ვბჟუტურებდი, სამზარეულოში ბორჯომიდან გამოტანებულ საჭმელს რომ მივირთმევდით და ანადუღარ წყალში განზავებულ სპირტიან საძაგლობას ვაყოლებდით.

მერე ჩვენმა ხელებმა ერთმანეთი მოძებნეს. გული დამწყდა — ნატოს თითებს აღარაფერი ჰქონდათ საერთო იმ ხელთან, ჩაბნელებულ დარბაზში, მთელი სპექტაკლის განმავლობაში მე რომ მეჭირა ხოლმე.

მიხვდა. მუჭში მომწყვდეული თითები ნელა, უკან გააცურა და, დანანებით ჩაილაპარაკა:

— რა ვქნათ, დრონი მეფობენ, კიწი...

მანამდე, ნატოსგან წამოსული, ბელელაშვილებთან როგორც კი მივედი, დიდმა ქალბატონმა მორიგ შედევრებს მაზიარა. მეც, დღევანდელი შეხვედრით ატაცებულმა, დამწყები პოეტი ისეთი სიტყვებით შევამკე, მომავალში, ალბათ, ძალიან რომ შემრცხვება. მალე ნატომაც დარეკა, ყველაფერი გავამზადე, ძალიან მშია, თუ დროზე არ მოხვალ, არ ვიცი რას ვიზამო.

რა გშია, მე თუ საჭმელი-მეთქი, — ნაფოტასავით ვისროლე ანკესი,

ორივეო, რომ მახსოვდა სწორად იმ ხმით გადაიკისკისა.

მოკლედ, ქალბატონი ლოლასაგან დაფარულად, ნახევარ საუკუნეს გადაცილებულებმა, ტელეფონზე „ყვავილნარის" საკადრისი კითხვა-პასუხებით ვიარშიყეთ.

მაღლა ავედი, პირი გავიპარსე, ოდეკოლონი შევისხურე. სარკეში ჩემს აცეტებულ სახეს რომ შევხედე, თითქოს ვიღაც სხვა მიყურებდა, ასე მეგონა, ყავისფერი შუშის ნაჭუჭი — ამ გაუსაძლისი დღეების ნიღაბი, ნელ-ნელა დაბლა დამცვივდა.

რაღაც ძალიან მონატრებული, სურნელოვანი შეირხა (ახალგაშლილი იასამნის ტოტი!) და ეს, უპირველესად ომის ბრალი იყო — დაცარიელებულ ბაქანზე ომმა დაგვტოვა პირისპირ, თორემ მშვიდობიანობაში, ხალხმრავლობაში, ეგებ ერთმანეთი ვერც შეგვემჩნია, ანდა ოცდათხუთმეტწლიანი წყენის ინერციით, თვალიც ამერიდებინა.

პური შეიძლება არ ჰქონდეს – ბელელაშვილების სამზარეულოდან აგურის ფორმის ჰუმანიტარული „ბუხანკა" ავიღე, ცელოფანში გადავახვიე და იღლიაში ამოვიდე.

ძველი აფთიაქის უკან, დაბალ ღობესა და ყრუ კედელს შორის, ერთ მტკაველ მიწის ზოლში, მაღალ, ძალიან ლამაზ ყვითელ ყვავილს ამოეყარა.

— რა ჰქვია? – ვკითხე ქალს, ხის მესერზე გარეცხილ, იატაკის ტილოებს რომ ფენდა.

ქალი კვნესით გაიმართა წელში, შუბლზე ხელი მოიჩრდილა და აგურის კედელს აკრულ ყვავილებს ისე გახედა, თითქოს, ღობე-ღობე, დამალობანას მოთამაშე ბავშვები მოიპარებიანო.

— დედა, არც შემიმჩნევია, როდის გაიშალა!... მიწავაშლას ყვავილია, აბა დაყნოსეთ, სულ შოკოლადის სურნელი აქვს... პირველად ვნახე აგვისტოში რომ გადაიფურჩქნა, ყოველთვის სექტემბერში აყვავდება ხოლმე.

— ალბათ, ნაღმების ხმაზე დაფეთებულები ამოცვივდნენ მიწიდან.

— ალბათ, ალბათ, — დამეთანხმა თავის კანტურით.

— შეიძლება ერთი ღერი...

— კი, გენაცვალე, სამი იყოს!

— არც სამზე ვიტყვი უარს... ჩემს მეგობარ გოგონას დაბადების დღე აქვს.

ქალის გაკვირვებულმა სახემ გამაცინა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ჩემს ასაკში არ შეიძლება მეგობარი გოგონა ჰყავდეთ?

— მეგობარი კი, მაგრამ გოგონა...

ვერ გავიგე, „გოგონა" დაიწუნა ჩემთვის თუ მე — „გოგონასათვის."

არ გვიყვარს ქართველ კაცებს ყვავილებით სიარული.

მინდოდა უფრო ახალგაზრდა ვყოფილიყავი, გრძელღეროებიანი მიწავაშლას ნაცვლად, ადრეულ გაზაფხულზე, შეცივნული ყოჩივარდების ბღუჯა ქურთუკის შიგნით, გულისჯიბეში ჩათბუნებული წამეღო ადრესატთან.

გზაში შემოხვედრილმა ჯარისკაცებმა თვალი გამაყოლეს.

მგონი, არანორმალურად ჩამთვალეს. მაშ რა უნდა ეფიქრათ, დაპყრობილ ქალაქში, ყვავილებით მიმავალ კაცზე?

ნატომ თეფშები მისწი-მოსწია და წყლიანი ორლიტრიანი ქილით ყვავილები მაგიდის შუაგულში ჩადგა...

ახლა, უკვე შემთვრალები, ერთმანეთს ვუყურებთ და მორიგეობით ვიმეორებთ:

— ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ.

— აბა, ოცდათხუთმეტი...

— როგორც ერთი წამი...

— წამიც არა, წამის ნახევარი....

ეს წლები ბუფერული ზონაა, სადაც ცხვირსაც ვეღარ შევყოფ, ამიტომ, ფერ-უმარილით დარბილებული, უპესთან ნაოჭებშეყრილი სახე და დაღლილი, მწვანე თვალები, მხოლოდ მასევდიანებენ.

მაშინდელ გოგო-ბიჭთან რაღა გვაქვს საერთო. ომის მკაცრმა კანონმა, გვინდოდა თუ არა, ორი „უცნობი" საერთო სანგარში შეგვახვედრა.

— ქმარმა, ვიდრე ბავშვები პატარები გვყავდნენ, სამსახურისათვის თავი დამანებებინა.

— ეჭვიანობდა, სამსახურებრივი რომანი არ გაგება? მაშ რას იზამდა, ის ხომ შენთან შედარებით...

— გარდაცვლილზე ასე ნუ ილაპარაკებ...

— მაპატიე... როდის გარდაიცვალა?

— ოთხმოცდათხუთმეტში... ხომ გახსოვს, რა დროც იყო... რაღაცაზე განერვიულდა და წამში ხელიდან გამოგვეცალა.

— გიყვარდა?

— უსინდისო უნდა ყოფილიყავი, მისი ოჯახ-

ისადმი ერთგულება რომ არ დაგეფასებინა.

— დაფასება სხვაა, სიყვარული — სხვა.

— თუ გეტყვი, არა-მეთქი, შენთვის რა შეიცვლება?

— წარმოდგენა ადამიანზე.

— ამ შემთხვევაში ჩემზე?

— დიახ, შენზე!

— განა აქამდე შეცვლილი არ გქონდა?

— არა, ჩემს ფიქრებში სულ მკერდთან მიხუტებული იადონივით იყავი.

— იადონივით?.. საინტერესოა!.. ვერ ვიგებ, რატომ იადონივით, მაგრამ მომწონს, — ხელისგულით მოეფერა ჩემს თითებს, — განაგრძე.

— არ მინდა დავიჯერო, რომ ოცდათხუთმეტი წლის წინ ანგარებიანი ეგოისტი მიყვარდა, რომელიც, ქმართან, მხოლოდ მისი ქონებისა და ოჯახისადმი ერთგულების გამო ცხოვრობდა... თუ ეს ასეა...

— იმიტომ არ მომიწვევიხარ, ჩემი წარსულის გამო საბრალდებო სკამზე დამსვა.

— ნუ გეშინია, მეც არა ვარ მზად მსუბუქი ყოფქცევის ქალის შესაფერისი აღსარება მოვისმინო...

— ზაალ!.. მგონი ძალიან მოგეკიდა!

— პირიქით, ასეთი ფხიზელი არასოდეს არ ვყოფილვარ.

— ვითომ?.. თუ იმდენი დიდსულოვნება და მოთმინება არ გაგაჩნია, რომ პატიოსანსა და უპატიოსნოს, ერთნაირი გულმოწყალებით მოუსმინო, მაშინ როგორ შესძლებ სამართლიანი განაჩენი გამოიტანო?

— ვერ მიგიხვდი!

— ჯერ არაფერი მითქვამს და წინასწარ მეძავი ქალის აღსარებად მონათლე... სად არის სამართალი?

— მე ვთქვი, თუ არ გიყვარდა და მაინც მასთან ცხოვრობდი-მეთქი...

— მთელი ცხოვრება ერთგული მეუღლეობა გავუწიე... გვქონდა კარგი ოჯახი, გავზარდეთ არცთუ ურიგო შვილები...

— ჩემს კითხვას მაინც არ პასუხობ.

— რაც შეეხება სიყვარულს... სიყვარულით მხოლოდ ერთხელ უყვარდებათ...

— მაშ...

— აღარაფერი მკითხო, გეხვეწები, — გადმოიხარა და ცრემლმორეულმა პირზე თითები მომაფარა.

— სულელურად ვმსჯელობ?

— ძალიან!

— მაშინ შენ ილაპარაკე, — ყელში ჩავლილმა არაყმა ბავშვობაში დალეული ხველების სიროფის, მგონი „პერტუსინის“ გემო დამიტოვა და შემაჟრჟოლა, — გისმენ!

მარცხენა ხელისგულზე დადგმულ ჭიქას ჩააცქერდა:

— იცი, ბორჯომიდან თბილისში მიმავალი, დილას, სადგურზე რატომ ჩამოვედი?.. ვაგონის ფანჯრიდან ვიყურებოდი, რომ მოულოდნელად, ბაქანზე, ოცდათხუთმეტი წლის წინანდელი, „მოსკვიჩის“ უკანა სავარძელზე ჩაფერფლილი, უკვე ჭაღარა ბიჭი დავინახე...

12

უბის წიგნაკიდან

19.10.2003. ბრუკლინი

„... წირვისა და ქართულ სათვისტომოსთან შეხვედრის შემდეგ, მამა ალექსანდრემ მცირე ტრაპეზზე მიგვიპატიჟა. სუფრასთან მოტრიალე შაოსანმა ქალბატონმა მომიბოდიშა და განზე გამიხმო:

— მართალი ბრძანდებით, თქვენს გამოსვლაში რომ გვისაყვედურეთ, ყველა თუ წამოვედით, საქართველო ვიღას დავუტოვოთო... სხვების არ ვიცი, მაგრამ მე... მე პირადად საქართველოზე ვეღარ ვინაღვლებ... მე მას არ ვჭირდები! ამიტომ, ჩემი დროებით ან სამუდამო დაბრუნება, ვერაფერს შეცვლის... იქ, ჩემთვის უცხო, ისეთი ღვარძლისა და სიბინძურის ქვაბი იხარშება, სჯობია შორს ვიყო, ახლოს არ მივიდე, თავსახური არ ავხადო და შიგ არ ჩავიხედო.

— ხელი დაგეწვებათ?

— ხელიც, თვალიც, გულიც — თუკი გაქვს, რა თქმა უნდა... სახელმწიფომ ბანკებში შენახული დანაზოგი თანხა რომ შეგვიჭამა, გაგვიკუპონა და ერთბაშად მთელი მოსახლეობა ცივ ქვაზე დასვა, წამოვედი, წაქცეულ ოჯახს შევეხიდები-მეთქი. არცთუ ურიგო პედაგოგმა არანაირი დამამცირებელი სამუშაო არ ვიუკადრისე, ოღონდ შინაურები დამეპურებინა და, რა ვიცოდი თუ ერთი ქვაბი უბედურება ჩემს სახლშიც იხარშებოდა... იმის ნახარშმა დამიღუპა შვილი!.. ბედი დამცინის, ჩემო ბატონო, მე რომ მეგონა, შვილს ვშველოდი, თურმე ვღუპავდი... ახლა ვის და რაღას დავუბრუნდე — ავადმყოფი, მოხუცი მშობლებიღა ღივღივებენ... ბოლო ძაფებიც გაწყდებიან და...

— მაშ შვილი დაკარგეთ?

— დაკრძალვაზეც ვერ ჩავედი, ვერ დავიტირე... გვერდით რომ ვყოლოდი... თქვენ მაინც გამაგებინეთ, იქ, ჩვენს უბედურებაზე გამდიდრებულებს, არ ეშინიათ, თავიანთ გაფუფუნებულ შვილებს, ერთბაშად გამათხოვრებული, ამდენი ქართველი ბავშვი მტრებად რომ ეზრდებათ?

კითხვა პასუხს, მაინცდამაინც, არ საჭიროებდა და ორივე გავჩუმდით.

— თქვენთან სათხოვარი მაქვს, თუ არ შეწუხდებით, სვეტიცხოველში როდესაც მოხვდებით, იქნებ ერთი სანთელი ჩემს სახელზეც დაანთოთ, — მოსწავლესავით აშვერილი საჩვენებელი თითი უპესთან მოისვა...“

გაგრძელება იქნება

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლ

ნინო ქუთათელაძე

მამულს

იქ ვიყავი,
აქ ვიყავი,
აღარ მინდა არსად ყოფნა,
ყველას უჭირს თავის თავი,
სხვისი კერძის უნდა ცოხნა.
იქ დავანთე,
აქ ავეგზნე,
სანთელივით ჩავქრი მერე,
გამოვფინე სული მზეზე,
დაბადების წუთი ვწყევლე.
სადაც დიდი მორევია,
იქ დავყვინთე,
ჩავყევ ტალღას,
არც არავინ მომრევია,
ავიჭერი უფრო მაღლა.
იქით იფქლი გადამალეს,
აქეთ ქატო ყარეს ცივად...
უნდა გავყვე ზამთრის ქარებს,
სადაც ფერფლის თოვლი ცვივა;
მივეკედლო უნდა ზამთარს —
სინატიფის ფაქიზ მსტოვარს —
კიდევ ცოტას გავძლებ ალბათ,
სანამ შენთან დარი მოვა.

***

მიწა მყიფეა, როგორაც ბროლი,
გაელვებისას ტყდება
და ტყდება...
ახლა ჩამოტყდა სამშობლო ჩემი,
დააწყდა ღამეს ვარსკვლავთა წყება.
გაბზარულ მიწას ეხება ტერფი,
თიხით და გზნებით ვაწებებ სხეულს,
სირცხვილი ძლეულს! —
დავბღავი ლექსებს,
მიწა სისხლს იწოვს —
სირცხვილი ძლეულს!..
გათიშულია სამყარო ვრცელი,
ვიღაცას ვიღაც კლანჭებით ზომავს
და სამათხოვროდ გაწვდილი ხელით
ცდილობ დასძლიო ძლიერთა წყრომა.
მიწა მყიფეა, როგორაც ბროლი
და ასდის მიწას სინათლის კვამლი
და სული ტოვებს მშობელს და შობილს
და არ აწუხებს სინდისი არვის.

***

ომია ჩუმი,
არ გრიალებს გრადი და ნურსი,
დაყმუნდა ღამეც,
აღარ დგას სუნი დამწვარ იელის
და გულის ცეცხლი,
ნაწამები, განთიადს უცდის,
მაგრამ მსხვერპლს ითხოვს
სისხლიანი გადამთიელი...
გადამთიელი შინაური,
ჩონჩხადქცეული,
ანდამატივით იზიდავს
სიყრმეს და სიმამაცეს,
მადლიერია თავის ბედის
მხოლოდ ძლეული
და სისულელის მორევიდან
უღიმის ღამეს.
დაძირულია საქართველო
და ფსკერზე ისევ,
ბრძოლის სურვილით
ტალღა ზვირთზე მიმართულია
და უფლის ნებით,
შორეული ნათდება სივრცე
და ქალწულივით
იშმუშნება დიოსკურია.

ახალი ათონი

როცა ღრუბლები
ზღვაში ცვივიან,
მზე დადის მიღმა,
აღმა და დაღმა,
სიცოცხლე წვიმით

გადაღლილია,
ქვემოთ მიდენის
უღონო აღმართს.
ღამეს აღმოხდა ღარიბი ფერი,
მხოლოდ მაყვლოვანს
დაეცა სხივი,
ჟამია ლოცვის და
ღამისთევის,
ივერიის მთა
ცეცხლივით ღვივის,
ცაზე აღოღდა
ღიღინა მთვარე,
ვით საკინძეზე
ამწყდარი ღილი.

***

მზე ისევ ჩუმად ამოდის ცაზე
და ფეხაკრეფით მიჰყვება ქალაქს,
ქალაქს, რომელიც მიწეწავს აზრებს
და უმიზეზოდ ქუჩაში დავალ...
რატომღაც სევდის დავეძებ მიზეზს,
ცაზე მიზეზობს მზის ანასხლეტი
და მენატრება სამშობლო ისევ...
ო, როგორ მინდა, მზით რომ მავსებდე!

***

ჩამოძონძილა ყვავილების ძაძა,
სამყაროს სძინავს
თეთრ მარმაშებში,
ამ სიწმინდეში სხვას ვინ დაზრახავს,
აქ მხოლოდ თოვლი დაიარება;
დაიარება ფრთხილად, სათუთად
და იმ ძაძასაც ედება ჭავლი...
შორი კივილი, ყელზე მარყუჟი
და... სითეთრეში სიმშვიდე ყვავის.
ღამეს მართალთა მიჰყვება გუნდი,
ცისკენ გაწვდილი თეთრი ხელებით,
თეთრზე ლაქებად მიმობნეული
დაყრანტალებენ ღამის მძევლები.
აქ მილურსმული სული ალდება,
იწვის, სამყაროს ხახაში დნება,
ახლა მადლია გარდაცვალება,
გაუცხოების გადავიწყება.

პატარები წიგნის დახლთან

წიგნს ყიდიან ბეღურები,
შეცივნულნი ზამთრის ქარში,
ხალხი თოვლით იბურება,
სევდა მოვა წამი-წამში...
მათ ნაკვალევს ქშენით წაშლის,
წაშლის ქალაქს და იქ მცხოვრებს,
ამაოა, რასაც ხედავ,
საამოა სიმარტოვე.
„მკითხველები“ შეტყუებით
ედებიან ღობე-ყორეს...
წიგნს ყიდიან ბეღურები,
თითქოს დარდი მოიგლოვეს.
იქ ხითხითებს მათხოვარი,
ეკადრება როგორც ზამთარს,
გაუყინავს გულის გული
და სიცივე ცივად მართავს...
სააქაო ლექსით კვნესის
ბეღურების სიახლოვეს,
ხალხი გაქრა,
მძორი გათბა,
ბეღურებიც მიატოვეს.

***

ვერ მიგატოვე,
უკვე მარტო ხარ,
ვერ მიმატოვე,
მარტო ვარ უკვე...
და ზეიმია,
როცა ამოხვალ
საკუთარ თავში
ფერად გვირილად...
ახლა დავფურცლავ
და ქარს გავატან,
მერე იმ ფურცლებს
მეც თან გავყვები...
და აღარ წავალ
უკვე აღარსად,
მხოლოდ სინათლე
მომენატრება.
იმ სინათლესაც
პეშვით ვატარებ,
რომ სილამაზით
სული მოვითქვა,
არც ვიცოდვილებ,
არც გივალალებ,
ისე...
ვიმღერებ სიმარტოვიდან.

ოთახის ყვავილები

მხოლოდ ყვავილებს უხარიათ,
მხოლოდ ისინი ჰყვავიან,
სხვა დანარჩენი სიზმარია
და არცრა სანახავია;
უკეთეს დილას მოელიან,
ისევ უკუნეთი ღამეა,
მაინც სიხარული მოერიათ
და სისხლიფერად ყვავიან.

მამუკა ფოფიძე

ჩემი ბილიკით, ღიღბოჩისკენ

ეძღვნება აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპულ გმირებს

სათავე

ღმერთო! საიდან გაჩნდა ამ სილამაზეში ეს გაბოროტებული არსება?! ხმალი კითხვის ნიშანივით აღუმართავს. არ იცის, რა უნდა — მიითვისოს უცხო წალკოტი, თუ გააცამტვეროს, არაფრად აქციოს. ეს ხმალი პატრონივით მოუსვენარია; როცა ხელი იღლება მისი ქნევით, ლამის მოწყდეს ხელს და თავისით დატრიალდეს, როგორც სიკვდილის ცელი. ისიც არ იცის, რად გამოადგება უცხო სილამაზე, მის ხელში რომ ჭკნება, კვდება და ფურცელ-ფურცელ მიყვება ქარს. არ იცის, მაგრამ სხვისი მოსპობის ჟინი არ ასვენებს.

რა შეაჩერებს ბოროტი სულის ამ მოუსვენარ, ქვეყნის დამანგრეველ თარეშს?!

მეფედ ვიყავი კურთხეული, ძალა ჩემს ხელში იყო, მაგრამ გონიერ ძალას ის მოუხელთებელი არსება თვალსა და ხელს შუა უსხლტებოდა, რადგან არ სცნობდა კანონს. ნგრევის გარდა, სხვა არც ჰქონდა მიზანი. ურჩხულივით იყო შემოწოლილი ჩემი გონების კუნძულს და თავისი გაუმაძღარი თათებით ნელ-ნელა, ლუკმა-ლუკმა ყლაპავდა მას. ლექსების წერა რომ არ მცოდნოდა, ალბათ ვერც ვერასდროს მოვერეოდი, რადგან მის მოუწესრიგებელ, კანონგარეშე შემთხვევითობას მხოლოდ ჩემი პოეზიის თავისუფლება განჭვრეტდა! სასახლის კარზე გაოცებას ვერ მალავდნენ — რა დროს ლექსების წერაა ამ დიდი თურქობის ხანაშიო, მაგრამ როგორ ამეხსნა თუნდაც დედოფლისთვის, რომ ძალა, რომელიც არ სცნობდა ბრძოლის წესებს, სტრიქონებად ქცეული და გარითმული, მისაწვდომი გახდებოდა ჩემთვის; რადგან თუ ის კანონგარეშე მოქმედებდა, მეც, სიტყვის მადლით, თავისუფალი ვიყავი; მეც ვიხედებოდი კანონის და აუცილებლობის მიღმა და არ ვკარგავდი იმედს, რომ დავინახავდი უხილავს.

ვერც ერთი ჩემი ფილოსოფოსი ვერ განჭვრეტდა ხიფათის მოახლოებას. მე კი, წინასწარ ვგრძნობდი სტრიქონებად ქცეული მტრის შემოსევას. გული მიგრძნობდა, სად გამოჩნდებოდა ის. საფრთხეს შევიგრძნობდი, როგორც ჩემი ქვეყნის ლექსად თქმული სილამაზის უეცარ რღვევას. იქ, სადაც სიტყვა ფერხდებოდა, ლაღად და თავისუფლად ველარ ირეკლავდა ქვეყანას, სწორედ იქ უნდა მომხდარიყო ან უკვე ხდებოდა გადამთიელთა თარეში.

ერთხელ, ნაჭარმაგევში მესიზმრა, როგორ ინგრეოდა კლდეკარის ციხე. წამოვფრინდი და მზე რომ ამოიწვერა, უკვე თეძამის ხეობაში ვიყავი. არ ვიცი, რამ დამასიზმრა ეს?! იქნებ იმან, რომ შუაღამემდე საწერ მაგიდასთან ვიჯექი, ვწერდი და ვერც ვწერდი. რაღაც მიშლიდა ხელს. სიტყვები კი ლაგდებოდნენ სტრიქონებად, მაგრამ სტრიქონი ვერ მიედინებოდა ლაღად, თავისით, შეუცნობლად, დასახული მიზნისაკენ და ისე მომერია ძილი, ისე შეერია სიტყვით მოტანილი ხილვა სიზმრებს, ვერც კი დავიჭირე სიზმარცხადის ხიდზე გადასვლის წამი. მე მხოლოდ საბოლოო შედეგი ვიხილე — ოთხივე კუთხით ცეცხლად ავარდნილი კლდეკარი.

მზეს ამოსვლა არც დავაცადე, არჯევანის მთას შევუდექი. ავდიოდი მაღლა და მაღლა. ჩემი ბრძანებით ლოგინიდან წამოგდებული ჯარი სახეამღვრეული მომდევდა. ვერაფრით გაიგეს, რატომ მივაქროლებდი ჩემს შინარევ ფიქრებს კლდეკარის ციხისკენ, როცა მტრის გამოჩენის არავითარი მოლოდინი არ არსებობდა იქ. გადამთიელთა სიახლოვის ნიშან-წყალიც არ აჩნდა გარემოს. მართლაც, რომ ავედით, კლდეკარი უვნებლად დამხ-

ვდა. ისეთი სიმშვიდე, სიჩუმე და სილამაზე მეფობდა ირგვლივ, თითქო ციხე-კოშკი ჩემი ქვეყნის სისხლით სავსე ისტორიის გარეთ იყო გატანილი და მარადისობას შერწყმული.

მხოლოდ მე ვგრძნობდი, რომ ეს იდილია მოჩვენებითი იყო. მწვანე ზვირთებად გადმოღვრილ ფერდობზე ბრაზით მოელვარე სახეები დავლანდე. რომც არავინ ყოფილიყო, უნდა მერწმუნა მტრის არსებობა ამ მშვიდ და ჩუმ გარემოცვაში. ჩემს თვალს უნდა დაენახა, წარმოესახა, შეექმნა ხიფათი იქ, სადაც თითქოს არაფერი იყო საშიში. თუ ჩემი მოლოდინი არ გამართლდებოდა, დაიკარგებოდა გულის ხმა — ის იდუმალი ნიშანი, რომლის გზითაც შემეძლო უწესრიგოდ, უაზროდ და უმიზნოდ მოხეტიალე მტრის გამოცნობა. ბრძოლა უნდა გადამეხადა იქ, სადაც თავისთავად იქნებ არც მომხდარიყო ბრძოლა. სხვანაირად არათუ ხმა გაქრებოდა, ძალას დაკარგავდა მეფის სიტყვაც; აღარავინ ენდობოდა სიზმრად ნანახ, თუ სიტყვით მოტანილ ხილვას: იმ ერთადერთ გამონათებას, რომელიც ამსხვრევდა ბნელი ძალების წყვდიადს. არ შეიძლება ჩემი სიზმარი ცხადის მომასწავებელი არ ყოფილიყო. უნდა შემეგრძნო, დამენახა არარსებული მტერი ხეთა შორის ჩაღვრილ სივრცეში. ყურს იარაღის ჟღარუნი უნდა გაეგონა ახალგაღვიძებული ტყის იდუმალ შრიალში. ის, რაც ტოტი შეიძლება ყოფილიყო, დავლანდე, როგორც ხმალი. მტრის დანახვა და ჩემი ბრძანება ერთი იყო. აქამდე ეჭვით შეპყრობილი ჯარი უცებ გაიშალა, რისხვით განათდა. ამომავალი მზის ათასი სხივი აირეკლა ქარქაშიდან ამოღებულ ხმლებში და სიტყვა არც მქონდა ჩამთავრებული, გადამთიელებად ქცეული ტყე უკვე ყოველმხრივ იჩეხებოდა და გარბოდა.

* * *

კლდეკართან გამარჯვებამ მითქმა-მოთქმა გამოიწვია სასახლეში. ვერც ერთი საღად მოაზროვნე პოლიტიკოსი ვერ გაიზიარებდა მტრის პოეტურ-სიზმრისეული ხერხებით აღმოჩენის გზებს.

კლდეკარის ერისთავმა, ლიპარიტმა, წარმოსახვის თამაშად მიიჩნია ციხეს შემორტყმული მტერი.

—რომელი გადარეული შეაკვდება კლდეკარის ციხეს, როცა ქვეყანას არც გალავანი აქვს, არც კარი?! ნებისმიერი მხრიდან შემოდის და გადის გადამთიელი. შენი მოლოდინის მიხედვით ის არ იმოქმედებს, მეფეო.

— ეს მოლოდინი და მზადყოფნა მტერზე გამარჯვების საწინდარია!

— რა საჭიროა? მაინც ვერ ამოძირკვავ იმ უცხო თესლს, უდაბნოს ქარმა რომ შემოიტანა ჩვენთან. პირიქით, რაც მეტს შეებრძოლები, უფრო გაბოროტდება, წინააღმდეგობას გაგიწევს. თუ ყურადღებას არ მიაქცევ, იქნება თავისთვის, ფესვებს გაიდგამს, აღმოცენდება და ისე შემპარავად შეეთვისება აქაურობას, ქართველს და არაქართველს ვეღარც გაარჩევ ერთმანეთისგან.

არაფერი ვუპასუხე. იქნებ გონივრული იყო მისი რჩევა, მაგრამ სულს მიხუთავდა ეს გონიერება. ის იმდენად მიწიერი არსება იყო, ვერ იხედებოდა რეალობის მიღმა და სასოებით არ ეპყრობოდა იმ უზენაეს ნებას, ჩვენს ამქვეყნიურ ცხოვრებას რომ წარმართავდა. ქვეყანა რომ აწყობილი ყოფილიყო, ლიპარიტიც მონახავდა თავის საკეთებელ საქმეს, ერთა თანამეგობრობის სფეროში, მაგრამ მე ქვეყანა არაფრიდან უნდა შემექმნა. თანაც, ისეთი ქვეყანა, რომელსაც რწმენა განამტკიცებდა და ოცნება განავრცობდა. ასეთ დროს უნდა მოწყდე მიწას, გადაიხედო არსებულს მიღმა! ლიპარიტი კი ქვევით მექაჩება, ჩემთვის მიუღებელ დროსა და სივრცეში, სადაც ვერ ვხედავ გადარჩენის გზას.

— თუ ხელს გიშლი, შევეცდები გაგეცალო — მითხრა ლიპარიტმა. — სულ გადავიხვეწები იმ ქვეყნიდან, სადაც შენ ფრთების გაშლას აპირებ. ოღონდ ერთს გეტყვი: მეც მაქვს ჩემი გულის ხმა და რაც ჩამესმის, იმას გეუბნები: სახიფათო ბრძოლას იწყებ, მეფეო! შენისთანა მეოცნებე ან იმასაც დაღუპავს, რაც აქამდე მოგვიტანია, ან მართლაც დიდ ქვეყანას ააშენებს. არ ვიცი, ერთ კაცს თუნდაც მეფეს, გაქვს თუ არა უფლება სასწორზე შეაგდო შენი ხალხის ბედი.

ლიპარიტის ხმა სულ უფრო შორიდან ჩამესმის. მეორე დღეს შემატყობინეს, რომ ლიპარიტმა დღე-ღამის განმავლობაში დატოვა საქართველო. ალბათ, უთენია გადაკვეთა სამხრეთის საზღვარი, რადგან ინათა თუ არა, საოცარი თავისუფლება ვიგრძენი. გონებას თითქო შემოეხსნა გარე სამყაროს სარტყელი და გაეხსნა შინაგანი თვალი, რომელიც არ იფარგლებოდა რეალობის თვალსაწიერით და ყოველივე არსებულს ზეციურ არსთა სამყოფელიდან ხედავდა.

ხელის გულზე სათამაშოსავით დალაგდა ჩემი ქვეყანა. ასეც შემეძლო მისი შეტრიალება და ისეც. ამ კალეიდოსკოპური თამაშის შედეგად ახალი სახეები ჩნდებოდნენ. უფრო სწორედ, ეს სახეები და ფორმები მიედინებოდნენ თავისთვის, მაგრამ მე შემეძლო ამ მდინარეში შესვლა, მათთან შეხება, მათი გათავისება. სახეთა ქმნადობის ეს დაუშრეტელი ნაკადი ძალას მაძლევდა, ლაღად და უშეცდომოდ ვმოქმედებდი. გამარჯვებას გამარჯვებაზე ვაღწევდი. ჩემგან დევნილმა გადამთიელებმა შავად შეიღებეს წვერი, თავზე ნაცარი დაიყარეს და ერაყის სულთანს შესთხოვეს დახმარება — "გვაწიოკე-

ბენ, გვიშველე"-ო. სულთანმაც არ დააყოვნა, ყოველმხრივ აფრინა მსტოვარი და ჯარის შეკრება ბრძანა.

ოპოზიციურ ძალთა და უცხოტომთა უზარმაზარმა კოალიციამ პირი შეკრა ჩემს წინააღმდეგ. არ იყო ეს ურწმუნო ხალხი, ოღონდ მათ რწმენას თავისუფლება აკლდა — სწორედ ის, რაც უხვად მეძლეოდა ცოცხალი სიტყვის მადლით. ისევ შევცურე სახეებისა და ხილვების დაუსრულებელ ნაკადში, ისევ დავეწაფე მათი სიცოცხლის ანკარა წყაროს, რომ მომავალი ბრძოლის გმირები გამომეყვანა იქიდან.

ლირიული გადახვევა გმირების ძიებაში

რამდენჯერ შევხვედრივარ იმ პატარა მინდორს, ტყით გარემოცულს, ნახევრად ღიას. როცა სევდანარევი სიხარული ტალღასავით მოაწყდება ჩემი ცხოვრების ნაპირს, გადმოდის კალაპოტიდან და აავსებს გულს იმ უზარმაზარი ენერგიით, რაც ვერ ეტევა მოგონებების ჭურჭელში და იქიდან გადმოღვრილი, წუთისოფლის ზღვასავით გაშლილ მარადისობას ერწყმის. არ არის ეს მხოლოდ ლირიული გადახვევა. ეს იმდენად სავსე სიცოცხლეა, რომ ცრემლსაც იტევს და სიხარულსაც, გულის გულშიც ფეთქავს და მთელ ქვეყნიერებასაც აცოცხლებს. არავინ იცის, რომ უმძიმესი ბრძოლების წინ, როცა წყდებოდა ჩემი ქვეყნის ბედი, სწორედ იქ მივდიოდი. არავის ვუმხელდი ჩემს ადგილსამყოფელს. ვერავინ დაინახავდა იმას, რასაც ვხედავდი: ვხედავდი დაბადების წყვდიადში განათებულ დღეს, როცა ბედნიერი და უდარდელი ვიყავი. როცა არ არსებობდა ის დიდი საზრუნავი, თექვსმეტი წლის ბიჭს რომ დამაწვა მხრებზე. რაც უნდა შორს წასულიყო ლექსად თქმული სიტყვა, მაინც ვერ შორდებოდა იმ პატარა მინდორს, სინანულის ცრემლით დაცვარულს და სიხარულით სავსეს. მეც ველარ მივიწევ წინ. გამიტკბა, დილის სიზმარივით გამიტკბა იქ ყოფნა. დაუსრულებლად შემიძლია ვესაუბრო მინდორს, სივრცეშიც რომ არის გაშლილი და დროშიც.

რაღაცას მეუბნება იაგორას ველი, რასაც შეიძლება უსასრულოდ ვუსმინო და ის სიტყვა, თუ მინდორი, თუ ტყე, ათასი სახით მეთამაშება, მრავალფრთიან სარკესავით ყოველმხრივ შემიძლია შევაბრუნო. ხან მის სიღრმეში თოვლით სავსე ტყე ირეკლება და ვხედავ პატარა ბიჭს, კუდში როგორ სდევს დედას. მერე კი ვხედავ, თხილამურებით როგორ ვეშვები ფერდობზე. მივექანები მთელი სისწრაფით. არ მეშინია, რადგან ვიცი, რომ ხეთა ჯარს იქით, უცებ ველზე გავიჭრები და რაც ნაკლებად შევშინდები, უფრო შორს გავსრიალდები მინდორში. იქ კი, უკვე სტუდენტები ვარჯიშობენ. ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული მწვრთნელი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებს სათხილამურო წრეზე ავარჯიშებს. ამ კაცის მზემოკიდებულ სახეზე თითქოს ზეციდან წვეთებად იყო ჩამოღვრილი ორი ცისფერი თვალი და მის ხილვაზე ჩამოსრიალების საამო განცდა სიმშვიდის კალაპოტში დგებოდა.

მზე აბრჭყვიალებდა თოვლს, აბრჭყვიალებდა იმ კაცის თვალებივით ლურჯ ჰაერსაც. კაცი მინდვრის შუაგულში იდგა. მე ირგვლივ ვტრიალებდი. მთელი დღე რომ მესრიალა, დაღლას არც ვგრძნობდი. დამსხვრეულ შუშასავით ბრჭყვიალა თოვლი თავისით მიმაქანებდა სათხილამურო გზებზე. როცა ძალიან ჩამოცხებოდა, ვიხდიდი პერანგს, რადგან იქ, მზით სავსე თოვლში ზამთარი და ზაფხული დღის განმავლობაში ენაცვლებოდა ერთმანეთს. ამიტომ თეთრი, ქათქათა თოვლი და ხავერდოვანი ბალახი ერთი ხსოვნის შუქჩრდილში იყო გახვეული.

დროა დავუბრუნდე ჩემს ისტორიულ თხრობას და წინ წავიდე, მაგრამ არ შემიძლია! ვერ ვწყდები აქაურობას და ისევ ვტრიალებ სათხილამურო წრეზე. სინანულით ვემშვიდობები ზღაპარივით გადაშლილ მინდორს, რომელიც არსებობს მხოლოდ ჩემთვის, მაგრამ იმდენად ღრმაა ეს ჩემთვისყოფნა, რომ აღემატება ერთი კაცის გრძნობასა და ფიქრს და არსებობს თავისთვის. იაგორას ველი გადადის ჩემი სიცოცხლის ფარგლებს, გადადის ჩემი ნება-სურვილით, რადგან ისეა შერწყმული ჩემს არსებობასთან, რომ თავის უსასრულო წიაღსვლაში მეც გამიტაცებს თან. მეც ვგრძელდები ჩემი წარსულისა და დაბადების იქით, გადავდივარ სხვა არსებობაში, წინაპართა სახეებში, მაგრამ გადავდივარ არა წარმოსახვის ძალით, ან ისტორიული რომანის ფურცლებზე, გადავდივარ პიროვნულად და ცოცხლად; და თუმცა ამ სიცოცხლეს არა აქვს კონკრეტული სახე, არც არაფერია ცხადად მოსაგონარი, მინდვრის თავისთავად ყოფნაში მეუფლება უხსოვარი სიცოცხლის გრძნობა, როგორც განცდა იმისა, რომ მუდამ ვიყავი და ყოველთვის ვიქნები.

ამიტომაც ვერ ვშორდები აქაურობას! საუკუნეთა უკუნეთში მიმაქანებს დროთა სივრცეში გაშლილი მინდორი! მიმაქანებს ისე, რომ თანაც ვერ ვწყდები თოვლით განათებულ სივრცეს, სადაც ცისფერთვალება კაცი უსიტყვო ღიმილით რაღაცას მამცნობს და ახალთახალი თხილამური, პოლონური ფირმის ემბლემით, მზეზე ბრჭყვიალებს. მერე, დაღლილი, გაზაფხულის სველ, დამძიმებულ თოვლში მივათრევ თხილამურებს ზემოთ, პარკისკენ. დღის ორი საათია. ზამთრის არდადეგები დამთავრდა და პარკის განაპირა შენობიდან სკოლის ზარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოისმის. მოწაფეები მიმორბიან ირგვლივ. მე კი, ვერ ვძღები სრიალით, ისევ და ისევ ვეშვები პარკის სასრიალოდან. გაზაფხულის სურნელება ასდის მზით სავსე თოვლს. გაკვეთილებს გამოპარული დღე დღესასწაულივით გრძელდება. მას ვერ აჩერებს სკოლის ზარი. პირიქით, სწავლის მესამე მეოთხედში შეჭრილი სათხილამურო ზეიმი თითქოს აჩერებს დროს და არც არასოდეს დასრულდება. ზამთრისა და გაზაფხულის შეხვედრის ეს თავბრუდამხვევი სურნელება წუთიერია, მაგრამ შეჩერებულია ეს წუთი, მარადისობაშია გადასული; იქ, სადაც წარსულიც შეიძლება იხილო და მომავალიც და ვგრძნობ, რომ სწორედ ასეთი სურნელი ტრიალებდა მაშინაც, ათასი წლის წინ, როცა გაზაფხული შემოდიოდა დიდგორის ველზე.

— კარგი, გეყოფა! — სადღაც შორიდან მომესმის ლიპარიტის ყვირილი. — რა თხილამურები, რისი სკოლა! ან სად იყო მაშინ ფიზკულტურის ინსტიტუტის სათხილამურო სეზონი! გონს მოდი, მიმოიხედე! მგლების ხროვა მოსდგომია თავფარავნის ტბას! ნემსიც ვერ ჩავარდება ჯავახეთის ზეგანზე! გამოფხიზლდი, შემოგვიერთდი! ყველა არ არის ილღაზის მომხრე! თუ ჩვენს მრწამსს გაიზიარებ, ოპოზიცია პოზიციად დაგიბრუნდება, დიდი პოლიტიკური ძალა მოიყრის თავს შენს გარშემო.

— პოლიტიკური ძალით სასწაულს ვერ მოახდენ, ერთზე ათად მოსულ მტერს ვერ დაამარცხებ!

— მაგრამ, ასე, გაფართხალებასაც ვერ შეძლებ! შენი გონება ქარივით დაფრინავს, რას არ მიედ-მოედება! ოცნება ფეხზე თუ არ დააყენე, სიცხადეს თუ არ დაუბრუნე, ხმალს ვერ მოიქნევ, ნამდვილ ისტორიაში ვერ შეხვალ.

რა ვქნა, როგორ გავაგებინო ამ გაჯიუტებულ ერისთავს, რომ ნამდვილ ისტორიაში მხოლოდ სიცოცხლის გზით შეიძლება შესვლა! მკვდრის გაცოცხლებას მაგონებს ისტორიული რომანი, არქივის მტვრის კორიანტელი რომ ასდის და ჟამით გაყვითლებული ფურცლების ფერი გადაკრავს. ის სახეები და სახელებიც ყურით მოთრეული და ძალად შეთხზული მგონია, თუკი შერწყმული არ არის მეხსიერების ცოცხალ ნაკადთან.

იაგორას ველი. ბაკურიანი. პოლონური თხილამურები. ცისფერთვალება კაცი. თოვლის ბრილიანტებად მოციმციმე ველი. ხავერდოვანი ბალახი... ეს ყველაფერი ჩემი სიცოცხლეა, ჩემზე უმეტესი, ჩემს დაბადების იქით გაშლილი და მხოლოდ ამ გზით შემიძლია ნამდვილ ისტორიაში შესვლა!

— კარგი, გეყოფა, გმირები დროზე მონახე, უკვე სუნი იკრეს მგლებმა!

— გმირი უკვე მოვნახე, იაგორას ველზე, ბრინჯაოსფერი, ციდან ჩამოღვრილი თვალებით.

— არ იშლი შენსას?

—კოტე ასტახიშვილი. ის იმდენად ნაღდი კაცი იყო, რომ წარუშლელია მისი სახე. ეს სახე მარაოსავით შემიძლია გავშალო წინაპართა უთვალავ სახედ, რომ მივადგე იმ პირველსახეს, რომელიც დიდგორის ველზე შემიძლია გავიყვანო.

— ასე აღარ ვთამაშობ, ხელი დამიბანია, ნახვამდის...

ლიპარიტის ხმა თანდათან იკარგება. მის ნაცვლად ახლა მზიური ველის სერენადა ჩამესმის. მთვარე ვერცხლისფრად ანათებს ტრამპლინის ფერდობს. კოხტის წვერიდან ქარივით მოფრინავს ახალგაზრდა კაცი. ქარი სტვენს მელოდიას და მაშველების პატარა ქოხშიც ბუხარი იმ ტკბილ, ჟრუანტელის მომგვრელ სერენადას აგრძელებს.

სასტუმროს წინ კი, პარკის საციგურაო მოედანზე, ავსტრიელი ქალების სილუეტებში "ოქროს სიმფონია" ირეკლება! ყინულის სარკეზე შემოცურებულ ხბოს, ლოყაწითელი გოგო ეთამაშება. მუსიკა ზარივით წკრიალებს ჰაერში, ადის ზევით და ზევით, უერთდება იმ ქვეყნის ზეცას და უცხოური მელოდრამების, ვესტერნების, ბლიუზებისა და როკ-ენ-როლების რიტმული ნაკადი საუცხოო ხიბლით მოსავს ქართულ სოფელს. ტყე-პარკის ბილიკებზე კი ნელი, მოზომილი ნაბიჯით დაიპარება "შესანიშნავი შვიდეულიდან" გადმოსული ვესტერნის გმირი; დიდი სიფრთხილით ზვერავს მიდამოს. თვალის დახამხამებაში შეუძლია ბუდიდან იარაღის ამოღება და გასროლა. მისი შემყურე, მეც ფრთხილად დავდივარ, ჯინსის ჯიბიდან უეცრად ამოღებულ დანას ვესვრი ხეს... მერე, სოფლის პატარა სალუდეში ვართ. ამ დროს შემოვარება მთვრალი, სახეშეშლილი ბიჭი, იარაღს ამოიღებს და ფეხებთან მესვრის. მე კი არ ვინძრევი. მშვიდად ვეწევი სიგარას, ყურადღებას არც ვაქცევ და ისიც იბნევა, ვეღარაფერს მიბედავს, საბოლოოდ კარგავს თავგზას და ის მეორე, ვინც ვერ დადგა შურისძიებაზე მაღლა, ახლა აღტაცებით შემომცქერის, ახალ ჭეშმარიტებას იმეცნებს — თუ როგორ უნდა დაინდო სუსტი, როგორ უნდა განავრცო სიყვარული მოყვარეზეც და მტერზეც და ახლა უკვე დანამდვილებით ვიცი, რომ ისიც ჩემთან ერთად იბრძოლებს.

ეს ყველაფერი, უამრავ სახედ და სცენად გაშლილი და თანაც ერთიან, დაუნაწევრებელ განცდაში გახვეული, ფარდასავით ეფინებოდა იაგორას ველს, ეალერსებოდა პარკის სიმწვანეს. ვინ იცის, იქნებ არც იყო ასე მომხიბლავი ის გარდასული დრო? წარსულს ხომ მხოლოდ აწმყოს გადასახედიდან ენიჭება განსაკუთრებული ხიბლი, ხიბლი რომელიც

ზეციურ არსთა სამყოფელიდან მოდის და ნოსტალგია ერთხელ ჩავლილი ბავშვობის მიმართ, კაცობრიობის უდიდეს სევდას —სამოთხის ბაღში ვერ დაბრუნების სინანულს ერწყმის. ამიტომ სერენადა, იავნანასავით რომ ჩამესმოდა, რიტმი, რომელიც სისხლს მიჩქროლებდა, ყინულის სარკე, სადაც ფირფიტასავით ტრიალებდნენ ოქროსთმიანი ქალები, არ ეკუთვნოდა ამ ქვეყანას, მოწყვეტილ იყო ამ სოფლის საზღვრებს, ადიოდა კოხტა გორაზე, გადადიოდა ცხრაწყაროს მთაზე, მიიწევდა დროთა სივრცეში, მაგრამ ჯერ-ჯერობით, მაინც ვერ აღწევდა დიდგორს.

— ვერც ვერასდროს მიაღწევს — ფოთლების შრიალში მომესმა ლიპარიტის ჩურჩული. — ისევ გადაუხვიე, ისევ სხვაგან დაფრინავს შენი ფიქრი. იმისთვის, რომ ეპიკური ბრძოლა მოიგო, ლირიკას თავი უნდა დაანებო, პირად ბედნიერებაზე უარი თქვა.

— ვინ დაანაწევრა ცოცხალი სიტყვა ლიტერატურულ ჟანრებად? ლირიკის წიაღში იბადება ის უნაზესი განცდა, აუღებელ ციხესავით რომ აღიმართება ბრძოლის ველზე!

სამზადისი

სამი დღეა თრიალეთის ფერდობს მივყვებით. მტერი ფეხდაფეხ მოგვდევს. ბრინჯაოსფერი კაცი წინ მიგვიძღვის. მისი ცისფერი მზერა მრავალ ხეობას ირეკლავს, საიდანაც ათასობით მეომარი ამოდის და გვიერთდება. შებრძოლებას ჯერ არ ვაპირებ. მდევარი როგორმე დიდგორებზე უნდა შევიტყუო. იმ მთაგორიან ზეგანზე კოალიციის ლაშქარი ფრთებს ველარ გაშლის.

უკვე მივუახლოვდით დიდგორს და ხეობაში ჩავუხვიეთ. წინ წამოვიდა და ჩემს შესახვედრად გაიხსნა პანტიანის ტყე. ტყეს უამრავი პატარა ბიჭი აფარებს თავს. საოცრად მეცნობა მათი სახეები, ფოთლების ქარი ჩამჩურჩულებს ნაცნობ სახელებს, მაგრამ ბავშვობის მოგონებებს ველარ დავუბრუნდები. სასწრაფოდ წინ უნდა წავიდე, ხეკორძულას სათავისკენ.

— წინ ვერ წავალთ — ტყიდან გამოვიდა შავებში ჩაცმული, ვესტერნის გმირი.

— გზა დაგვებნა?

— გზა არასოდეს დამებნევა, მაგრამ აი, ვინ შემხვდა ტყეში:

კაცმა უნაგირიდან ხურჯინივით გადმოკიდებული ქალი ჩამოხსნა.

ქალს საოცრად მიმზიდველი სახე ჰქონდა. მიზიდულობას მისი შავი, ლამაზი, ოდნავ გაკვირვებული თვალები ქმნიდა. თვალის გარსი სულ ფერს იცვლიდა; ხან ისე გაიხსნებოდა და გამოანათებდა, თითქოს ფსკერი არც ჰქონდა და თავბრუს მახვევდა ფერთა თამაშის ეს დაუსრულებელი სიღრმე, ხანაც იხურებოდა ფარდა, იფანტებოდა უძირო თვალთა წყვდიადი და მისი რბილი, ნათელი მზერა მამშვიდებდა.

— ვინ ბრძანდებით ქალბატონო?

—რაკი დამივიწყე, დამარქვი, რაც მოგესურვება. — გამიღიმა ქალმა — ოღონდ ერთს გეტყვი: გახსოვს, ეზოში რომ თამაშობდი და თვალი სულ ჩემი ფანჯრისკენ გეჭირა? იცოდი, ფარდას ვიყავი მოფარებული და ჩუმად გიმზერდი. შენც ყირაზე გადადიოდი, ათასნაირად თავს მაწონებდი...

— შენა ხარ! — გულიდან აღმომხდა.

— ჩუმად, ნურაფერს მეტყვი. — თავი გააქნია ქალმა. — რა დროს სინანულია, როცა წინ ასეთი განსაცდელი გელის. წადი! ხმლის ქნევით რომ დაიღლები, ჩემი სიყვარული ძალას შეგმატებს.

ქალი გაუჩინარდა. ბინდმა მოიცვა მისი განაზებული სახე. ბანაკი დავტოვე და ალპურ საძოვრებზე გავედი. მზე ურჩხულივით გაწოლილ ღრუბელს შეერია და ორთქლის გველეშაპმა ცეცხლის ფრქვევა დაიწყო. თამამად შევიჭერი მზის ცეცხლით გაჟღენთილ ნისლში. ბალახზე ცხვრის ფარასავით გაშლილ ღრუბლებში მივაბიჯებ. ზევით მივიწევ დიდგორებისკენ. ბილიკი ჯერ ქვევით ეშვება, ძალას იკრებს, რომ უეცრად მაღლა აიჭრას, ხმალივით შემართულ მთაზე. ნაბიჯნაბიჯ ახლოვდება პირველი დიდგორი, ზედ წვერზე შემომდგარი ეკლესიით.

ირგლივ არავინაა. ზევით მარტო უნდა ავიდე. მარტოსულმა უნდა შევაღო ეკლესიის კარი, რადგან ჩემს შესაწირავს სხვა ვერ გაიღებს მსხვერპლად. აქ არც მოგონებაა, არც მოლოდინი. აქ სუფევს აწ და მარადის შეჩერებული დრო; დრო, რომელიც მხოლოდ აწმყოში ფეთქავს და უწინარეს საუკუნეთა ნათქვამი სიტყვა ისევ და ისევ ხორციელდება საკრალური ქმედების წესით.

მთელი ღამე ლოცვად ვიდექი სიზმარცხადის ხიდზე. ჯერ მძიმედ მოძრაობდა გალობასავით გაბმული სიტყვა, აზრიც არ ჩამესმოდა ბოლომდე, მაგრამ მერე და მერე, მწუხრი რომ მიიწურა და ცისკარი გაიხსნა, საოცარი სიმსუბუქე და სიცხადე ვიგრძენი. ღვთის სიტყვა უფრო და უფრო აჩენდა უსასრულო მნიშვნელობათა თვალჩაუწვდენელ სიღრმეს. იფანტებოდა ეჭვი, მოდიოდა აზრი, ვხედავდი გზას, უსასრულოდ როგორ გამეგრძელებინა სიცოცხლე. ყველაფერი ის, რაც ცოცხლად იყო ჩაწერილი გულში, ახლა უბიდან ამოვიღე, რვეულივით გადავფურცლე და მივხვდი, რომ ეს იყო მსხვერპლი, რასაც უფალი მოითხოვდა ჩემგან. ის, რაც იყო ჩემი და ჩემთვის არსებული, თურმე არ მეკუთ-

ვნოდა მხოლოდ მე! ძალა, რომელიც სიტყვით აცოცხლებდა მას, აღემატებოდა ადამიანის ნიჭს და ქვეყანა რომ გადამერჩინა, უფლისთვის უნდა მიმეძღვნა სწორედ ამ ძალით აღბეჭდილი ცხოვრების საუკეთესო წუთები.

ლექსებით სავსე რვეული დავხურე და ცეცხლზე შემოვდე. მოხდა სასწაული! სანთლის ალი არ წვავდა ფურცლებს! ამ ცეცხლით ნაწრთობი სიტყვა თუ გრძნობა, თუ აზრი, ახლა საიმედო ჯავშანივით შემომერტყა გულზე. მზე რომ ამოვიდა, რვეული სწორედ იქ გადავშალე, სადაც ეწერა თუ როგორ გამოვიხურე ეკლესიის კარი და როგორ გავედი დიდგორის ველზე.

ბრძოლა

ინათა თუ არა, ჰორიზონტიდან ზღვასავით წამოვიდა კოალიციის ლაშქარი. ელვარე მუზარადები, ოქროს ჩალმები, თვლებით მოჭედილი უნაგირები, სარკეებივით ირეკლავენ მზის ცეცხლს და ხანძრად ავარდნილი თვალსაწიერი ჩვენსკენ მოიწევს. ხმლების ფარებზე შეხეთქების ხმა შიშს უნდა თესავდეს, მაგრამ შიში არ არის. მის ნაცვლად ჩნდება სილაღის და თავისუფლების განცდა და გადაუხდელი ომი ჩაფიქრებულ მოთხრობასავით კი არ მამძიმებს, პირიქით! სიტყვის სიცოცხლეს მინდობილმა, ჯერ არაფერი ვიცი, რა მოხდება, რა გადამხდება თავს, თავისით რა გადმოხეთქავს ფურცელზე. მაგრამ ეს არცოდნა სავსეა ცოცხალი გრძნობით, დამუხტულია ბრძოლის ჟინით, გარემოცულია საიმედო განწყობით.

ერთი სული მაქვს გავშიშვლდე, მოვიშორო ყოველივე მოფიქრებული, გათვლილი და მარტოდმარტო შევცურო რისხვით ანთებულ ზღვაში, რომ მარტოსულის სიმამაცემ გახლიჩოს მტრის უსახურ სახეთა ტალღა და ამ ნაპრალში ერთსულოვანი ნაკადივით შეიჭრას ჩემი ლაშქარი. არ შეიძლება ამ დროს უკან მოხედვა, სინანული. უნდა მოვიჭრა უკან დასახევი გზა, რომ აღიკვეთოს მოძრაობის ყოველი შესაძლებლობა ერთადერთი მიმართულების გარდა — წინ, ზღვას დანატრებული გულის ვნებათაღელვის სიღრმეში!

* * *

— ქართველები სულ გაგიჟებულან! ხეკორძულას ხეობა ჩაუხერგავთ, ზურგში დამსჯელი როქის-სპა ჩაუყენებიათ. გაქცევის და გადარჩენის გზას აღარ იტოვებენ. — ამ სიტყვებით ფაფარგაშლილ ცხენს მოახტა ნეჯმ ად დინ ილღაზი, აღმოსავლეთის ვარსკვლავად წოდებული.

— თითქოს ისინი იყვნენ ხუთას სამოცი და ჩვენ, სამოცი ათასი — მთავარსარდალს გამოეპასუხა ერაყის სულთანი.

— შენ რაღას გვიბრძანებ, ლიპარიტ ბატონო? — ახლა ლიპარიტს მიუბრუნდა ილღაზი.

რა უნდა უთხრას? დიდი ხანია პოლიტიკურ აზრს ვეღარ ხედავს მეფე დავითის პოეტურ აღმაფრენაში, მაგრამ ეს საოცარი აღმაფრენა გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევს!

— მე მოღალატე არა ვარ!

— არც არავინ გაბრალებს — თავი დაუქნია ილღაზმა. — უბრალოდ, სამშობლოს გადარჩენის საკუთარ კონცეფციას იცავ.

— ჩემთვის მიუღებელია დავითის მრწამსი – თქვა ლიპარიტმა – ნაცვლად იმისა, რომ ანგარიში გაუწიოს არსებულ უმძიმეს სიტუაციას, უკან არ იხევს და სასნაულის იმედად არის. დავითი ისეთ ცეცხლს ეთამაშება, ისეთ სტიქიას ებრძვის, ცაში ფრენის ნაცვლად, ქვესკნელში შეიძლება აღმოჩნდეს.

— თუკი ქართველთა მეფე ცაში დაფრინავს, ფანტაზიას არც ჩვენ ვართ მოკლებულნი. ისეთ მოკავშირეს მოვძებნით, სიზმრადაც არ მოელანდება დავითს.

ილღაზმა გაიღიმა და თვალი ჩაუკრა სულთანს.

* * *

გათენდა. გაიხსნა ცისკარი. მზემ გამოიხედა წამით, მაგრამ თვალი აარიდა ბრძოლის ველს და ღრუბელი ჩამოიფარა სახეზე. სიტყვა ვერ იტევს დავითის სიმამაცეს! ლამის მარტოდმარტო, ორასი რაინდის თანხლებით შეჭრილა მტრის რიგებში! ისეთი სისწრაფით ტრიალებს, ისე იქნევს ხელს, თითქოს ხმლის წვერით უხილავ სტრიქონს წერს ისტორიის ფურცელზე! სისხლისფრად იკვეთება სიტყვა. ყოველ მოძრაობას, აქ და ახლა გაჩენილ აზრს, არაერთი სახე და სხეული ეწირება. ხმლით შემოწერილი სიტყვა უამრავ ქვეტექსტს მოიცავს, ათასი წახნაგით ტრიალებს, ბრწყინავს, ყოველმხრივ ირეკლავს არსებულს და სიკვდილთან ბრძოლას, უკვდავებასთან თამაშის მნიშვნელობას ანიჭებს. შეუძლებელია სიტყვასთან შერწყმული მეფის დამარცხება. ერთი მხრიდან თუ შთანთქავს მტრის ტალღა, მეორე მხრიდან, ახალი წახნაგით შემობრუნდება და ბრძოლას განაგრძობს.

მის გვერდით ციხესავით აღმართულა ბრინჯაოსფერი კაცი. ვერაფერი ანგრევს ციხეს, რადგან ქვით კი არაა ნაშენი, გულის ცოცხალი ქსოვილისგანაა მოქსოვილი. სადაც ირღვევა, იქ ახალი ქსოვილით ჩაინაცვლება და ისევ მთლიანდება. ცოცხალი ციხე ციდან ჩამოღვრილი თვალებით ირეკლავს

მეფის თავდაცვის გზებს და ამ ანარეკლების მიხედვით მოძრაობს. მარჯვენა ფრთაზე შავი, პანტერასავით კაცი ტრიალებს. თვალის დახამხამებაში უსხლტება მოქნეულ ხმალს. წამი შეაჩერა მისმა სისწრაფემ, დაშალა ის მეათედ, მეასედ, მეათასედ წამებად და დროის ამ უსასრულოდ მცირე მონაკვეთებში ისე სწრაფად მოძრაობს, თითქოს ერთის ნაცვლად შვიდი კაცი იბრძვის! ვინ აღუდგება წინ ამ შესანიშნავ შვიდეულს? მტერი დაიბნა, უკუიქცა. ზღვა უკან გარბის, ბღავილით ეხეთქება საკუთარ თავს. მის ბნელ სიღრმეში მათრახი აღუმართავს ერაყის სულთანს და ცხენკაცების ახალ ტალღებს მოერეკება წინ.

დავითი კი ზღვის შუაგულს უახლოვდება. გონების გრძნობას, თუ გრძნობის გონებას მინდობილი ლაშქარი ფიქრზე უსწრაფესად მოქმედებს. დავითი არ იხედება უკან. იცის, რომ ერთი კაცივით შემართულ ჯარს აღარ სჭირდება მისი ბრძანება. მეფის სიტყვა საკუთარ გულისთქმად ქცეულა ყოველ მეომარში. ერთი ხმალი ისე ზუსტად და უშეცდომოდ პასუხობს ათგზის მოქნეულ ხმლებს, რომ ბრძოლის ქაოსში იდუმალი წესრიგი ჩნდება. ვნებათა ჭიდილი აზროვნების ცოცხალ ნაკადში გადადის, რომლის სინათლე და სიმხურვალე პანტიანის ტყესაც აღაგზნებს! ბავშვები აღარ იმალებიან იქ! ფარდობითობის თეორიის თანახმად, დიდი სისწრაფისგან შეჩერებულ დროში, უდიდესი სისწრაფით მიქრის დრო და ტყიდან დემეტრე უფლისწულს საომრად შემართული ბიჭები გამოყავს! განსაცდელით სავსე ცხოვრებამ დროზე ადრე გაზარდა ისინი! აგარიანელთა ზღვა ახლა პანტიანის მხრიდანაც იხლიჩება, მაგრამ უეცრად დემეტრე უფლისწული "თბილისელი ბერების" გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდება! დავითმა იგრძნო შეფერხება მარცხენა ფრთაზე, ისიც განჭვრიტა, თუ რა ეშველებოდა გაუცხოებულ თბილისს. მეფის ბრძანებით ასობით შევარდენი აიჭრა ცაში. შევარდნებმა უზარმაზარი კალათი აიტაცეს თან, სავსე რომ იყო საოჯახო ალბომებით, სამახსოვრო წარწერებით, ძველი თბილისის ხედებით და რაც მთავარია, აბო თბილელის ცხოვრების ფურცლებით! და წამოვიდა ურჩ თბილისელებზე გულშიჩამწვდომ სიტყვათა თავსხმა! წვიმის ისრები ფარსაც ამსხვრევდნენ, მუზარადშიც ატანდნენ და გადაუღებლად წვიმდა და წვიმდა თბილისელი კაცის გულში!

— ეს აღარ არის ბრძოლა! – ცას მუშტი მოუღერა თბილისის ამირამ, მაგრამ ის უკვე მარტო იყო. სინანულით შეპყრობილი ჯარი დავითის მხარეს გადადიოდა. მაშინ არაბთა მეფემ, დურბეიზ სადაყის ძემ შეიერთა მონანიებას გაქცეული ნაშთები და გზა გადაუჭრა ქართველებს, მაგრამ დემეტრემ ისეთი ძალით დაარტყა, მონანიება სანატრელი გაუხდათ.

არაბთა მეფემ მსტოვარი აფრინა ფლანგებზე. თოღრულ მოჰამედის ძემ და განძის ათაბაგმა ერთდროულად შეუტიეს უფლისწულს, რომელმაც მოასწრო ალყის გარღვევა, უკან დაიხია და ტყეში შეიტყუა მდევარი.

კოალიციის მარჯვენა ფრთა პანტიანის ტყეში შეიჭრა. ტყე ბრაზით ახმაურდა, აშრიალდა, აკვნესდა. მწვანე ტალღები გასაოცარი სისწრაფით გარდაქმნიდნენ ბავშვობის მოგონებების შურისმაძიებელ მხედრებად. ხეთა ჯარი წინააღმდეგობის ახალ ძალებს წარმოშობდა თავის წიაღში. არაბებმა სცადეს ტყის გაჩეხვა და გზის გაკვალვა ულრანში, მაგრამ მოგონებების ტყეს ნაჯახი ვერ გაკაფავდა და ხმალი ვერ გაჭრიდა.! ფესვებით ის წარსულიდან ამოდიოდა და კენწეროებით მომავალს წვდებოდა! გაუთავებლად იცვლიდა ფერსა და ფორმას, ჩურჩულებდა იდუმალ სიტყვებს; მათი მნიშვნელობა არ ესმოდა მტერს, მხოლოდ გულს უმღერევდა და გონებას უბნელებდა. წარმოსახვას მოკლებული ჯარი დაიკარგა გაუკვალავ ხლართებში და როცა ტოტებიდან არაბულ სპილოს ვესტერნის გმირი დაახტა, როცა მის ნიშანზე იქ ჩასაფრებულნიც გამოჩნდნენ, არაბთა მეფე, დურბეიზ სადაყის ძე, უკვე გაქცევას ფიქრობდა.

დიდგორზე კი ისევ გახურდა ბრძოლა. პანტიანის ტყე ისევ გაცოცხლდა და შემოვიდა წინა ფრონტზე. ილღაზმა სწრაფად გადააჯგუფა ძალები, უკანასკნელი რეზერვიც გახსნა და თურქ-სელჯუკთა საუკეთესო ლაშქარი გამოიყვანა. ჯარს თუღარ არსლანკუზიანი სარდლობდა. ნამდვილ გოლიათებს მოუძღოდა წინ ეს ქონდრის კაცი. სხვა, უფრო მარტივი საჯარისო შენაერთებისგან განსხვავებით, თურქების ლაშქარს შეეძლო გარდასახვა და მტრისთვის მოუხელთებელ, ფანტასტიურ სახეთა მიღება, მაგრამ შიში არ ეკარებოდა ქართველის გულს, არცერთი მეომარი არ იხედებოდა უკან. ამიტომ დავითმა მოხსნა ხეკორძულას სათავესთან მდგომი როქის-სპა და პანტიანის ჯარს მიაშველა. თვითონ ცენტრალური ძალებით ისევ წინ დაიძრა ილღაზისკენ.

ყრუ მუსიკოსის ჰეროიკულ სწრაფვას და უსინათლო პოეტის სიმღერას რომ ეკადრება, ისეთი სიდიადის ომი გაჩაღდა! დავითის პოეტური სული და სიზმრისეული ხილვა, მებრძოლი აზრის სიცხადეში გადაიზარდა და თუკი თურქების ჯარი თავზარდამცემად იცვლიდა ფერსა და ფორმას, ქართველთა როქის-სპაც შემოქმედებითად აზროვნებდა; გეომეტრიული ფორმების – მწყობრი სამ-

კუთხედების, კარეების, რკალების წრიული მოძრაობით ცელავდა თურქებს და გზას იკაფავდა სისხლის ტალღებში.

რომ გაიმარჯვო, ბოლომდე უნდა შეინარჩუნო გულის სიცხადე, არ უნდა დაარღვიოს ბრძოლის ქაოსმა საბრძოლო ხელოვნების რიტმი და სტილი. უნდა ირწმუნო, რომ ვნებათა ჭიდილში იდუმალი წესრიგი სუფევს, ფარული აზრი საზრდოობს და გზა ამ აზრისკენ გულის ძარღვების ბილიკზე გადის. გაჩნდა თუ არა ეს აზრი, ღრუბელიც ჩამოსცილდა მზეს და განათდა ყველაფერი! დავითი ახლა თავისი სხეულივით შეიგრძნობდა საკუთარ ლაშქარს; მას აღარ სჭირდებოდა გონების კარნახი; სხეულმა იცის, როგორ იმოძრავოს, ხელმა იცის, როგორ შემოიქნიოს ხმალი.

სად გაწვდებოდა თურქ-სელჩუკების ფანტაზია გულისა და გონების ამ ერთიანობას? ფიზიკურ ძალთა სიჭარბესაც ვერ იყენებდა ილღაზი, ფრთებს ვერ შლიდა დიდგორებს შორის. მაშინ თუღარ არსლან-კუზიანმა საგანგებო ბრძანება გასცა. გოლიათების ლაშქარი უცებ შევიწროვდა, გაიჭიმა, დაიგრიხა და გველეშაპივით შემოსრიალდა ორ მთას, სათოვლიასა და ნაბაღრებს შუა.

წინგატყორცნილი ხმლების, მუზარადებისა და ჯავშან-პერანგების ცეცხლოვანი თამაში ურჩხულის ქერცლივით აელვარდა!

გველეშაპი ყალყზე შედგა, ათასი ხმლით და მახვილით აიქოჩრა და გამძვინვარებული ღრიალით, ქართველთა როქის-სპას დააცხრა!

აქ დავითმაც მოუხმო შინაგან ძალებს, ბოლომდე დაძაბა წარმოსახვა, გაიხედა სიცოცხლის სათავისკენ და იხილა ქალი, რომელიც მთელი ცხოვრება უყვარდა. ქალის ოდნავ გაკვირვებული, ღრმად გახსნილი მზერიდან სინათლის მკვეთრი სხივი გამოდიოდა! დავითმა ხელი ჩაავლო სიყვარულის სხივს, შუბივით შემართა და მთელი ძალით შესტყორცნა გველეშაპს. ურჩხული ბროწეულივით გაიხლიჩა, სისხლის ელვარე შადრევნებად გადასკდა. თუღარ არსლან-კუზიანი შიშით მუხლებზე დაეცა, თვალისმომჭრელი სხივით დაბრმავებულმა გოლიათებმა კი პირი იბრუნეს და თავისიანებს დაუწყეს ხოცვა.

დავითმა ისარგებლა თურქ-სელჯუკების არეულობით, მისიკვდილებულ ურჩხულს უკანასკნელი თავიც მოკვეთა და უკან დახეულ ზღვას დაედევნა. თავდავიწყებით მიაპობს მტერს, რომ როგორმე "აღმოსავლეთის ვარსკვლავს" მიაწვდინოს ხმალი, ფაფარგაშლილ ტალღაზე ამხედრებული ილღაზი ძირს ჩამოაგდოს და ვიდრე ჩამოვარდება, ჰაერშივე გაკვეთოს!

ყაზვინის, ართვინის, განძის, ბაღდადის კოალიციის ნაშთი ახლა უკვე ისტერიულად იქნევს ხმალს, თავგანწირვით იცავს თავს, მაგრამ რა დააკავებს ქართველს?!

და აი, დაეცა ბაღდადის ჯარის უკანასკნელი კორდონიც და ორი მთავარსარდალი პირისპირ შეეჩეხა ერთმანეთს;

— რა ხანია გელოდები — გაუღიმა ილღაზმა — გვეყო ამდენი სისხლისღვრა! მოდი, შევრიგდეთ, ზავი დავდოთ და ფედერაცია შევქმნათ.

დავითმა აღარ აცალა, ხმალი ნაჯახივით დასცხო და თავი გაუხეთქა ბაღდადის მბრძანებელს!

არაბთა მეფემ, დურბეიზმა, ხელში აიტაცა მძიმედ დაჭრილი სიმამრი, მაგრამ ვიდრე შიშის ფრთებს გამოისხამდა, დავითმა მოასწრო და მეფის ძალაუფლების სამკაული ჩამოგლიჯა ყელიდან. ჩამოგლიჯა არც არავისთვის, რადგან დავითს არ სჭირდებოდა არაბთა ძალაუფლება. იგი საგანძურს ცაში ეძებდა და არა მიწაზე. ამიტომ თვალმარგალიტი დაწყვიტა, ზეცას შეატყორცნა და წვრილ ვარსკვლავებად მიმოფანტა საღამოს ბინდში.

ილღაზის დამარცხებამ და დურბეიზის სამარცხვინო გაქცევამ საბოლოოდ ძირი გამოაცალა ზღვას. შემოსეულთა უკანასკნელი ტალღაც ღრიალით გადაგორდა დიდგორებიდან, შორს გაიშალა ფსკერზე, გათითოკაცდა. მტვრად გაიფანტა მტერი, უდაბნოს ქვიშას შეერია და არაფრად იქცა.

გამოცხადება

— ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა — ისევ ჩამესმის ლიპარიტის ხრინწიანი ხმა. — თავისუფლება მოგინდა? დროსა და სივრცეს გადააბიჯე? იცოდე, მტერმაც ისარგებლა ამით და მომავლის წყვდიადში, ახალი მოკავშირე მოძებნა! შენ თუ ბაკურიანი, იაგორას ველი და პოლონური თხილამურები ჩააქსოვე დიდგორის ომში, ილღაზმა უახლესი სამხედრო ტექნიკით აღჭურვილი "ბოევიკები" მოიხმო!

—ომი მოგებულია! ქართველებმა მთელი ღამე სდიეს მტერს და უთენია, ყარსიც აიღეს!

—რაღა დროს ყარსია! სამხრეთისკენ რას იყურები, ჩრდილოეთისკენ გაიხედე! უდაბნოში მოხეტიალე მხედრების ნაცვლად ახლა არყით გაგლეჯილი ჯარისკაცები მოიწევენ ჩვენზე! მთელი ჩრდილოეთ კავკასია აღსდგა და საავდროდ შეიყარა ჩვენს წინააღმდეგ! იმ საავდრო ღრუბლების უკან კი ისეთი ძალა დგას, რომელსაც აღარც სახე აქვს, აღარც სახელი და აღარც კი იცის ვისზე იყაროს ჯავრი თავისი სისხლიანი წარსულის გამო!

ეს სიტყვა იყო და მოტორის გუგუნმა ყურთასმენა წაიღო! კავკასიონიდან შავი ღრუბელი წამოვიდა. სოკოსავით ამოიზარდა სამაჩაბლოს ველზე ბენზინის იასამნისფერი ბოლი. შავი ზღვიდან მწყობრად ამოვიდნენ ბრაზით მოელვარე "ბოევიკები"! დაიხურა ცა. მზე დაუბნელდა დიდგორებს. დილის წყვდიადში ათასფეხა, მუხლუხა ხოჭოებივით მოცოცავენ ჯავშნოსნები, რკინის თავებზე დამაგრებული ზარბაზნებით. ადამიანი აღარ ზის შიგ, კომპიუტერი მართავს ამ ჯოჯოხეთურ ძალას და ჯარის ეპიცენტრის ეკრანზე ათასფერ რომბებად, კუბებად და იეროგლიფებად იქსაქსება დიდგორის ველი.

— შეჩერდით! — შევაყენე შინ დასაბრუნებლად შეტრიალებული ჯარი.

—გვეყოფა ბრძოლა! — ფიქრი გამიწყვიტა ცისფერთვალება კაცმა. ზურგჩანთიდან ძველი, უზარმაზარი მაგნიტოფონი ამოიღო და მუსიკა ჩართო.

ისევ განათდა ის გულშიჩამწვდომი მინდორი! სიძველისაგან დამტკბარმა მელოდიამ ჟრუანტელივით დამირბინა ძარღვებში! აბიბინდა ბალახი, აბრჭყვიალდა თოვლი, ჰაერში ნაძვის ხის სათამაშოებივით აელვარდნენ ბავშვობის ნიშანსვეტები! ისევ გაიხსნა ცა, გაიშალა მოგონებათა სივრცე. სიმღერებმა გაშალეს ფრთები. შემოვიდა, შემოიღვარა უცხო ქალაქებისა და ნანატრი ქვეყნების ოცნება. საზღვარი აღარ ჰქონდა მუსიკას. უკიდეგანო სიმღერა მტრის კომპიუტერულ ცენტრშიც შეიჭრა. მოგონებების ვირუსმა დაარღვია კომპიუტერის მეხსიერების პროგრამა! ცენტრმა მმართველობა დაკარგა, არასწორი ბრძანებები გასცა, ჯავშანტრანსპორტის უსახური მასა უკან შებრუნდა, პატარ-პატარა ჯგუფებად დაიქსაქსა და "ბოევიკებმა" ერთმანეთს დასცხეს!

ატყდა, მაგრამ რა ატყდა! ენა ვერ იტყვის რა ჯოჯოხეთი დატრიალდა ირგვლივ! ასო-ასო იმსხვრეოდა და ითიშებოდა ტყვიამფრქვევების, ტანკების და სარაკეტო ჯარების ინტერნეტი! ქვესკნელის გრანტებით მოძიებული სამხედრო ტექნიკა ერთმანეთს ეხეთქებოდა, ხრჩოლავდა, ზედიზედ ფეთქდებოდა და ცეცხლის ზვირთებად ეღვრებოდა ლიახვის ტალღებს! ვეღარ ვარჩევდი ჯართად ქცეულ მტერს შეჯახებებისა და აფეთქებების ქაოსში! ქვემეხების გრუხუნს, მანქანების ყვირილს შიგადაშიგ ადამიანის ბღავილიც ერწყმოდა! გაოგნებული შევცქეროდი ამ აპოკალიფსურ ხილვას! ვიღას ეცალა ჩვენთვის? ინგრეოდა და იფერფლებოდა ბოროტების უდიდესი იმპერია!

სინანული

ვინ ვარ მე, რომ ვბედავ შევეხო დიდი მეფის წმინდანად შერაცხულ სახეს, ჩემი გრძნობა და ფიქრი მოვახვიო მის აღმაშენებელ სულს?! შევეხო ჩემი უსუსური ხელით, უღირსი გულით, სინანულით სავსე ფიქრებით?!

სად არ გადაგაგდებს, რას არ გაგაკეთებინებს ეს გაუსაძლისი ცხოვრება...

ამიტომაც არა ვარ ღირსი ჟამთა აღმწერლად დავუდგე იმ დიდ შემოქმედს, შედევრივით რომ შექმნა თავისი ქვეყანა ღვთით ბოძებულ სილამაზეში. თუკი მას, ვისაც ვერ ვბედავ შევაწვდინო თვალი, გულიდან აღმოხდა გალობანი სინანულისა, მე, ჩემი გაფანტული გონებით, დაკნინებული სულით, გაუბედავი სურვილებით და შიშის გრძნობით, მონანიების ღირსიც კი ვერაფერი ჩამიდენია! დავეხეტები ჩემი ცხოვრების ტყეში, გზააბნეული დავდივარ, მაგრამ სადაც არ უნდა წავიდე, რაც არ უნდა გავაკეთო, მაინც ვერ ვაღწევ თავისუფლებას! გალიაა ჩადგმული ღრმად, გულში და არც კი ვიცი, რა ბნელი და ავი ტრიალებს შიგ.

ღმერთო! მომეცი ძალა, თვალი გავუსწორო საკუთარ ცხოვრებას! მონანიების ღირსად ვაქციო ჩემი შიში და სიძულვილი, შური, ეჭვიანობა, სხვისი განკითხვა. მომეცი ძალა, დავამსხვრიო საფლავის ქვასავით დამძიმებული სიტყვა, რომ აზრის სიღრმეში მუსიკა შევიგრძნო! ქროლვით რომ წარიტაცებს სიავის ფიქრებს, ჩააქრობს მათ ლოცვასავით გაბმულ მელოდიაში და ამიყვანს დიდგორის ველზე. იმ წმინდა მიწაზე, სადაც იხსნება გულის სარკმელი, რათა გამოჩნდეს დიდი ბრძოლების უსაზღვრო სივრცე! და მიხარია, რომ გზა იმ სივრცისკენ ჩემი ცხოვრების საუკეთესო წუთებზეც გადის და რაკი ვარ, ვარსებობ, ვცოცხლობ, მეძლევა უკვდავ სიცოცხლესთან ზიარების ნებაც. მეძლევა იმიტომ, რომ მსხვერპლი გაღებულია, გზა გახსნილია — რწმენის, წარმოსახვის და ოცნების გზა, და მჯერა, რომ მეც იმ დიდი ძალის ნამცეცი ვარ, რომელიც შთააგონებდა დავითს! მეც არ მასვენებს ის გულის ცეცხლი, გონების ის სიმხურვალე, საიდანაც ხმალივით შემიძლია შემოვიქნიო სიტყვა და თავი გავაგდებინო ჩემს გასასრესად შემართულ უღირსი გრძნობების ურჩხულს!

"მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღხოცე უსჯულოება ჩემი. უფროის განმბანე მე უსჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე; რამეთუ უს-——————————ჯულოება ჩემი მე უწყი, და ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის..."*

*დავითის 50-ე ფსალმუნი

ოთარ ჭანიძე

ქრისტეგული

უწმინდესსა და უნეტარესს ილია II-ს

როცა შენს სჯულ-ჯილაგს ჰყიდი ვით იუდა,
ხომ გაქვს მოქცეული ეშმასაგან მხარი?..
სული, კაცის სული თუკი გატყიურდა,
მისთვის ჯოჯოხეთიც, ალბათ, ცოტა არის!

სატანის მოციქულს ფიქრიც სხვაგვარი აქვს
(კვდომა განუზრახავთ
ერის ლახვარძალებს!..)
ვინც ცდილობს შეუკრას
გზა-გეზი პატრიარქს,
სიყვარულს მრევლისას უფრო ახანძარებს!

სჯულის დამცველებს მე ვუწოდებ მეომრებს
(თვალი და ალღო აქვს
დრო-ჟამს ძველ მოისრის!..)
პატრიარქი ჩვენი ილია მეორე
ქრისტეგული არის საქართველოისი!

ზამთრისპირი

შემოდგომაა
და ამინდიც იცვლის ხასიათს,
კამეჩებივით ცად ღრუბლები
მიიზმორება...
მზე თვალთა მიღმა ჩვეულებრივ
იწვის, ანთია,
ცას ცისარტყელა მიუყვება
სისხლის ზოლებად.
წვიმები... ქარი... რესტორნები...
ღამის ბარები,
სცლიან პირთამდე ბილწი გრძნობით
სავსე ფიალებს...
დაჭიმული აქვს ქარს ნერვები,
ვით ზამბარები
და წითელ-ყვითელ ფოთლებს სადღაც
მიაფრიალებს.
ზამთრისპირია
და თოვლივით ცა არის თეთრი,
ვით თითისტარზე
ქარი ნისლებს ხეებზე ართავს
(ალბათ პირველად, როგორც ბავშვი
მე მაშინ შევკრთი,
სამყაროსავით როცა დავრჩი
საკუთარ თავთან).
ამიკვნესდება
ზოგჯერ გული — სამიზნე ტირის,
ვაღებ და ვხურავ
ფიქრის სარკმელს და ისევ ვაღებ...
წვიმებისაგან
დაცხრილული სიჩუმე ტირის
და ფერწასული
ეწირება ჟამთასვლის ტალღებს.

ვისკენ გავიქცე

მე სიხარული მყოფნის
სულ ორად-ორი წამის...
გოდება წუთისოფლის
ფრთებად გაიშლის ღამეს.
უქარო დღეშიც სულ ქრის, —
ცხოვრებას ვუცქერ იჭვით...
მადლობელი ვარ უფლის,
ტანჯვის რო მომცა ნიჭი!
ნათელს ვერ ხედვენ ჩემში,
ვით მოკაშკაშე ცის ფსკერს...
მსხვერპლს მითვალთვალებს ეშმა,
ვისკენ გავიქცე, ვისკენ?!

გაზაფხულმა ამამყვირალა

ვით მერცხლის ბუდე,
შენს თბილ მკერდზე მე ვარ მიწნული!
ხარირემივით გაზაფხულმა ამამყვირალა.
ჩემი ვნებებიც ვერ იქნება თავდადრეკილი.
ჩიტივით დაფრენს ჩემი სული
შენი ფანჯრის წინ.
შენ გადამტყდარი სხივი ხარ ჩემში
და რომ დამტოვო, სად წავიდე,
ვისთან წავიდე?

ვით მერცხლის ბუდე,
შენს თბილ მკერდზე მე ვარ მიწნული!

გალობა ფლეიტა

ცად დამაქროლებდა ოცნების თეთრი რაში,
ზეციურ ტაძარში ვიხილე უფალი.
მზის დისკო თავს ედგა ოქროსფერ
გვირგვინად...
არ მახსოვს მის ახლოს საიდან აღმოვჩნდი...
ბუდე მომაჩეჩა მოცარტის ფლეიტის,
შიგ გული მიძევსო — სავანე მუზათა.
.....
მიწად ვეშვებოდი, შეინძრა ფლეიტა,
აჟღერდა ფლეიტა ჯადოსნურ ჰანგებად...
ვერავინ ხვდებოდა, ჩემს თავს რა ხდებოდა, —
ბაგეებს წყდებოდა ლექსთა ჩანჩქერები.
კვირობდა ელიტა... კვირობდა ელიტა...
ცოტა ამაყი და ცოტა დაბნეული.
ცის და მიწის შუა დაფრენდა ფლეიტა,
გალობდა ფლეიტა, ფლეიტა —
ღმერთის გული!

ვინ ჩამახედებს?

მზე სათნოების გულს წავიკიდე,
გზა უღმერთოთა — ჯოჯოხეთია...
რაც არ ჩანს, მასში ძალაა დიდი,
და ღმერთს ედაო — მეტისმეტია!
ერთ დღეს ყველანი აღვესრულებით
(ბედ-უბედობა ორივე ბედია!..)
თუ პეპლებივით ფრენენ სულები,
სიკვდილზე შიში სულ ზედმეტია!
დრო მენურება მიწაზე მოცდის,
მოკვდავს სიცოცხლე მუდამ მწყუროდა...
ვინ ჩამახედებს უსუსურს, ცოდვილს
ნათლის წიაღში საიდუმლოთა?

***

წუთი სდევნის წუთს
და ვარსკვლავთა გუნდს
მზე უხუჭავს თვალს.
ვინ გადუხდის ვალს
ცის დედოფალს — მზეს!
ფიქრს მივყვები ზე...
ვეღარა ვწყვეტ თვალს
ჩემი ბაღის ზვარს.
ტანს მიითრევს რუ, —
ებრძვის სიკვდილს — რულს!
სადღაც თოვს და წვიმს
ვინ აკვნესებს სიმს?!
გულს — შეწირულ კრავს —
უშენობა კლავს!..
ცის, ნისლიან ცის
ფიქრებს ქარი ცრის.

და მეჩვენება

თითქოს სიცოცხლემ ფრთები დახარა, —
შიშით მოველი დღეებს ხვალინდელს,
გულს არაფერი აღარ ახარებს,
ალბათ, ცოტაც და... უნდა გავფრინდე!...
ქრიან ქარები უამინდობის, —
მალე ჩამოვა ზეცა ავდრებად...
გადამჭკნარია: ტყე, მთა, მინდორი
და მეჩვენება — სულიც ქვავდება.

ლოდინი

დარდი აუტანელს მადგამს უღელს,
გული ცივი ხდება ლოდივით...
ყოველს წამიერად ბოლოს უღებს
ლოდინი, ლოდინი, ლოდინი!
ღამის მოჩვენება: მიწის ხმები,
შავი ლანდების ხეტიალი...
თითქოს მთვარის შუქზე იწვის, დნება
ჩემი ბავშვობის ხე, ტიალი.
ყველგან ღალატი და გაცურება, —
რჩები ცარიელი კოდივით...
მუდამ იმედების გაცრუება,
ლოდინი, ლოდინი, ლოდინი!
უკვე სამოცდაათს მივატანე,
და ვგრძნობ, მითვალთვალებს სიკვდილი...
ქარი მთლად შიშველი მიტანტალებს
გზებზე, სუსტი და ფერმიხდილი.
ვიდრე მომესმება ციდან ზარი,
ვივლი ასე გულდაკორტნილი...
ყველაფრის თავი და ბოლო არი
ლოდინი, ლოდინი, ლოდინი!

ვარ უზომოდ გულწრფელი

ქუხს, მზეს ადევს ბორკილი,
ელვა გზას ინახევრებს...
ზურგის ქარი მომკივის,
მწარე წარსულს მახსენებს.
რომ არ ელი, ო, მაშინ
იგრძნობ გზების ცვალებას...
ალბათ, ბედის კრთომაში
ბევრი რამ იმალება!
გული რჩება უცვლელი,
მუდამ დაუყუჩები...
ვარ უზომოდ გულწრფელი
მაშინ, როცა ვმუნჯდები!



ზურაბ ქოსტავა

ჰეე, საბუთიოო!

მამაო

სოფელში, ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია რომ დაანგრიეს, ტაძრის მოძღვარი მამა როსტომი, ბიძაშვილის ქმარმა — „ჩეტირბესომ" შეიფარა თავისთან, სახლში.

ღონიერი და გონიერი კაცი იყო ბესო.

ერთხელ, მარცვლეულით სავსე კოდი ოთხმა კაცმა ვერ ასწია. მისულა ბესო, უზარმაზარი, უთქმელი, უჟმური.

ჰოო, დიდხელება.

— გადდაიკარგეთ!

შემოუჭვდია მკლავები ნაბლისფრად აპრიალებულ, ცალყურმოტეხილ კოდისთვის და ციმ-ციმ შემოუდგია ურემზე.

კახეთის ამბავი არ იცი? ყველას ზედმეტი სახელი აქვს – სახასიათო!

ამის მერე, მისთვის ბესო აღარავის დაუძახია. დიდი და პატარა „ჩეტირბესოდ" მოიხსენიებდა.

ეჟოვმა რომ ოჟები მოუშვა და ქვეყანა ცოტათი მიწყნარდა, წვერდამოკლებული მამა როსტომი კვლავ გამოჩნდა სოფელში – ტაძრის ხავსიანი ლოდებით აგებულ, კოლმეურნეობის კანტორაში მოეწყო დარაჯად.

* * *

ზამთრის ერთ ყინვიან საღამოს, თოვლიანი ფეხების ბრაგუნით, მამაომ აივანი გაიარა და სახეგაბადრულმა კარებში შეაბიჯა. გრძელი მოსასხამის კალთებიდან თოვლი ჩამოიფერთხა. დამხვდურთ თვალი მოავლო და უბიდან, მუქტყავისყდიანი წიგნი გამოაძვრინა.

სამფეხაზე მჯდარმა ბესომ წალდის ტარის თლას თავი ანება და მუხლზე მუშტდაყრდნობილმა, გვერდულად გამოხედა მოსულს.

თებრომ, მისმა მეუღლემ, საფეთქელთან ჩამოშლილი თმა მოჩითულ თავშალში შემალა.

ინტერესით თვალებანთებული ბალღები ჭრაქით განათებულ მაგიდას უსხდნენ. ხუთნი იყვნენ – ოთხი ბიჭი და გოგო.

ღუმელის ჭრილიდან გამოსული სინათლე, კედელზე გადღაბნილ ჩრდილებს ათამაშებდა. ოთახში ცეცხლისა და გახუხული პურის სურნელი იდგა.

—ვივახშმოთ!— ჩაიბუბუნა „ჩეტირბესომ" და კალთაში მოგროვილი ბურბუშელა ღუმელთან მიყარა.

* * *

ყინვით მოკრიალებულ ცაში, სავსე მთვარეს თოშის გვირგვინი შემოვლებოდა. მხრებამოყრილი „ჩეტირბესო" ორივე ტორით მოაჯირს დაყრდნობოდა — ცივგომბორს შეფენილი სოფლიდან, მკრთალი შუქით განათებულ ალაზნის ველს გადაჰყურებდა.

ფართოყელიანი თუნგიდან, ორთქლადენილი თბილი წყალი ყრუ ჩხრიალით ესხმებოდა აივნის ქვემოთ, მოიისფრო თოვლს.

— როსტიი! — ჩუმად თქვა თებრომ და თუნგს მეორე ხელიც შეაშველა.

— მამაო! — შეუსწორა მამიდაშვილმა.

— კაცოო, ე ბალღები რასმე შარს არ გადამიყარო! – შენიშვნას წაუყრუა ქალმა.

— ჰეე, შენი გამკვირვებია, წიგნაძიაანთ ქალო! წიგნმა შაგაშინა? – ღიმილჩამდგარი თვალი სიძისკენ გააპარა – ნუ სდარდოფთ, „ვეფხიტყაოსანია"!

ხელსახოცით ხელები შეიმშრალა და ისე, ბესოსკენ მიტრიალდა.

— რაღა დაგიმალოთ და ბიბლიის მოტანა მინდოდა. მაგრამ, ვიფიქრე, ბალღები კლასში იტყვიან, ფათერაკს რასმე დაგაჰყრიან ეს ცოფიანები–მეთქი. მიტომ, „ვეფხისტყაოსანი" წამოვიღე. ესეც ბიბლიაა! ოღონდ, წაკითხვა უნდა! მა, ბალღებს უღმერთოდ, უსიყვარულოდ ხომ ვერ დაიზრდით?!

— სხვები თუ ზდიან?

— არა, ჩემო დაო! – სველი ხელსახოცი გამოწვდილ ხელზე გადაჰკიდა ბიძაშვილს – აღზდა და გაზდა სხვადასხვაა!

იმ ზამთრის გრძელი, ცივი საღამოები თექვსმეტმარცვლიანი რითმების თავისებური მუსიკით იყო სავსე. უცნაური მრევლი – ვითომ, უგულისყუროდ მსმენელი „ჩეტირბესო", ოთხი ჩხირით მქსოველი, მისი უთქმელი მეუღლე თებრო და ხუთი ბავშვი, რომელთაგან უმცროსმა და-ძმამ კითხვაც კი არ იცოდა, სულმოუთქმელად ელოდნენ მამაოს წამღერებით წაკითხულს.

შიგადაშიგ: ,,იანბე რა ძიავ, იანბე რა!"

— მამაო! – თვალებდაბრიალებული გადახედავდა ასმათივით თითითმახვეწართ; თავს გადაიქნევდა და ნაკითხულს განმარტავდა.

გარეთ ყინვა ბაბანებდა.

ღუმელში შეშა ტკაცუნობდა.

თბილოდა.

და

,,კაცი ჯაბანი რითა სჯობს, დიაცსა ქსლისა მბეჭველსა!

სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა!"

– ჰაი, გადი! – დროდადრო, მუხლზე მუშტს დაირტყავდა ,,ჩეტირბესო" და გრძნობის გამჟღავნებით დარცხვენილი, ცულის ტარის საქმიანი თლით ემალებოდა მისკენ მოპყრობილ, გაღიმებულ თვალებს.

* * *

მაინც ვერ გადაურჩა მამაო ,,ცოფიანებს". სექტემბრის მიწურულს, ღვთისმშობლობა ღამეს, კოლმეურნეობის კანტორის დაწვის მცდელობის ფაქტზე დააკავეს მამა როსტომი – შენობის კედელში ჩაყოლებულ საკურთხევლის ლოდებზე ანთებდა სანთლებს.

ეს ამბავი, შემოდგომით მოხდა.

კვლავ ხვავრიელი ზამთარი მოვიდა კახეთში.

კვლავ დაემგვანა გადათეთრებული ალაზნის ველი, მდინარის გაღმა–გამოღმა ვენახებით, დიიდ, გადაშლილ წიგნს.

მამაოს ,,საქმეში" მოწმედ გასული ბორენი , ,,ჩეტირბესო" ისე დატორა, ისე დაბუბნა, გაზაფხულამდე წელი ვერ აათრია.

— მაგისი ცხენი, ჩემ ყანაში გადასულიყო! — ო, — ასე უთხრა, ბორენის, გმინვა–ყვირილზე მოცვენილ მეზობლებს.

— ,,ჩეტირბესო"! რა ყანა, კაცოო, ამ ზამთარში?

– ყანა ზამთარშიც ჩემია და ზაფხულშიც! — ო, დინჯად, დამარცვლით უთქვამს ბესოს.

ფეხზე წამომდგარი დამსმენი სოფლიდან აყრილა და სადღაც სოღანლუღში, თუ ნავთლუღში გადასახლებულა.

სკოლა

ფრიდონს – ფიდოს, სანიმუშო დისციპლინა ჰქონდა კლასებში. ,,ნაკოლკიანი'' ,,სვოიბიჭებიც'' კი, გასუსულები ისხდნენ ნაადრევად გაჭაღარავებული, 1924 წელს გაციმბირებული მასწავლებლის გაკვეთილებზე.

მთაწმინდიდან ნიავმა დაუბერა.ბებერი აკაციის წვრილი, ყვითელი ფოთლები კანკალ–ფარფატით დაეფინენ სველ, მოკირწყლულ ქუჩას.

— ეეხ! – ო, ამოიოხრა ფანჯარასთან მდგომმა ფიდომ. ხელჯოხი მეორე ხელში გადაიტანა; კოჭლობით, მაგიდიდან ცარცი აიტაცა და უსაშველოდ გრძელი ფორმულა სადღაც, დაფის კუთხეში დაამთავრა.

ის-ის იყო, ახალი გაკვეთილის ახსნას აპირებდა, რომ რძისფერფანჯრებიან, ლურჯი კარების მიღმა, წვრილი, მაღალი სილუეტი აიტუზა.

—ც! ც! კ! ლ! – ტალღასავით გადაურბინა კლასს.

,,ჰმ, ციკლოპა!" — გაიფიქრა მასწავლებელმა და სათვალე ცარციანი თითით გაისწორა.

,,ჰმ, ფრიდონა!" – გაიფიქრა ტყავის ნაჭრით თვალახვეულმა დირექტორმა და შუა კარებში ჩადგა.

ატყდა შავი მერხების, ასაკეცი ფრთების ბრახუნი. ჯარისკაცებივით გაჯგიმული მოწაფეები ცალთვალდაბღვერილს მიაჩერდნენ.

ტუჩის კუთხიდან, ღაწვისკენ გაქცეული ჭრილობით, დირექტორი მუდამ მომღიმარი ჩანდა. მაგრამ, ბოროტად მბურღავი, ნაცრისფერშეპარული ცისფერი თვალი სახის ზედა ნაწილს მოულოდნელ სიმკაცრეს სძენდა.

—ფიოდორ ნოშრევანოვიჩ! – ერთ დროს, ბარიკადების სხვა და სხვა მხარეს მებრძოლნი სიცივენარევი, ხაზგასმული ზრდილობით მიმართავდნენ ერთმანეთს— ახალი მოსწავლე ჩაიბარეთ!

გვერდზე გადგა და საკლასო ოთახში გრუზათმიანი, საშუალო სიმაღლის ბიჭი შემოუშვა.

— მიდი! – მხარზე უბიძგა ხელებში თუშურქუდჩაჭმუჭნულს – კლასის დამრიგებელი საქმის კურსშია!

— дасс! — თავი დაუკრა მათემატიკის მასწავლებელმა და მოსწავლეს მიუბრუნდა. როგორც ომგამოვლილი თაობის ყველა ყმაწვილი, ისიც გამხდარი და უფერული იყო.

— მოდი! – განაპირა რიგისკენ მიუთითა ოდნავ დაბნეულს.

დაფასთან ჩავლისას, ბიჭმა გრძელ ფორმულას ჰკიდა თვალი და თავისთვის ჩაიბურდღუნა:

— ნიუტონის ბინომი.

– რაა? – სათვალის ზემოდან გახედა ფიდომ.

– ომარ ხაიამისაა! – უკან არც მოუხედავს, გამოკვეთილი, კახური აქცენტით თქვა ახალმა.

კლასს მხიარულმა ფხუკუნმა გადაუარა.

დირექტორი ცალთვალდაბღვერილი იდგა.

ცხვირზე ჩამოცურებული სათვალე, ღიმილშეკავებულმა ფიდომ, ცერა თითით გაისწორა.

* * *

– იჰ, ამ ქალს გემოვნება არა აქვს! – ჟანას უხეშ, მამაკაცურ პიჯაკებსა და სქელი მაუდის კაბებზე ცხვირს იბზუებდნენ ქალები.

– უჰ, ირემივით ქალია! – თვალს აყოლებდნენ კაცები.

* * *

– სიუ! ჰეი! სიუ! უსტა! – ბოლო მერხიდან, ვერ ისვენებს აყლაყუდა ბირენაშვილი – უშანგ, ჩვენი ძმა, გამოახედე ეგ ჩემაალა!

უბიძგა წინმჯდომს. თან, ცალი თვალი ფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოსკენ ეჭირა.

– იუზგარ! ქუდი გამოუშვი აქეთ!

,,ქუდის" ამბავი დასვენებაზე გაირკვა, სკოლის უკან. ახალი მოსწავლე გამხდარი კი იყო, მაგრამ სოფელში გაზრდილს ღონეც მოსდევდა და არც მხდალი გამოდგა. ,,ბეჭყირაზე" წამოღებული აყლაყუდა ისე გააკრა მიწას, რომ სუნთქვაშეკრული, თევზივით აფჩენდა პირს.

– შაიღონდი, ჯო? – ისევ თვითონ იმარჯვა გრუზათმიანმა. დაცემული, ძალით წამოაყენა ერთი სამჯერ ჩასვა და გამართა. ბორენაშვილმა სული მოითქვა თუ არა, ლოყაზე სილა იტკიცა:

— ჩემი სიყრმე მოკდეს თუ მე, ეს შეგარჩინო!

ქამარში ცერებჩაწყობილი ახალი, უდარდელად იღიმებოდა.

– სადაც შენი დაიკვეხნო, იქ ჩემიცა სთქვიო!

– რაოო?

* * *

– თქვენ, ახალგაზრდებს, კომკავშირლებს, სამშობლოს ღირსეულ მომავალს, უნდა გახსოვდეთ, რომ უფროსები, ეს იქნება მასწავლებელი თუ პარტიული ხელმძღვანელობა, შეიძლება ზოგჯერ მკაცრებიც იყვნენ. მაგრამ ეს ჩვენივე კეთილდღეობისთვისაა აუცილებელი! – ჟანა ტკეპნით მოუყვებოდა ქრესტომათიულ გეგმიურ მასალას. ხანდახან, სადღაც ბოლოდან, კამათლის რაწკუნი არღვევდა სიჩუმეს – ხელმძღვანელი ამხანაგებისადმი შიში და მორიდება, თავიდან, მოწესრიგებულობასა და დისციპლინას, ხოლო შემდეგ, შრომისმოყვარეობას ბადებს რაც, საბოლოოდ სიყვარულში გადაიზრდება ...

– ჰეე, ვიღაცამ მამა გადამისახლოი, მცემოი და იმაი შევიყვარეეფ?

მოულოდნელობისგან, კამათლის ხმაც კი შეწყდა. ჟანამ, თავის გადაქნევით სქელი, შავი თმა უკან გადაიყარა. ,,ეს ბიჭი ყოველთვის არ უქცევს კუთხურად?!" – გაიფიქრა დაბნეულმა.

ვიღაცას სიცილი წასკდა.

მერე, მხიარულებამ მთელი კლასი მოიცვა დ ა ზარიც დაირეკა.

* * *

—Жанна Ашотовна твои опять подрались! – ლუდის საფუარით დამრგვალებული თეძოების ხვანხვალით, სამასწავლებლოში, 40 წელს გადაცილებული პიონერთხელმძღვანელი შემოვარდა.

—Какие мои? – სამასწავლებლოს გრძელ მაგიდაზე, ბროლის დიდ საფერფლეში, პაპიროსები ბოლავდა.

— А вот, ამ ქახელომ опять побил этого бедного Боренова, мол говорит, დირექტორს რათო უთხარი!

კლასის დამრიგებელი ბორენაშვილს დასანახად ვერ იტანდა. ჟანას დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა, ამ სიძულვილის დასაფარავად.

— Ума не приложу, ეს ასეთი ფათარა. а он верзила такая? – ქოთქოთებს წითელ ყელსახვევიანი, თმაშევერცხლილი კლარა.

ერთხელ, ტრამვაიში, მაღალმა, მხრებში მოხრილმა ყმაწვილმა მოურიდებლად გაუხსნა ჩანთა მოხუცებულ ქალს. დამფრთხალი მოხუცი ამაოდ დაეძებდა მშველელს.

– რასაა, რომ ბედავ, შენ? – ჟანა მაჯაში სწვდა ახალგაზრდას – პატრონი არ გყავს? სალახანავ, შენ!

მკლავში აუტანელი ტკივილი იგრძნო. იმავ დროს, ყურთან სისინი გაიგონა:

— შენ, ვინ გეკითხება! შენ, ვისი ტიკი-ტომარა ხარ!

ჟანამ კეპის ქვეშ შემალულ სიყვითლეგადავლილ პატარა, ზეთიან თვალებს მკლავი გამოგლიჯა და გაშლილი ხელი სუფთად გაპარსულ, ოთხკუთხედ ღრანჭში გაუჭახუნა.

ვაგონი ცივმა სიჩუმემ მოიცვა.

სუფთად გაპარსული, ოთხკუთხა ნიკაპი მიტრიალდა და

– აქაც დაარტყი, ცავატანემ! შენი ხელი ტკბილია!

1 სექტემბერს ახალი სკოლის სადამრიგებლო კლასში შესულ ჟანას, ბოლო მერხზე, უტიფრად მომღიმარი ყმაწვილი ქურდი დაუხვდა.

—Вы учительница. должны по педагогически отнестись к парню. გუშინ ომი იყო. Вокруг голод, нищета. Кто как может так горбатит. Тем более, он дисциплину поддерживает и с его помощью, я всегда в курсе что творится в школе! – დირექტორმა.

დაღებული პირი აღარ უცინოდა. სამაგიეროდ, ნაცრისფერშეპარულ ცისფერ თვალში, ირეოდნენ ჭინკები.

* * *

– აბა, ახლა ჩვენს ახალ ამხანაგს მოვუსმინოთ! – შემდეგი გაკვეთილის ახსნა დაამთავრა ჟანამ და სახალისო ამბის მოლოდინში, ცარციანი ხელი უდარდელად აიქნია – გვიბრძანე ერთი, იქ თქვენთან, როგორ ასწავლიან ,,ვეფხისტყაოსანს"?

ბიჭი მძიმე-მძიმედ წამოდგა.

– შოთა თვითონ გვასწავლის, მასწავლებელო!

– რას გვასწავლის?

– დიდი წიგნის კითხვას გვასწავლის, პატ. მასწ!

– თორე პტრ წიგნები სუ ჩაბულბულებული გააქ, რა! – ვიღაცამ, წაწვრილებული ხმით იანგლა. ჟანას არც გაღიმებია. მშვიდად მიმოდიოდა დაფის წინ და ყოველ ჩავლაზე, ცარცს ადგილს უცვლიდა.

—,,სმენით გესმოდეს და არა გულისხმა – ჰყოთ, ხედვით ჰხედვიდეთ და არა იხილოთ!" ნათქვამია ესაი... დიდ წიგნში! — თავდახრილი, ხელისგულით მერხზე რაღაცას შლიდა – შაირს, ნაწერს იქით კითხვას გვაჩვევს რუსთველი!

საკლასო ოთახში მხიარულებაშეპარული, მოვარდისფერო სიჩუმე დაგუბებულიყო.

– მცემოსო, დამიჭიროსო! ის როგორღაა, შიშზე და სიყვარულზე? – ჟანამ კლასს თვალი ჩაუკრა და თავის გადაქნევით ბიჭზე მიანიშნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავჩაღუნულმა, წარბებქვეშიდან გამოხედა მასწავლებელს. შეუმჩნევლად ჩაიღიმა და განაგრძო:

— შიშ-სიყვარული, თან სდევდა ამ სოფელში მოსულ ადამს... – ნაძალადევად ჩაახველა – ადამიანს!

– რა შუაშია, პირველყოფილი, გამოგდებული ადამი? – კომ. უჯრედის აქტივისტი იყო უშანგი.

– ჰმ, პირველყოფილი! – ოდნავ თავმიბრუნებულმა, კოპებშეკრულმა ჩამომარცვლა – ბიჯოო! ეგა, ყველაფერში, ყველაზე მეტი იყო! არც არავის გამოუგდია! ცოდვით მადლგაცილებულმა, თითონ ვეღარ გასძლო, დიდ ნათელში....

– ეგეც ,,ვეფხისტყაოსანში" სწერია? – კრიჭაში ედგა უშანგი.

– ჯიგარო! – უკანა მერხისკენ შებრუნდა ბიჭი – იქ, ყველაფერი სწერია. ოღონდ, წაკითხვა უნდა! ,,მაშინ ვერ გავძელ სიახლე, აწ, სიშორვესა ვინანი!" ეს, ხომ ადამის სიტყვებია!

ოქროს მედლის კანდიდატი უშანგი - ,,ე, ე, ე!" – ო, აწრიალდა. მაგრამ, რაღაც ვერ გაიხსენა. ,,ავთანდილი!" – ისე თქვა ბიჭმა, მარტო მას რომ გაეგონა. მან კი, მერხის საკალმედან კალმისტარი ნერვიულად აიტაცა და სამელნესკენ, ისარივით ისროლა.

შუშის სამელნეში, საცოდავად დაიწრიპინა 11-მა კალამმა.

– ვისაც ამბავი აინტერესებს, — განაგრძო დაფისკენ მობრუნებულმა ბიჭმა – ძაან კარქათ ბრძოლობს ავთანდილი. მარტოკაცი, ამოტოლა ჯარს უმკლავდება!

კლასს გადახედა.

— იმას, უფრო დინჯათ, განმეორებით წაკითხვისას აღმოაჩენს კაცი!

– რას ,,იმას"?

— რაც, პირველად კითხვისას, თვალმა ,,ამბავს" გადააყოლა. მაგალითად ,,მართლად იტყვის მოციქული"-ო!

და კახურად მოუქცია :

— კაცი ომშია. მოციქულ რა უნდა იქა, ო!

დაგუბებულმა სიცილმა აიარ-ჩაირა რიგებში. ბოლო მერხზე გადათხლაშულმა, პირღიად მძინარე ბორენაშვილმა თვალი გაახილა. უაზროდ მიმოიხედა და კედლისკენ გადაბრუნდა.

სამასწავლებლო მაგიდას დაყრდნობილ ჟანას გაშლილი მარცხენა ხელი მაღალ მკერდზე დაესვენებია და გაფითრებულს, თვალები კარისკენ გაურბოდა.

ბიჭი, ფანჯარაში, ბებერ აკაციას უყურებდა. უეცრად, მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა.

– დამარცხებულებს ავთანდილის რომ ეშინიათ, ეგ არაფერ შუაშია. აქ, მადლის დაკარგვის შიშზეა საუბარი. ,,არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი!" იოანეც, მიტომაა ნახსენები...

– იოანე, ვაფშე არ არის ნახსენები!

– იოანე, სიყვარულის მოციქული, იგულისხმება! – წამოიძახა ამ მერხის მეწყვილე გოგომ და შეშფოთებულმა, მომუჭული ხელი ტუჩებთან მიიტანა.

ბიჭი დაჯდა. ისევ, აკაციას გახედა და თავისებურად მოუქცია:

— ვისაცა სცხებია, ანდა მადლშემოსილი უნახამს, ჰეე..

* * *

ზარი კარგახნის დარეკილი იყო, ფიდომ კარები რომ შემოაღო. გაოცებული, ზღურბლზე შედგა და გასუსულ კლასს, სათვალის ზემოდან გადახედა. ჟანამ დამნაშავესავით გაუღიმა. მაგიდაზე მიმობნეული რვეულები წამოკრიფა და ვიდრე საკლასო ოთახიდან გავიდოდა ხმამაღლა, უმისამართოდ თქვა:

— შემდეგ გაკვეთილზე ,,ლოცვა ავთანდილისა"-ზე, ვიმუსაიფებთ!

* * *

გვერდით მჯდომმა, იდაყვი გაჰკრა კოპებშეკრულს:

— მთელი ,,ვეფხისტყაოსანი" ზეპირად იცი? – შავგვრემანი ეშხიანი გოგო იყო, ორი ნაწნავითა და ბრიალა თვალებით. ბიჭმა გაუღიმა და ტუჩებგადრუნჩულმა, საქმიანად გააგრძელა ქამრის ბალთის პრიალი. გაკვეთილების მერე, პირველი სკოლელებს ხვდებოდნენ — დიდი ლახტი უნდა გაეჩაღებიათ.

* * *

სუსხიანი ქარისგან შეწუხებულმა ჟანა აშოტოვნამ გზა შეიმოკლა – ხუთი, სველი საფეხური აიარა და სკოლის შენობის გვერდითი კარი ჭრიალით შეაღო. კიბის უჯრედი ერთი წამით განათდა. მერე, ,,ბრახ"! და სადარბაზო ისევ ჩაბნელდა.

– გილოცავთ, მასწ!

ხელმარცხნივ, კორიდორში მდგომს, სინათლე ზურგიდან სცემდა. მხოლოდ, ბუჩქად დაყრილი ქოჩორის გარჩევა შეიძლებოდა. ჟანამ სიბნელეს თვალი შეაჩვია და მისკენ გამონვდილ ხელს დახედა. საიდანღაც, გამომსხტალ სინათლის სხივზე მუჭში მოქცეული ყოჩივარდები ბრდღვიალებდა.

– ია-იებია, პატ. მასწ! აქ, აგრე ეძახიან. ჩვენთანა კიდე პაპისყვ...

– ვიცი, რაც ჰქვია! – გვერდზე გადაიხარა. შეეცადა, სახე გაერჩია – რას მილოცავ, ბიჭო? რვა მარტამდე ჯერ ერთი კვირაა?

– გაზაფხულის პირველ დღეს გილოცავთ, დარეჯან მასწავლებელო!

— რაა? – დაზაფრულმა კიბეს ახედა.

– დღეს პირველი მარტია. გაზაფხ...

– ვიცი, ვიცი! მაგას არ გეკითხებიან! – კორიდორშიც არავინ ჩანდა.

– ააა! ჟანა-ჯანა–დარეჯანა! – წამღერებასავით გაისმა სიბნელეში.

– სუუ! ჩუუ! ღვთის გულისათვის! — სასოწარკვეთილმა ჩაიჩურჩულა და უკუსვლით, კიბისკენ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

დაბნეულმა ბიჭმა ყვავილების გადასაყრელად ხელიც კი მოხარა.

,,ვინმე იპოვნის და გამოიძიებენ!" –

გაიფიქრა ქალმა. ყვავილების კონა ხელიდან გამოგლიჯა, ხელჩანთაში ჩაჩურთა და კიბეს, ლამის სირბილით აუყვა.

* * *

ქარს აყოლილი ღრუბლებიდან, ხანდახან მზე გამოანათებდა და სამასწავლებლოს ფანჯარაში სინათლის სვეტად ეშვებოდა.

მაგიდაზე მიგდებული ხელჩანთიდან, ჭიაყელებივით დაგრეხილი, ყვავილების ღეროები მოჩანდა. დაღლილ–აფორიაქებულმა ჟანამ რვეულების სწორებას თავი ანება და სახე ჩანთასთან მიიტანა. Красная Москва-ს სურნელს ტყის არომატი შეპარვოდა.... ანაზდად ყოჩივარდების კონა აიტაცა და სარკმელთან, შინდისფერი ხავერდის შტორს ამოეფარა.

თოვლიანი მიწის სუნმა გააბრუა.

ეს, ერთი წამით.

შეშფოთებულმა სამასწავლებლოს თვალი მოავლო, ყველა თავის საქმით იყო გართული. დამშვიდდა. გაეღიმა. თვალები დახუჭა და სახე ყვავილებში ჩარგო.

გაზაფხული.

სერზე ტყის პირას, გადახნული ანეული.

დედა და ბებო ღობესთან, მოლზე სუფრას შლიან.

მამა და პაპა გუთანს ხსნიან.

დაუღლელი ხარები მორჩილად დგანან. კუდებს იქნევენ და დიდრონ.

თვალებს აფახუნებენ.

ხანდახან ნიავი დაუბერავს და ოხშივარადენილ, შავ ბელტებს ტყემლის თეთრ ყვავილებს გადააყრის.

სიმწვანისა და მიწის თბილი სურნელი....

—გვიანობამდე შემორჩენილხართ! – ფრიდონმა ხელჯოხი მეორე ხელში გადაიტანა და საათს დახედა — ალბათ, მორიგე ხართ ჟანა აშ.....

– დარეჯანი! – პაპიროსიანი ხელი აიქნია ქალმა. ზურგით ფანჯრის რაფას მიეყრდნო. წვივი წვივზე გადაიდო და ,,ლუქსის" ,,პოლუსაპოშკის" ჭვინტი, ნავთ-ნახერხიან იატაკს დააბჯინა.

ზედმეტ კითხვებს არც „იქ" იძლეოდნენ და არც აქ იყო მიღებული. ფრიდონმა დაცარიელებულ სამასწავლებლოს თვალი მოავლო, კარისკენ გაიხედა და ნაძალადევად გაღიმებულ, თვალცრემლიან ქალს ჯოხის კაკუნით მიუახლოვდა. სათვალე გაისწორა და კედელზე ჩამოკიდებულ, ქანქარიან საათს ჰკითხა:

—მამას შოთა ერქვა?

კარგა ხანს ჩუმად იდგნენ.

– როგორ შემოიტანა ,,ლაგერში"... – მხრების აჩეჩვით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოთქვამდა კაცი – გაყვითლებული ... გაცრეცილი... სამნი... შენ, შუაში! – ჯოხიანი ხელიც ასწია თავს უკან, დიდი ბაფთითო.

ქალს ცრემლი სდიოდა. კაცს, დროდადრო, ხელჯოხი მეორე ხელში გადაქონდა და სათვალეს ისწორებდა.

ღრმად დაფიქრებული მაკარენკო, შეწუხებული იყურებოდა კედლიდან.

– იქ ერთი, ყოფილი მღვდელი იყო... უფრო სწორედ, მღვდელი. ეს, ბავშვიც ისე ლაპარაკობს...

,,კაცი არ ყველა სწორია,
დიდი ძეს კაცით კაცამდის!"

– კი, გხედავდით კარებთან.....

– არა! ეს, ერთი-ორჯერ! შემთხვევით! – სათვალისკენ წაიღო ხელი – ისევ, ორიგინალური მეთოდია!

– პედსაბჭოზე კი გამომლანძღეს დაა...

კაცმა, შეშფოთებულმა გადმოხედა სათვალის ზემოდან.

– არა! ეგ, არც მიფიქრია! ვიცი, ვინც დამაბეზღა! ეს, ¬— ქალმა დირექტორის კაბინეტისკენ გაიშვირა ცერა თითი – ბავშვებს რყვნის, ,,დანოსებს" აწერიებს!

სტალინი, მკაცრად იყურებოდა. ძერჟინსკი ეჭვით უმზერდა სტალინს. ლენინი ეშმაკურად, გვერდულად იღიმებოდა. ფრიდონმა გადმოქანებულჩარჩოიან სურათებს ახედა და იდუმალი ხმით თქვა:

¬— ცოტაც, ჩემო კარგო, ცოტაც და იქიდან, იმდენი კარგი ხალხი ჩამოვა....

კედლის საათს გახედა.

– არა, ზოგი კვაჭი, იქ ყოფნასაც ხეირად მოირგებს. მაგრამ, ბევრი ღირსეული, ტანჯვაწამებაში განწმედილი, მადლმოსილი ადამიანი დაბრუნდება!

სათვალე გაისწორა. თვალი, სტალინისკენ გააპარა.

– კი, დიახ! სულიერი მოთხოვნები შეიცვლება! სიმართლე აღარ დაიმალება! შემთხვევითი ხალხიც — თვალი მოჭუტა და პირი მოღრიცა – ვეღარ იბოგინებს! ხო, იცინე, იცინე! მაგრე იქნება, ზუსტად!

* * *

ბინდი შემოპარულიყო სოლოლაკში. დროდადრო ქარს ოქროყანიდან თოვლჭყაპი მოჰქონდა. მაკინტოშსაყელოაწეული, ხელჯოხიანი კაცი და ორენბურგის ,,პუხოვკა" მოხვეული ყოჩივარდებიანი ქალი, ნელი ნაბიჯით მიუყვებოდნენ სველ, მოკირწყლულ აღმართს.

– Ух недотрога. Чем я ей не угодил?! — ოდნავ ფარდაგადაწეულ სკოლის ფანჯრიდან – Сука! Контра! Эдрена мать!...

ქარი ქროდა.

წვიმდა.

ბნელდებოდა.

მთაწმინდისკენ აღმართს ბედნიერი წყვილი მიუყვებოდა.

ნანა ხორბალაძე

***

მახსენდება და...
მაგიდაზე იწყებს ბორიალს —
მელანი — ლურჯი და
თაბახის თეთრი ფურცელი...
სახლის წინ ბაღჩა,
ახლა თუმცა ჩემგან შორია,
ვგრძნობ ასტკივნიათ
ატმის ტოტზე კვირტებს მუცელი.

აგიზგიზებულ მზის აცეკვდა შინდზე ალები,
ძველ ნანგრევებზე
სარეველას ფესვები მყარობს.
მე აქ გასარკულ ვიტრინებთან
მრჩება თვალები,
ჩემს სოფელში კი ჯეჯილივით
ღელავს სამყარო.

მომენატრება ის, რაც ახლა გავშალე პანოდ,
იმ მონატრების, სნეულივით მეწვის იარა,
პირველ ქუხილით დააწვიმა აქ ალბათ ყანობს
და ჩემს ბაღჩაში გაზაფხულად იმშობიარა.

არია

ღამე უმღერის მთვარეს არიას,
სხვა გამინათებს ჩემს წილ ცის ტატნობს,
შენგან შორს ყოფნა დღეს — მიხარია,
ხვალისთვის ისევ შენივ თავს ვნატრობ.
თუ ჩემი გრძნობა — შენთვის ბარგია,
ოქროს — სპილენძის დამიდე ფასი,
თუ ჩემი ლექსი, შენ არ გარგია,
თუ თვლი მე — ერთი და შენ ხარ ასი.
ნუ ემსხვერპლები გულისთქმა-წადილს,
თავისუფლების გაძლევ ქარტიას,
მარტო ვიმღერებ, იმ „სხვასთან“ წადი,
ჩემია მხოლოდ გედის პარტია.

***

ჩასძინებია ჩემს სარკმელთან
ღამეს ნამთვრალევს,
გულს ახლა უფრო,
შენგან ლექსი
მოეფონება,
სამყაროს სამდურ სათქმელს,
მითხარ, კარგო, რა დალევს,
მებადურივით გავიხადე რითმა — ქონებად.

გადავუღლივარ წუთისოფლის
„მდგმურთა“ მონებას,
ეზოში ალვას — შუბლით ზეცა შეულეწია,
გავქვავდებოდი! მარტო ჩემი რომ იყოს ნება,
სასალამურე ახლა ლერწმის,
ნედლი ლერწი ვარ.

ჩასძინებია ჩემს სარკმელთან,
ღამეს ნამთვრალევს,
უფოთლო ალვას, შუბლით ზეცა შეულეწია,
კარწინ, ეზოში დაუღიათ პირი ნაპრალებს
ღობეს მიკრული უიღბლობას
მოსთქვამს მზეწვია.

გოგა გურული

(გიგნერი)

განცდა

არავინ როდესაც არ არის
და ქალი გიგზავნის ბარათებს,
ფიქრობ, ის ფრინველი სად არის?
ფიქრობ და... ვარსკვლავი ანათებს.
ციხეში უცნაურ შეხედვას
აღიქვამს კედელი ,,სირისტის"...
არ ვიცი, ვინ არის, საიდან,
სად არის, ვინ მოვა, ვინ იცდის.
ძვირფასო, სახეა ბნელებით
და სუნთქვა წაიღო უღელით,
უმწიკვლო თვალების მშვენებით,
სადღაც აქ, ნისლით და ღრუბლებით.
მაგრამ, მე არ ვიცი, ვინ არის,
საიდან მოვიდა, რა უნდა...
დაბრუნდა სიცივე მყინვარის,
ბავშვური თვალებით დაბრუნდა.

ლ....

ტანი ლერწამია
ათლილი სიშიშვლით.
ოჰ, წუთით მადროვეთ,
ოჰ, წამით მიმიშვით...
სხეული თოვლია,
ბინდის გარეშეა.
ის თვალით უხილავ
სინარნარეშია.
ახლა ცისფერ ფერში
მგონი, გონიოა...
ელზა ყველაფერში
უჰარმონიოა.
მოვედი ზღვებიდან
ამწუთს, ეს ნამია.
ვამბობ და ვამტკიცებ
ტანი ლერწამია.

ტენდა

დაბურულ ბაღის დასასრულიდან,
დაბურულ ბაღის...
ჩანდა სიშორე იდუმალი
მომდევნო სახის.
სველი ლირიკა, ვიოლინო
და როიალი...
იდგა საღამო და ისმოდა
ხეთა შრიალი.
მაგონდებოდა თებერვალი
და როგორც მთვრალი,
მიყვარდა უხმოდ, უმიზეზოდ,
შეშლილი ქალი...

***

ანგელოზივით მოდის ხოლმე
ლურჯი დემონი.
ამბობს: ეგ სული მუზაში მომე!
მეც ვფიქრობ, მგონი...
და ფიქრი ცდომილი მუზათა
მშვენი...
მშვენი მაგ ფერის,
დემონი ჩემგან მოწყენით მიდის
და სული მღერის.

პარიზი

თვალები მსუბუქი
ჰაერნოვალისი...
მოვიდა საღამო,
ოცნება, პარიზი.
ამბობდნენ ისინი
ვარდები არისო,
ისმოდა სისინი...
მშვიდობით, პარიზო.
გამყვება მის ფერთა
ცა როგორ მაქსოვდა...
პარიზი შენსავით
მეც დამამახსოვრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

სანთლები ელავდნენ,
ელავდნენ და რადგან
სანთლები ელავდნენ...
    თქვენ გინდათ გვირგვინი
    დედოფლის დაგადგან
    და სულნი ღელავდნენ.

***

ძველი ნაგები
ინდრო მექნი,
ამხანაგებო,
ერთი თქვენგანი
მწყევლიდა, მახსოვს.
ვიწყებდი ღელვას,
ვისროდი ლასოს,
გეძებდით ყველას,
დღესავით მახსოვს.
ცივა და მე თან
დავიწყებ ლოცვას.
ვლამობდი თქვენთან
ყოველდღე მოსვლას.
ცა დამრჩა თქვენგან,
მას თოვლი ვერ ლევს.
სივრცეში ყველგან
მე ვხედავ ვერლენს.

***

სული ცას მოიარს,
რომ ფრენა გაბედოს.
თქვენ უკრავთ როიალს
ყოველთვის ასეთ დროს.
    ყვავილებს მიუტანს
    კალათით მთვარეში.
    მე ვხედავ იუდას
    ამ ფარდის გარეშე...
დაიძრა ხომალდი
და ზღვაა საშიში.
შენს ფიქრებს ამძიმებს
ცისფერი ჰაშიში.
    იღვიძებს მგრეველი —
    ,,ინვინო ვერიტას".
    სალამი, იმ პოეტს.
    ვინც უკრავს ფლეიტას.

მირანდა

არის წამები,
არის გოდება,
ვის ვესალმები?
ვინ მაგონდება?

არის სიჩუმე
ცასთან მტრობაში.
არის ცრემლები
მარტოობაში.
არის სიცივე,
არის ალები...
არის დიდება,
არის თვალები.
    არის დაცემა,
    არის მირანდა...
    სიკვდილიც, ვატყობ,
    დამაგვიანდა.
ყველაფერია,
როცა მტრობაა.
ჩემი მიზანი
მარტოობაა.
    არის ლილია,
    ოპერა მაგე
    და იდილია
    და ლურჯი ბაგე
არის წამები,
არის გოდება,
ვის ვესალმები?
ვინ მაგონდება?

ის ქალი...

მე მახსოვს ოცნება იმ ქალზე,
მთვარეზე, ღამეზე, გრიგალზე.
მაღვიძებს ყოველთვის ის ქალი,
როს გარეთ მარტოა გრიგალის.
    სიზმარი მომართვა ამ ქალმა,
    რომ თითქო წამიღო გრიგალმა.
    წამიღო და გაქრა იმ ქალში,
    ვით თეთრი ფოთლები გრიგალში.
სახელიც არ მახსოვს იმ ქალის,
არც სახე საშინელ გრიგალის...
მე მიყვარს ოცნება იმ ქალზე,
მთვარეზე, ღამეზე გრიგალზე.

ო. ჰენრი

ამაო ეროგზიეობა

მისტერ თაუერს ჩენდლერი თავის უბადრუკ საძინებელში გამოსასვლელ კოსტიუმს იუთოვებდა. სანამ ერთ უთოს პატარა გაზქურაზე აცხელებდა, მეორეს მთელი ძალით უსვამდა შარვალს და გულმოდგინედ ცდილობდა ნაკეცი ლარივით დასტყობოდა ლაკირებული ფეხსაცმლიდან ჟილეტამდე. ჩვენი გმირის ტუალეტის დანარჩენი დეტალები შეიძლება არც კი განვიხილოთ. დანარჩენს თავად წარმოიდგენს ის, ვისაც კეთილშობილი სიღარიბე მსგავსი ცულლუტობისაკენ უბიძგებს ხოლმე. ცოტა ხანში უზადოდ და ნატიფად ჩაცმული ჩენდლერი თავისი იაფფასიანი სასტუმროს კიბეს ჩაუყვა. გარეგნობით ის ნიუ-იორკელ მაღალი წრის ახალგაზრდა კაცს ჰგავდა. მშვიდი, თავდაჯერებული, წარმოსადეგი, ოდნავ სევდიანი სახით დღეს საღამოს საზეიმოდ გასატარებლად მისეირნობდა.

ჩენდლერი ოცდაორი წლის იყო; მისი შემოსავალი კვირაში თვრამეტ დოლარს შეადგენდა. ერთ არქიტექტორთან ოფისში მსახურობდა და არქიტექტურა ჭეშმარიტ ხელოვნებად მიაჩნდა. მართალია, ნიუ-იორკში ამას ვერ გაამჟღავნებდა, მაგრამ გულწრფელად სჯეროდა, რომ ფლეტაირონ ბილდინგის დიზაინი ახლოს ვერ მივიდოდა მილანის დიდებული კათედრალური ტაძრის ხუროთმოძღვრებასთან.

ყოველი კვირის ბოლოს ჩენდლერი თითო დოლარს გადაინახავდა ხოლმე. ათ კვირაში ერთხელ კი ამ დანაზოგით ულმობელი წუთისოფლის მდინარეს რამდენიმე საათს გამოსტაცებდა და ნამდვილი ჯენტლმენის საკადრის საღამოს უწყობდა თავს. მილიონერთა და პრეზიდენტთა რეგალიებში გამოეწყობოდა და ქალაქის იმ უბნისაკენ გაემართებოდა, სადაც ცხოვრება მთელი ბრწყინვალებითა და სიმშვენიერით ჩქეფდა. შემდეგ კი გურმანის გემოვნებითა და განცხრომით სადილობდა. ათი დოლარი საკმარისი იყო იმისთვის, რომ ცოტა ხნით მდიდარი და ხელგაშლილი კაცის ცხოვრება შეეფერებინა. თანხა თავისუფლად ყოფნიდა კარგ სადილს, საუკეთესო ღვინოს, მუნდშტუკს, სიგარას, ეტლით მგზავრობას და სხვა წვრილმანს.

ეს დიდებული, სამოცდაათ ერთფეროვან დღეში გამორჩეული საღამოები ჩენდლერს აბედნიერებდა და ცხოვრებას ულამაზებდა. თუ თმაშევერცხლილი ქალი სიბერეში ტკბილად იხსენებს მხოლოდ იმ წუთებს, საზოგადოებაში პირველად რომ გამოჩნდა, ჩენდლერისათვის ყოველი მეათე კვირის ბოლო საღამო ისეთივე საზეიმო და ამაღელვებელი იყო, ისეთივე მძაფრი შეგრძნებების აღმძვრელი, როგორც თავდაპირველი. პალმების ჩრდილში მოსვენება და იდუმალი მუსიკის მორევში ჩაძირვა, დახვეწილ ადამიანებთან ტრიალი, იქაურ მინიერ სამოთხეს ხშირად რომ სტუმრობდნენ, მათთვის თვალის შევლება და იმის განცდა, რომ თავადაც ყურადღებას იმსახურებს, - განა ამ ციურ ნეტარებას ქალწულის პირველი მაქმანიანი კაბა და სამეჯლისო ცეკვა შეედრება?

ჩასალუქებული ჩენდლერი ბროდვეიზე მიაბიჯებდა. სანიმუშო და თითით საჩვენებელი იყო იმ საღამოს, თავადაც დაჟინებით აცქერდებოდა სხვებს. არ ნაღვლობდა იმას, რომ მომდევნო სამოცდაცხრა დღეს კვლავ შევიოტის კოსტიუმში შემოსილს საეჭვო ტაბლდოტებში თუ სასაუზმე დახლებში უნდა ესადილა, ან სულაც სენდვიჩსა და ლუდს დასჯერებოდა თავის პატარა საძინებელში. სხვა რა გზა ჰქონდა, ის ხომ დიდი ქალაქის ორომტრიალის შვილი იყო. ერთი სადღესასწაულო საღამო დანარჩენ უფერულებს მაინც ჩრდილავდა.

ჩენდლერი არ ჩქარობდა, ნება-ნება მიუყვებოდა სიამოვნების ამ გაბრწყინებულ გზას, რომელსაც, ვინ იცის, უკვე მერამდენე ქუჩა სერავდა. საღამო ის იყო იწყებოდა. რჩეულ საზოგადოებაში ყოფნით სამოცდაათ დღეში ერთხელ ინებივრებდა თავს და, ბუნებრივია, ცდილობდა, ეს ნუგბარი დიდხანს ეტკბარუნებინა. მისკენ მიემართათ ყველანაირი მზერა – თვალებანთებული, დაღვრემილი, ცნობისმოყვარე, აღფრთოვანებული, გამომწვევი, მომხიბვლელი. ჩანს, ჩაცმულობითა და იერსახით ჩენდლერს თავშექცევისა და დროსტარების კაცად მიიჩნევდნენ.

ქუჩის ერთ კუთხეში შეისვენა და დაფიქრდა, უკან ხომ არ გაბრუნებულიყო ცნობილი მოდური რესტორნისკენ, სადაც ჩვეულებრივ განცხრომით სადილობდა ხოლმე. სწორედ ამ დროს ქალიშვილს, მხიარულად რომ ჩაუქროლა გვერდით, მოლიპულ აღმართზე ფეხი დაუსხლტა და ტროტუარზე დაეცა.

ჩენდლერი იმწამსვე მასთან გაჩნდა, წამოდგომა უშველა, თავაზიანობა და ყურადღება არ დააკლო.გოგონა კოჭლობით გაემართა მახლობელი შენობისკენ, მის კედელს მიეყრდნო და დახმარებისათვის უცნობს მოკრძალებით მადლობა გადაუხადა.

“როგორ წავიქეცი”, — თქვა შეწუხებულმა, — “მგონი, ფეხი ვიღრძე”.

“ძალიან გტკივათ”? – შეეკითხა ჩენდლერი.

“მხოლოდ მაშინ, როცა ვეყრდნობი. ვფიქრობ, ორიოდ წუთში სიარულს შევძლებ”.

“ხომ არ შემიძლია კიდევ რამით დაგეხმაროთ? გნებავთ, კებს დავიქირავებ”. – შესთავაზა

ახალგაზრდა კაცმა.

"გმადლობთ". – მიუგო გოგონამ ნაზად და გულწრფელად. – "მეუხერხულება, კიდევ შეგაწუხოთ. საოცარია, რამ დამაგდო, ფეხსაცმლის ქუსლს ვერაფერს დავაბრალებ, საკმაოდ მყარია და არ ირყევა".

ჩენდლერმა გოგონას შეხედა და იმწამსვე იგრძნო, რომ მოიხიბლა. ქალიშვილი მოხდენილობითა და დახვეწილობით გამოირჩეოდა, მხიარული და კეთილი თვალები ჰქონდა. ძალიან ღარიბული, სადა შავი კაბა ეცვა, გამყიდველი გოგონების უნიფორმის მსგავსი. მუქი ყავისფერი მბზინავი თმა კულულებად ჩამოშლოდა უბრალო ჩალის ქუდიდან, რომლის ერთადერთ მოსართავს ხავერდის ბაფთა შეადგენდა. ღირსებით სავსე მშრომელი გოგონას საუკეთესო ნიმუშად შეგეძლოთ მიგეჩნიათ.

უცბად ახალგაზრდა არქიტექტორს თავში ერთმა აზრმა გაუელვა – რა მოხდებოდა, გოგონა რომ მიეპატიჟებინა სადილზე? მის შესანიშნავ საღამოებს, ეულად რომ ატარებდა დროდადრო, სწორედ რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენელი აკლდა. ფუფუნების ხანმოკლე სეანსით მიღებული სიამოვნება გაუორკეცდებოდა, თუ გვერდით ლედიც ეყოლებოდა. ეჭვი არ ეპარებოდა, კარგად აღზრდილ ქალიშვილთან ჰქონდა საქმე, – ამას მისი ქცევა და სიტყვა-პასუხი აფიქრებინებდა. ჩენდლერმა იგრძნო, რომ გოგონას ღარიბული ჩაცმულობის მიუხედავად მასთან ერთ მაგიდასთან ჯდომით სრულ იდილიას შეიქმნიდა.

გადაწყვიტა ქალიშვილისთვის გულისწადილი გაენდო. ამით, რა თქმა უნდა, ეტიკეტს დაარღვევდა, მაგრამ ის ამშვიდებდა, რომ მომსახურე გოგონები ხშირად ასეთ ფორმალობებს ყურადღებას არ აქცევენ. მამაკაცებზე უმეტესად საკუთარი შეხედულებებით მსჯელობენ და უსარგებლო ტრადიციებით არ ხელმძღვანელობენ. ათი დოლარი, თუკი მას გონივრულად გაანაწილებდა, ორ ადამიანს თავისუფლად ეყოფოდა. სადილი უნდა ყოფილიყო ღირსშესანიშნავი, დაუვიწყარი მოვლენა, გოგონას უღიმღამო ცხოვრებას რომ გაახალისებდა. ქალიშვილის მადლიერება კი, ჩენდლერის აზრით, მის სიამოვნებასა და ზეიმს სრულყოფდა.

"ვფიქრობ, ფეხი უფრო მეტხანს უნდა დაასვენოთ, ვიდრე თქვენ გგონიათ". – მიმართა გოგონას გულღიად და სერიოზულად, - "აი, ვცდილობ, ისეთი რამ მოვიფიქრო, ამის საშუალებას რომ მოგცემთ და თქვენს კეთილგანწყობასაც მომიპოვებს. ის იყო, სადილობა დავაპირე, როდესაც კუთხეში წაიქეცით. მინდა გთხოვოთ, სადილზე დამეწვიოთ. წამომყევით, ცოტა ვიბაასოთ, ამასობაში ფეხიც მოგირჩებათ და დარწმუნებული ვარ, სახლამდე მისვლა აღარ გაგიჭირდებათ".

გოგონამ სწრაფად ახედა ჩენდლერის სასიამოვნო გაკრიალებულ სახეს. ჯერ თვალები გაუბრწყინდა, შემდეგ გულღიად გაიღიმა.

"ერთმანეთს რომ არ ვიცნობთ? განა ეს კარგი საქციელი იქნება?" – ყოყმანობდა ქალიშვილი.

"რატომაც არა, რას ხედავთ ამაში ურიგოს?" – მიუგო ახალგაზრდა კაცმა გულწრფელად. — "თუ მხოლოდ ის გაღელვებთ, რომ არ მიცნობთ, ამას ეხლავე გამოვასწორებ. ნება მიბოძეთ, თავი წარმოგიდგინოთ. მისტერ თაუერს ჩენდლერი. ყოველნაირად შევეცდები სადილი სასიამოვნოდ დაგვრჩეს, სადილობის შემდეგ კი, გნებავთ, დაგემშვიდობებით, გნებავთ, სახლამდე მიგაცილებთ".

"ღმერთო ჩემო," — გოგონამ პეწენიკი ჩენდლერი შეათვალიერა. – "ასეთ უბრალო კაბასა და ქუდში რომ ვარ?!"

"მაგისი ნუ გეფიქრებათ". — გაამხნევა ჩენდლერმა. — "მერწმუნეთ, ბევრად მომხიბვლელად გამოიყურებით, ვიდრე საღამოს ტუალეტებში მორთულ-მოკაზმული ქალიშვილები."

"ფეხი ჯერ კიდევ მტკივა", – დაუმატა გოგონამ და შეეცადა კოჭლობით წაედგა ნაბიჯი. "ვფიქრობ, შემოთავაზებაზე უნდა დაგთანხმდეთ, მისტერ ჩენდლერ. შეგიძლიათ მის მერიანი დამიძახოთ".

"წამომყევით, მის მერიან", – გამხიარულებული ახალგაზრდა არქიტექტორი ქალიშვილს დიდი თავაზით ექცეოდა, —"დიდხანს სიარული არ მოგიწევთ. მომდევნო კვარტალშივეა შესანიშნავი, მოდური რესტორანი. მკლავზე დამეყრდენით, – აი, ასე, – და ნელა იარეთ. რომ იცოდეთ, რა მოსაწყენია მარტო სადილობა. გამოგიტყდებით, ცოტა არ იყოს, მიხარია კიდეც, ფეხი რომ დაგისხლტათ ყინულზე".

წყვილი კარგად გაწყობილ მაგიდას მიუჯდა, ოფიციანტი თავს ევლებოდათ და ცდილობდა საუკეთესოდ მომსახურებოდა. ჩენდლერმა ის დიდი სიხარული განიცადა, ჩვეულ საზეიმო გასეირნებაზე რომ დაეუფლებოდა ხოლმე.

რესტორანი არც ისე გამორჩეული იყო. ბროდვეის გაყოლებაზე გაცილებით უკეთესად შეიძლებოდა სადილობაც და დროს გატარებაც. ჩენდლერიც მუდამ იქაურ რესტორნებს ირჩევდა ხოლმე, მაგრამ ახლა შორს წასვლა არ შეეძლოთ. თუმცა აქაურობასაც არა უშავდა. მაგიდებს შეძლებული, დახვეწილი ადამიანები უსხდნენ, ორკესტრი სასიამოვნოდ და ისე წყნარად უკრავდა, კერძო მუსაიფში ხელს არავის უშლიდა, არც სამზარეულოსა და მომსახურებას დაედებოდა წუნი. ღარიბულად ჩაცმულ ქალიშვილს თავი ღირსებით ეჭირა, მის ბუნებრივ თვალტანადობას ეს კიდევ უფრო ამშვენებდა. ჩენდლერის ქცევას, მის ცოცხალ, ანთებულ, გულწრფელ ლურჯ თვალებს გოგონა განსაკუთრებული მზერით აკვირდებოდა, მშვენიერ სახეზე აღტაცება ეტყობოდა.

უცბად ჩენდლერი მანჰეტენისეულმა შეშლილობამ შეიპყრო, ტრაბახისა და თავმოწონების ბაცილა შეეყარა და კოკობზიკობისა და მოჩვენებითობის სენით დაავადდა. ის ხომ იქ იყო, ბროდვეის შუაგულში, სიმდიდრესა და ფუფუნებაში დანთქმული, ყურადღებით გარემოცული. ამ კომედიის სცენაზე მან განიზრახა რამდენიმე საათით განასახიერებინა რჩეული საზოგადოების წევრი, დალხინებული დარდიმანდი. ჩაცმულიც როლის შესაფერისად იყო და ისე აიტაცა ამ სურვილმა, მფარველ ანგელოზებსაც კი არ შესწევდათ ძალა მისთვის ხელი შეეშალათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოჰყვა ჩენდლერი მის მერიანთან უთავბოლო ყბედობას და კვეხნას კლუბებზე, ჩაის სმასა და დარბაზობებზე, გოლფზე, ცხენოსნობასა და ძაღლებზე, კოტილიონსა და საზღვარგარეთულ მოგზაურობებზე. თავი მოიწონა თითქოსდა ლარჩმონტში დაყუდებული იახტით. როცა დაინახა, რომ ცრუპენტელობის ამ კორიანტელით გოგონაზე შთაბეჭდილებას ახდენდა და აბრუებდა, ეშხში შევიდა და ვითომდა თავის დიდძალ სიმდიდრეზე ჩამოუგდო სიტყვა, შემდეგ ერთობ ფამილარულად მოიხსენია რამდენიმე გამოჩენილი პიროვნება, ვის სახელსაც კი დიდი მოწიწებით წარმოთქვამენ უბრალო ადამიანები. ეს ხომ მისი იშვიათ საღამოთაგანი იყო, რომელიც მალე უნდა დამთავრებულიყო და ცდილობდა, მას ყველაფერ საუკეთესოს გამორჩენოდა. თუმცა ერთი-ორჯერ შენიშნა, რომ აღტაცებული ქალიშვილის ოქროსავით მბრწყინავი სახე ეჭვის ნისლმა დაჩრდილა და, ცოტა არ იყოს, ნირი წაუხდა.

"კი, მაგრამ ასეთი ცხოვრება ხომ ფუჭია და უმიზნო", – გაოცდა გოგონა. – "ნუთუ ამ ქვეყნად სხვა საქმე, რამე სამუშაო ვერ ნახეთ, უფრო მეტად რომ გაგიტაცებდათ?"

"ჩემო ძვირფასო მის მერიან", – წამოიძახა ჩენდლერმა, – "აბა რა სამუშაოზე მელაპარაკებით?! განა ნაკლები საქმეა ყოველ დღე სასადილოდ გამოწყობა, შუადღით მეგობრებთან ტელეფონით საუბარი და სტუმრობა, ან კიდევ ყოველ კუთხეში პოლიციელთან შეჯახება, მზად რომაა მანქანაში შემოგიხტეს და უბანში წაგიყვანოს მხოლოდ იმის გამო, რომ სახედარშებმულ ურიკაზე ოდნავ სწრაფად დადიხარ?! მერწმუნეთ, ჩვენ, უმუშევრები ყველაზე მძიმე სამუშაოს ვასრულებთ ამქვეყნად".

სადილი დასრულდა. ჩენდლერმა ოფიციანტი უხვად დაასაჩუქრა და წყვილი ქუჩის იმ ადგილისკენ გაემართა, სადაც ცოტა ხნის წინ შეხვდნენ ერთმანეთს. მის მერიანი უკვე გამართულად დადიოდა, სიკოჭლეს ვეღარც შეამჩნევდით.

"კარგი დრო ვატარეთ, სადილიც შესანიშნავი იყო, მადლობელი ვარ". - თქვა მან გულწრფელად, -"ახლა კი სახლში უნდა გავიქცე, მისტერ ჩენდლერ".

ჩენდლერმა ქალიშვილს ხელი ჩამოართვა, გულიანად გაუღიმა და რაღაც ჩაილაპარაკა კლუბში ბრიჯის თამაშზე. ცოტა ხანს უცქერდა, როგორ მიქროდა გოგონა აღმოსავლეთისკენ, შემდეგ კები იქირავა და სახლისკენ ნელა გაემართა.

გამოყინულ საძინებელში შევიდა, საგარეო ტანსაცმელი გაიხადა და კარადაში სამოცდაცხრა დღით გადაინახა. ჩაფიქრებული შემოტრიალდა.

"ჩინებული გოგო იყო", — ჩაილაპარაკა, — "ყოველმხრივ შემკული, ეჭვი არაა, ლუკმაპურისთვის მსახურობს. ვინ იცის, სიმართლე რომ მეთქვა მისთვის იმ იწილო-ბიწილოს ნაცვლად, იქნებ. . . – მაგრამ ეჰ, ჯანდაბას! ჩემი ჩაცმულობა ხომ უნდა გამემართლებინა".

ჩაილაპარაკა ცრუ ჯენტლმენმა და ფრანტმა, სინამდვილეში კი მანჰეტენში დაბადებულ-აღზრდილმა ერთმა უბრალო კაცმა.

დაშორდა თუ არა ჩენდლერს, გოგონამ აღმოსავლეთისკენ, ქალაქის მეორე ბოლოსკენ მოკურცხლა. ორი კვარტალი გადაირბინა და მალე ერთ მშვენიერ, დიდ მყუდრო სახლთან ამოყო თავი. სახლი სწორედ იმ ავენიუზე იდგა, მამონასა და მის ამალას რომ აერჩია საბრძანებლად. მერიანი შენობის სადარბაზოში შევარდა და კიბე აირბინა. ოთახში უფროსი და დაუხვდა, მდიდრულ საშინაო კაბაში ჩაცმული მშვენიერი ქალიშვილი, აღელვებული ფანჯარაში რომ იცქირებოდა.

"ოჰ, შე ყაჩაღანა"! – წამოიძახა მან დის დანახვაზე. - "როდემდე უნდა გვიხეთქო ასე გული? ორი საათია სადღაც გაქრი ძველ კაბასა და მერის უხეირო ქუდში გამოწყობილი. დედა ისე შეშინდა, შენს საძებნელად ლუისი გამოგზავნა მანქანით. რა თავქარიანი ვინმე ხარ"!

უფროსმა დამ ზარი დარეკა. ოთახში იმწამსვე მოსამსახურე შემოვიდა.

"მერი, უთხარი დედას, რომ მის მერიანი უკვე დაბრუნდა".

"ნუ მიჯავრდები, დაიკო. განა სად მივდიოდი, რომ გამოვპრანჭულიყავი? მკერავთან გავიქეცი. თეოსთვის უნდა მეთქვა მიხაკისფერის ნაცვლად ვარდისფერი გულისპირი ჩაედგა კაბაში. სწორედ შესაფერისად ვიყავი ჩაცმული. დარწმუნებული ვარ, ყველას გამყიდველი გოგო ვეგონე".

"ჩვენ უკვე ვისადილეთ, ძვირფასო, ძალიან დაგაგვიანდა".

"ვიცი. აი, რა შემემთხვა, ქუჩაში დავეცი და ფეხი ვიღრძე. სიარული ვეღარ შევძელი, უახლოეს რესტორნამდე ძლივს მივაღწიე და იქ მოვიცადე, სანამ უკეთ არ ვიგრძენი თავი".

გოგონები ფანჯრის რაფაზე შემოსხდნენ, ავენიუზე მქროლავ მანქანებსა და მათ კაშკაშა სინათლეს დაუწყეს ცქერა. მერიანმა უფროსი დის კალთაში თავი ჩარგო.

"ერთ მშვენიერ დღეს ბედი გვეწვევა და გავთხოვდებით", – თქვა მან, – "ჩვენისთანა მდიდრებს შინაბერობა ნამდვილად არ ემუქრება.გინდა იცოდე, როგორ მამაკაცს ვისურვებდი ცხოვრების თანამგზავრად, დაიკო"?

"აბა, გისმენ". – გაუღიმა დამ.

"მინდა ჩემი გულის რჩეული ლამაზი ლურჯთვალა ჯენტლმენი იყოს, თავაზიანი და კეთილი, უბრალო გოგონებთან არშიყობას რომ არ იკადრებს. ოღონდ უთუოდ მიზანდასახული და შინაარსიანი ცხოვრება უნდა ჰქონდეს, თავისი საქმე და სამუშაო ჰქონდეს. არ დავეძებ მის სიღარიბეს, თუნდაც არა ებადოს რა, ცხოვრების მოწყობაში თავად დავეხმარები.მაგრამ, ეჰ, ძვირფასო დაიკო, განა ასეთი მამაკაცები გვახვევია გარს? მათი უმეტესობა ხომ უმიზნოდ ცხოვრობს, რაუტებსა და კლუბებში უაზროდ ფლანგავს დროს. მათ კი, რა ვქნა, ვერ შევიყვარებ, თუნდ ლურჯი თვალები ჰქონდეთ და გულთბილად ექცეოდნენ ქუჩაში შემთხვევით გაცნობილ ღარიბ გოგონებს".

ინგლისურიდან თარგმნა
მაია ცერცვაძემ



ქართველი ამბასადორი

ვისაც მტკიცობა მოსნყუიდეს...

სანამ ახალშობილნი ჯერ კიდევ ვილიმებით, სანამ სიყვარულის დესპანებად მოვდივართ ამქვეყნად; სანამ ღვარძლსა და მტრობას არ შეუცვლია ჩვენი გულები; სანამ გვიან არაა, იმათ ვუსმინოთ, ვისთვისაც სიყვარული არ მომკვდარა, ვის წინაშეც მუხლი მოუყრია სიკვდილის ანგელოზს, ვინც ისევ გვიხმობს და გვაფრთხილებს:

მე ვარ გზაი...

ჩამოდის ხევად ზოვები,
ვიწრო სავალი გზებისა.
გაუბამ ყინულს ლურჯადა
უბე-კალთები წყლებისა,
მიუნაქრია ერთიან
ჩამონასხლეტნი კლდებისა.

რა გზას მიუყვება ქეთელაური? საით მიჰყავს ატირებული დედა და ცოლ-შვილი?

ავაჰმე, ჩვენო სახ-კარო,
ქვა-ქვაზე აღარ დგებაო.
ციხეზე, ჭერხოს ბოძებზე
ეხლა ყოვები სხდებაო...
ვაჰმე, რა უგზოდ დავდივართ,
ვაჰმე, როგორა ბნელაო!

ნუთუ ალუდასთვის გზა დასრულდა და უგზოობა დაიწყო? იქნებ ალუდასნაირნი საამქვეყნონი არა არიან? იქნებ მათი გზა უფსკრულთან მთავრდება?

ერთხელ მაუნდა ალუდას,
ერთხელ მობრუნვა თავისა...

უკან რა დარჩენია? ყველაფერი, რაც ასულდგმულებდა, რაც უყვარდა, რაც სწამდა; იხედება ალუდა წარსულისკენ, იმ ალუდასკენ, საფიხვნოს თავში რომ დამჯდარა, მოყვარეს „გზიანი სიტყვით“ რომ ეგებება, მტერს – მახვილით, და ცხოვრებაც ჩვეული წესრიგით მიდის; მამა-პაპათაგან დადგენილი ადათ-წესები საიმედოდ იცავს ყველას. ამ წესებზე იზრდებიან ბავშვები, ამ წესებს იცავენ ახალგაზრდები, ამ წესით სჯიან უხუცესნი. ეს წესი სისხლის უწყვეტ ნაკადს მიჰყვება თაობიდან თაობაში – ყველაფერი დღესავით ნათელია, გარკვეულია, სავალი გზებიც გაკვალულია. მაშ რატომ?... მაშ, ვინ არის ეს ალუდა, რომელიც იმ ალუდას შესცქერის, საფიხვნოს თავს რომ დამჯდარა და სახლის ჭერხოზე მტრის უთვალავი მარჯვენა მიუკრავს! რა უნდა?...

* * *

ნიკოდიმოსი, ურიათა მოძღვარი, ღამით – ბნელში, იესოსთან შესახვედრად მიდის. ნიკოდიმოსი ფარისეველია. იმ სკოლის წარმომადგენელი, რომლის მიზანი ადამიანის სულიერი ნაკადის დაკავშირებაა მისივე სისხლისმიერი განვითარების ნაკადთან. განვითარების სისხლისმიერი გზა მიუძღვება ადამიანებს უკან, იმ წმინდა საფლავებისკენ, სადაც შესაძლებელი იყო, აბრაამს ღმერთი გამოსცხადებოდა. ესაა ღმერთთან შეხვედრა, ოღონდ უკან, დაბადებისკენ. დიდი მოწიწებით მიეახლება ფარისეველთა მოძღვარი იესოს: — რაბი, უწყით, რამეთუ ღმრთისა მიერ მოსრულ ხარ მოძღვრად! იესო კი დაბადების მისტერიაზე ელაპარაკება:

— ამინ გეტყვი შენ, უკეთუ ვინმე არა იშვას მეორედ, ვერ ხელეწიფების ხილვად სასუფეველი ცათა. ნიკოდიმოსს არ ესმის... მისთვის დაბადება დროში უკუსვლაა, წინა დაბადებაა, ან კვლავ დედის საშოში დაბრუნება და ისევ შობა?!

— შობილი იგი ხორცთაგან ხორცი არს; და შობილი იგი სულისაგან სული არს. ნუ გიკვირნ...

ნიკოდიმოსს, მოძღვარს ისრაილისას, უკვირს... ვითარ შესაძლებელ არს ესე? რა არის ის, სულისაგან შობილი, რომელიც არ უწყინ, საით ვალს, რომელიც არ მიჰყვება მოსეს მიერ დადგენილ კანონებს, რომელიც არ მისდევს აბრაამიდან მომავალ სისხლის ნაკადს, არ მისდევს მრავალთა ხმას და ახალ, შეუცნობელ გზებს კვალავს. რაი არს?

სულსა ვიდრეცა უნებნ, ჰქრინ და ხმა მისი გესმის, არამედ არა იცი, ვინ მოვალს და ვიდრე ჰვალს; ესრეთ არს ყოველი შობილი სულისაგან. ნიკოდიმოსს, მოძღვარს ისრაელისას, უკვირს!

* * *

მაცნე მოიდა შატილსა:
ქისტებმა მოგვცეს ზიანი...

ალუდა მტერთან შესახვედრად მიდის. ბრძოლაც შეხვედრაა, ოღონდ თავისი ენა და კანონები აქვს. ღირსეულს შეებრძოლები თუ უღირსს? შედგება შეხვედრა თუ ვერა? ალუდასთვის ბრძოლა არა მარტო ცხოვრების წესი, ბედისწერაა — სისხლი უნდა დაიღვაროს, მოწინააღმდეგის ცოდვილი სისხლი. ამ სისხლზე და მოჭრილ მარჯვენაზე — დამარცხებული მტრის ცოცხალ ხატზე – თაობები უნდა გაიზარდონ. ახალშობილის ახელილი თვალი დამარცხებული მტრის მოკვეთილ მარჯვენას უნდა შესცქეროდეს. ქისტი ურჯულო ძაღლივით უნდა მოკვდეს, მის სხეულს ყვავ-ყორნები უნდა ჯიჯგნიდნენ, მისი სული დაუმარხავ სხეულთან უნდა დაწრიალებდეს. ეს თემისა და შენი ღმერთის საკურთხეველზე მიტანილი სისხლია. ამ სისხლზე მხოლოდ შენ არ აგებ პასუხს, თემს ეკუთვნის, მთელი თემის პასუხისმგებლობაა. ალუდა საბრძოლველად მიდის:

ცისკრის ხანია, მტერს მისდევს
კლდის შავარდენი ჩქარიო.
გათენებისას ჭიუხში
შურთხმა დარეკა ზარიო,
ძაღლებს კი სძინავ თეოზე,
ჯერ არ გაშლილა ცხვარიო.

აგერ ქისტების ნავალიც, აგერ ისინიც. შორს არიან, ხმლით ვერ მისწვდება.

ერთ ქურდ-კანტალას ღილღველსა
ცუდი დაუდგა წამიო...

ალუდას ტყვია მიზანს ხვდება. ჩვენს თვალწინ ქურდ-კანტალა ღილღველის ხატია: ასეთები არიან, ვაჟკაცები არა – ქურდ-კანტალები. მისი ამხანაგი კი – ალუდამ ჯერ არ იცის, ვის ერკინება. მალე მუცალის თოფი იჭექებს და მისი ხმაც გვესმის:

— **არა გჭირსაა, რჯულ-ძაღლო?!**

შერკინება იწყება. ორი ვაჟკაცის ურთიერთგაპაექრება სიტყვით თუ ტყვიით:

— **ნუ გგონავ, მჭირდეს რჯულ-ძაღლო,**
ყმასა გუდანის ჯვრისასა.
ხმა ალუდაის თოფისა
ჭეხასა ჰგვანდა ცისასა.

ბრძოლა, დიალოგი და სიკვდილთან თამაში. ორივე სიკვდილს უცქერის თვალებში... არც ერთი სიტყვა, არც ერთი ყალბი ჟესტი. სიკვდილი არ არსებობს, არსებობს უარესი – მარცხი. თამაში სიცოცხლეა, თამაში ახლის, მყისიერის დაბადებაა, წამყოფაა. სადაც წამყოფაა, იქ ახალი შესაქმეა. ტყვიებისა და კლდის ნასხლეტთა ჭახაჭუხში არც სიტყვა იკარგება. აკი ალუდას სიტყვა მაუდის „გზიანი". ეტყობა, მუცალსაც „მაუდის":

— **არ მოგხვდაუა, რჯულ-ძაღლო?** —
ისევ ეძახის იმასა.
— **მუცალს არა სჭირს რჯულ-ძაღლო,**
ნამტვრევს მაშლიდა კლდიანსა...
— **ოჰო, ქუდ გაუხვრეტია, წვერებსა**
სტუსავს თმისასა.
— **მაღლა დაგიცდა, ბეჩავო,კენჩხას არა**
სჭირს ძვლისასა.

სიკვდილი ცეკვავს მათ გარშემო. ხან წვერს უტუსავს, ხან თოფის საპირისწამლეს ჩამოშლის. ბრძოლა თანდათან ხელდება;

— **არც ახლა გჭირსა, რჯულ-ძაღლო?**
— **ზედაც დაჰვედრებს იმასა.**

ეს გახელებული მუცალია.

— **არა სჭირს, არა, რჯულ-ძაღლო,**
ყმასა გუდანის ჯვრისასა,
გამმარჯვედ ჯვარი დაჰყვების,
ძალს შაახვეწებს ღვთისასა.

ორივე ერთმანეთის რჯულს ახსენებს, ერთმანეთისთვის რჯულძაღლნი არიან – რჯულით სხვადასხვანი. ერთ-ერთის გამარჯვება მათი ღმერთის გამარჯვებაცაა. შატილიონის ნასროლი ქისტს უმტვრევს გულის ფიცარსა.

— **გულში მჭირს, გულში, რჯულ-**
ძაღლო,
ვაჰ, ცდასა მუცალისასა!

ბოლო გაბრძოლება? არა, სიკვდილთან შერკინება! მუცალი მოკვდება, მაგრამ არ დამარცხდება, შიშის ფერი არ დაედება.

მუცალს არ სწადის სიკვდილი,
ფერს არა ჰკარგავს მგლისასა...
ერთიც ესროლა ალუდას,
ხანს არა ჰკარგავს ცდისასა.

თამაში მთავრდება, როგორც არაერთხელ დამთავრებულა – დამარცხებული უნდა დამარცხდეს, გამარჯვებულმა გამარჯვების რიტუალი შეასრულოს! საცაა ბედისწერა ფარდას ჩამოუშვებს და... უეცრად, მუცალის უკანასკნელი ჟესტი:

თოფიც ალუდას გადუგდო,
ერთს კიდევ ეტყვის სიტყვასა:
— **ეხლა შენ იყოს, რჯულ-ძაღლო,**
ხელს არ ჩავარდეს სხვისასა,
სიტყვა გაუშრა პირზედა,
დაბლა გაერთხა მიწასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაში წამყოფაა, თამაში ახლის დაბადებაა... ბედისწერის ბორბალი უკუღმა დატრიალდა, ყველა ჩარჩო და ზღვარი გაქრა, როლები ერთმანეთში აირია. ვინ გამარჯვებულია და ვინ დამარცხებული? რომელია დაჭრილი და სულთმობრძავი, მუცალი თუ მუცალთან დაჩოქილი ალუდა? მუცალი ესალმება სიცოცხლეს, თუ ალუდა ეთხოვება მისთვის განუყოფელსა და ძვირფასს? რატომ შეტრიალდა სამყარო? მუცალი მტერია, თუ ძმაზე ძვირფასი? ურჯულოა, თუ ქრისტიანი? რა სასწაული მოხდა? – მუცალი მოკვდა თუ მეორედ იშვა, დაიბადა და ახლად შობილი გაშორდა წუთისოფელს? მტრის ცხედართან დახრილს რად უგლეჯს გულს ყოვლისწამლეკავი ტკივილის განცდა? და ალუდა ქეთელაური, მტრის რისხვა, ქისტებთან ბრძოლაში გამობრძმედილი, ტირის!

ალუდა იმ დღეს არც მხოლოდ ქისტს შეხვედრია, არც მხოლოდ მტერს, არც მხოლოდ კაი ყმას, ალუდა იმას შეხვდა, რაც ადამიანში ადამიანზე მეტია, რასაც სიკვდილი ვერ შეეხება, რაც სიცოცხლისკენ მე-ს გამოიხმობს და ახლიდან გშობს. მეორედ შობის მისტერია აღსრულდა და ბედისწერასთან შერკინების დრო დადგა –ალუდამ მტერი შეიცოდა!

* * *

„რაკიღა ყველა საგანში მტრობაა ჩაბუდებული, ბრძენკაცის სული საგნებზე ცეცხლის ალივით უნდა ამაღლდეს და მტრობა ჰარმონიად გარდასახოს“.

ჰერაკლიტეს ამ ნათქვამს კაცობრიობის განვითარების სათავეებთან მივყავართ.

მამა ღმერთის სამყარო, ცოდვათდაცემა, კაცობრიობის პირველი ნაბიჯები, დედამიწაზე კაცის მიერ ჩადენილი პირველი ცოდვა – კაენ, სად არის ძმა შენი? – პირველი უცოდველი სისხლი და კაცთა მოდგმის ორ ნაწილად გაყოფა – კაენისა და აბელის მოდგმად. მტრობისა და სისხლის ნაკადი ამ ორ მოდგმას შორის – ერთი კაცის ცოდვა კი არა, მთელი მოდგმის ცოდვა; ერთი კაცის პასუხისმგებლობა კი არა, საზოგადოების, თემის, გვარის პასუხისმგებლობა.

აქედან ტრადიციები – სამშვინველის მიერ მიწიერი ცხოვრებისათვის გამონახული ფორმა. მრავალი საუკუნე გავა, სანამ მოვიდოდეს ძე ღვთისა, საკუთარ თავზე აიღებდეს პირველცოდვას და პრომეთეს ჩირაღდანს გვაჩუქებდეს, რადგან პრომეთემ სწორედ შემოქმედებითი ცეცხლი — თავისუფლების შესაძლებლობა მოუტანა ადამიანებს.

გოლგოთის მისტერია – ისევ დაიღვარა უცოდველი სისხლი, ოღონდ ამჯერად სიყვარულმა გაიმარჯვა – კაენს ეპატია. ამჯერად სიყვარულმა გამოისყიდა ცოდვა, მთელ კაცობრიობას რომ აწვა და თაობებში სისხლით გადადიოდა. ამიერიდან ადამიანი თავისუფალია. ადამიანს უფლება აქვს, ჰქონდეს საკუთარი, პირადი შეცდომა, და არა სულიერი სამყაროდან წამოსული ცოდვა. ადამიანს ეძლევა პატიების უფლებაც; კაცობრიობამ შეაბიჯა განვითარების ახალ სფეროში. ეს გარდაქმნისა და შემოქმედების, პიროვნების „კრიზისისა“ და ბედისწერასთან „თამაშის“ სფეროა. პიროვნებამ, მომავლის არსებამ, ძველი, სისხლისმიერი მორალი უნდა შეცვალოს ახალი, საკუთარი მორალით, რაც მორალის სრულყოფას მოითხოვს. იქამდე კი ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი: ცოდვის, მონანიების, მტრობის, მიტევების, — საკუთარი ბედისწერის გზა. მამა-პაპათა დადგენილი ადათ-წესების რღვევა საზოგადოებისთვის ყოველთვის მტკივნეულია, გაუგებარია. ამ ადათ-წესებს ყოველთვის ერთეულები არღვევენ. ერთეულები ქმნიან კაცობრიობის ახალ ბედისწერას, მაგრამ ეს ერთეულები არიან პასუხისმგებელნი კაცობრიობისა და სამყაროს წინაშე.

* * *

მე ვარ ჭეშმარიტებაი...

ალუდას თოფი არ უნდა,
ატირდა როგორც ქალიო;
არ აჰყრის იარაღებსა,
არ ეხარბება თვალიო...
მარჯვენას არ სჭრის მუცალსა,
იტყოდა: ცოდვა არიო;
(ალუდამ მტერი შეიცოდა)
ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო.
(მუცალი ალუდასთვის ცხონებულია):
შენ ხელ შენს გულზედ დამიწდეს,
ნუმც ხარობს ქავის კარიო.
(ვაჟკაცს ვერ შეურაცხყოფს, პატივაყრილს ვერ გაუშვებს სულეთის გზაზე).
კარგი გყოლია გამდელი,
ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარიო!
(მისი გვარი ალუდასთვის უკვე აღარაა ქურდ-კანტალა ღილღველთა გვარი; ეს ღვთისგან დალოცვილი და დღეგრძელი ვაჟკაცთა მოდგმაა).

ალუდა შატილს ბრუნდება. უკანა გზა შატილამდე – ათასწლოვანი, ნაჩვევი და საუკუნეებგამოვლილი, არხოტის წყალივით მიდის, მიედინება შთამომავალთა ძარღვებში. ის მძაფრი ხატ-სახეები, რაც ალუდას თვალწინ ჩაივლის, თემისა და გვარის მთელი ისტორიაა:

ვისაც მტერობა მასწყურდეს,
გააღოს სახლის კარია,
სისხლ დაიგუბოს კერაში,
თვითანაც შიგვე მდგარია.
ღვინოდაც ამას დაჰლევდეს,

პურადაც მოსახმარია.
პირჯვარი დაიწეროდის,
მითამ საყდარში არია.
სისხლშია ჰქონდეს ქორწილი,
იქ დაიწეროს ჯვარია,
დაიპატიჟოს სტუმრები,
დაამწკრიოდეს ჯარია.
სისხლში დაიგოს ლოგინი,
გვერდს დაიწვინოს ცალია.
ბევრი იყოლოს შვილები,
ბევრი ვაჟი და ქალია;
იქვე საფლავი გათხაროს,
იქ დაიმარხოს მკვდარია.
შენ რო სხვა მაჰკლა, შენც მოგკვლენ,
მკვლელს არ შაარჩენს გვარია.

შურისძიების სისხლში ჩამხრჩვალი ცხოვრება უწყვეტ ნაკადად მიედინება და, სანამ ახლიდან არ იშვები, შენი ცხოვრებაა, შენი წესი და რიგია, შენი გზაა. მიდის სულიერად ფერნაცვალი ალუდა, თვალწინ სისხლიანი ხატ-სახეები უტრიალებს. შატილიონნი კი თავის გმირს ელიან. ქალი და რძალი ბანზე გადამდგარა, დიდ-პატარა შეკრებილა. ალუდა უნდა წარდგეს უხუცესთა წინაშე და ყველაფერს პირუთვნელად მოჰყვეს. ალუდაც გულწრფელად ჰყვება, რაც ნახა და განიცადა. ხევისბერი და მთელი თემი უსმენს – ახლა მათაც უნდა განიცადონ იგივე, ისინიც უნდა ეზიარონ ჭეშმარიტებას –„იმ ცხონებულსა მუცალსა" (შობილი სულისაგან სული არს...) – და უშიშას მყისიერი რეაქცია

— რას ამბობ, ქისტის ცხონება
არ დაწერილა რჯულადა.

უშიშას, ხევსურთა უხუცესს, უკვირს: „ვითარ შესაძლებელ არს ესე?" ალუდას ახლახან ნანახი და განცდილი აწვალებს. მწველი კითხვა უშანთავს გულ-გვამს: თურმე აქამდე ბრმა იყავ, ღირსეული გეგონა თავი და უღირსად გიცხოვრია, რისიც გჯეროდა და პატივს სცემდი, მცდარი ყოფილა:

„ჩვენ ვიტყვით კაცნი ჩვენა ვართ,
მარტო ჩვენ გვზდიან დედანი".

(დედა ყველასთვის წმიდათა-წმიდაა),

ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ
კუპრში მოელის ქშენანი.

(ცხონება რომელიმე რჯულის საკუთრება არაა, პირადად ერთის გზაა და ფუჭია თავის დამშვიდება, თითქოს მხოლოდ ხევსურთა ხვედრი იყოს. უკვდავება ვერც ხევსურებს ექნებათ მოზომილი და ვერც ქისტებს. უკვდავებას თავისი კანონები აქვს, უკვდავება ვერავისი საკუთრება ვერ გახდება).

ამის თქმით ვწარა-მარაობთ,
ღვთიშვილთ უკეთეს იციან.
ყველანი მართალს ამბობენ
განა, ვინაცა ჰფიციან?!

ღვთისშვილთა ჭეშმარიტება განსხვავდება აქაური სიმართლისაგან. ალუდას არსებაში სინათლემ (კითხვამ) შეაღწია და ბნელი გაანათა. ქეთელაურისთვის ამიერიდან ვაჟკაცობას სხვა დატვირთვა აქვს, სხვა ფერი აძევს. ვაჟკაცობა ისაა, რაც შენში მე-ს გამოიხმობს და ღვთიშვილთა კანონებს გაზიარებს.

ხევსურთა ახალ-უხლები
გადაიქციან ტყემლადა...
"მოკვდი, სიკვდილი გირჩევნავ,
რა ხარ სიცრუის მთქმელადა.

ვინ გაიგოს სადაა სიმართლე? ალუდას იმათი ფიცისა აღარ სჯერა, ამათთვის კი ალუდას ნათქვამი მტკნარი სიცრუეა და მხოლოდ ერთი ლოგიკური ახსნა აქვს:

გამოქცევიხარ ქისტიშვილს,
გადუქცევიხარ ქალადა.

თუმცა მათშიც დატრიალდა კითხვა:

მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ,
უკვენ მისდევდი მა რადა?!

და მოუთმენლად ელიან ჭეშმარიტების დასადგენად წასულ მინდიას.

ქეთელაურს კი ხილვები არ აძლევენ მოსვენებას: დაუმარხავი, ყორნებისაგან დაჯიჯგნილი მუცალი იმ ქვეყნად ვერ წასულა. ეტყობა, მხოლოდ ალუდას ძალისხმევა არ კმარა, ეტყობა ძნელია სისხლით შეკრული ჯაჭვის გაგლეჯა, ხევსურთა ადათ-წესი ზღუდესავით აღმართულა საიქიოსკენ მიმავალ გზაზე. მოკლული ალუდას საყვედურობს:

თქვენ დაგრჩეს წუთისოფელი,
მე კი წავიდე ქვეყნითა,
დაძეღით, ხევსურთ შვილებო,
ლაშქრობით, ხმლების ქნევითა.

ხევსურთ შვილებიც ძღებიან, ვერ ატყობენ რა ცოდვა-ბრალში უდგათ ფეხი. ალუდას კაცის ხორცის წვნიანს უდგამენ წინ:

"ჭამეო, — რამამ მიძახა,
ნუ ჰხდები გაშტერებული:
კიდევ მიმირთვით ალუდას
წვენ-ხორცი გაცხელებული".

ქვესკნელის ძალნი ხომ არ დაპატრონებიან ხევსურთა ადათ-წესებს და თვალებს უბამენ, რომ ნათელი არ იხილონ? შობილი ხორცისაგან ხორცი არს... სულიერ სფეროში ხომ მუდმივი ბრძოლაა ძველსა და ახალს შორის. ის, რაც კაცობრიობის განვითარების გარკვეული დროისთვის სიკეთე იყო, ახლა უკეთური ძალის იარაღად ქცეულა.

* * *

თენდება, ხევსურნი მინდიას ელიან.

ვინ მოდის წითლის ცხენითა,
გამაიარა წყალია?

წითელი შუასკნელის, ამქვეყნიურის ფერია. მინდია (და სხვა არავინ), თავად ვაჟკაცი, ასე ადვილად რომ ვერ იტყვის ვაჟკაცის აუგს, სამართლიანობის აღსადგენად მიდის და...

მარჯვენას სჭრის მუცალს! წითელ ცხენზე ამხედრებული მინდია ვერ ჩასწვდება ჭეშმარიტებას, თუმცა არ განსჯის მას და ალუდას განდევნის ჟამსაც მხოლოდ მას აუწყლიანდება თვალები. წითელი ქვესკნელის ძალას არ ემორჩილება, მაგრამ ვერც ზესკნელისა გაუგია. მათში სწორედ ალუდასნაირების სიმართლის შუქმა უნდა შეაღწიოს.

— მოხველ მშვიდობით! – მინდიას
ხევსურთა შაუძრახნიან.
— რა მაიტანე ამბავი?
– შორითვე დაუძახიან.

მინდია ჩქარობს სიმართლის დამტკიცებას. გულადუღებული საყვედურობს ხევსურთ:

— ადვილ ვერ იცნობთ ვაჟკაცსა
მის ვაჟკაცურის რჯულითა!..
ხელი ალუდას მიართვის:
წაიღ, მიაკარ ქავადა!

სამართლიანობა აღდგენილია. საცაა, ცოტა არ იყოს, შერცხვენილნი და გაოცებულნი ხევსურნი ხელს ჩაიქნევენ და დაიშლებიან – სამართალმა პური ჭამა! მაგრამ ალუდას გულში გრძნობები დუღს და გადმოდუღს:

ვერ გიქნავ კარგად, მინდიავ,
საქმე მოგირთავ ავადა.

ალუდა, ალბათ, ადათ-წესების გაბიაბრუებას ცდილობს უკვე სინანულ-შეპარულ ხევსურთა თვალწინ, თორემ ყველამ კარგად იცის, რომ მტრის მარჯვენა ვერც სათიბს მოთიბს და ვერც ფარად გამოდგება ბრძოლაში. თანაც, მხოლოდ მინდიას მიმართავს, დანარჩენებთან თითქოს ურთიერთობის ძაფი გასწყვეტოდეს, თითქოს ისინიც მისიანნი არ იყვნენ:

რაად სწყრებიან ხევსურნი,
რაად ტყვრებიან ჯავრითა?!
მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვსჭრი
მარჯვენს მაგათ ჯაბრითა!
"წესი არა არის მტრის მოკვლა,
თუ ხელ არ მასჭერ დანითა".
ვაი ეგეთას სამართალს,
მონათლულს ცოდვა-ბრალითა!

მაშ, ხევსურებს ცოდვა-ბრალიანი სამართალი აქვთ? კაცის წვნიანი უდევთ და საღმრთო პური ჰგონიათ? სისხლს სვამენ და ზიარების ღვინო ჰგონიათ? სისხლშივე იწერენ ჯვარს და ქორწილი ჰგონიათ? სადაა სამართალი? აკი ერთადერთი იყო? შესაძლებელია ორი სიმართლე არსებობდეს? ალუდა და ხევსურნი უკვე სხვადასხვა ნაპირას დგანან, ერთმანეთს უნდოდ, გულისწყრომით შესცქერიან. მათ შორის ქისტის მოჭრილი მარჯვენაა, ნუთუ ამ მარჯვენამ უფსკრული უნდა დაბადოს?

* * *

ჟამი მოვიდა საუფლო.
ხალხი ხატობას დიოდა.

ხატობაა, გუდანის ჯვრის დღეობა. ხევისბერთან სამსხვერპლო საქონელი მოჰყავთ. მოქუჩდა ქალი და კაცი სახვეწრით, ცხვრით და ხარითა. სამსხვერპლო პირველად დაღვრილი უცოდველი სისხლის სიმბოლოა, რაც მერე ძე ღვთისას უცოდველი სისხლით იქნა გამოსყიდული გოლგოთაზე. ხატობის ჩვეული სურათი გარსმოჯარული ხალხით, სამსხვერპლოზე მოყვანილი ცხოველებითა და ხანჯალმომარჯვებული ხევისბერით. ამ ჩვეული სურათის ფონზე ალუდას უჩვეულო, ფერნაცვალი ხატი.

ეს ვინღა მოდგა, ნისლივით?

გაოცება, კითხვა – ნუთუ ალუდაა? სახტად დარჩენილნი შესცქერიან მის გაუცხოებულ, არაამქვეყნიურ სახეს – ალუდა კი არ მოვიდა, ნისლივით მოდგა.

— ვის ამწყალობნებ, ალუდავ,
ამა კურატით შავითა? —
ჰკითხავს ალუდას ხუცესი
გადაწეულის მკლავითა...
კარგი ყმა უყვარს ბატონსა,
წყალობა ემეტებისა...
მითხარ სახელი, ვის სწირავ,
იმასამც შაეწირება.
ხანჯარს აიძრობს, დიდების
სათქმელად დაეღირება.

რიტუალის შესასრულებლად შემართული ხევისბერი და ალუდას გაუცხოებული, ნისლით მოცული ხატი.

— ეგ სამხვეწროა, ბერდიავ,
ძოღან მოკლულის ქისტისა.
მუცალს ეტყოდენ სახელად,
მაუნათლავის შვილისა.
კარგადაც დამიწყალობნე,
გამიმეტებავ მისთვინა...

ვერც უხუცესებმა გაუგეს მინდიას და ვერც ახალ-უხლებმა, იქნებ ხევისბერმა, ღმერთთან ახლოს მყოფმა, შეისმინოს გაუგონარი და აღასრულოს საღმრთო რიტუალი? იქნება ზღვარი გაქრეს? იქნება ამითი სხვებმაც დაინახონ, რომ საღვთო კანონი, რჯულის მიუხედავად, ყველასთვის ერთია, რომ სწორედ ესაა ღვთის ნება. მიუგო იესო და ჰრქუა: შენ ხარ მოძღვარი ისრაელისა და ესე არა იცია?

მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავს ალუდას სათხოვარი. ჰაერშივე შეშდება ხევისბერის ღვთის სადიდებლად აღმართული ხელი. რა უთხრას, რა მოიმხროს?

— გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ,
ურჯულოვდები მაგითა!

ვაითუ, ეშმაკს ხევისბერის ცთუნება განუზრახავს?

როგორ ვახვეწო უფალსა
ძაღლი, ძაღლების ჯიშისა,

მანამ სჯობს ცანი დამექცნენ,
სადილი ვსჭამო ქვიშისა!
ფერი ედება ბერდიას,
ფერი სხვა-რიგის შიშისა.

შეძრწუნებული, შეშინებული ბერდია – როგორ დაიცვას ქრისტეს სჯული ეშმაკისაგან? სინამდვილეში კი ეს სწორედ იმ უცნაურისა და შეუცნობელის შიშია, სინათლისა და სიყვარულისკენ რომ გიხმობს და იმაზე მეტს გთხოვს, ვიდრე ღვთისავე სახელით ღვთის სჯულის დაცვაა. სამყარო შავთეთრია. მტყუან-მართალთა ეზოში სხვა მზე ანათებს და ამიტომ, რაც არ უნდა დაამუნათოს ქეთელაურმა:

— ყმა ვარ მეც გუდანის ჯვრისა,
ხევსური თქვენის წყლისაო,
მითამ ერთნი ვართ, ბერდიავ,
მცხოვრებნი ერთის მთისაო.

ბერდიასთვის იგი ეშმაკეულია, ბნელი ძალით შეპყრობილია. ალუდა ცდილობს ის ჭეშმარიტება დაანახოს, რაც ამ წუთში მასში აღმოცენებულა, მასში ანათებს. ცდილობს თავისი სიმართლე აჩვენოს და იმათ ენაზე გამოთქვას, ვისთვისაც ძველი, ცხოვრებისეული კანონები უცვლელი ჭეშმარიტებაა –

მითამ ერთნი ვართ, ბერდიავ...

და იტყოდნენ მრავალნი მათგანნი, ეშმაკეულ არს და ჰცბის: რასა ისმენთ მისა?

* * *

მწიგნობართა და ფარისეველთა მოიყვანეს მისა დედაკაცი, რომელიც ცხადად ერსა ზედა დაეპყრა მრუშებასა და დაადგინეს იგი შორის... და ჰრქუეს: მოსე ამცნო სჯულსა შინა ჩუენსა ესევითარი ქუის დაკრებაი და შენ უკუე რასა იტყვი? – ფარისეველთა და მწიგნობართა იესოსთან მიჰყავთ ქალი, რომელი ერსა ზედა დაეპყრა მრუშებას," რათა განსაჯოს მან. მათი ცხოვრების წესის მიხედვით ქალი უნდა ჩაიქოლოს, რას იტყვის იესო? მამა-პაპათა წესიც ცხადზე-ცხადია და დანაშაულიც. სიმართლე მათ მხარესაა. წრედ შეკრულან ცოდვილის გარშემო. შუაში ისაა, შუაში სიკვდილია და უნდა იხილონ თვალით ეს სიკვდილი, რომ შემდეგ აღარავინ სცოდოს — წინაპართა სჯულს თუ გადახვალ, დაისჯები!

მოსულან იესოსთან ფარისეველნი და მწიგნობარნი და ეკითხებიან: შენ ვითარ იტყვი? რა უდევთ გულში, რატომ მოვიდნენ, იესოს გამოცდა სურთ თუ ძველ ადათწესებში შეეპარათ ეჭვი? შუაში ქალია, ცოდვის ხატი, რომელიც სიკვდილის ხატად უნდა იქცეს მათ თვალწინ, მათი ბავშვების თვალწინ! რისხვა, ეჭვი, მოლოდინი და... იესო პასუხობს — იესო იმ სინათლეს მიმართავს, საიდანაც იშვა თითოეული მათგანი, რაც მათშია და თუ არ შეშინდებიან და თვალს გაუსწორებენ, ცოცხალ სიტყვად იქცევა. სინათლე შენშია, შენ თავად შეგიძლია იყო პიროვნება, თავად შეგიძლია მიუტევო, თავად შეგიძლია იყო ავტორიტეტი, თავად შეგიძლია შექმნა მორალი! დადექ მცირე ხნით საკუთარი თავის წინაშე, ჰკითხე საკუთარ მეს. იესო არ მოძღვრავს არავის, იესო მხოლოდ საკუთარი სინდისის-სინათლის წინაშე აყენებს თითოეულ მათგანს: — ვინ უცოდველი არს თქვენგანნი, პირველმან დაუტეევენ ქვაი მაგასა ზედა, — იესო არ განსჯის, არც მოძღვრავს, რათა მათ თავით თვისით, ნათლითა თვისით!.. ხოლო მათ ვითარცა ესმა (მათ ისმინეს იესოსი), მხილებულნი სვინდისისაგან, განცლიდეს თითო, იწყეს მოხუცებულთაგან... ეს იყო იმ დროს, როცა ძე ღვთისა ჯერ კიდევ არ შესდგომოდა გოლგოთას და იცოდა, რომ შემდეგშიც გაუჭირდება ადამიანს ნათელში ყოფნა, შეშინდება, მრავალჯერ ეცდება მისგან გაქცევას, თავს გაიმართლებს და იტყვის, რომ წარსული უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის სინათლე, რაც მასშია. — მე ვარ ნათელი სოფლისა, რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხოვრებისა.

რამდენი საუკუნე გაივლის, სანამ ადამის ძე იტყოდეს: მე ვარ ნათელი სოფლისა...

— ზღვენსა ნუ გამიმსუბუქებ,
მადლი თუ გწყალობს ღვთისაო...
— ტყუილად სცდები, ალუდავ,
ტყუილად იცვეთ პირსაო...

ალუდა თვითონ აღასრულებს მსხვერპლშეწირვის რიტუალს ხატობაზე შეყრილი ხალხის თვალწინ – ალუდა თავად ქმნის მორალს:

— უქნივა მოზვერს ქედზედა,
თავი მიგორავს ძირსაო.
თან შაეხვეწა ბატონსა,
ნუ შამიცოდებ შვილსაო,
ალლადა ჰქონდეს მუცალსა,
მაგ მოუნათლავ გმირსაო.

პირველი რიტუალი – მუცალის დატირება – კაცის წინაშე შესრულებული რიტუალი იყო. მეორე რიტუალი უკვე ღვთის წინაშე უნდა აღსრულდეს! სიზმრის შემდეგ ალუდა ხვდება, რომ შუა გზაზე ვერ მიატოვებს მუცალის სულს. მუცალი უნდა გარდაიცვალოს, ამიტომ თავად საჯაროდ აღასრულებს მსხვერპლშეწირვის რიტუალს:

— ალლადა ჰქონდეს მუცალსა,
მაგ მოუნათლავ გმირსაო!

მტრის მარჯვენის მოუჭრელობა ასე თუ ისე მოითმინეს ხევსურებმა, წმიდათაწმიდა, საიდუმლო რიტუალის ხელყოფა კი მკაცრად ისჯება.

ბერდია ჯაგარაშლილი
ხალხისკე იზამს პირსაო.

— გაგონილაა, — იძახდა,
— ასრე აგდება რჯულისა,
ხალხო, მინდარის გავიგო
პასუხი თქვენის გულისა.

ხალხმა უნდა გადაწყვიტოს, ხალხმა უნდა გამოუტანოს მსჯავრი. წრე იკვრება – შუაში ქეთელაურია, თემის ადათ-წესების შემგინებელი.

დაჯარდით, ხევსურთ შვილებო,
ყველანი — დიდნი, მცირენი,
სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ
ალუდას სახლის დირენი...

წრე თანდათან ვიწროვდება, არავის არ სურს საკუთარ გულში ჩახედვა, საკუთარ სინდისთან (სინათლესთან) პირისპირ დარჩენა, არავინაა წრის დამშლელი. მხოლოდ თვალზე ცრემლმომდგარი, გულხელდაკრეფილი მინდია ჩანს წრის გარეთ.

მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის
ცა-ღრუბლის შანამზირები...
...ჰრისხამდეს ჩვენი ბატონი,
არ არის შასაბრალები...
შასმულებმ ხევსურთ შვილებმა
მაიმარჯვიან ფარები,
უნდა სცან ქეთელაურსა,
კაპასად ჟღერენ რვალები.

და აი, ერთხელ კიდევ გამოჩნდება მოკვეთილი მარჯვენა მუცალისა ქისტის მარჯვენას ბალღები დაბლა ათრევენ კავითა. მოჭრილი მარჯვენა – მიჯნა ძველი აღთქმის წესებსა და ახალ შესაქმეს შორის. რამდენი საუკუნე გავიდა გოლგოთის მისტერიის შემდეგ, ნეტა კიდევ რამდენი საუკუნე დაიზრდებიან „ბალღები“ ცოდვა-ბრალიანი სამართლით? ჯერ მხოლოდ ქრისტიანობის გარიჟრაჟია! მრავალი ბრძოლა გადახდებათ ალუდებს, სანამ კაცად-კაცადში მოყვასის ღვთიური სიყვარული აღინთებოდეს, სანამ თვალანთებული და უმწეოდ მხრებჩამოყრილი მინდია სიყვარულის საკურთხეველზე დაანთებდეს სანთელს.

* * *

მე ვარ ცხოვრებაი...

მიდის ალუდა კაცთაგან დაწყევლილ და ღვთისგან დალოცვილ გზაზე. სოფელმა ვერ დაინახა ნათელი, თუმცა მისტერია შედგა, შეხვედრის მისტერია. მიდის ალუდა ტკივილითა და ჩუმი სევდით სავსე, ერთეულთა ბედისწერას შეუღლებული. ეს მისი ჯვარია, პირადად მისი სატარებელი, ეს სიყვარულია, მის გულში ფესვგადგმული, ეს მისი ცხოვრებაა – გიყვარდეს მტერი შენი და ულოცვიდე მაწყევართა შენთა!

გამზიარ ბარაძე

ბანდეგილი მგოსანი-ფაღავანი

ძალიან ცოტამ იცის, რომ პოეტი და სამშობლოს თავგადაკლული პატრიოტი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთა რაზმის ახალგაზრდა წევრი, მიხა ხელაშვილი განთქმული ქართულის მოჭიდავე იყო.

საქართველოსთვის შავბნელ დროს მოუსწრაფეს სიცოცხლე 25 წლის პოეტსა და მორკინალს მიხა ხელაშვილს. რომ არა მიხას სასწაულად გადარჩენილი მშვენიერი ლექსები, ამ ახადელი (უკანა ფშავი) ვაჟკაცის სახელი შეიძლება უკვალოდ გამქრალიყო.

მიხას ფიზიკურ ღონეზე ფშავში ლეგენდები დღესაც ცოცხლობს. მიხა საშუალო ტანის კაცი ყოფილა. მაგრამ მკერდი მთასავით ამობურცული ჰქონია, ზურგზე კი აქლემის კუზივით ედგა კუნთების გროვაო, უთქვამთ მხილველებს.

ექვსი წლის მიხა თამარღელეში მიჰგვარეს თურმე სასწავლებლად ბერ ილარიონ მოსანთლიშვილს. მერე გოდერძაულის ციხეკოშკთან, გოდერძაულის თემის წინამძღოლმა ბაჩანას აღზრდილმა, გრიგოლ აფშინაშვილმა, მიხას უფრო ღრმად შეასწავლა წერა-კითხვა და სიტყვა ქართული.

მელექსეობით განთქმულ ფშავში ახადელმა ყმაწვილმა მიხა ხელაშვილმა ხატობებზე ფანდურზე და სალამურზე დაკვრასა და კაფიაობაში მალე გაითქვა სახელი. საკუთარი ლექსების ამღერებაში ტოლს არავის უდებდა. ქართული ჭიდაობის გარდა, უბელო ცხენის ჭენებაშიც და თოფის მიზანში სროლაშიც გამორჩეული იყო. მიხა ხევსურეთში, ბარისახოში გაამწესეს დიაკვნად. ენატკბილად მოუბარი მოლექსე, ღვთისმოსავი ახალგაზრდა კაცი ყველა ოჯახის სასურველი სტუმარი იყო. ეს არ გამოპარვიათ კომკავშირელ-აქტივისტებს, რომლებიც სულ იმის ფიქრში იყვნენ, როგორ შეევიწროვებინათ რელიგიური ფასეულობები. თავისუფლებისათვის გაჩენილი მთის ლაღი შვილი ვერ ეგუება კომკავშირელ-აქტივისტების მრისხანებას ეკლესიის წინააღმდეგ და ტყეს აფარებს თავს.

მთის ბუნების შვილი იძულებული გახადეს ეკლესია დაეტოვებინა და უკეთურ ხალხისაგან განმარტოებულიყო.

მიხა ცხენს კისრით შეუდგებოდა მუცელს ქვემოთ და, როგორც თავად იტყოდა, უკან გადაისროდა მუთაქასავით. მიხამ ტყეში შარაგზის ყაჩაღებს სათარეშო მოუსპო. მისი შიშით ვერავინ ბედავდა სოფლელების გაქურდვა-დაყაჩაღებას.

მთიელ ხალხში მიხას სახელი თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. ეს ყოველივე კი ავადმყოფურად აღიზიანებდა მილიციელ-კომკავშირლებს. და მიხას თიანეთის მაზრის ტყე-ღრეში მოსაკლავად დასდევდნენ.

მიხას რომ ვერაფერი მოუხერხეს, აფხუმოდან ხოდაში მომავალი დედამისი წამებით მოკლეს...

განდეგილი მელექსე-აბრაგი დედის ცხედარს რომ გამოეთხოვა, ამ დროს იქ ფარულად იმყოფებოდნენ ხელისუფლების ხალხი. ვერავინ შეჰბედა მიხას ხელის ხლება, რადგან წინასწარ იცოდნენ, რომ მიხას ტანზე ყუმბარები ჰქონდა შემორტყმული. მოძალადეებთან ერთად მიხა თავის თავსაც გასწირავდა... მიხასთვის ცნობილი იყო სამი მილიციელ-კომკავშირელი, ვინც დედა წამებით მოუკლა

„მამკლავსა თავის დედისას
რცხვენოდეს ფშავლის შვილსაო;
შინაურების დათოფვა
არ ეკადრების გმირსაო“.

ასე ამთავრებს თავის ლექსს „დედის სიკვდილზედ“.

მიხას იმ მილიციელ-კომკავშირლებშიც ჰყავდა თაყვანისმცემელი გვარად მისრიაშ-

ვილი. მაგრამ მტარვალი ხელისუფლება რას აპატიებდა მიხას მფარველს. ერთ მშვენიერ დღეს, მისრიაშვილი დუშეთში დახვრიტეს.

მიხა შეძრწუნდა ალექსი მისრიაშვილის მწარე ხვედრის გამო.

„შენს სიკვდილს მე მაბრალებენ,
ცოდვიანს მეძახიანო,
გაზაფხულ როდის დადგება,
შაშხანავ, აგახმიანო,
ბევრისა დედა ვატირო, ბევრ
უჭკვო დავაჭკვიანო,
მტრის ჯავრის ამამყრელი ვარ,
ხელაშვილს მეძახიანო“.

მიხა განდეგილობას და ეულად ყოფნას ველარ ეგუება და უერთდება ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა რაზმს“.

აი რას მოგვითხრობს ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის თანამებრძოლი ალექსანდრე სულხანიშვილი თავის წიგნში „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე“.

„რაზმში ერთი ფშაველი გვყავდა, მიხა ხელაშვილი, რომელიც მაღაროსკარის ბრძოლაში შემოგვიერთდა. იგი სოფლის ყოფილი დიაკვანი გახლდათ. დაახლოებით ოცდაერთი თუ ოცდაორი წლის ჭაბუკი, დიდი ნიჭის პატრონი და მშვენიერ ლექსებსაც წერდა. ზამთარში, როცა კარგი ამინდი იდგა, იგი ბინის მახლობლად წამოწვებოდა მყუდროზე და სულ ორი-სამი საათის შემდეგ ახალ ლექსს მოგვიტანდა ხოლმე. მიხა მუდამ თან ატარებდა ერთ აბგას, რომელშიც ქაღალდები და სხვა საწერი მასალა ელაგა. ჩვენ მისი ბევრი ლექსი დავტოვეთ საქართველოში, თუ ისინიც ისევე უმოწყალოდ არ დაიღუპა, როგორც მათი ახალგაზრდა, ზებუნებრივი მადლით დაჯილდოებული ავტორი. იმდენად ნიჭიერი იყო მიხა, რომ ყველას გვაკვირვებდა. ამიტომ იყო რომ ერთხელ ქაქუცამ მითხრა: „თუ მშვიდობაა, მიხას აუცილებლად უნივერსიტეტი უნდა გავათავებინო. ცოდოა, ამისთანა ნიჭი დაიღუპოს“-ო.

მიხა თავის დაბადების დღეზე 25 იანვარს 1923 თუ 1925 წელს მოკლეს ხსენებულმა მილიციელ-კომკავშირელებმა. ეს მოხდა ვაჟას სოფელში ჩარგალში. მუხანათურად მოუსწრაფეს სიცოცხლე თავისუფლების მოყვარულ პოეტსა და ფალავანს.

მართალია, ერთობ მწირეა მიხას საფალავნო ცხოვრების დღიურები, მაგრამ ქართველ მოჭიდავეთა თემს ეამაყება, რომ მათი „ოჯახის“ წევრი იყო შესანიშნავი მამულიშვილი და ნიჭიერი პოეტი მიხა ხელაშვილი.

მისი ლექსები მიხას ახლობლებმა ხელისუფალთა შიშით ბუხარში დაწვეს — რვეულების მთელი დასტა. ერთმა გაბედულმა ფშაველმა კლდის ქვაბულში შეინახა მიხას ნაწერები...

ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამაც შემოინახა ხელაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

დედაჩემის ნაჩუქარ წიგნების კარადაში ვაჟა-ფშაველას პოემების ერთტომეულში ვიპოვე ეს წერილი. დედას მეგობრისათვის მიუწერია. მეც ცრემლი მომგვარა 35 წლის წინ აკინძულმა შენდობის სტრიქონებმა. მაშინ წერილი უანაბროდ გაიბნა, ახლა კი მკითხველს ვთავაზობ დედაჩემის ამ სევდიან ბარათს, რადგან მჯერა, სიტყვა ყოველთვის პოულობს ადრესატს.

ვაჟა ოთარაშვილი

ნინო კილასონია

სხემლები

ვუძღვნი ლამარა კახიანს

ცრემლები, ჩემი მეგობრის ცრემლები! ხალასი, წმინდა, ალალი ცრემლები! გულიდან მოწურული მწარე ცრემლები! განცდის, ნამდვილი წყენის ცრემლები!

სახე-ღვთიშობლის, სახე-ფერმკრთალი, სულმთლად შეცვლილი, გადატეტკილი, თეთრი, მთლად თეთრი! თვალის ქუთუთოების გარშემოწერილობა თავშეკავებულობით, მორიდებულობით, თავმდაბლობით დაწითლებული და თეთრი, რძესავით თეთრი ცრემლები, უკვე თვალების გუგებიდან წამოსული ცვარივით მომდგარი წამწამებზე, უმანკო ცის ნამივით, მარგალიტის მძივივით გაბრწყინებული სახე, გადატკეცილი სახე მდუმარე, მომთმენი, ჩაფერფლილი, ნაწყენი.

ჩემს მეტი ვერავინ ამჩნევს მდუმარე, ვითომ წყნარი, მშვიდი სახის ჭიდილს წყენასთან, დიახ, ჩემს მეტი! ნებისყოფას სურს სიმშვიდე, გულის ტკენის გაუმჟღავნებლობა, მაგრამ გრძნობა ძლიერია, სწურავს გულს, სულს და გაწურული გულის, დატანჯული სულის მარგალიტის ცრემლებად აქცევს, მაგრამ ჭიდილი მაინც გრძელდება. ნებისყოფა მარგალიტს აკავებს, სთოკავს, სამსალასავით სვამს, აქრობს, წამწამს არ აცილებს.

ხელი მხოლოდ მაშინ მიდის თვალთან, როცა ცრემლები შრება და კვალი რჩება. ხელი მიდის იმიტომ, რომ ეს კვალიც წაშალოს, მეგობრისაგან წყენის კვალი, მოსპოს, ჭრილობა მოშუშებულად მოაჩვენოს.

— და ეს სიმშვიდე, ეს მოთმინება უფრო ბევრს ამბობს, ვიდრე ყვირილი და საყვედური და მეც მეხსნება ახალი ჭრილობა. ტირის ჩემი გულიც, იტანჯება, მაგრამ არ მაქვს თვალებზე ცრემლი, ვითომც არაფერი არ მომხდარიყოს, ვითომც უცრემლოდ მეც არ მეტიროს, გულის ჭრილობა არ გამხსნოდეს იმიტომ, რომ ვაწყენინე, ჩემს კარგ მეგობარს ცრემლით ავუვსე ნათელი თვალები, წყენით ავუვსე ალალი გული.

საკვირველია, მაგრამ მაინც სიმართლეა, რომ წყენით გაგალამაზე შენ. ასეთი უმანკო, ასეთი ალალი, ასეთი მართალი, ასეთი კარგი არც მინახიხარ არასოდეს და მე ვინანე, რომ არ ვარ პოეტი, ლექსები ვთქვა მოთმინებაზე, არ ვარ მხატვარი, ფერით ვქარგო ეს სილამაზე, არ ვარ სიმღერა, მოგატარო მთელ ქვეყანაზე!

05.11.75 წ. ღამის II საათი



ქალი დიდიშვილი

აბრამ ბაზელი — „ადამიანი თავისმა საქმემ, ხელოვანი — შემოქმედებამ უნდა წარმოაჩინოს“

არიან ადამიანები, რომლებიც განგებამ უსაზღვრო ენერგიით, სიცოცხლისა და შექმნის წყურვილით დააჯილდოვა. მათი ყოველი სიტყვა, მოქმედება, თუ ქმნილება ბუნების მიერ დასმულ ამ „დაღს“ ატარებს და როგორც არ უნდა გინდოდეს თვალის არიდება, მაინც ვერ დაემალები, ვერ მოერიდები, სარკეზე ასხლეტილი მზის სხივივით მოგჭრის თვალს. ასეთია აბრამ ბაზელიც — როგორც შემოქმედი და როგორც პიროვნება. შეუძლებელია არ დაინახო მისი უსაზღვრო ენერგია და შრომისმოყვარეობა, რომელიც, ალბათ, პირველი ნიშანია ღვთის მიერ ხელდასხმული ნიჭიერი ადამიანებისა.

„ადამიანი თავისმა საქმემ, ხელოვანი — შემოქმედებამ უნდა წარმოაჩინოს, ბავშვი რომ იბადება, სახელს მშობლები ურჩევენ, თავისი ცხოვრებით იგი თვითონ ირქმევს მას, წავა და ხალხი დაარქმევს სახელს“ — ეს სიტყვები საგზლად დააქვს ცხოვრების გზაზე და ხვდები, რომ მხოლოდ დიზაინერს კი არა, მასწავლებელს, პიროვნებას ესაუბრები, რომელიც ტანსაცმელსა და გარეგნულ სილამაზესთან ერთად, სულის ესთეტიკაზეც ზრუნავს.

გასაკვირიც არაფერია. აბრამ ბაზელი ხომ იმ ერის წარმომადგენელია, რომელსაც წიგნის ხალხს უწოდებენ და რომელმაც კაცობრიობას უდიდესი განძი — ბიბლია უსახსოვრა. როგორც ჩანს, გვინდა თუ არ გვინდა, ადამიანებს, როგორც ჩვენი საკუთარი, ასევე მშობლიური ერის წარსულიც გვასვამს დაღს. ის ტანჯვა-ვაება, დევნილობა, დამცირება, ტკივილი, შორეულ წინაპარს საუკუნეების მანძილზე რომ გადაუტანია, უხილავი გზებით ჩვენს ძარღვებში სისხლთან ერთად ბრუნავს და გულსა და გონებას კვებავს, ამიტომ თითქოს შუბლზე გვაწერიაო, ისე შეუმცდარად იკითხება ჩვენს გარეგნობაში, სიტყვა-პასუხში, თუ საქციელში „ვისი გორისანი ვართ“.

აბრამ ბაზელის შემოქმედებასაც უთუოდ ჰქონდა კეთილი სათავე, საიდანაც იგი ჯერ პატარ-პატარა ნაკადულებად წამოვიდა, თანაბრად შეისრუტა პალესტინის ცხელი ქვიშისა და მადლიანი ქართული მიწის ოხშივარი და ერთ მთლიან, ძლიერ ნაკადად იქცა... სწორედ ეს ორი ძლიერი ნაკადი — ქართული და ებრაული — გახდა მისი შემოქმედების განმსაზღვრელი, მან შეძლო ახლებურად, თანამედროვე ჭრილში წარმოედგინა უძველესი ქართული თუ ებრაული კოსტუმები, აღედგინა ძველი და თანამედროვე ჟღერადობა მიენიჭებინა მათთვის. რაც მთავარია, მისი კოლექციები მხოლოდ ტანსაცმლის ჩვენებისთვის როდია შექმნილი, ყოველ მათგანს გარკვეული კონცეფცია, იდეა და მიზანი აქვს. ფაქტიურად ბაზელის ნამუშევრების ყველა ჩვენება, თეატრალიზებული წარმოდგენაა, სადაც მოდელიერიც თვითონაა, სცენარის ავტორიც და რეჟისორიც.

ერთ-ერთ ჩვენებაზე, პოდიუმზე გათამაშებული ისტორიული მოვლენების ხილვით აღფრთოვანებულმა აბონ ციციაშვილმა ასე შეაფასა აბრამ ბაზელის შემოქმედება:

„პირველი ქართველი ებრაელი, ვინც ებრაული თემატიკა შემოიტანა ქართულ ლიტერატურაში იყო მწერალი გერცელ ბააზოვი. მეორე — პროფესიონალი მხატვარი მიშა (მორდეხ) ჯანაშვილი, რომელმაც

ქართული მხატვრობა ებრაული თემატიკით გაამდიდრა. აბრამ ბაზელი მესამე ქართველი ებრაელია, რომელმაც ამჯერად უკვე პოდიუმზე წარმოადგინა ქართველთა და ებრაელთა ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრობის ისტორია. ამ თვალსაზრისით, კოლექცია უნიკალურია და მას მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია".

ტანსაცმელი ერის კულტურის შემადგენელი ნაწილია, იგი თავისი უტილიტარული დანიშნულებიდან გამომდინარე უძველესია და მასში კარგად იკითხება გეოგრაფიული გარემო, ჰავა, ერის ყოფისა და საქმიანობის ელემენტები. მსოფლიოს ყველა ხალხს თავისი მოდის ისტორია აქვს, განვითარების საკუთრი გზები და ტენდენციები. რა თქმა უნდა, ამ მხრივ, გამონაკლისს არც საქართველო და ისრაელი წარმოადგენს. ორივე მათგანი უძველესი დროიდანვე ცნობილია, როგორც უმშვენიერესი ქსოვილების მწარმოებელი ქვეყანა. ეროვნული ტრადიციული ჩაცმულობა სრულიად უნიკალურია, ისეთივე ისტორიული ძეგლია, როგორც ხუროთმოძღვრებისა თუ ლიტერატურის ნიმუშები.

დღესაც XXI საუკუნეში, როცა აღარავის არაფერი უკვირს, როდესაც ადამიანის თვალისთვის დამალული აღარაფერია, და ტექნიკურმა პროგრესმა საშუალება მოგვცა სახლიდან გაუსვლელად გავიგოთ რა ხდება მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, არაერთხელ გვინახავს უბრალო თუში, ხევსური, მთიული ქალის სამოსით, ნაქარგობით, ორნამენტებით აღფრთოვანებული უცხოელები. დღეს ცხოვრების ამ დაჩქარებულ ტემპში, როდესაც გვეჩვენება, რომ დედამიწაც კი უფრო სწრაფად ბრუნავს, საყოველთაო გლობალიზაციის პროცესში, მხოლოდ საკუთარი წარსულით, ტრადიციებით და ხელოვნებით თუ შევინარჩუნებთ თვითმყოფადობას, რაც არამც და არამც, არ ნიშნავს საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვას, პირიქით, ჩვენ ჩვენი განუმეორებელი ტრადიციებით და კულტურით, ათასწლეულებს რომ ითვლის და ერთგვარი სიძველის სუნიც კი დაჰკრავს, უფრო თამამად შევაბიჯებთ მსოფლიო თანამეგობრობაში, ისე, რომ არ გავითქვიფოთ, არ გადავგვარდეთ, საკუთარი სული, შინაგანი არსი შევინარჩუნოთ და მსოფლიო ცივილიზაციასაც ერთი ორიგინალური ელფერი შევმატოთ. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა აბრამ ბაზელის კოლექცია ,,საქართველოს 12 კუთხე", თანამედროვე სტილიზებული კოსტუმები ნაციონალური ჩაცმულობის ელემენტებით, რომლის დევიზიცაა: ,,ვაცოცხლებთ წარსულს XXI საუკუნისათვის." რადგან თუ ,,უწარსულო კაცი ფესვმოჭრილ ხესავითაა" (ილია), არც მარტო წარსულზე ფიქრით აშენებულა ქვეყანა. როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა: ,,რა დიდი ღვაწლიც არ უნდა მიუძღვოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის." ძველისა და ახლის სინთეზი, წარსულიდან — თანამედროვეობისაკენ, ასეთია აბრამ ბაზელის მოდის მიმართულებაც. ამ კოლექციაში ნახავთ ქართლურ, კახურ, თუშურ, ხევსურულ, იმერულ, მეგრულ, გურულ, აფხაზურ, ოსურ მოტივებზე შექმნილ თანამედროვე ტანსაცმელს, თითოეულ კუთხეს, გამომდინარე ამ კუთხის შვილთა ხასიათიდან, თავისებურებებიდან, საქმიანობიდან, თუ ცხოვრების წესიდან თავისი განსხვავებული ფორმა, ფერი და ორნამენტები ახასიათებს.

საერთოდ ქვეყანაზე ყველაფერი მეორდება, მეორდება მოდაც, მაგრამ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ დიზაინერის მიერ ტრადიციული ქართული ელემენტების აღორძინების მცდელობას უკვალოდ არ ჩაუვლია. ამ კოლექციამ მართლაც მოახდინა გავლენა მოდაზე. ქართველი ახალგაზრდობის ჩაცმულობაში და აქსესუარებში ეროვნულმა თემატიკამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთული კოლექცია ებრაელი კაცის შექმნილია, თუმცა, იგი ქართველი ებრაელია და ამით ყველაფერი ნათქვამია.

არ ვიცი, ქართველებმა მოვნათლეთ ისინი ამგვარად, თუ თვითონ უწოდეს თავს ქართველი ებრაელები, მაგრამ ერთი რამ ცხადია, სამყაროში შემთხვევითი არაფერია. ერის ნება და მეხსიერება ისეთი რამაა, ასე იოლად და დაუმსახურებლად არ გაიმეტებს სახელს.

ეს კი აბრამ ბაზელის სიტყვებია:

,,ადამიანი რომ იბადება, უკვე ვალი აქვს მიწის. მთელი ჩვენი ცხოვრება ამ ვალის დაბრუნება უნდა იყოს. რამდენჯერ მითქვამს, რომ ჩემი სამშობლო საქართველოა, ხოლო ჩემი ერის სამშობლო — ისრაელი. სწორედ ამ ორი ერის სამსახური გამიხდია ცხოვრების მიზნად."

მაგრამ როგორც არ უნდა გიყვარდეს მიწა, რომელზეც დაიბადე და გაიზარდე, განა შეიძლება წარმოვიდგინოთ ებრაელი, რომელსაც ისტორიულ სამშობლოში დაბრუნება არ სურდეს, რომელსაც იერუსალიმის, ამ წმინდა ქალაქის ნათელი ხილვა არ უნათებდეს გულსა და გონებას?!. მიწა ეძახით და მიწა იჭერთ. აქ ყველაფერი ნაცნობი და ახლობელი, იქ — უცნობი, მაგრამ ტკივილამდე მშობლიური — აღქმული მიწა, წინაპართა ბიბლიური აჩრდილებით რომ დასახლებულა.

საქართველო თუ ისრაელი?! კარგა ხანს იდგა ამ დილემის წინაშე აბრამ ბაზელიც. ბოლოს მაინც თავის ბავშვობის ქვეყანაში დარჩენა ამჯობინა. თუმცა, ეს ასე მარტივად გადასაწყვეტი არ ყოფილა. რამდენი ფიქრი, განცდა უძღოდა წინ, სანამ გადაწყვეტილებას მიიღებდა. ამდენი სულიერი მღელვარება, განსჯა, ფიქრი წასვლისა თუ დარჩენის თაობაზე, უკვე გამოცდილებაა, დიდი სულიერი განცდა, რაც ახლებურ ფორმაში გადასვლას ითხოვს. სწორედ ეს განცდები, ეს სულიერი მღელვარება დაედო საფუძვლად ბიბლიური პერსონაჟების პოდიუმზე გაცოცხლების იდეას, რადგან ებრაელთა ისტორია, ეს მისი პირადი ისტორიაა, ეგვიპტის ტყვეობიდან თავდახსნაც, პალესტინიდან ნაბუქოდონოსორ II -ის მიერ აწიოკებული და აოხრებული ხალხის დედამიწის ზურგზე გაფანტვაც და მათი ერთი ნაწილის მცხეთაში ჩამოსახლებაც მისი ტანჯვის გზაა, მის მიერ ათასჯერ განვლილი და განცდილი. საქართველოც მისი სამშობლოა და ისრაელიც! მაშ, სხვას ვის ძალუძს უკეთ მოგვითხროს ამ ორი ერის ურთიერთობასა და მეგობრობაზე?

ბიბლიურმა თემატიკამ, მარადიული ჭეშმარიტების წვდომის, შორეული ფესვების ძებნის, მათთან მიახლოების სურვილმა ხელოვნებაში იჩინა თავი და ეს იდეაც რეალობად იქცა. კოლექცია ,,მოდა და ისტორია" შინაარსობრივად მიყვება ბიბლიის სიუჟეტებს და ასახულია ყველა ის საკვანძო მომენტი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ებრაელი ხალხის, ასევე მთელი ქრისტიანული სამყაროს ცხოვრებაში. მოდელიერმა კოსტუმებში გააცოცხლა კაცობრიობის ისტორია — წარღვნის წყლებით განწმენდილი პირველი დილიდან ქრისტიანობის დამკვიდრებამდე საქართველოში. აქ იხილავთ ნოეს, როგორც განახლებული კაცობრიობის მამამთავარს, მის ვაჟიშვილებს: სემს, ქამსა და იაფეტს, რომელთაც სათავე დაუდეს სემიტების, ქამიტებისა და იაფეტიდების მოდგმებს, აბრაამს — რომლის წიაღიდანაც გაამრავლა უფალმა ისრაელი, ეგვიპტეს და ეგვიპტურ ყოფას — მოსეს და აარონს — გზას ეგვიპტიდან(ნივთიერი სამყაროდან) აღქმული მიწისკენ (სულიერებისკენ), ქრისტეს დაბადებასა და ახალი სარწმუნოების დამკვიდრებას, ნინო კაბადოკიელს და საქართველოს მოქცევას და გაერთიანებას. კოლექცია ქართულ და ებრაულ ეროვნულ და რელიგიურ მოტივებზე შექმნილი მოდელებით მთავრდება — როგორც სიმბოლო ქართველი და ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი და ურღვევი მეგობრობისა.

,,მოდა და ისტორია" აბრამ ბაზელის კოლექციებიდან ალბათ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

სწორედ ამ კოლექციამ მოუტანა მას მრავალი გამარჯვება უკრაინაში, მოსკოვში, ბელორუსიაში... ყველა კონკურსიდან ხელდამშვენებული ჩამოდიოდა, ყველა ნაციონალური ტანსაცმლის კონკურსის გრან-პრი მისი იყო.

მართლაც, დიდი პასუხისმგებლობაა, იყო ორი უზარმაზარი ისტორიისა და კულტურის მქონე ერის შვილი და ჭეშმარიტად ბედნიერია ის, ვისაც ძალუძს ამ პასუხისმგებლობის გასიგრძეგანება და წინაპართა თუ მომავალი თაობის წინაშე პირნათლად წარდგომა.

მოდელიერის ფილოსოფიური აზროვნება, მისი დამოკიდებულება სიცოცხლისა და სიკვდილისადმი, სიკეთისა და ბოროტებისადმი, ყველაზე უკეთ ,,ვეფხისტყაოსნისადმი" მიძღვნილ კოლექციაში გამოჩნდა. თუ ,,მოდა და ისტორია" პოდიუმზე ბიბლიის თემებს აცოცხლებს, დიზაინერის არჩევანი, რომ ახლა უკვე XII საუკუნე წარმოეჩინა, მოსალოდნელიც იყო. ქრისტიანობის დამკვიდრებას და მის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას საქართველოში, ლოგიკურად მოყვა სახელმწიფოს გაძლიერება, ქართული კულტურის აღორძინება და უდიდესი ლიტერატურული შედევრის ,,ვეფხისტყაოსნის" შექმნა, ამდენად, გასაკვირიც არ იყო, რომ აბრამ ბაზელი ბიბლიური თემების შემდეგ, ,,ვეფხისტყაოსნით" დაინტერესებულიყო. შოთა რუსთველის პოემა სრულიად განსაკუთრებული ფენომენია მსოფლიო ლიტერატურაში, თავისი მონუმენტურობით და ყოვლისმომცველობით იგი სწორედ რომ ბიბლიის სიუჟეტების შესაფერია, ამასთან, ქართველი ხალხისთვის ბიბლიასავით სათაყვანო წიგნია, რადგან მასში გაერთიანებულია ქართველი ხალხის ყველა ოცნება და მისწრაფება, სულიერი განცდა და იდეალები: მეგობრობა, ერთგულება, სიყვარული, ხალხთა და რელიგიათა დაუპირისპირებლობა და მშვიდობიანი თანაარსებობა. ეს ის ცნებებია, რომლებიც ყველა ხალხისთვის თუ ეპოქისთვის აქტუალური, მარადიული და ღირებულია. დიზაინერისათვის კი ალბათ, იმ მხრივაც საინტერესოა, რომ პოემის შინაარსი გეოგრაფიულად თითქმის მთელ ძველ აღმოსავლეთს მოიცავს: საქართველოს, სპარსეთის, არაბეთის, ინდოეთის, ისრაელის, ჩინეთის კულტურასა და ტრადიციებს და მრავალმხრივ, მრავალფეროვან მასალას იძლევა დასამუშავებლად. ამ კოლექციისთვის შექმნილი ესკიზები ღრმა ფილოსოფიური აზროვნებისა და ფიქრის შედეგია, მათი შექმნისას გათვალისწინებულია პერსონაჟთა ფსიქოლოგიური პორტრეტები და სიუჟეტის ფილოსოფიური ასპექტები, ეროვნება, წოდება და მათთვის დამახასიათებელი ჩაცმის სტილი, ორნამენტები და სილუეტი, მცენარეებისა და ცხოველების სტილიზებული სახეები, ბიბლიურ თუ ხალხურ ყოფაში ფართოდ გავრცელებული სიმბოლოები. ასე რომ, მოდელების თითოეული დეტალი, შტრიხი, თუ ფერი გარკვეული დატვირთვის, შინაარსის მატარებელია. თითოეული მათგანი მრავალ სიმბოლოს მოიცავს და ერთგვარად თავისუფალი ინტერპრეტაციაა პოემისა. კოლექციის კონცეფციას შეიძლება ყველა არც დაეთანხმოს, მაგრამ ესკიზებს მეცნიერული მტკიცებულების პრეტენზია ნამდვილად არ გააჩნია. ეს არის ხელოვნება. ხელოვნებას კი ყოველთვის ახასიათებს თავისუფალი მიდგომა თემისადმი, წარმოსახვის მეტი სითამამე და სილაღე. თავად ,,ვეფხისტყაოსანი" კი, როგორც უნივერსალური მასალა, სიბრძნის ულევი წყარო, იძლევა იმის საშუალებას, რომ მკითხველის ფანტაზიამ მის წიაღში ჩამალული თვალმარგალიტის ბრწყინვალება სხვადასხვა კუთხით დაინახოს.

სამწუხაროა, რომ ეს პროექტი დაუსრულებელია. სამუშაოს დიდი ნაწილი —კონცეფცია და ესკიზები მზადაა, მაგრამ მათი ხორცშესხმისთვის საჭირო თანხების არ ქონის გამო, ეს თემა ჯერჯერობით თაროზეა შემოდებული და მოთმინებით ელოდება თავის რიგს.

ნანა
მირცხულავა

პოსტრეტი-XIXს-ის ბოლო ათწლეულებში

ხალხური შემოქმედების გარემოში დახელოვნებულ ქართველ მხატვართა შემოქმედება (პორტრეტი-XIX ს–ის ბოლო ათწლეულები) პორტრეტულ ჟანრს ქართულ ხელოვნებაში გამორჩეული ადგილი უკავია. მან ევოლუციის და ცვლილებების საკმაოდ გრძელი და ინტენსიური გზა განვლო, სრულიად განსხვავებულ მხატვრულ ტრადიციებს ეყრდნობა და განსხვავებულ ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერპრეტაციას იღებს. იყო პერიოდები, ჟანრის მთლიანობის რღვევის შთაბეჭდილებას რომ იწვევდა, მაგრამ პორტრეტმა, როგორც ჟანრმა შეინარჩუნა თავისი სახე და ადგილი ქართულ მხატვრობაში. ისტორიულმა პირობებმა, გეოგრაფიულმა მდებარეობამ ქრისტიანულ სამყაროსა (ბიზანტია, ახლო აღმოსავლეთი) და ისლამურ ქვეყნებს შორის, ძლიერმა და აგრესიულმა გარემოცვამ არ მისცა ქართულ ხელოვნებას ევროპულ სამყაროში მიმდინარე პროცესების მსგავსად ევოლუციის საშუალება. მეორეს მხრივ ქართულ ხელოვნებას, რომელიც აღმოსავლეთ ქრისტიანული კულტურის ძლიერი განშტოება იყო, ზურგს უმაგრებს მრავალსაუკუნოვანი მხატვრული ტრადიციები (დაწყებული წინაქრისტიანული საქართველოს გაცილებით ხნოვანი ხელოვნებიდან), რომელთა თვითმყოფადობამ მწვერვალს შუასაუკუნეებში, ქართული კულტურის ბრწყინვალე აყვავების ხანაში მიაღწია. ყურადსაღებია, რომ გვიან ფეოდალურ ხანაში საქართველოსათვის ძნელბედობად წოდებული ამ ეტაპის ხელოვნების სხვა დარგების ზოგადი დონის დაქვეითების ტენდენციის პირობებში, პორტრეტული ჟანრი ფაქტიურად ერთადერთია, რომელიც მხატვრული თვალსაზრისით მაღალ დონეს ინარჩუნებს და ცოცხალ, ორიგინალურ ნიმუშებს გვიტოვებს ქტიტორული პორტრეტის სახით. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შუასაუკუნოვანი ხელოვნების კედლის მხატვრობის პირობითობის ფარგლებში არსებული „საერო“ ქტიტორული პორტრეტი, რიგი თავისებურებების მიხედვით ნომინალურად შეიძლება მივაკუთვნოთ ამ ჟანრს და მათი იდეურ–მხატვრული კონცეფცია სრულიად განსხვავებული, მათგან დაშორებული ამოცანებით განისაზღვრება, მისთვის დამახასიათებელი ხედვის პრინციპები, აღმოსავლეთ–ქრისტიანულ სამყაროსთან დაკავშირებული ქართული ხელოვნებისათვის უმთავრესი ღირებულება — სიბრტყე და ხაზის გამომსახველობა, მათი უპირატესი წარმოჩენის ტენდენცია, საოცარი თანამიმდევრობით იჩენს თავს და პირდაპირი თუ ირიბი გზით გამოძახილს პოულობს სრულიად განსხვავებულ პერიოდებში. პორტრეტული ჟანრი ერთგვარ ხიდად გვევლინება შუასაუკუნეების ხელოვნებასა და ახალ ქართულს შორის. ამ ჟანრით XVIII ს–ის II ნახევარში ხდება ევროპულ (პოსტრენესანსულ) ხელოვნების პოზიციებზე გადასვლა. XIXს–ის I ნახევარში ყალიბდება მეტად თავისებური მოვლენა „თბილისური პორტრეტული სკოლა” განსხვავებულ მხატვრულ სტილთა სინთეზით, რომელიც დაზგური მხატვრობის ერთადერთ და უმნიშვნელოვანეს საყრდენს წარმოადგენს დროის საკმაოდ ვრცელ მონაკვეთში. ევროპულად განსწავლულ ქართველ მხატვართა პირველი თაობა, ადგილობრივი მხატვრული ტრადიციების გარკვეული ცალმხრივობის, ფორმის შუასაუკუნოვან საწყისის გადალახვის ევროპული დაზგური ხელოვ–ნების შემოტანის ერთადერთ შესატყვის ფორმად XIXსის II ნახევრის რუსული რეალისტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრობის ნორმებს აღიქვამს. ბევრი რამ განპირობებულია რუსეთიდან შემოტანილი კულტურის სპეციფიკით (საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილია) სწორედ ის განსაზღვრავს XIXს–ის ბოლო მეოთხედიდან ქართული პორტრეტის განვითარების გზას. ამგვარად, ევროპულ დაზგურ მხატვრობაზე გადართვა ხდება არა ქართული ხელოვნების მემკვიდრეობის ნაწილობრივი გადააზრებით, შემოქმედებითად გადამუშავება-განზოგადებით, ,,თბილისურ სკოლაში" გაგრძელებული ადგილობრივი ტრადიციების მხატვრული გარდაქმნით, არამედ მარტივად ერთი მხატვრული მეთოდის მეორეთი ჩანაცვლებით. იკვეთება კიდევ ერთი ხაზი, ის არსებითად არ განსაზღვრავს ქართული პორტრეტული ხელოვნების განვითარების საერთო მსვლელობას, მაგრამ არც უგულვეყოფას იმსახურებს. ავსებს რა ამ ეპოქის მხატვრული შემოქმედების მთლიანი განვითარების სურათს, როგორც ევროპული ტიპის პორტრეტის პარალელურად არსებული, ადგილობრივი მხატვრული ტრადიციების გაგრძელებისაკენ მიმართული, ,,შიდა მეხსიერებაში" ჩალექილ მონაპოვართა გენეტიკური კავშირის გამამჟღავნებელი, ქართული მხატვრობის ევოლუციის ხაზის უწყვეტობის დამადასტურებელი მოვლენა (მხედველობაში მაქვს ხალხური შემოქმედების გარემოში დახელოვნებულ არაპროფესიონალ ოსტატთა მხატვრობა). ცნობილია, რომ ამ პერიოდის დასავლურ-ევროპული ხელოვნება ახლებურის დამკვიდრებაში ორიენტაციას აღმოსავლურ, შუასაუკუნეების ხელოვნებაზე და პრიმიტივზე იღებს მათ პირობით განყენებულ აღქმას და გამომსახველ საშუალებებს ეყრდნობა. პრიმიტივი კი თავის მხრივ ილტვის პროფესიონალური მხატვრობის შესახვედრად, უძნელდება რა სამყაროში მიმდინარე მკვეთრ ცვლილებებზე შეპასუხება სუბიექტური საწყისის მოშველიების გარეშე. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ პრიმიტივის აღზევება მის მკვეთრად ინდივიდუალურ შემოქმედებაში ხდება. მაგ. ფიროსმანი პრიმიტივში მის პერსონალურ, ინდივიდუალური მხატვრობის განშტოებას წარმოადგენს. ,,მესამე კულტურის" წარმომადგენელთა უმრავლესობა კი პრიმიტივის ნაკლებ ინდივიდუალურ, კოლექტიურ საწყისს მიეკუთვნება. ხალხური ხელოვნების ნიმუშთა ნაკადი, უძველესი ტრადიციიდან რომ მომდინარეობს, რომლის დასაბამი თანდათან მივიწყებული იქნა და, სავარაუდოა, მასალის სპეციფიკის გამო გადარჩენილ, საფლავის ქვის რელიეფებზე გამოსახული მემორიალური პორტრეტებით შემორჩა, თავისებურად აირეკლა გვიანი შუასაუკუნეების ქართულ ტაძართა მოხატულებებში. ისინი ,,წამიერად გარინდებულ კი არა, თითქოსდა სამუდამოდ შეჩერებულ" ფიგურებით მოგვაგონებენ საფლავის ქვის რელიეფებს. ალბათ, ამიტომ ხედავენ ნ. ფიროსმანიშვილის ფენომენის შემსწავლელნი მის შემოქმედებაში მონუმენტურობის, პირობითობის და დამახასიათებლობის იგივე შეფარდებას. ხელოსნური ამქრის წევრ მხატვართა შემოქმედების საგანგებო დანიშნულება ხალხის ცხოვრების წესს, მის ყოველდღიურ ყოფას უკავშირდება (დუქან–სადარბაზოთა მოხატულობები, აბრების და ფირნიშების დამზადება). საეკლესიო ფერწერის ზოგადი კრიზისის დროს თვითნასწავლი მხატვრები ხატწერასაც მისდევენ, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ხატწერაც ხელოსნობა ხდება და იმდროინდელი ქართული ფერწერის ,,ხალხურ ნაკადში" შედის. ქალაქის მხატვრული ფოლკლორის, ,,მესამე კულტურის" ერთი გამოვლინებათაგანია ამ პერიოდში შექმნილი ისეთი ჟანრი, როგორიც ,,ფონებია" ფოტოგრაფიული ატელიეებისათვის, რომელიც აბრისათვის დამახასიათებელი ფორმისეული ნიშნებით (სრული სიბრტყობრიობა, მარტივი დეკორატიულობა, ხედვის დაუფარავი მიამიტობა, გულუბრყვილობა) საზრდოობს. სხვადასხვა სურათებით მოხატული მარტივი ფონები, რომელთა საშუალებით (ფონის ამოკვეთა და მასში თავის გაყოფა) ჩვეულებრივ ყოფაში მიუწვდომელ ჯადოსნურ სამყაროში გადანაცვლების შესაძლებლობას ქმნიდა. არსებობდა უფრო ,,ესთეტიზირებული", მდიდრული ანტურაჟით წარმოდგენილი ფონები, ბურჟუაზიული სახლის კომფორტული სამყაროს შესაქმნელად (ბალუსტრადიანი აივნები, პორტიერები). ფოტოგრაფიული და ფერწერული პორტრეტები, მასობრივი ესთეტიკის დონეზე დაუპირისპირდა ერთმანეთს. ფერწერული პორტრეტის პოპულარობა მისი რამდენიმე თავისებურებით აიხსნებოდა: ფერადოვნება, ტილოს ფორმატის სიდიდე, ხელით შექმნილის მეტი პრესტიჟულობა და, რაც მთავარია, კონკრეტულობის შენარჩუნების პარალელურად ნატურის გარდასახვის, მისი იდეალიზირების, ამაღლებული სახით წარმოდგენის მეტი შესაძლებლობები, თუმცა ამ გარდასახვის უკან იდეალი არ ჩანდა. ფოტოგრაფიულ პორტრეტსაც ჰქონდა თავისი დადებითი მხარეები — მეტი სიზუსტე კონკრეტული მსგავსების გადმოცემაში, ხელმისაწვდომობა, დემოკრატიულობა...

პერიოდიკაში ხშირად იჭრება საკითხი თვითნასწავლ მხატვართა მიმართ ყურადღების გაძლიერების აუცილებლობის შესახებ საზოგადოების მხრიდან. მოხსენიებულია ,,ვივესკების და სავაჭრო წარწერების" შემქმნელ მხატვარ-ხელოსანთა გვარები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიყვან ერთ მაგალითს: გაზეთი ,,ცნობის ფურცელი" აქვეყნებს ასეთი შინაარსის განცხადებას: ,,გუშინ რედაქციაში შემოიტანეს წმ. მოწამეთა დავითის და კონსტანტინეს სურათი, ფერადი წამლებით დახატული, 17 წლის გლეხის შვილის გვარად პირტახიასგან. ყმაწვილი დაბა ხონის მაცხოვრებელია. სწავლა დაუმთავრებია ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებელში და რადგან საშუალება არ ჰქონია, ამიტომ მიუხედავად დიდი სურვილისა, სწავლა ვეღარ განეგრძო და დარჩენილა დაბა ხონში, სადაც თურმე ხატავს ვივესკებს მაღაზიებისათვის და სავაჭრო წარწერებს". ფერწერული პორტრეტი ,,დაეშვა" მასებში. სოციალურ წრეს, რომელიც ,,ტფილისურ პორტრეტულ სკოლაში ,,მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებით იფარგლებოდა, დაემატა ვაჭრობის, ხელოსნობის მნიშვნელოვანი გაფართოების საფუძველზე ასპარეზზე გამოსული მოქალაქეთა ფენა, რომელიც ფერწერული პორტრეტის „ცოცხალი ასლის" შექმნას თვითდამკვიდრების ერთ-ერთ საშუალებად აღიქვამდა. (ნიშანდობლივია, რომ ფოტოგრაფიული პორტრეტის პოპულარობამ საქართველოში უმუშევრად დატოვა ბევრი ცნობილი მხატვარი–პორტრეტისტი.) სწორედ ეს ფენა ხდება თვითნასწავლ მხატვართა დამკვეთ-შემფასებელი. ფერწერული პორტრეტი დამკვეთის პორტრეტული ფოტოგრაფიის საფუძველზე სრულდებოდა. საჭირო იყო პორტრეტირებულის პროფესიის დაკონკრეტება დამკვეთის და შემსრულებლის ტიპის ცხადსაყოფად.

საყურადღებო ცნობებს გვაწვდის მხატვარ ივანე ვეფხვაძის ქრონოლოგიურად უფრო გვიანდელი მოგონებები: ,,სალდათის ბაზარში თევზის დუქანი ჰქონდა სტეპკოს, რომელმაც მოისურვა თავისი პორტრეტის დაკვეთა. დამიძახა მაღაზიაში, ამხედ-ჩამხედა ყარაჩოღელისათვის დამახასიათებელი მანერებისზუსტი დაცვით და მითხრა: ჩემისთანა კაცის დახატვა თუ შეგიძლიაო? მომცა თავისი ფოტო, მასზე გამოხატული იყო ყარაჩოხელთა მოდგმის ტიპური წარმომადგენელი (განიერი შარვალი წინაფრიანი ქუდი, ვერცხლის ქამარი და ჩაკეცილი ჩექმები, შავი ჩოხის ზემო ჯიბეზე მრგვალი ვერცხლის საათი, გრძელი ვერცხლის ძეწკვით მარჯვენა ცერზე ბრტყელთავიანი ოქროს ბეჭედი იდგა. თითქოს მარგილი გადაეყლაპა და ერთ წერტილს, ალბათ ფოტოაპარატს, გაშტერებით უყურებდა. პორტრეტი დიდი გულმოდგინებით შევასრულე და იგი ახალი წლის წინა დღეს ბაზარში წავიღე პატრონისათვის ჩასაბარებლად. აქ შეყრილი მარაქისათვის უცხო იყო მხატვრული ნაწარმოების ნახვა და ისიც სალდათის ბაზარში. ყარაჩოხელმა ვაჭრებმა პორტრეტის დანახვაზე იყვირეს: – შენი ჭირიმე ხელებში, ეს რა დაუხატავს, ნამდვილი სტეპკოაო. სტეფანემ დიდხანს უყურა პორტრეტს, შემდეგ ახლოს მივიდა, ქუდი მოიხადა და თითქოს სიონში ღვთისმშობლის წინ დგასო, დაიჩოქა და მოწიწებით ეამბორა).

„მესამე კულტურის" წარმომადგენელ მხატვრებს, ისტორიულად ერთი ეპოქის განსაზღვრულ ეტაპზე, ერთ სოციალურ გარემოში უხდებოდათ ცხოვრება და მოღვაწეობა. ერთნაირი მხატვრული აზროვნების მქონე კულტურულ გარემოში ჩამოყალიბდნენ აქ ჩაისახა და განვითარდა მათი შემოქმედება.

ამირანაშვილის სახ. თბილისის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულია ნიკო ფიროსმანიშვილის თანამედროვის ,,აბრების დამწერ" და ამავე დროს ,,ფერწერის შემსრულებელ" თვითნასწავლ მხატვარ ივანე ზაზიაშვილის ავტოპორტრეტი (34X25 თუნუქი, ზეთი), რომელიც ადგილობრივი მხატვრულ-სტილისტური ძირების გამოაშკარავების თვალსაზრისით საგულისხმო ჩანს. ხელოვნების და ლიტერატურის ცენტრალურ არქივში მოვიძიეთ მასალები მისი პიროვნების შესახებ. ძველი ქართული ჯომარდობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, სვანეთის უბნის დაუმარცხებელი ფალავანი სოფელ დიდი ლილოდან ყოფილა. ერთხელ სვანეთის უბანმა, თანახმად ჩვეულებისა, კრივში გამოიწვია ისნის მოკრივეები. სვანეთის უბნის გუნდს, როგორც ყოველთვის, ივანე ზაზიაშვილი მიუძღოდა წინ. ივანეს რომ უფრო მეტი ღონე შემატებოდა, დალაქისთვის მიუმართავს, მკლავის ძარღვში ნექტარი გამიკეთეო. დალაქს შეცდომით ძარღვი გადაუჭრია და სისხლის მოწამვლის შედეგად ექიმები იძულებული ყოფილან მისთვის მკლავი მოეკვეთათ.მას მერე ივანეს ცალმკლავას ეძახდნენ. ამ ფიზიკურ ნაკლს ივანესათვის მაინცდამაინც ხელი არ შეუშლია. კრივში იგი ისევე წარმატებით განაგრძობდა მონაწილეობას და ცალხელა ორხელიანებს ლომივით ებრძოდა. არავის ახსოვს, რომ ცალხელა ივანე ზაზიაშვილი დაემარცხებინოთ.

როგორც ჩანს, ცალხელობას არც მხატვრობაში შეუშლია მისთვის ხელი. აბრების დასამზადებელი სახელოსნოს მეპატრონე, მარჯვენა იღლიაში იჭერდა ჯოხს და მარცხენა მკლავით ეყრდნობოდა. ამგვარად წერდა და ხატავდა. ახალ ქართულ მხატვრობაში პორტრეტული ჟანრის ერთადერთობის არცთუ მნირმა ხანამ ავტოპორტრეტი არ შემოგვინახა. შემორჩენილი მასალის საფუძველზე (თუმცა შემორჩენილიც მრავლის მთქმელია – თბილისური სკოლა მაქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხედველობაში) არაფრის თქმა არ შეიძლება, გარდა ვარაუდისა, რომ ავტოპორტრეტი ამ პერიოდის მხატვრობაში ნაკლებად ან სრულიად არ ყოფილა გავრცელებული. თუ პორტრეტული ჟანრის ეს სახეობა ამ ყურადსაღებად ხანგრძლივ მონაკვეთში მაინც არსებობდა, ის დიდ იშვიათობას წარმოაგენდა. არსებითი მიზეზი ამისა მდგომარეობდა, უპირველეს ყოვლისა, მხატვრის სოციალურ სტატუსში. ქართველ მხატვარში არ იყო დასრულებული მისი პიროვნული თვითშეგნება, ის ჯერ არ თვლიდა თავს იმ პიროვნებად, რომლის გამოსახვა აუცილებელი იყო სხვათაგან განცალკევებით, გამორჩეულად. ის თავს უფრო ხელოსნად აღიქვამდა, ვიდრე ინდივიდუალურ შემოქმედად, საკუთარი ხელწერის ხაზგასმასაც კი ერიდებოდა, ერთგვაროვნებისაკენ ისწრაფოდა. მეტიც, გვარსაც კი არ აწერს ნამუშევარს (ნამუშევართა უმეტესობას ხელმოწერა არ ახლავს), საკუთარ თვითგამოხატვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მხატვრული „მე"–ს გამოკვეთილი შეგრძნება, პიროვნების შეცნობის წადილი, თვითგამოხატვის სურვილი ქართველ მხატვარს შედარებით გვიან ებადებოდა.

ავტოპორტრეტის გამოჩენა გარკვეულ პერიოდში მრავლისმანიშნებელია და მხატვრის აზროვნებაში მომხდარ არსებით ფსიქოლოგიურ გარდატეხაზე, ინდივიდუალისტური ტენდენციების ზრდაზე და ამ პერიოდის მხატვრობის გამოსვლაზე მიუთითებს. დამკვეთთა ჩარჩოებიდან მხატვრის ჩაცმულობა (ის ყარაჩოხელის სამოსშია წარმოდგენილი) მის სოციალურ წარმოშობას მიგვანიშნებს. ყარაჩოხელები (თურქულად შავჩოხიანს ნიშნავს), ხელოსნური ამქრის წევრები ყოფილან და ძველი თბილისის ყოფას დიდი ხნის მანძილზე შემორჩნენ. ყარაჩოხელის ჩაცმულობას — აბრეშუმის პერანგს, სატინის თუ ატლასის წვრილ ნაოჭებიან ახალუხს, მოკლე ნაოჭიან ორჩაქიან შავი შალის ჩოხას, ვერ–ხცლის გობაკიანი ქამრით და ბუხრის ქუდს – პორტრეტის მთლიან გადაწყვეტაში არსებითი ფუნქცია ეკისრება, უჩვეულოდ საზეიმო განწყობას ქმნის, გარკვეულ როლს თამაშობს საერთო დეკორატიულობის შესაქმნელად. ეს განწყობა შერბილებულია ოდნავი შემობრუნებით (სახე არ გადმოგვცემს კონკრეტულ განწყობას).

ყარაჩოხელის წარდგენითი სახე, კომპოზიციის რეპრეზენტატიული, საზეიმო ხასიათი, (მიუხედავად პორტრეტის გადაწყვეტისა ძალზედ შემცირებულ ზომებში) მას მონუმენტურობას და მნიშვნელოვნებას არ აკლებს. კომპოზიციური აგების ეს თავისებურება თბილისური პორტრეტული სკოლის ნიმუშებთან მსგავსებას ამჟღავნებს.

პორტრეტირებულის სახეში ნაკლებად არის გამოვლენილი კონკრეტული ნიშნები, არსებითის, ტიპურის დანახვასა და განზოგადებისკენ აშკარად გამოხატულ მისწრაფებაში ქართველის მხატვრული ბუნება იჩენს თავს. ი. ზაზიაშვილის სახე სწორი ნაკვთებით, ნუშისებრი მოხაზულობის თვალებით, შუაზე გაყოფილი ნიკაპით არ გადმოგვცემს კონკრეტულ განწყობას. სახე და ფიგურა არა განსხვავებული გადაწყვეტით, არამედ შესრულების გარკვეული ერთგვაროვნებით გამოირჩევა. წერის თავისუფალი მანერა, სამოსის დამუშავების, ქსოვილის ფაქტურის განსხვავების გამოვლენის მცდელობა (შავი სამოსის ქვეშ წითელი ატლასის პერანგის ვერტიკალური ნაკეცების მინიშნებით) ამავე დროს „ნატურალისტური" გადმოცემის თვითნასწავლი მხატვრისათვის დამახასიათებელი „სურვილი", წვრილმანების (ოდნავ შეხსნილი საკინძის ღილები, ქამარი, ქუდიდან ყურამდე ჩამოსული თმის რკალი) აღწერაში ჩანს. თვითნასწავლი მხატვრის ეს ზედმიწევნითობა ნ. ფიროსმანაშვილთან არ შეიმჩნევა.

საინტერესოა, რომ ნ. ფიროსმანიშვილი, რომელიც „ინტუიციურად, ორგანულად აგრძელებს ადგილობრივი და ევროპული მხატვრობის სინთეზის ტრადიციას, ახალ მაღალ საფეხურზე მიყავს, როგორც დიაპაზონის სიფართოვის მხრივ, ისე სინთეზის ორგანულობის თვალსაზრისით" (გ.ხოშტარია) ასევე ზოგადად აღიქვამს თავის გმირებს. მისი პორტრეტები იმდენად განზოგადებულია, რომ კონკრეტული პიროვნების კვალი თითქმის გამქრალია. კონკრეტული ნიშნების გადმოცემა მისთვისაც ნაკლებმნიშვნელოვანია, ხოლო როდესაც ეს ნიშნები წინ იწევს, მცდელობა წარუმატებლობით მთავრდება. „მესამე კულტურის" ხელოვნება საფუძვლიან კვლევას მოითხოვს. პროფესიონალურ და არაპროფესიონალურ მხატვრობის კომპონენტების პირდაპირი თუ არაპირდაპირი ურთიერთკავშირების შესწავლისას უთუოდ გასათვალისწინებელია ის, რასაც გულისხმობს ხვადასხვა დარგის ოსტატების ამქარში გაერთიანება „ხელოსნური პროფესიონალიზმი", – „მესამე კულტურის"ერთ-ერთი საყრდენი დილეტანტური თვითშემოქმედებისგან გამორჩეული, ფორმა.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დიდი ყურადღებით ეკიდებიან „მესამე კულტურის ხელოვნებას. მაგ. აშშ–ში დიდი ხანია არსებობს ლიმნერების (არაპროფესიონალ პორტრეტისტთა) სპეციფიკური კოლექციები.



სერომ
კოკორაძე

ნიჭიერება დაუსაბამო და ჯეროვანი

ზაფხულის სიცხით გათანგულ სოფელს ჭრიჭინობელას სიმღერა აკრთობს. დაღლილი მეურნეები ჩრდილში მიწოლილან. იქვე ოცნებებში ნასულ პატარა ბიჭს ნანასავით ჩაესმის გლეხკაცის სევდიანი სიმღერა, ფესვმაგარი, კლდესავით ჩაკირული და ტკივილიანი. ყმაწვილის გულშიც ისავადებს სამშობლოს სიყვარული, სულსა და გულს უფორიაქებს და მხნეობას მატებს.

საღამოს დაღლილნი, ოფლით გახვითქულნი სუფრას შემოუსხდნენ დევებივით მკლავმაგარი და ბეჭგანიერი ბიძები, ერთიორი ჭიქა ლალისფერი საფერავი გადაჰკრეს და, თითქოს დახავსებულმა ყელმა შვება ჰპოვაო, ოხვრასავით ამოაყოლეს ქართული სიმღერა. ბიჭი ტკბებოდა ბიძების მოძახილით და ვერ გაებედა ბანი ეთქვა, თუმცა კი გულში კარგა ხანია ღიღინებდა, სულის სალხინებლად. მალამოსავით ედებოდა პატარა ვაჟას ძარღვიანი საგალობელი. ჯერ შეუცნობელ მის ბუნებას ვერც კი გაეგო, საით მიექანებოდა ბედის მდევარი.

იდგა დრო ხალისიანი ბავშვობისა, პატარა ვაჟა ქარიშხალივით დაჰქროდა მშობლიური ახალგორის მწვანე ჯეჯილა მინდვრებში, მუხლმაგარსა და ღონიერს ყმაწვილური სიანცენი იზიდავდა. დედა ბრაზობდა, ბაბო და პაპა სინანულით აქნევდნენ თავს და გადიდგულებულ ყმაწვილს წიგნებისაკენ უთითებდნენ. ყველაზე მეტად კი, მამის სამსახურეობრივი მდგომარეობა ავალდებულებდა სანიმუშო საქციელისკენ. ღირსეული, პარტიული მუშაკის შვილი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ცელქი და მოუსვენარი. ბიჭის სულში კი მუსიკის თეთრი ანგელოზი ფრთებს შლიდა, იგი ღიღინებდა და ხატავდა, ხატვა მისი გატაცება იყო. პედაგოგები აღფრთოვანებულნი იყვნენ მისი ნახატებით, ვაჟა დურგლიშვილი ყველგან გამოირჩეოდა სხარტი აზროვნებით, მიზანსწრაფულობითა და საოცარი ლტოლვით ხელოვნებისადმი. სკოლაში ჩატარდა პირველი გამოფენა, მასწავლებლები სარაიონო და სასკოლო კონკურსებზე თავს ინონებდნენ ახალგორელი ყმაწვილის ნამუშევრებით. მამა კი მაინც არ იყო კმაყოფილი ბიჭის გატაცებით. მან კარგად იცოდა, რომ უფრო მეტი შეეძლო, ვიდრე აკეთებდა და მხოლოდ ცოდნა იქნებოდა მისი ერთადერთი ნავსაყუდელი. სწორედ ამის გამო მამამ დუშეთში გაგზავნა, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. ბიჭიც დაჰყვა მამის ნებას და გაემგზავრა. დუშეთის თვალწარმტაცმა ბუნებამ და უბრალო ხალხის სიკეთით სავსე გულმა კიდევ უფრო აანთო იგი შემოქმედებისაკენ. ვერაფრით დაუდო გული მისთვის უცხო და გაუგებარ მეცნიერებებს, რომელსაც სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში ასწავლიდნენ.

ერთ საღამოს ახლობლების ოჯახში სუფრა გაშალეს, 17 წლის ვაჟაც იქ იყო. თამადამ ჩვეული რიხით დაიწყო სუფრის წაძღოლა. ქეიფი გახურდა. სტუმრები ეშხში შევიდნენ. ყმაწვილს გულმა გარეთ გაუწია, ზაფხულის სასიამოვნო, გრილი ღამე იყო. ცაზე ვარსკვლავები გუნდ-გუნდად შეფენილიყო, უზარმაზარ ასწლოვან ხეებს ბადრი მთვარე დაირასავით ეჭირათ ტოტებით. ბიჭი ბუნების იდუმალებამ გაიტაცა და მთვარეულივით გაუყვა ცაცხვის დაბურულ ტყეს. ჭიშკარში ისე გავიდა, ვერც შეამჩნიეს. საიდანღაც მონაბერ ქარს მუსიკის სუსტი ხმა მოჰქონდა. ყმაწვილს გულში ნეტარებასავით ჩაეღვარა სანატრელი ჰანგები, ნელ-ნელა გაჰყვა და ერთ თეთრ შენობასთან მივიდა. ყველაფერი ზღაპარივით აცხადდა, ბიჭი ჯადოსნურ სასახლესთან მოხვდა და უეცრად საღათას ძილისაგან გამოფხიზლდა. განათებულ დარბაზში ორკესტრი უკრავდა. მუსიკა იყო ნაცნობი და ახლობელი. ბიჭი მონუსხულივით შეჰყურებდა ამ საოცარ ადამიანებს, მუსიკა შეწყდა და ყველა ახალმოსულს შეაცქერდა. ვაჟას მაღალი კაცი ღიმილით მიუახლოვდა, გამოჰკითხა ვინაობა და ყველაფერი დაწვრილებით შეიტყო. მისი ბედიც ამ საუბარმა განაპირობა. იმ საღამოს ვაჟა დურგლიშვილი თამამად წარსდგა დუშელი მაყურებლის წინაშე, ასრულებდა იტალიურ სიმღერას, რომელიც იმხანად იყო მოდაში. გადატენილი დარბაზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონუსხული უსმენდა ახალგაზრდა ყმაწვილის მომაჯადოებელ ხმას. დამთავრდა სიმღერა და მომღერალი ტაშით გააცილეს სცენიდან. ბიჭი გახარებული დაბრუნდა მასპინძლის ოჯახში, სადაც გახურებული ქართული ქეიფი გრძელდებოდა. საღამოს სოფლის ცენტრში შეკრებილი ხალხი აღფრთოვანებული საუბრობდა დურგლიშვილის ნიჭიერებაზე.

სწორედ ამ დღიდან დაიწყო მისი მუსიკალური კარიერა. ვაჟა დურგლიშვილი ნამყვანი სოლისტი გახდა ანსამბლში. დადიოდნენ სოფლებში, ქალაქებში, ხალხი ინტერესით უსმენდა მათ სიმღერას და შემდეგ თვითონ მღეროდა. ბიჭი კმაყოფილი იყო თავისი ბედით, სანამ ერთხელ გ.ცაბაძემ და ო. თევდორაძემ არ მოუსმინეს. უფროსებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ მას სწავლა უნდა გაეგრძელებინა პუშკინის სახ.პედაგოგიური ინსტიტუტის მუსიკა-სიმღერის ფაკულტეტზე. ყმაწვილი უარობდა, მაგრამ მკაცრ პედაგოგებს ვერაფერი გაუბედა და დათანხმდა.

ვაჟას ცხოვრების აღმასვლა აქედან დაიწყო. იგი მოხვდა საუკეთესო აღმზრდელებთან. გაიოზ ქართველიშვილი იყო მისი გზის გამკვალავი და ერთგული მრჩეველი, რომელიც მშობელ მამასავით ზრუნავდა ნიჭიერ ყმაწვილზე. 1968 წელს ჩამოაყალიბეს საესტრადო სასწავლებელი, სადაც მისი ნიჭიერება სრულფასოვნად წარმოჩინდა. მუსიკოსი დიდი სიყვარულით იხსენებს ვოკალის პედაგოგს მერი შილდელს. მალე ვაჟა დურგლიშვილმა დაიწყო თავისი ნაწარმოებების შექმნა. მის მჩქეფარე გონებას ვერაფერი შეაჩერებდა, სწორედ ამ პერიოდში დაუახლოვდა პოპულარულ ანსამბლ „ორერას“ და მის ხელმძღვანელს რობერტ ბარძიმაშვილს. ანსამბლის რეპერტუარში დიდი ადგილი დაეთმო ახალგაზრდა მუსიკოსის ნაწარმოებებს. საზოგადოებისათვის ცნობილი და საყვარელი სიმღერა იყო „მაღლა მზე, დაბლა დარია“. მოგვიანებით კი მისი პოპულარული სიმღერა „მამა, სიზმარში გიხილე“. ამ სიმღერის შექმნა უცნაურად მოხდა. მუსიკოსმა აღმოაჩინა, რომ მისი გონება ძილშიაც არ ისვენებდა, გამუდმებით რაღაც მელოდიებს თხზავდა, მაგრამ გაღვიძებულს აღარაფერი ახსოვდა. საგონებელში ჩავარდნილმა მუსიკოსმა აღარ იცოდა როგორ დაეჭირა სიზმრად შექმნილი მელოდია და ერთ ხერხს მიმართა. იგი ნელ-ნელა თვალგაუხელლად მივიდა ინსტრუმენტთან და თითებით გადმოიტანა კლავიშებზე. სწორედ ასე დაიბადა სხვა ბევრი ნაწარმოები. ერთ-ერთი კი „მამა, სიზმარში გიხილე“.1982 წელს ვაჟა დურგლიშვილმა შექმნა ანსამბლი, „მთიები“, რომელმაც დაიპყრო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქალაქები, მონაწილეობა მიიღო საკავშირო ფესტივალზე ვოლგოგრადში. მალე ანსამბლი გახდა ორგზის ლაურიატი ვოკალურ-ინსტრუმენტალურ ანსამბლების კონკურსზე „კიდევაც დაიზრდებიან“.

მუსიკოსი დღენიადაგ შრომობდა, მისი ცხოვრება აბობოქრებულ ზღვას ჰგავდა, რომელსაც დაუოკებელი გენი წარმატების მწვერვალებზე დააქანებდა. მისი შემოქმედება გასცდა ქვეყნის საზღვრებს და ხალხმა სისხლხორცეულად შეიყვარა. ვაჟა დურგლიშვილმა შექმნა ათამდე საფორტეპიანო ნაწარმოები, ორი ფორთეპიანოსა და ორი ვიოლინოსათვის. 1981 წელს ანსამბლ „მზიურის“ შესრულებით დაიდგა მისი უკვდავი მიუზიკლი „სათაგური“.

1984 წელს მუსიკოსს მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, არის კომპოზიტორთა კავშირის წევრი.

2008 წელს ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩატარდა ვაჟა დურგლიშვილის 60 წლის იუბილე. საღამოზე მონაწილეობდა ანსამბლი „ქართული ხმები“ და ქართული ესტრადის ვარსკვლავები: ლელა წურწუმია, თემურ თათარაშვილი, მამუკა ონაშვილი და სხვები.

ავტორი კი ჩვეულებრივი მოკვდავის ცხოვრებას იმეორებს, არც თუ ცუდს და არც თუ კარგს. ეხლა ოჯახში მუსიკალური ქაოსია. გენმა და სისხლმა თავისი გაიტანა და უმცროს შვილს — რატის მამისეული ნიჭიერება აღმოაჩნდა. საზოგადოებისათვის მალე გახდა ცნობილი ახალგაზრდა შემსრულებელი, უზადო გარეგნობით, საოცარი ხმითა და განუმეორებელი სტილით. პოპულარობა კი მას შემდეგ ეწვია, რაც დუეტმა „ჯორჯიამ“ იურმალას ფესტივალზე საქართველო ასახელა. იყო ბევრი მილოცვა და სიხარულის ცრემლი. მამა ჩვეული სიდინჯით შეხვდა შვილის აღმასვლას, თითქოს ეს ასეც უნდა მომხდარიყო.

მზეჭაბუკივით მშვენიერ ყმაწვილს ავგაროზივით დააქვს მამისეული სახელი და გასხივოსნებული ნიჭი, რომელსაც წინ ვერაფერი დაუდგება. მამის გაკვალულ გზაზე თამამად დადის დურგლიშვილების ამაყი ვაჟი და ბედნიერების საგალობელს უმღერის ხალხს. გახმაურებული წარმატების შემდეგ უამრავი შემოთავაზება ჰქონდა საზღვარგარეთიდან. სამშობლოზე შეყვარებული ვერ თმობს საქართველოს მიწას, ვერ შეეგუება ფესვებმოგლეჯილობას, რომელიც ასე ხშირია ქართველ მომღერლებში. არავის გაემტყუნებინა, ყველას თავისი წილი მიაქვს ქვეყნის სამსხვერპლოზე.

მშობელი მამა მოგონებებში ჩაფლული, სამშობლოდან გამოძევებულ ლტოლვილად იქცა. ბავშვობის ნოსტალგია ისევ აფორიაქებს და სულს უხუთავს, ენატრება ლაღი ახალგორის სანახები, სუფთა ჰაერი და ლორთქო ბალახის სურნელი. სოფლის დღესასწაულები, როდესაც ერთად იყვნენ ოსნი და ქართველნი, ერთი ლხინი და ერთი ჭირი აერთიანებდათ. მუსიკოსს სჯერა, რომ ოდესღაც ასეც იქნება და ორი მოძმე ერი იპოვის საერთო ჭირის მალამოს. სწორედ ხელოვნება და შემოქმედება იქნება დესპანი მარადიული ძმობისა. ღმერთმა დალოცოს დაუსაბამო და კურთხეული უკვდავი ნიჭიერება.

ილიკო სუხიშვილის იუმორი

კარგია, როცა კაცს იუმორის გრძნობა გააჩნია. ხოლო ნამდვილი ბედნიერებაა, თუ ეს თვისება ადამიანს ბუნებით მომადლებული აქვს.

სწორედ ასეთი იყო ილიკო სუხიშვილი. იგი საუკეთესო მამულიშვილურ თვისებებთან ერთად, ხალასი იუმორით დაჯილდოებული და საოცრად ენამოსწრებული პიროვნება გახლდათ.

ბატონ ილიკოსთან მრავალი წლის ერთად მუშაობის მანძილზე არაერთხელ ვყოფილვარ მოწმე იმისა, როდესაც დაძაბულ და ხანდახან კრიტიკულ სიტუაციებშიც, ეს იქნებოდა ჩვენში თუ საზღვარგარეთ, თავისი ენამახვილობით როგორ განუმუხტავს ის დაძაბულობა, რომელიც თან გვდევდა ხანგრძლივი და მომქანცველი გასტროლების დროს.

ილიკო სუხიშვილს უტყუარი ალღო ჰქონდა. შეუცდომლად გრძნობდა, როდის და სად უნდა ჩართულიყო საუბარში, ან ამა თუ იმ მძაფრ სიტუაციაში. ზოგჯერ მოულოდნელი და თანაც უადგილო გვეჩვენებოდა მისი იუმორი და ექსპრომტად ნათქვამი ფრაზები და გვიკვირდა კიდეც, რა დროს ხუმრობაა. მაგრამ შემდეგ ვხვდებოდით, რომ ამას ხშირად გამიზნულად, საქმის სასიკეთოდ აკეთებდა.

ზოგიერთ, მის ნათქვამ მოსწრებულ სიტყვაზე თვითონაც გულიანად იცინოდა. სიცილი კი ძალზე გადამდები ჰქონდა. ეს ხშირად დაღლილობასა და დაძაბულობას გვიხსნიდა, მეტ ენერგიასა და სიხალისეს გვმატებდა.

ილიკო სუხიშვილის მრავალი სხარტი გამონათქვამი ბევრისთვის უკვე ცნობილია და დღეს ლეგენდასავით დადის ხალხში.

ამ შესანიშნავი მამულიშვილის კეთილი გახსენებისა და მისადმი გულწრფელი პატივისცემის ნიშნად მკითხველს ვთავაზობ რამოდენიმე მოგონებას იმ კურიოზული თუ სახალისო ამბებიდან, რაც მოგზაურობის დროს თავს გადაგვხდენია და რომლებიც ბატონ ილიკოსთან არის დაკავშირებული.

არ დაიბნა...

იტალიის ერთ-ერთ ქალაქში ვმართავდით კონცერტებს. ილიკო სუხიშვილი, როგორც წესი, მაყურებელთა დარბაზიდან ადევნებდა ხოლმე თვალს კონცერტის მსვლელობას. ხშირად ქალაქშიც გაისეირნებდა, ანტრაქტის დროს დაბრუნდებოდა, კულისებში შემოვიდოდა, შეგვაქებდა და გაგვამხნევებდა...

იმ საღამოს კონცერტი ჩვეული წარმატებით მიდიოდა, მაყურებელი აღფრთოვანებით ხვდებოდა პროგრამის თითოეულ ნომერს.

„ჯეირანის " დროს ნინო რამიშვილს, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც მისთვის დამახასიათებელი შთაგონებითა და მგზნებარე ტემპერამენტით ასრულებდა ამ ცეკვას, თავბრუდამხვევი პირუეტის დროს სცენის იატაკზე ფეხი აუცდა და მოუხერხებლად დაეცა, მაგრამ უცბად სხარტად წამოდგა, არაფერი შეიმჩნია და მაინც დაამთავრა ცეკვა.

პირველი განყოფილება დამთავრდა. ყველანი შეწუხებულები ვიყავით, რადგან ქალბატონ ნინოს სერიოზული ტრამვა მიეღო.

ამ დროს კულისებში ილიკო სუხიშვილი შემოვიდა. კარგ გუნებაზე იყო. მივხვდით, რომ არაფერი იცოდა მომხდარი ამბის შესახებ.

— ყოჩაღ, ბიჭებო, კარგად იცეკვეთ! გოგოებო, თქვენ კი განსაკუთრებით შეუდარებელნი იყავით! — ჩვეულებისამებრ შეგვეხმიანა ჩვენი დირექტორი, შემდეგ სარკესთან მივიდა, თმა გადაივარცხნა და დივანზე წამოწოლილი მეუღლისაკენ არც კი გაუხედავს, ისე გადაულაპარაკა:

— ნინა, საყვარელო, დღეს რომ იცეკვე „ჯეირანშია“, შენს ცხოვრებაში ასე კარგად არასოდეს გიცეკვია!

— კი მაგრამ, ილიკო, რომ დავეცი? — დაღონებულმა მიუგო ქალბატონმა ნინომ.

ილიკომ ჯერ შეწუხებულ მეუღლეს შეხედა, შემდეგ ჩვენს გაკვირვებულ სახეებს მოავლო თვალი. მიხვდა რაშიც იყო საქმე, მაგრამ როდის იყო ილიკო სუხიშვილი იბნეოდა?

— კი, დაეცი, ჩემო ნინა, მაგრამ ეგ არაფერი. სამაგიეროდ, როგორ წამოხტი ჩვიდმეტი წლის გოგოსავითა, დარბაზი სულ ტაშით დაინგრა, მააშ!

„ცკ“-ში მივდივარ!

ფილარმონიის ბაღში, ანსამბლის სარეპეტიციო დარბაზში ყოველდღიურ მუშაობას ჩვეულებისამებრ ნინო რამიშვილი ატარებდა. მისი რეპეტიციები, როგორც ყოველთვის, ისეთი დაძაბული, ხანგრძლივი და მომქანცველი იყო, რომ თვით ილიკო სუხიშვილიც ვერ უძლებდა მუშაობის ასეთ რიტმს.

ბატონი ილიკო, რა თქმა უნდა, ხშირად ერთვებოდა ხოლმე ამა თუ იმ ცეკვის ნახაზის დახვეწაში, თავისი კორექტივები შეჰქონდა ცალკეულ მოძრაობებსა და ილეთებში. ნახევარი საათის შემდეგ კი თავის განუყრელ შავ „პაპკას“ იღლიაში ამოიდებდა და...

— ნინა, ძვირფასო, „ცეკაში“ მივდივარ!

ანსამბლის დირექტორს მრავალი საზრუნავი ჰქონდა, „ცეკაშიც“ დარბოდა და მთავრობაშიც. მაგრამ ხშირად ყოფილ პლეხანოვის პროსპექტზე პოპულარულ საკონდიტრო კაფეშიც შეივლიდა ხოლმე ყელის ჩასაკოკლოზინებლად (ტკბილეულის მოყვარული გახლდათ).

ილიკოს დიეტა ჰქონდა დანიშნული და ქალბატონი ნინო მკაცრად აკონტროლებდა მისი კვების რეჟიმს. დღის ბოლოს გამოჩნდებოდა ხოლმე ბატონი ილიკო სარეპეტიციო დარბაზში. მეორე დღეს კი... ისევ:

— ნინა, „ცეკაში“ მივდივარ!

და ასე ყოველდღე...

...იმ წელს, შვეიცარიაში ვიყავით გასტროლებზე. ქალაქ ჟენევის თეატრში რეპეტიცია ჩვეულებრივზე დიდხანს გრძელდებოდა. ნინო რამიშვილი თავის სტიქიაში იყო.

ილიკომ ველარ გაუძლო დოლ-გარმონის გაუთავებელ ხმას და...

— ნინა, „ცეკაში“ მივდივარ, — ამოიღლიავა „პაპკა“.

გაოცებულმა ქალბატონმა ნინომ, რომელსაც, მაინცა და მაინც, არც თბილისში სჯეროდა, რომ მეუღლე სულ „ცეკაში“ დარბოდა, რეპეტიცია შეაჩერა:

— ილიკო, ერთი მითხარი, სად არის აქ, ჟენევაში, „ცეკა“?

ილიკო გასასვლელში მონუსხულივით შეჩერდა, მაგრამ რის ილიკო სუხიშვილი იქნებოდა, გამოსავალი რომ ვერ ეპოვა?

— ჩემო კარგო, ჩვენი საელჩო ჟენევაში აბა რა არის, თუ არა „ცეკას“ ფილიალი, აი, იქ მივდივარ, — დინჯად უპასუხა მეუღლეს და კარებში ფანტომასივით გაუჩინარდა.

1962 წ. ჟენევა

გადარჩა?!

1975 წელს საბერძნეთში საგასტროლო მოგზაურობის დროს ანსამბლს თან ახლდა ვალერი ასათიანი, რომელიც იმხანად საქართველოს კომპარტიის ცკ-ის აპარატში მუშაობდა. იგი პარალელურად სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა ბიზანტიოლოგიის დარგში და ამ ქვეყანაში მოგზაურობა მისთვის შემოქმედებითი მივლინებაც იყო.

ვალერი ასათიანი — შესანიშნავი პიროვნება, ანსამბლის წევრებს შორის მეგობრული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა.

საბერძნეთში მოცეკვავეებმა ბატონ ვალერის ხუმრობით „ცეკა“ შეარქვეს.

იმ ზაფხულს ქალაქ ათენში აუტანელი სიცხეები იდგა. ტემპერატურა იმდენად მაღალი იყო, რომ კონცერტები უჩვეულოდ გვიან, ღამის თერთმეტ საათზე იყო დანიშნული.

დღისით კი ანსამბლის წევრები თავისუფალ დროს ხშირად ზღვის პირას, პლაჟზე ატარებდნენ. ზოგიერთს ზედმეტად მოჰკიდებოდა მზე. ხშირად გაიგონებდით:

— ე, ბიჭო, როგორ დამწვარხარ?

— სად დაიწვი ასე?

ერთხელ ანსამბლის რომელიღაც წევრმა თეატრში შემოსული, სახეანითლებული და ერთთავად მზისგან გარუჯული ვალერი ასათიანი რომ დაინახა, ხმამაღლა იხუმრა:

— ბიჭებო, „ცეკა“ დამწვარა, „ცეკა“, აუ!

იქვე მდგარი ილიკო სუხიშვილი (რომელიც სულ „ცეკაში“ დარბოდა) უცბად ვერ გაერკვა სიტუაციაში და შეშფოთებულმა იყვირა:

— რას ამბობ, კაცო, სულ დაიწვა ყველა და ყველაფერი, თუ გადარჩა რამე?

შემდეგ კი გულიანი სიცილი აუტყდა.

ომი დაიწყო?..

1968 წელს, ჩეხოსლოვაკიაში განვითარებული ცნობილი ამბების, ე.წ. „პრაღის გაზაფხულის“ დროს ჩვენი ანსამბლი ლათინური ამერიკის ქვეყნებში იმყოფებოდა გასტროლებზე — კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში ვმართავდით კონცერტებს.

შუაღამისას, სასტუმროში, დაახლოებით სამ საათზე, ჩვენმა ადგილობრივმა თარჯიმანმა, შეშფოთებულმა გაგვაღვიძა.

ეს პერუელი ახალგაზრდა, რომელსაც მოსკოვის პატრის ლუმუმბას სახელობის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული და გამართულად საუბრობდა რუსულ ენაზე, აღელვებული გვითარგმნიდა ცხელ-ცხელ ინფორმაციებს, რომელსაც მისი განუყრელი პორტატული რადიომიმღები ყოველი ხუთი წუთის ინტერვალით გადმოსცემდა, თუ როგორი სისასტიკით შეიჭრნენ საბჭოთა ტანკები პრაღაში.

ბიჭები ერთ ოთახში შევგროვდით. გავაცნობიერეთ, რომ ჩვენთვის ასეთი დაძაბული ვითარება ძალზე არასასურველი იყო. საქმე იმაშია, რომ ოთხთვიან გასტროლებს სწორედ კოლუმბიაში ვამთავრებდით და მოულოდნელად ასეთი არასასიამოვნო ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით.

იქ, სამხრეთ ამერიკაში, მოგეხსენებათ, მაშინ „საბჭოთა ქვეყნის“ ნაწილს გვეძახდნენ და ჩვენი შემდგომი ბედი გაურკვეველი და არც თუ სახარბიელო იყო.

რადიომიმღები კი განუწყვეტლივ გადმოსცემდა ახალ ცნობებს ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა ჯარების მიერ განხორციელებულ შემაძრწუნებელ სისხლიან ოპერაციებზე.

საგონებელში ჩავვარდით, რა უნდა გვექნა?

ბოლოს გადავწყვიტეთ და ჩვენი ანსამბლის ინსპექტორს, ვალოდია ყუფარაძეს ვთხოვეთ სასწრაფოდ საქმის კურსში ჩაეყენებინა ანსამბლის ხელმძღვანელობა.

ილიკო სუხიშვილის ნომრის კარებზე დააკაკუნეს.

— რომელი ხარ მანდა? — ცოტა ხნის შემდეგ ოთახიდან ნამძინარევი კაცის ხმა გაისმა. შემდეგ საკეტი გაჩხაკუნდა და კარებში საცვლების ამარა, თვალებმოჭუტული ბატონი ილიკო გამოჩნდა.

— რა ამბავია, რა მოხდა? — ეკითხება დაბნეულ ყუფარაძეს.

— ილია, ილიჩ..., ომი დაიწყო! — არც აცია და არც აცხელა, „ოპერატიულად“, შეშფოთებული ხმით აუწყა საქმის ვითარება ვალოდიამ ანსამბლის დირექტორს.

— რა ომი, რის ომი, ვინ დაიწყო, კაცო, ომი? — უცებ ვერ გაერკვა ბატონი ილიკო.

— აი, წუხელ, საბჭოთა კავშირმა ჩეხოსლოვაკია აიღო, მგონი გერმანიაც უნდა იყოს ჩარეული ამ საქმეში, — რადიოთი გადმოსცემენ...

ბატონი ილიკო გამოერკვა:

— მერე, შე კაი კაცო, ამ შუაღამისას რომ მაღვიძებ, მე რა, მარშალი ჟუკოვი მნახე თუ მალინოვსკი? — მოუჭრა შეცბუნებულ ვალოდიას და ცხვირწინ კარი მოუხურა.

ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვს

ჰოლანდიის დედაქალაქი ამსტერდამი. პრემიერის წინ გენერალურ რეპეტიციას ნინო რამიშვილი ატარებს. თეატრი პრესისა და ტელევიზიის ჟურნალისტებით არის სავსე. ოპერატორები და ფოტორეპორტიორები ყველაფერს იღებენ — ცეკვის თითოეულ ეპიზოდს. მათი განსაკუთრებული ყურადღება კი ნინო რამიშვილისკენაა მიპყრობილი. ცდილობენ, არ გამოეპაროთ მისი არც ერთი მოძრაობა.

ამ დროს ილიკო სუხიშვილი დარბაზში ზის. პარტერიდან ადევნებს თვალს რეპეტიციას. ის არავის ახსოვს, ჩრდილშია მოქცეული...

— სდეექ! — უეცრად, ყველასათვის მოულოდნელად გაისმა დარბაზში ილიკოს მჭექარე ხმა. დადუმდა დოლ-გარმონი, მოცეკვავეები ადგილზე გაქვავდნენ, ქალბატონ ნინოს მაღლა შემართული ხელი ჰაერში გაუშეშდა. ყველა ილიკო სუხიშვილისკენ შემობრუნდა.

ილიკო ენერგიულად წამოდგა, პარტერი გადაკვეთა და სცენაზე ავიდა, სადაც ცეკვა „ფარცას“ მონაწილე გოგონები იყვნენ.

— რამდენ ტრიალს აკეთებთ ფარცაში? — ხმამაღლა ეკითხება გოგონებს.

— რვას, ბატონო ილიკო, ასე იყო ყოველთვის.

— ამ საღამოს, პრემიერაზე, ცხრას გააკეთებთ, გასაგებია? — ასევე ხმამაღლა, ხელის სწრაფი მოძრაობით შესძახა მოცეკვავეებს ანსამბლის დირექტორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა, სწრაფად მიატოვა სცენა და ჩქარი ნაბიჯით ისევ პარტერს მიაშურა.

უცხოელმა ჟურნალისტებმა და ფოტოკორესპონდენტებმა ბევრი ვერაფერი გაიგეს მისი ნათქვამიდან, მაგრამ იმას კი მიხვდნენ, ვისთანაც ჰქონდათ საქმე. ნინო რამიშვილსა და მოცეკვავეებს თავი მიანებეს და ილიკოს მისცივდნენ. ხელახლა ატყდა ფოტოაპარატების ჩხაკუნი, ალყაში მოაქციეს ბატონი ილიკო და უამრავი კითხვა დააყარეს ჩვენს დირექტორს, რომელიც სიამოვნებით იძლეოდა ინტერვიუებს და ძალზე კმაყოფილი იყო...

პრემიერაზე კი, ცეკვა „ფარცაში“, ჩვენმა გოგონებმა ნახაზი აურ-დაურიეს — ზოგი რვას, ზოგი კი ცხრა ტრიალს ასრულებდა.

მაგრამ ეს არაფერი. სამაგიეროდ ჟურნალისტები მიხვდნენ და სხვებსაც გააგებინეს, ვინ იყო იქ, დარბაზში, მთავარი — ილიკო სუხიშვილი.

1963 წ. ამსტერდამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორიაკი

1957 წელი. პარიზის თეატრი „ალამბრა“. საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის პირველივე გამოსვლა უდიდესი ტრიუმფით აღინიშნა. ფრანგმა მაყურებელმა აღიარა ქართული საცეკვაო ხელოვნება...

შუაღამისას, სასტუმრო „მოდერნ პალასის“ ნომერში ტელეფონი რეკავს:

— მუსიე სუხიშვილი? თბილისი გთხოვთ.

— ალო, ალო... გისმენთ, გამარჯობათ, კომუნისტის რედაქციიდან? დიახ, დიახ, კონცერტმა ბრწყინვალედ ჩაიარა, თეატრი ხალხით იყო გაჭედილი. პარიზის მთელი ნაღები საზოგადოება დაესწრო ჩვენს გამოსვლას. დიდი ოვაციებით შეხვდა მაყურებელი, ზოგიერთი ცეკვა რამდენიმეჯერ გავიმეორეთ...

— გილოცავთ დიდ გამარჯვებას, ბატონო ილიკო. გვითხარით ცნობილი პიროვნებებიდან ვინ ესწრებოდა თქვენს პრემიერას?

— ჟაკ დიუკლო, მსახიობები ივ მონტანი და სიმონა სინიორე, ბალეტმაისტერი სერჟ ლიფარი, ცნობილი ბალერინები ივეტ შოვირე და ლუდმილა ჩერინა, მწერალი ლუი არაგონი, საელჩოს წარმომადგენლები, დიპლომატები ყველა ქვეყნიდან...

— მორიაკი, ფრანსუა მორიაკი თუ გესწრებოდათ კონცერტზე?

ილიკო სუხიშვილმა, ეტყობა, კარგად ვერ გაიგონა კითხვა.

— მარიაკი? მარიაკები კი არა, სულ ადმირლები და გენერლები ისხდნენ დარბაზში კაცო, მააშ!

— გმადლობთ, ბატონო ილიკო. გისურვებთ შემდგომ წარმატებებს, ღამე მშვიდობისა.

— ნახვამდის.

„მოკკო“ (Mocco)

ავსტრალიის ქალაქ პერტში ვართ. შუადღეა. სასტუმროდან გარეთ გამოვედი. ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე ჩვეულებრივზე ნაკლები მოძრაობაა. ასეა ხოლმე აქ, სადილობის დროს.

სასტუმროდან ილიკო სუხიშვილი გამოვიდა.

— თენგიზს გაუმარჯოს, რას აკეთებ აქა?

— არაფერს, ისე, გასეირნება მინდოდა.

— თუ ისადილე შენა?

ნასადილევი კი ვიყავი, მაგრამ დირექტორს ხათრი ვერ გავუტეხე.

— არა, ილია ილიჩ, არ მისადილია.

— მაშ ერთად ვისადილოთ, წამო ჩემთანა.

ქუჩას საუბრით გავუყევით.

— შენა, შვილო, „მოკკო“ თუ გიჭამია?

— არა, არ გამისინჯია.

— ისეთი რამეა, ჭამით ვერ გაძღები.

ერთი კვარტალი გავიარეთ, შუქნიშანზე გზაჯვარედინი გადავკვეთეთ და კუთხეში პატარა კაფესთან შევჩერდით, რომელსაც ლამაზი, წითელი ფერის რეკლამა ამშვენებდა წარწერით „მოკკო“.

კაფეში შევედით და ორადგილიან მაგიდას მივუსხედით.

ჩვენთან მყისვე მაღალფეხება, უსაშველოდ მინი ქვედატანიანი სიმპათიური გოგონა გაჩნდა, თავაზიანად გაგვიღიმა და გვითხრა, რას ინებებთო.

ბატონმა ილიკომ მარჯვენა ხელის ორი თითი მაღლა შემართა:

— თუუ „მოკკო!“

— ო, კეი, — გოგონა უკან გაბრუნდა.

ცოტა ხნის შემდეგ გოგონამ ორი პატარა ფინჯანი მაგიდაზე დაგვიწყო.

ქაფმომდგარ ყავას სასიამოვნო სურნელი დაჰკრავდა.

ბატონ ილიკოს უცებ სახე შეეცვალა.

— „მოკკო?“ — გაკვირვებით შეეკითხა გოგონას და ფინჯანზე მიანიშნა.

— იეს, „მოკკო“, პლიიზ, — უპასუხა გოგონამ.

— ნო, ნოო, „მოკკო“, — სადილისათვის განწყობილ ბატონ ილიკოს სიბრაზე მოერია.

გოგონა უხერხულობისაგან წამოწითლდა...

ყავადალეულები კაფედან გამოვედით.

— მე იმას ვუჩვენებ „მოკკოსა“, ჯერ მივიდე სასტუმროშია! — გაცხარებით დაემუქრა ილიკო სუხიშვილი ვილაცას.

მე კი დღემდე არ ვიცი, ანსამბლის რომელმა ნევრმა ურჩია ჩვენს დირექტორს სადილად „მოკკო“.

„მექსიკური ტეკილა“

ქალაქ მეხიკოში, კონცერტების დამთავრების შემდეგ მთელი ანსამბლი ერთად ვვახშმობდით ხოლმე სასტუმროს რესტორანში. აქ, ხალხით სავსე დარბაზში, ყოველ საღამოს მექსიკური ნაციონალური ორკესტრი „მარიაჩოს“ უკრავდა. ჩვენც არ ვჩქარობდით ვახშმობის დამთავრებას და სიამოვნებით ვუსმენდით პოპულარულ მექსიკურ მელოდიებსა და სიმღერებს.

ვახშამზე ჩვენთვის, პატარა, ლამაზი ჩაიდნებით სურნელოვანი ჩაი მოჰქონდათ. რა თქმა უნდა, როგორც წესი, მაგარი სასმელების მიღება აკრძალული გვქონდა. აბა, ვინ გაბედავდა ნინო რამიშვილის დასანახავად თუნდაც ერთი ჭიქა ღვინო მოეთხოვა.

რესტორნის სიტუაცია კი, მოგეხსენებათ ჩვენთვის, ქართველებისათვის, მაინც მაცდური იყო. დალევა გვინდოდა, მაგრამ როგორ, რა უნდა გვექნა?

გამოსავალი ანსამბლის ნევრმა, ილიკო თაყაიშვილმა იპოვა. იგი ჩვენს ოფიციანტს წინასწარ შეუთანხმდა და მასაც ჩვენს მაგიდაზე ჩაიდნით მექსიკური არაყი „ტეკილა“ მოჰქონდა. ჰოდა, ასე ფარულად, ყოველ საღამოს

ვწრუპავდით ამ ადგილობრივ „ჭაჭას“ გულში-ჩამწვდომი მუსიკის აკომპანიმენტის ქვეშ.

ერთ საღამოს კი მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. ოფიციანტს ჩაიდნები აერია და ჩვენი „ტეკილა“ მეზობელ მაგიდაზე ილიკო სუხიშვილს და ნინო რამიშვილს მიუტანა.

ილიკო სუხიშვილმა ჩაიდანი ასწია და ის იყო „ჩაი“ ქალბატონ ნინოს ფინჯანში უნდა ჩამოესხა, რომ უცებ არყის მძაფრი სუნი იგრძნო. ჩვენს დირექტორს აბა რას გამოაპარებდი. ყველაფერს მიხვდა და ჩვენ გადმოგვხედა, მით უმეტეს, ვიცოდით, რომ ბატონ ილიკოს უკვე ეჭვი ჰქონდა აღებული, რადგან „ჩაის“ სმის შემდეგ ჩვეულებრივზე მხიარულები ვბრუნდებოდით რესტორნიდან.

ამ ამბის გახმაურება ჩვენთვის კატასტროფას ნიშნავდა. ნინო რამიშვილი ხომ დასანახად ვერ იტანდა სპირტიან სასმელებს. ჩვენი გადარჩენის ერთადერთი იმედი ისევ ილიკო სუხიშვილი და მისი გამჭრიახობა იყო.

მან ჩაიდანი დინჯად ასწია მაღლა, ჩვენი მაგიდისაკენ შემობრუნდა და ილიკო თაყაიშვილს ხმამაღლა გადმოსძახა:

— თაყაიშვილი! ჩემთან ძალიან ღია ფერის ჩაი მოუტანიათ, მე მუქი მიყვარს, შვილო. მოდი აქა, შემიცვალე!

... ასე მოხერხებულად აგვაცილა ბატონმა ილიკომ იმ საღამოს ნინო რამიშვილის რისხვა.

1960, მეხიკო

დეგუსტატორი

შვეიცარიაში გასტროლების დროს ერთმა ადგილობრივმა მეღვინემ, რომელიც აღტაცებული იყო ქართული ცეკვების ხილვით, საკუთარ ვილა-მამულში მიგვიწვია სტუმრად. ჯერ თავისი დიდებული კარ-მიდამო და იდეალურად მოვლილი ბაღ-ვენახი შემოგვატარა, შემდეგ კი მარანში მიგვიპატიჟა.

მყუდრო და დაკრიალებულ მარანში ღვინის ნაზი, დამათრობელი სურნელი იდგა. მარნის დათვალიერების შემდეგ ჩვენი სიმპათიური მასპინძელი მოზრდილ დარბაზისაკენ გაგვიძღვა, რომლის შუაშიც გაშლილ გრძელ, მუხის მასიურ მაგიდაზე, წელში გამოყვანილი, მაღალფეხებიანი ჭიქები იყო ჩამწკრივებული.

მასპინძელმა თავაზიანად გვთხოვა მისი ღვინო გაგვესინჯა, ასე ვთქვათ, დეგუსტაცია ჩაგვეტარებინა. თან დასძინა, რომ ვაზითა და ღვინით განთქმული ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრების მხრიდან მისთვის ეს დიდი პატივი იქნებოდა.

მაგიდასთან პირველი ჩვენი ხელმძღვანელი, ილიკო სუხიშვილი მიიწვიეს.

ბატონმა ილიკომ ბიჭებს გადმოგვხედა.

— რავარიას დამიძახეთ აქა! — გასცა ბრძანება ანსამბლის დირექტორმა.

რავარია ჩვენი ანსამბლის მოცეკვავე — სოლისტი ანზორ ნიკოლაიშვილია. იგი პროფესიით მეღვინე-ტექნოლოგიც არის. ეს ზედმეტი სახელი კი იმის გამო შევარქვით, ახალ ტანსაცმელს ჩაიცმევდა თუ არა, ყველას აუცილებლად შეეკითხებოდა: — აბა, შემომხედეთ, რავარიაო?

ილიკო სუხიშვილმა ჩვენს მასპინძელს რავარია წარუდგინა და გააცნო, როგორც ღვინის გამოცდილი სპეციალისტი.

რავარიას თეთრი, გაქათქათებული ხალათი ჩააცვეს, მაგიდასთან მიიპატიჟეს და სადეგუსტაციო ჭიქა მიართვეს, რომელშიც ერთ მეოთხედზე ქარვისფერი ღვინო იყო ჩასხმული.

— აბა, არ შემარცხვინო, შვილო, ტყუილად ხომ არ ისწავლე ამდენ ხანს სასოფლოშია, — გაამხნევა ბატონმა ილიკომ ჩვენი დეგუსტატორი.

რავარიამ ჯერ ჭიქას დახედა, შემდეგ დარბაზს მიმოავლო თვალი და იქვე, კუთხეში მდგარ გოგონას, რომელსაც ხელში თეთრი თიხის დოქი ეკავა, თავისთან უხმო, ჭიქა გაუწოდა და საჩვენებელი თითით ანიშნა, შეავსეო.

გოგონამ ჭიქა ნახევრამდე შეავსო.

რავარიამ ღიმილით ანიშნა, კიდევ დაუმატეო.

გოგონას ლოყები წამოუწითლდა და თავის შეფს შეხედა...

ნახევარლიტრიანი სასმისი პირამდე გაივსო.

რავარიამ იმერული დარბაისლობით იქ მყოფთ სათითაოდ გადახედა, ჭიქა მაღლა ასწია, უსიტყვოდ, ბოლომდე გამოსცალა და კმაყოფილმა ულვაშზე დინჯად გადაისვა ხელი.

ყველა, მასპინძლებიცა და სტუმრებიც, მისჩერებოდნენ მოხდენილ ქართველ ვაჟკაცს, აბა, რას იტყვისო.

რავარიამ მცირე პაუზის შემდეგ ისევ იმ გოგონას მოუხმო, ჭიქა კვლავ პირამდე გაავსებინა, გაგიმარჯოთ, თქვენ გენაცვალოთ რავარიაო... და სულმოუთქმელად გადაიპირქვავა ღვინო, სასმისი ფრჩხილზე დაიბერტყა და რიხიანად დააყოლა: — ასე მტერი დაგეცალოთო!

ჩვენი მასპინძელი, პირდაღებული, თვალს არ აშორებდა დეგუსტატორს იმის იმედით, რომ ახლა მაინც შეუქებდნენ ნახელავს.

რავარიამ აჟუჟუნებული თვალებით ამაყად გადახედა სადეგუსტაციო დარბაზს, შემდეგ იქვე მდგარ შოთა ხოფერიას მხარზე ხელი გადახვია და...

— მაშ, ერთი პატარა მარავალური... ჟამიეერ...

შოთამ პირველი ხმა მიაგება, ბიჭებმა ბანი დავცხეთ და მარანში დიდებული ქართული სიმღერა აგუგუნდა.

შემდეგ ყველამ ერთად ჭიქები ავწიეთ და ამ უჩვეულო დეგუსტაციით გაოგნებულ, მაგრამ მაინც კმაყოფილ მასპინძლებს ჭურ-მარანი დავულოცეთ.

1963 წელი

რაშა ჩხარეიშვილი

ეროვნული ქართველი თეატმცოდნის მოღღოვური ჩანაწერები

კიშინიოვის ეუენ იონესკოს სასცენო ხელოვნების ფესტივალის ორგანიზატორებისთვის უცხო არ არის არც ქართული თეატრი და არც შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, რადგან იონესკოს თეატრისა და მისსავე სახელობის ბიენალეს ხელმძღვანელი პეტრუ ვიტკარაუ თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულია. გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს იგი თეატრალურ უნივერსიტეტში სარეჟისორო ფაკულტეტზე სწავლობდა. ბატონმა პეტრუმ და რამდენიმე მისმა გუნდელმა განსაკუთრებული მოკითხვები დამაბარეს: ავთო ვარსიმაშვილთან, ნუგზარ ლორთქიფანიძესთან, რამაზ იოსელიანთან... უცებ წარმოვიდგინე როგორი ხშირი, საქმიანი, შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობები არსებობდა უფროსი თაობის თეატრის მოღვაწეებს შორის.

დღეს, როცა საზღვრები გახსნილია და შესაძლებლობაც თითქოს მეტია, უცხოელი კოლეგების გაცნობა და ერთობლივი შემოქმედებითი პროექტების განხორციელება მაინც ოცნებად რჩება. ოცნების ახდენასთან დაკავშირებული პრობლემების გამომწვევი მიზეზების კვლევა არ შეადგენს ჩემი ინტერესის საგანს, მე მხოლოდ ფაქტების კონსტატაციას ვახდენ და დავსძენ, რომ საერთაშორისო სტუდენტური ერთობლივი პროექტები იშვიათად ხორციელდება. სტუდენტების გაცნობა-დაახლოების მიზნით ბოლო პერიოდში იშვიათად, მაგრამ მაინც ეწყობა გარკვეული საღამოები.

პროფესიული სრულყოფისთვის, მით უმეტეს, როცა მსოფლიო თეატრის ისტორიისა და თეორიის სპეციალობაზე სწავლობ, აუცილებელია უცხოეთის თეატრებში არა მხოლოდ სპექტაკლების ნახვა, არამედ ამ თეატრების დათვალიერება, რადგან თუნდაც ზედაპირული წარმოდგენა შეგვექმნას მსოფლიო თეატრში მიმდინარე პროცესებზე. კარგია, რომ არსებობს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში „ვიდეოცენტრი", რომელიც მუდმივად ივსება ახალი სპექტაკლების ჩანაწერებით. კარგია, რომ არსებობს თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, რომელიც როგორც თევზს წყალი, ისე გვჭირდება, თეატრალურ სფეროში მოღვაწეებს, მაგრამ ვიდეო ჩანაწერები და ერთი ფესტივალი ვერ დაგვეხმარება ინფორმაციის სრულყოფილად მიღებაში. იმ პროცესების

ღრმად გარკვევა-ჩახედვაში, რომელსაც ადგილი აქვს თანამედროვე უცხოურ თეატრში. ამიტომაც, მომავალი თეატრმცოდნეებისთვის (თუნდაც კინომცოდნეებისთვის) მეტად მნიშვნელოვანია აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო პროგრამებში.

ამას წინათ, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს მოლდოვაში საგასტროლო მოგზაურობისას თან ვახლდი. ბათუმის თეატრი კიშინიოვში ეუენ იონესკოს სახელობის IX საერთაშორისო სასცენო ხელოვნების ბიენალეში მონაწილეობის მისაღებად იყო მიწვეული, რომელსაც შემოკლებით თეატრალები „Bitei"-ის უწოდებენ. ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა მისი სამხატვრო ხელმძღვანელის გიორგი თავაძის ბოლო ნამუშევარი უცნაური სახელწოდებით „ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით" წარუდგინა საერთაშორისო ფორუმის მონაწილეებს ევროპისა და აზიის ცამეტამდე ქვეყნიდან, მათ შორის, რუსული თეატრის, ტელევიზიისა და პრესის წარმომადგენლებსაც, რომლებიც ასე მრავლად ესწრებოდნენ ქართველთა წარმოდგენას. რუსეთი ფესტივალის მონაწილე სხვა ქვეყნებიდან შემთხვევით არ გამოვყავი, რადგან გიორგი თავაძის სპექტაკლი, რომლის ტექსტის თანაავტორიც რეჟისორთან ერთად დრამატურგი ირაკლი სამსონაძეცაა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, რუსებზე და ქართველებზე მოგვითხრობს.

გიორგი თავაძის სპექტაკლი, შეიძლება ითქვას, პირდაპირი რეაქციაა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომზე, მისი უშუალო გამოძახილია, „ამ ტრაგიკული და ამავე დროს, გმირული დღეების მხატვრული ხატია" — როგორც მას ხელოვნებათმცოდნე ლელა ოჩიაურმა უწოდა. აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენებს თანამედროვე ქართული თეატრი, სხვა შემთხვევაში ჯერ არ გამოხმაურებია. ესაა სპექტაკლი, რომელიც საქართველოს, ქართული საზოგადოების შესახებ მოგვითხრობს ქვეყნისთვის ექსტრემალური ვითარების პირობებში და საბედისწერო მოვლენების გარემოცვაში, როდესაც ცხოვრების ჩვეულებრივი დინება ირღვევა და როცა ნებისმიერი ადამიანი თავის ნამდვილ სახეს ამჟღავნებს, როდესაც არჩევანს ყველა თავად აკეთებს და ამ არჩევანის მიხედვით ერის სახე იქმნება. თუმცა, კონკრეტულ მოვლენებთან დაკავშირებული და სრულიად აბსტრაგირებულ ფორმაში მოქცეული ფაქტები, დრო და მოქმედების ადგილი, თავის მხრივ, კიდევ უფრო განზოგადებულია ერთი მთავარი მიზეზის გამო. ის, რაც 2008 წლის აგვისტოში საქართველოს თავს დაატყდა, არც აგვისტოში დაწყებულა და არც 2008 წელს, ხოლო გამეორების საშიშროება კვლავ არსებობს.

ამრიგად, ქართველთა სპექტაკლი წარმოდგენილი მოლდოვაში, რომელიც ბევრი სხვა მცირე ერის მსგავსად ცდილობს თავი დააღწიოს რუსეთის იმპერიალისტურ გავლენას, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა სახელმწიფოების ბედსაც ასახავს. ესაა ყველასთვის იმის გახსენება და შეხსენება, თუ რა არის ომი, რა მოსდევს მას.

კიშინიოვში ჩასვლისთანავე ბათუმის თეატრის ხელმძღვანელებს: თეატრის მმართველს ზაზა ხალვაშს და თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს გიორგი თავაძეს რუსული ტელეკომპანიის „CTC" გადამღები ჯგუფი ესტუმრა. საფესტივალო ვრცელი ბუკლეტიდან, ცნობილი იყო ბათუმის თეატრის სპექტაკლის შესახებ, რასაც ერთვოდა ქართული პრესის შეფასებები. ბუნებრივია, რუსულ სატელევიზიო არხებს აინტერესებდათ სპექტაკლამდე მისი ავტორის მოსაზრება რუსეთ-საქართველოს ბოლო პერიოდის ურთიერთობებზე. ბათუმის თეატრის ხელმძღვანელებმა „CTC"-ის შუმოთავაზებაზე – მონაწილეობა მიეღოთ ერთსაათიან გადაცემაში, სადაც უნდა მოეთხროთ სპექტაკლზე და თან საკუთარი დამოკიდებულება გამოეხატათ პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებზე – უარი განაცხადეს, რამაც რუსული ტელეარხის გაღიზიანება გამოიწვია. სწორედ, ამ ტელევიზიამ გაავრცელა ინფორმაცია გიორგი თავაძის სპექტაკლის შესახებ, რომ ქართველები კიშინიოვში პოლიტიკურ-თეატრალიზირებულ აქციას მართავენო. ბათუმის თეატრის რეპეტიციის კადრები, რომელიც კიშინიოვის ჩეხოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის სცენაზე მიმდინარეობდა და რუსულმა ტელევიზიამ უნებართვოდ გადაიღო და მთელი დღე „ატრიალებდა" თავის ეთერში „CTC"-ი, ამ ფაქტს ემატებოდა ისიც, რომ ფესტივალის ფარგლებში ქართული თეატრი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, 26 მაისს წარსდგა მაყურებლის წინაშე. ჩეხოვის თეატრის 800 კაციანი დარბაზი გადაჭედილი იყო სხვადასხვა ეროვნების მაყურებლით. ბათუმის თეატრისადმი ინტერესს ზრდიდა არა მხოლოდ ქართული თეატრის ძველი ავტორიტეტი, რომელიც ინერციით ჯერ კიდევ არსებობს ევროპაში, მით უმეტეს, ყოფილ საბჭოთა კავშირში, არამედ სპექტაკლის წარმოდგენის დღეც, ეუენ იონესკოს თეატრში გამართული პრესკონფერენცია. შეხვედრას ჟურნალისტებთან ერთად კრიტიკოსებიც ესწრებოდნენ. პრესკონფერენცია დაგეგმილზე დიდხანს გაგრძელდა, ეს განპირობებული იყო მოლდოვის თეატრალური საზოგადოებისთვის უცნობი რეჟისორის გიორგი თავაძის პერსონით დაინტერესებით და პრესკონფერენციაზე გაცხადე-

ბული სპექტაკლის ჟანრით — კომიკური იგავით. რუს და მოლდოველ კრიტიკოსებს ეუცნაურათ როგორ შეიძლება ერთი ოჯახის მაგალითზე, რომელიც სახელმწიფოს მეტაფორული გააზრებაა, რეჟისორმა მოყვეს ისტორია მისი ერის ტრაგიკულ ბედზე, გვიჩვენოს ომი და მისი შედეგები ირონიით და იუმორით, თანაც იგავის ჟანრში. ამავდროულად, სპექტაკლი შეიძლება განისაზღვროს, როგორც ტრაგი-კომედია, იგავის სისტემაში ან იგავი, ტრაგი-კომედიის ფორმაში, აბსურდისა და პოსტმოდერნისტულ მიმდინარეობებთან ინტეგრირებით. რეჟისორის მიერ განმარტებულ იქნა, რომ სპექტაკლი ქართული ზღაპრის, ეროვნული ფოლკლორის ახლებური, პოსტმოდერნისტული წაკითხვის შედეგია.

სპექტაკლი „ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით" რუმინული სუბტიტრების თანხლებით მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ მზად იყო რუსული და ინგლისური სუბტიტრები, თეატრის ხელმძღვანელების ცალსახა პოზიცია იყო, რომ იონესკოს ფესტივალის ორგანიზატორებს რუსული ტექსტი რუმინულად მოკლე ვადებში ეთარგმნათ. გულახდილად რომ ვთქვა, ქართველებიც და მოლდოველებიც სუბტიტრების მომზადების გამო სულ ტყუილად გაისარჯნენ, რადგან სპექტაკლის დაწყებიდან 7-10 წუთის შემდეგ მაყურებელთა უმრავლესობა ეკრანს, რომელზეც რუმინულ ენაზე ქართული ტექსტი „მიდიოდა" მოწყდა და მისი მზერა მხოლოდ სცენისკენ იყო მიპყრობილი.

მეორე გულახდილი აღიარება: უცხოელ მაყურებელს სპექტაკლის მიმდინარეობისას გაცილებით ადეკვატური რეაქციები ჰქონდა, ვიდრე ქართველ მაყურებელს აქვს საქართველოში. ქართველები ტაშს უკრავდნენ იმ სცენებს, როცა სიმბოლურად რუსი ქართველს თავის ჭკუაზე აცეკვებს და ძალადობას ხმარობს. რუმინელი მაყურებელი კი ამ სცენების დროს სუნთქვაშეკრული იყო, და როცა დიდი ქვაბიდან, მოულოდნელად, ნახევარქათამა-იმარინდო გამანთავისუფლებელი ამოვიდა — ტაშმა იქუხა. აგრეთვე მაყურებლის ოვაცია გამოიწვია სცენაზე ტანკების და ვერტმფრენების გამოჩენამ. ქართველი მსახიობები ამ მიუჩვეველმა რეაქციებმა კი არ დააბნია, არამედ პირიქით გაამხნევა და ძალები მოაკრებინა.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ დიდხანს არ ცხრებოდა ოვაციები. ამაღლებული განწყობა კიდევ უფრო გააძლიერა „პაკლონის" შემდგომ გაჟღერებულმა საქართველოს ეროვნულმა ჰიმნმა და სცენის ბოლოში დაშვებულმა უზარმაზარმა საქართველოს სახელმწიფო დროშამ, სცენაზე კი იდგნენ ამაყი, თავმოყვარე ქართველი მსახიობები და სცენის უჩინარი მონაწილენი ჩირაღდნებით ხელში. „ქართველთა პოლიტიკური აქცია", როგორც ამ ფაქტს რუსულმა ტელეკომპანიამ - „CTC" -მა უწოდა, ჯანსულ კახიძის „მრავალჟამიერით" დასრულდა. ამის შემდეგ სცენაზე ავიდა იონესკოს საერთაშორისო თეატრალური ბიენალეს და იონესკოს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, მოლდოვაში სახელგანთქმული მსახიობი და რეჟისორი პეტრუ ვიტკარაუ, რომელმაც ფეხზეწამოჭრილ დარბაზს განუცხადა: „აი, ეს არის მაგალითი იმისა, როგორ უნდა გიყვარდეს სამშობლო. დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ეს ერი არასოდეს გადაშენდება, რადგან მათი იარაღი ხელოვნებაა." სიტყვით გამოსვლის შემდეგ პეტრუ ვიტკარაუმ გიორგი თავაძეს ფესტივალის მოოქროვილი ემბლემა, საპატიო პრიზი, გადასცა.

ქართველების სპექტაკლის განხილვა ჩეხოვის თეატრის ფოიეში გაგრძელდა. აღფრთოვანებულ სახეებთან ერთად ვხედავდი დაბოღმილ და გაბრაზებულ ადამიანებსაც, მაგალითად ჟურნალ „თეატრის" რედაქტორს, თეატრმცოდნეს, ქალბატონ ვერა ვიშეტკოს, დილით გამართულ პრესკონფერენციაზე შევუთანხმდი კომენტარის ჩაწერაზე. მოლაპარაკებისამებრ სპექტაკლის შემდეგ კომენტარი ვთხოვე, მაგრამ უარი მივიღე: „მე არ მესმის ასეთი თეატრი, ჩემთვის თეატრი არ არის სიგიჟე, ექსცენტრულობა, ამდენი ჟანრის თუნდაც სინთეზური შერწყმა და, რაც მთავარია, ზედმეტი „თავმოყვარეობა" და ამაყი ცქერა სცენიდან. თქვენი თეატრის მსახიობები თუ უფრო თავმდაბლები დაგველაპარაკებიან სცენიდან უკეთესი იქნება..." ქალბატონ ვერასგან განსხვავებით, გაბრაზებული არ იყო მსოფლიოში სახელგანთქმული, ყველაზე უცნაური ხელოვანი, რეჟისორი რომან ვიკტიუკი, რომელმაც ქართულ პრესასთან კომენტარი არ გააკეთა, მაგრამ მშობლიურ, რუსულ ტელევიზიებს შესჩივლა: „მე არ მეგონა თუ დღეს, ომგამოვლილი ქვეყანა მოიცლიდა თეატრისთვის, ვერც იმას ვიფიქრებდი, რომ ის წარდგებოდა საერთაშორისო ფესტივალზე ასე თამამად, მხნედ და ღირსეულად. ქართველებმა აჩვენეს მაგალითი, თუ რა შეუძლია თეატრს, მათ გვიჩვენეს მაღალი საშემსრულებლო ხელოვნება და ჩემთვის რეჟისორი გიორგი თავაძეც აღმოჩენაა, რომელიც უდავოდ ამართლებს მისი პედაგოგის დიდი რობერტ სტურუას იმედებს." ფესტივალის საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ კეთილგანაწყობილებიც, რომლებმაც ქართველების სპექტაკლს დადებითი შეფასება მისცეს, მათი ინტერვიუები კი სხვა გაზეთებში დაიბეჭდება.

რაც შეეხება თავად ფესტივალს, იონესკოს სასცენო ხელოვნების ბიენალე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო თეატ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალური ფორუმია აღმოსავლეთ ევროპაში და ამ მნიშვნელობას საუკეთესო თეატრალური დასების მონაწილეობა ზრდის, როგორც ევროპიდან, ისე აზიის ქვეყნებიდან. 2010 წლის იონესკოს ბიენალეს წელს განსაკუთრებულად აღნიშნავდა მოლდოვა, რაც ფესტივალის სახელმწიფო სტატუსის მინიჭებასა და მოლდოვის მთავრობის პატრონაჟში გამოიხატა.

წლევანდელ ფესტივალზე რამდენიმე სპექტაკლის ნახვის საშუალება მომეცა. ამჯერად, ორ, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ სპექტაკლებზე მოგითხრობთ, რომელთა ავტორები ერთმანეთს რადიკალურად ემიჯნებიან და მათ განსხვავებული მსოფლმხედველობა, გემოვნება, სამყაროს აღქმის სხვადასხვა უნარი აქვთ. ერთი გახლავთ ანდრეი ნაზარენკო და მეორე ევროპაში სახელგანთქმული, ცნობილი რუსი რეჟისორი რომან ვიკტიუკი. ვიკტიუკისადმი ჩემი ინტერესი გამოიწვია მისმა სკანდალურმა ბიოგრაფიამ, მისი რეჟისურისთვის დამახასიათებელმა და ჩვეულმა ეპატაჟურობამ.

როგორც გაირკვა, იონესკოს ფესტივალში ვიკტიუკი პირველად მონაწილეობდა, სპექტაკლის დასასრულს მაყურებლით კმაყოფილმა რეჟისორმა განაცხადა: აქ ისეთი კარგი მაყურებელია, პირობას ვდებ, არა მხოლოდ შემდეგ „bitei"-ზე მივიღებ მონაწილეობას, არამედ ისეც გესტუმრებით კიშინიოვშიო. სპექტაკლი, რომელიც რომან ვიკტიუკმა წარმოადგინა იონესკოს ბიენალაზე დაახლოებით ოცი წლის წინ არის დადგმული და ამ სპექტაკლში, ამჟამად, მესამე თაობა მონაწილეობს. (პირველად დაიდგა მოსკოვში 1988 წელს, 1991 წელს შეიცვალა მსახიობები და 2004 წელს მესამედ შევიდა ცვლილება მონაწილე მსახიობების სიაში) ჟან ჟენეს „მოახლეები" პოპულარობით სარგებლობდა და როგორც ჩანს, დღესაც სარგებლობს ფართო მაყურებელთა შორის. უცნაური კი ისაა, რომ ოვაციებს ვიკტიუკის დასს ქალბატონები უფრო უმართავენ, ვიდრე მამაკაცები, შესაბამისად ამ რეჟისორის გულშემატკივარ-ფანების დიდი არმიაც ქალბატონები არიან.

სპექტაკლის დასაწყისში სავარაუდოდ თავად ვიკტიუკმა მიკროფონში გამოაცხადა ჟან ჟენეს რემარკა აღნიშნული პიესიდან: „ჩემი აზრით, მოსამსახურეები უნდა ითამაშონ კაცებმა, დიახ, სწორედ რომ კაცებმა". ვიკტიუკის მხრიდან ეს განცხადება ერთგვარ თავის მართლებას წააგავდა, თუმცა, მისთვის ხელი არაფერს შეუშლია კიშინიოვის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენიდან მოეხდინა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის იდეოლოგიის დემონსტრირება-პოპულარიზაცია. ამ მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან სპექტაკლში ხელისშემშლელი მაყურებლისთვის და ზედმეტი იყო ქორეოგრაფიული ეტიუდების ჩვენება სპექტაკლის დასაწყისში და ფინალში. თუმცა, ქორეო-

გრაფიული „ნოველები“ ერთიან სპექტაკლში რეჟისორის ხედვით, მოიაზრებოდა როგორც პროლოგ-ეპილოგი, რომელიც მართალია კავშირში იყო თავად სპექტაკლთან და მის მხატვრულ ჩანაფიქრთან, მაგრამ მაინც მიუღებელი დარჩა რიგი მაყურებლისთვის და ამ მაყურებელთაგან, რა დასამალია და, სრული უმრავლესობა ქართველები იყვნენ. რომან ვიკტიუკმა ჟან ჟენეს „მოახლეები“ გაიაზრა, როგორც ფსიქოლოგიური დრამა, სადაც რეალური და ირეალური ცხოვრების სურათები, წარმოსახვა და ოცნებები ისეთ ხელშესახებ საგნებად იქცევა, როგორც თავად მსახიობი, რომელიც მოსამსახურის როლს ასრულებს. სპექტაკლის იდეურ გააზრებასთან ერთად მაყურებლის აღფრთოვანება, გაოგნება და აღტაცება გამოიწვიეს რომან ვიკტიუკის დასის მსახიობებმა, მათმა ფიზიკურმა მონაცემებმა, დახვეწილმა პლასტიკამ, მეტყველების კულტურის უმაღლესმა ხარისხმა და დონემ, მსახიობთა შესაშური გარდასახვის უნარმა. მსახიობები ერთდროულად ცეკვავდნენ, მღეროდნენ, საუბრობდნენ და ეს ყველაფერი თამაშის პარალელურად ერთდროულად ხდებოდა. ფერადოვანი სანახაობა ორ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა, წარმოდგენის შუა ხანებში მაყურებელს მოწყენილობა დაეტყო, სპექტაკლის რიტმი და დინამიკა საგრძნობლად მოდუნდა, მაგრამ ეს „ხარვეზი“ დიდხანს არ გაგრძელებულა და მაყურებელი მალევე იქცა სანახაობის ტყვედ. (ვისაც ეჭვი ეპარება ჩემს მოსაზრებაში შეუძლია იხილოს ბმული - http://www.youtube.com/watch?v=_c4045C6NGg&feature=related და თავადაც დარწმუნდება იმაში, რომ სკანდალურ რომან ვიკტიუკს დასში უმაღლესი რანგის მსახიობები ჰყავს). მსახიობებმა დიმიტრი ბოზინმა (სოლანჟი), დიმიტრი ზოიდიკმა (კლერი), ალექსეი ნესტერენკომ (ქალბატონი), ივანე ნიკულჩამ (ბატონი) შექმნეს საინტერესო, მრავალპლანიანი და ფერადი სანახაობა. მსახიობები ერთდროულად ასრულებდნენ რამდენიმე როლს და მაყურებელი მოხიბლული იმიტომ რჩებოდა, რომ ისინი კონტრასტულად ახერხებდნენ ერთი როლიდან მეორეზე გადასვლას, სცენაზევე, კონკრეტულ ეპიზოდებში, კოსტიუმის გამოცვლის გარეშე. დახვეწილი ინტონაცია ხშირად იცვლებოდა. მსახიობთა მეტყველება ინტონაციურად და ჟღერადობის თვალსაზრისით მოცარტის სიმფონიებს წააგავდა. მართალია, სრულიად ზედმეტი და მიუღებელიც კი იყო სპექტაკლის ფინალში ვიკტიუკის ერთგვარი სექსუალური მანიფესტი პლასტიკის ენით გადმოცემული, რომელიც ჩართულ კუპიურას ჰგავდა და როგორც იტყვიან: „ყურით

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო მოთრეული“ სპექტაკლის საერთო ნახაზში, მაგრამ შინაგან პროტესტს კვლავ მსახიობთა პროფესიონალიზმი და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა კლავდა და ახშობდა. და რაც მთავარია, ყველაფერი ეს იყო ესთეტიური, ლამაზი და დახვეწილი.

სპექტაკლის დასრულების შემდეგ მაყურებელთა ოვაცია დიდხანს არ ჩამცხრალა, მაგრამ ეს ყველაფერი იმპულსურ ემოციას ჰგავდა. ოპერის თეატრის წინ სპექტაკლიდან გამოსული მაყურებელი, სხვადასხვა ეროვნებისა და თეატრების მსახიობები ჯგუფ-ჯგუფად იყვნენ შეკრებილნი. მათ შორის, ქართველებიც, რამდენიმე ქართველი უკვე გარეთ დაგვხვდა, რომლებმაც სპექტაკლი პროტესტის ნიშნად სპექტაკლის დაწყებიდან 10-15 წუთის განმავლობაში დატოვეს. ოპერის თეატრის წინ დიდხანს გაგრძელდა კამათი ნანახის ირგვლივ, ვცდილობდით სპექტაკლის ცალკეული დეტალების გაანალიზებას, ახსნას. ზოგი გმობდა სპექტაკლს, ზოგიც აღფრთოვანებას ვერ მალავდა, მათ შორის მეც. ჩემს გაკვირვებას იწვევდა ჩემი მეგობარი მსახიობების პროტესტი და ნანახის სრული დაგმობა და გაუფასურება საკუთარი ამბიციების წინა პლანზე წამოწევით, რომლებიც ამბობდნენ, რომ ასეთი სპექტაკლების თამაშს ერთი კვირის მომზადების შემდეგ თავისუფლად შეძლებდნენ.

აღიარებული ფაქტია და საკამათო აღარ არის, რომ თანამედროვე ქართულ თეატრში, სხვა პრობლემებთან ერთად უმნიშვნელოვანეს პრობლემას მეტყველების კულტურა და მასთან დაკავშირებული ტექნიკის არ ფლობა წარმოადგენს. მაშინ, როცა ჩვენს მსახიობებს მეტყველების კულტურის დაბალ დონესთან ერთად სხვა შემოქმედებითი პრობლემებიც ბევრი აქვს, გამაღიზიანებელი იყო ვიკტიუკის მსახიობების კრიტიკა, თანაც დაუმსახურებლად.

მეორე სპექტაკლი ნიკოლოზ გოგოლის „შეშლილის წერილები“, რომელიც რეჟისორმა ანდრეი ნაზარენკომ გვიჩვენა საინტერესო იყო ბევრი თვალსაზრისით. მართალია, ასეთი ტიპის თეატრი დღეს ჩვენთან აღარ არსებობს და ის ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიის კუთვნილებაა, მაგრამ სპექტაკლში საინტერესო იყო არა გადაწყვეტა, პიესის რეჟისორული გააზრება და მხატვრული ფორმა, არამედ მსახიობთა მომზადების დონე, აკადემიზმი, უკიდურესი რეალიზმი და უშუალობა.

როდესაც ფარდა გაიხსნა, მეგონა ქართული საბჭოთა თეატრის 40-იანი წლების სპექტაკლს ვუყურებდი. ტოტალური ყოფითობა სცენაზე გაცხადებული იყო დეკორაციაშიც, მსახიობთა თამაშშიც. ამ სპექტაკლში გამორიცხულია და უარყოფილია მინიმალური პირობითობაც კი. ანდრეი ნაზარენკოს შემოთავაზებული ყოფითობა და მაქსიმალური რეალიზმი მაღალ მხატვრულ ხარისხშია აყვანილი, ეს შეფასება ეკუთვნის როგორც რეჟისორს, ისე სპექტაკლში მონაწილე მსახიობებს: მაქსიმ ტიუნოვს, ალექსეი ზნამენსკის, ოლღა მელნიკოვას, ანასტასია ნესციასტნოვას, რომან ტოკმილენკოს და ილია ზდანოვს. ამ მსახიობებმა შექმნეს ღრმად რეალისტური, მართალი მხატვრული სახეები.

მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლი მთლიანად ვერბალურია და ტექსტზე დაფუძნებულ თეატრალური ხერხის პრინციპითაა აგებული, იმათთვისაც კი, ვისაც გოგოლის „შეშლილის წერილები“ არ აქვს წაკითხული, ყველაფერი ნათელი და გასაგები დარჩებოდა. ჩემი ყურადღება მიიქცია ასევე უმარტივესმა, თითქოს პრიმიტიულმა „თეთრმა“ განათებამ, რომელიც მთელი სპექტაკლის მანძილზე არ იცვლება.

სამწუხაროდ, არ მომეცა საშუალება ეჟენ იონესკოს ბიენალეს სრული საფესტივალო პროგრამის ხილვის, თუმცა, მადლობის მეტი რა მეთქმის ბათუმის თეატრის მმართველის ზაზა ხალვაშის მიმართ, რომელმაც ფესტივალზე ჩემი გამგზავრებისა და ცხოვრების ხარჯები მთლიანად გაიღო.

შთაბეჭდილებები მოლდოვაზე და ფესტივალზე უთუოდ ამაღლებულია. მაგრამ, შეგრძნება და განცდა იმისა, რომ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ქვეყანაში ვიყავი, მაინც დამრჩა. ჩემი აზრით, ქვეყანაზე შთაბეჭდილება აეროპორტიდან იწყება. საბჭოთა მილიციის ფორმაში გამოწყობილი პოლიციელები და განუვითარებელი ინფრასტრუქტურა ქალაქის ცენტრალურ უბნებამდე საბჭოეთის განცდას უფრო ამძაფრებდა და სასტუმროები, რომლებიც სტალინის ეპოქაშია აშენებული, მართალია ფასადებში და ინტერიერში ბევრი რამ შეცვლილია, მაგრამ ბევრი მაინც დარჩათ და გადმოყვათ სტუმართმოყვარე მოლდოველებს საბჭოთა კავშირიდან.

ზოგჯერ, ჩვენ, ქართველები ბევრს ვწუწუნებთ, ხშირად ვაკრიტიკებთ ხელისუფლებას, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: უცხოეთიდან ჩამოსულ მტერს თუ მოყვარეს საქართველოზე, თუნდაც გარეგნულად, იგივე განცდას და შეგრძნებას არ დავუტოვებთ, როგორც მე მოლდოვეთში ყოფნისას დამეუფლა.



მანანა ოუზაძე

ზაურ დეისაძე

მხატვრის შემოქმედება შეუძლებელია მკაცრი სტილისტური ფორმულირებით შემოსაზღვრო. ნებისმიერი ნამუშევარი, ხშირად კომპოზიციური და ფერთა გადაწყვეტის დიდი ხნის რაციონალური ძიების, ხშირად კი, ემოციის წამიერი, ენერგიული ამოფრქვევის ნაყოფია. ნახატი მონათხრობია განცდილზე, იგი მშვენიერი მოგონებაა, ან სულაც წამიერი სულიერი მდგომარეობის ასახვა. მაგრამ უნებლიედ, მასში მოსალოდნელი ამბებისა და მოვლენების წინათგრძნობაც განსხეულდება ხოლმე, ანდა თავისთავად ნიშან-სიმბოლოდ იქცევა, ლამაზი ოცნების რეალობად ქცევას ეხმარება. შემოქმედება არა მხოლოდ საკუთარი გრძნობის გადმოცემის უფლებას აძლევს მხატვარს, არამედ საკუთარ თავს სხვებზე ზემოქმედების უხილავ ძალასაც აღმოაჩენინებს.

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, როდესაც ასე გართულებულია „პური არსობისას" მოპოვება, როდესაც ადამიანის ცნობიერება ინფორმაციისგან გათელილი და შელანძღულია და შემოქმედების არსის წვდომა იმ სიმაღლეებიდან, სადაც მშვენიერება წარმოიქმნება, თითქმის შეუძლებელია, მნიშვნელობას იძენს კონსტანტინე რერიხის სიტყვები, რომ ხელოვნების იდუმალი მომხიბვლელობა მის აღმოცენებაშია დაფარული. თუკი მხატვრული ნაწარმოების საწყისი მხოლოდ შემოქმედის შთაბეჭდილებით სავსე გონებაა, მაშინ იგი მნახველის გონებით გაიაზრება მხოლოდ, მაგრამ თუკი ხელოვნება შემოქმედის გულიდანაა მომდინარე, გული კი გრძნობათა ტახტრევანია, მაშინ ნახატიც მთელი გულით, გრძნობითა და ემოციით აღიქმება და ასეთსავე გრძნობებს იწვევს დამთვალიერებელში.

სწორედ ამგვარ, გულიდან ამოსული გრძნობების შემოქმედად მესახება მხატვარი ზაურ დეისაძე. მოკრძალებული ადამიანი, ჩინებული მეოჯახე, მოსიყვარულე, ერთგული... ამავე დროს, ნამდვილი პროფესიონალი, შესანიშნავი მხატვარი, მოაზროვნე, მშრომელი...

მხატვრობა ბავშვობიდანვე იქცა მისთვის თვითდამკვიდრების უმთავრეს საშუალებად. ულამაზეს ქუთაისში მიიღო ხატვის პირველი გაკვეთილები და მთელი ცხოვრების მანძილზე თან წაიყოლა შესანიშნავი პედაგოგების, მთელ ქუთაისში უცნობილესი ხალხის: ვანო ყაჭეიშვილის, ვალერიან მიზანდარის, სოსო და არჩილ ჩოგოვაძეების პირველი სახელოვნებო შეგონებანი.

შემდეგ თბილისის სამხატვრო აკადემიაში გატარებული წლები, სტუდენტური სისავსე და ჭაბუკური გატაცებები... დიდ მხატვრებთან — სერგო ქობულაძესთან, აპოლონ ქუთათელაძესთან, პედაგოგებთან — ვლადიმერ ქუთათელაძესთან, სერგო კაშხიანთან ურთიერთობა...

პირველი გამოფენები თბილისში, შემდეგ მოსკოვში, გერმანიაში...

პერსონალური გამოფენები ზაარბრიუკენში, თბილისში; მონაწილეობა სიმპოზიუმებში; პრიზები საკავშირო გამოფენებიდან...

მისი ნამუშევრები დაცულია რუსეთის, გერმანიის, საქართველოს კერძო კოლექციებში...

საინტერესო სამუშაო საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში, შეკვეთები და... სამუშაო... სამუშაო...

დროის სვლასთან ერთად, მისი მხატვრობის მიმართ საზოგადოების ყურადღება იზრდებოდა...

არასოდეს გამოდევნებია წარმატებას, ხმაურიან აღიარებას, მუშაობდა აუჩქარებლად, ფორიაქის გარეშე. მისი მხატვრად ჩამოყალიბება თანდათან, საფეხურ-საფეხურ მოხდა, აღმავალი გზით. ალბათ ამიტომაც, ზაურ დეისაძის ნამუშევრები სწორედ ფსიქოლოგიური სიღრმით და სიმშვიდით იპყრობენ ყურადღებას. ისინი თავისებურ მყუდროებას, სინაზესა და სითბოს ქმნიან. მათში ყოფიერების თავშეკავებული, ნათელი სიხარული გამოსჭვივის. ამავე დროს,

ისეთ პირადულ ნამუშევრებშიც კი, როგორც ახლობლების პორტრეტებია, სახეთა მხატვრული კრებითობა, მათი უნივერსალობაა მნიშვნელოვანი. მხატვრის ფიქრი სიკეთესა და მარადიულზე არასოდეს იცვლება რაიმე სხვა, უფრო მნიშვნელოვანი თემით. გასული საუკუნის 90-იან წლებში ზეთის საღებავებით შესრულებული კომპოზიციებისთვის: „ნატურმორტი წითელი ჩაიდნით", „ორნი", „დამსხვრეული მშვენიერება" და კიდევ სხვებში — ყველა კომპონენტი მნიშვნელოვანია, იქნება ეს ნახატის ფორმატი, ფაქტურა, სივრცე-სიბრტყისა და შუქ-ჩრდილის ოსტატური მონაცვლეობა თუ ფერწერული წყობა — პასტოზური, ძლიერი, ფართო მონასმებით გამდიდრებული კოლორიტი.

„ლტოლვილი გოგონას ოცნება" — თუმცა არაკონკრეტული პორტრეტია, მაგრამ მასში წარმოდგენილი თემა ყოველი ჩვენთაგანისათვის იმდენად მტკივნეულია, რომ გოგონა უნებლიედ ახლობელი ხდება, მისი სევდიანი განწყობილება კი — გადამდები. თოჯინა გოგონას გვერდით, პატრონივით სევდიანი და უმწეოა. ამ განცდას აძლიერებს ქარით აფრიალებული სარეცხი, პატარა ლამბაქზე დასხმული რძე, ცალფეხმომტვრეული სკამი და ანთებული სანთელი გოგონას ხელში — იმედის ერთადერთი სხივი. ზეთისხილის ფერის კოლორიტი უცნაურ სიმშვიდეს ანიჭებს სურათს და, მიუხედავად ასახული ამბის სიმძიმისა, ნახატის საერთო განცდა თბილი და კეთილია.

ზაურ დეისაძის ნამუშევრები მრავალფეროვანია ჟანრული და სტილისტური თვალსაზრისით — ფერწერა, გრაფიკა, პორტრეტი, პეიზაჟი, ნატურმორტი, სიმბოლური კომპოზიციები, ჭედურობა, ლითოგრაფია და, რაც მთავარია, ილუსტრაცია... თემების, ჟანრებისა და შემოქმედებითი ხერხების შთამბეჭდავი მრავალფეროვნება კიდევ უფრო განამტკიცებს მის არტისტულ ორიგინალობას და შემოქმედებითი გარდასახვის უნარს. მხატვრის სულიერი აღმასვლა სრულად შეესაბამება მის ნამუშევართა მშვენიერებას, დეკორატიულობასა და ფერადოვან გამას. ყოველ ნამუშევარში ნათლად ჩანს პოეტური ბუნება, სამყაროს წვდომის, მთლიანი აღქმის მისეული ხედვა. მათში იგრძნობა ოდნავი ირონიაც, იუმორი, რაც საერთოდაც დიდად დასაფასებელია ადამიანში და, მით უმეტეს, მხატვარში, რადგან ჩანს, რომ იგი თვითკრიტიკულია და საკუთარ შემოქმედებას სხვათა თვალითაც შესცქერის და აფასებს.

ფერწერულ ტილოებზე — „დამსხვრეული მშვენიერება", „მოულოდნელი გარღვევა დროში" — მხატვრის სწორედ ირონიანარევი დამოკიდებულება იკითხება. მდუმარებით მოცულ, გარინდულ კომპოზიციებში ქალის სტატიკური, კლასიკური ბერძნული პორტეტია ჩაწერილი. თუკი ერთგან — ქალის მშვენიერი პორტრეტი თანდათანობით მრავლდება და ვარდნის პროცესში იმსხვრევა კიდეც, მეორეში — ქაღალდის მკვრივ ფურცელს არღვევს და მის სიღრმეში თანდათანობით იკვეთება ქალის მშვენიერი სახე. მშვენიერებას დრო ამსხვრევს და მშვენიერება დროის სვლას ამარცხებს. ორივე კომპოზიციაში მხატვარი ორი ურთიერთგამომრიცხავი ცნების — სტატიკისა და დინამიკის ძალდაუტანებელ თანაარსებობას გვიჩვენებს. ორივეგან მხატვრის შემოქმედებითი ხელწერის მთავარი ნიშნები — მკვეთრი კოლორისტული სისავსე და ჰარმონიულად აგებული კომპოზიცია მნახველს საშუალებას აძლევს საკუთარი თვალსაწიერით აღიქვას თითოეული მათგანი. მათი ფერადოვანი დრამატურგია, მეტაფორული სივრცე, ემოციურობა და ცხოვრების სუბიექტური აღქმა, ავტორის სურვილს გამოხატავს — ყურადღება მთავარზე — ფერადოვან პალიტრაზე გაამახვილოს. ნახატების კოლორიტი კი თბილი მომწვანო-მოყვითალო სითეთრისა და ლურჯი ფერის გრადაციებზეა აგებული.

ზაურ დეისაძის შემოქმედებითი ცხოვრების ამოსავალი წერტილი, მთავარი თემა — ადამიანის მრავალსახეობისა და მრავალფეროვნებისადმი ინტერესია. სწორედ ადამიანებში პოულობს მხატვარი ახალ და ახალ იდეებს შთაგონებისათვის. ყოველთვის ცდილობს გადმოსცეს განწყობილება, გარდამავალი სულიერი მდგომარეობა და შექმნას პოეტური, ლირიკული სურათი. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია „მოხუცი

ქალის პორტეტი". მის სახეს, ასაკის გარდა, აღარაფერი ეტყობა, — არც დარდი, არც ფიზიკური ტკივილი, აღარც სიხარული... თითქოს არც უცხოვრია ამ ქვეყანაზე. დამთრგუნველი სიმშვიდე დაუფლებია მის დაღარულ სახეს, მაგრამ ხელები?.. ხელები მეტყველებენ, ხელებით ხვდები, თუ რა ნაჯაფი ცხოვრებაგამოვლილია ეს მოხუცი ქალი.

ზაურ დეისაძეს არ უყვარს რეალისტური შტრიხები, სასურველი ეფექტის მისაღწევად ხშირად მასალის ნებისმიერ ფაქტურას იყენებს და სამყაროსა და მასში მომხდარი მოვლენების აღქმის ერთგვარი გულუბრყვილობა წინასწარ განსაზღვრავს კიდეც ავტორის კეთილ და ლირიკულ დამოკიდებულებას ცხოვრებისადმი, სადაც ზღაპარი რეალობის გვერდით არსებობს. მისი პორტრეტები ჩანაფიქრის საერთო გადაწყვეტით — პერსონაჟთა ხასიათითა და ფერთა სიმბოლიკით, სინაზითა და პალიტრის სიმსუბუქით ანცვიფრებენ მნახველს.

პირველი, რასაც გრძნობთ ზაურ დეისაძის ნამუშევრების თვალიერებისას, ესაა ავტორის უშუალობა. იგი არ უარყოფს სამყაროს მრავალფეროვნებას, მაგრამ ჯიუტად უბრუნდება საყვარელ თემებს და ხაზს უსვამს მათ ცხოვრებისეულ პოეტურობას, მათი არსებობის აზრს. ეს აზრი კი საოცრად ადამიანურია — ისინი ერთი მთლიანობის ერთი ნაწილია. ნახატის მეტაფორული სიმბოლოები, განმეორებადი თემები, ადამიანთა კონტურები გაფანტული არიან მისი ჟანრული თემატიკის საზღვრებში, როგორც პეიზაჟის, ნატურმორტის, პორტრეტის, ალეგორიის თავისებური სინთეზი. ამგვარად უბრუნდება იგი დეკორატიულ მოტივებს, რომლებშიც სხვადასხვა ფერის ერთმანეთთან თანაარსებობის პრინციპებს ეძიებს. უბრუნდება ნატურმორტებს, რომელთა კომპოზიციურ წყობასაც ფერთა განლაგებას უთანხმებს. „ნატურმორტი წითელი ჩაიდნით" — დაბინდულ ზეთისხილისფერში ჩაწერილი მკვეთრად წითელი ფერის კონტრასტულ თანაარსებობაზეა აგებული, ხოლო „ნატურმორტი ლამფით" — სილურჯეში გარდამავალი ნაცრისფერი კოლორიტის ყავისფერისა და მკრთალი ზეთისხილისფერის ურთიერთგავლენაზე. ფერთა ექსპერიმენტები ხომ საერთოდაც დამახასიათებელია მხატვრებისათვის.

ზაურ დეისაძე თავად ხსნის თავისი ხელოვნების ბუნებას: — როდესაც ნამუშევრებში ერთსა და იგივე თემას, ან საგნებსა და მოვლენებს იმეორებს, იგი საკუთარ წარმოსახვაში ეძებს სიუჟეტს, რომელიც რაღაც შინაგან იდეას უნდა შეერწყას. ეს იდეა ხშირად გაურკვეველი თვისებებისაა, ზოგჯერ ფერადია, ზოგჯერ ცხოვრებისეული, ყოფითი, ზოგჯერ ყველაფერი ერთად და როდესაც ამ სიუჟეტს აღმოაჩენს, შემდეგ ამოწმებს, თუ რამდენად შეესაბამება იგი საწყის ჩანაფიქრს. რომელიღაც საგნის განზოგადებული სახე ზოგჯერ მას იდეასა და სიუჟეტსაც კარნახობს...

რა თქმა უნდა, ეს პოეტური სისტემა განვლილი გზის შეჯამების განცდაა, ყოველი ადამიანის ცხოვრებისეული დანიშნულების საიდუმლო. ზაურ დეისაძის ბევრ ნამუშევარში ჩანს კვანძის გახსნის, მზის ჩასვლის თემა, ყოფიერების სევდა. არა სულის განწირულება, არამედ უფრო პირადი პასუხისმგებლობა წარმავალი ცხოვრების წინაშე, როგორც მაგალითად მის კომპოზიციაში — „მოხუცი ქალები". ერთად თავმოყრილი ეს სამი „გრაცია", მხატვრის ირონიული და ამავდროულად სევდიანი მზერაა დროსა და სივრცის მიღმა. ხოლო გოგონა ყვავილების თაიგულით ხელში, ამ სევდიანი მზერის გამართლება და მოლოდინიც. მოხუცი ქალების მორუხო ლურჯი ტანისამოსის გარდამავალი ტონალობა და გოგონას მოთეთრო-მოყვითალო კაბის მკრთალი ანარეკლი ჰარმონიულად უერთდება გარემოს ასევე მკრთალ მტრედისფერს.

ზაურ დეისაძის ნახატი ზოგჯერ გამიზნულად ბრტყელია, სახასიათო ფონების ცვალებადობა და ფრონტალური დრა-

პირებები დაჟინებით ამჟღავნებენ თავის ცხოვრებისეულ დანიშნულებასა და მნიშვნელობას და თითქოს უტევენ კიდეც მაყურებელს, როგორც მაგალითად, სხვადასხვა დეკორატიულ მოტივებზე შექმნილ კომპოზიციებში. სივრცის არასწორხაზობრივი განაწილება ხშირ შემთხვევაში სინამდვილის უეჭველ ეფექტს, საგანთა იმ სიმართლეს ქმნის, რომელიც არა ვიზუალურ, არამედ აზრობრივ მსგავსებაში უფრო მჟღავნდება, როგორც მაგალითად, ფერადოვან-ლაქობრივ კომპოზიციაში „ორნი“, მაგრამ მხატვარი არავის არ ახვევს თავს საკუთარ შემოქმედებით და აზრობრივ განცდებს, მისი ნახატების ახსნა და გაგება ყოველნაირად შეიძლება, როგორც წმინდა ხელოვნების, ყოველგვარი სიღრმეების ძიების გარეშე, პორტრეტი — მხოლოდ პორტრეტია, ნატურმორტი — ნატურმორტი, ჟანრული სცენა — მხოლოდ ჟანრული სცენა. მიუხედავად სიმბოლური დატვირთვისა, საგანი საგნად რჩება და მხატვარი ოსტატურად, თუმცა არც ისე რეალისტურად გადმოგვცემს ამ საგანთა სახეს. მაგალითად, კომპოზიციები „სამსახეობა მხატვრისა“, „ნატურმორტი ლამფით“, „ლტოლვილი გოგონას ოცნება“... ამიტომაც არის მისი ნახატები ყველასათვის გასაგები და მათში დაფარული სევდაც — რაღაცნაირად ნათელი, კეთილი და უშუალო. მათში არც ფოტოგრაფიული სიზუსტეა, არც სამგანზომილებიანი სივრცის ილუზორულობა, არც მოდური სნობიზმი, არც ტრადიციების უარყოფა. მათში უფრო ავტორისეული მსოფლმხედველობა, ყოფის პოეტური ასახვის ცდა და სისადავეა შერწყმული, მაგრამ არა სიმარტივე.

ჰორიზონტალურად გაშლილ, მომწვანო-მოლურჯო ტონალობაში შესრულებულ კომპოზიციაში — „ძველ ქართულ მოტივებზე — ჩვენი წინაპრები“, მნახველის თვალწინ ქართველ არისტოკრატთა სურათებია წარმოდგენილი, ბატონებისა და ქალბატონების ნაცნობი პორტრეტები. მოქმედება თითქოს ძველ ფოტოატელიეში ხდება. აქ იმათ მოუყრია თავი, ვინც გაქრა, ვინც აღარ არის. ალბათ, პორტრეტულ მსგავსებასაც აღმოაჩენთ, ნაცნობ იერსახეებსაც. ნაკეცებად გაშლილი ფარდის მიღმა კი, თანდათან გამუქებული ლურჯი ფერი სივრცის სიშავეს უერთდება.

საინტერესოა კომპოზიცია „სამსახეობა მხატვრისა“. ყვავილებით მოჩითულ კედელზე მხატვრის სამი, თითქმის ერთნაირი ქუდია ჩამოკიდებული. ეს სამი ქუდი მხატვრის ცხოვრების სამი ეტაპის სიმბოლოდაც შეიძლება აღვიქვათ. იქვე ფერგამშრალი საღებავები და ქაღალდის დაჭმუჭნილი ფურცლები — დრამატიზმის, შინაგანი ექსპრესიის, „უიმედო მოლოდინის“ გრძნობის აღმძვრელი და მხატვრის გულისტკივილის გამომხატველი.

განსაკუთრებული შინაგანი ექსპრესია იგრძნობა „იროდიონ ევდოშვილის“ პორტრეტში. გულხელდაკრეფილი მწერალი თვალებგაფართოებული შესცქერის საზოგადოებას, თითქოს რაღაც კითხვა არ ასვენებს. მისი ჩაცმულობის მოშავო ზეთისხილისფერი თავშეკავებული კოლორიტი ისეა შერწყმული ფონის საერთო ჩამქრალ მოთეთრო ბაც ზეთისხილისფერთან, რომ მთლიანობაში ერთიან დაბინდულ გამას ვიღებთ. მაგრამ მხატვრისთვის მაინც პიროვნებაა მთავარი, მისი დრამატიზმით აღსავსე, მშვიდი მზერა.

იდუმალება გამოსჭვივის ლურჯ გამაში შესრულებულ „ქალის პორტრეტში“. შინაგანი ინერტულობის განცდა არ გტოვებთ, როდესაც ამ ნახევრად მიძინებულ, ლამაზ სახეს უცქერით. სახის ოვალს მოყვითალო საყურე ამშვენებს, ხოლო მტრედისფერი სხეულისა და საერთო ფონის მოლურჯო-მოყვითალო-მოშავო ფერთა შეხამებაში მოულოდნელად შეიძლება ნაცნობი გამოხედვაც აღმოაჩინოთ.

შინაგანი დრამატიზმითაა სავსე კომპოზიციები — „სპიტაკის შიში“ და „ორი განცდა“. თუკი პირველი კომპოზიცია რეალური სინამდვილითაა შთაგონებული, მეორე სიმბოლური დატვრითვისაა. თუკი პირველში მართლაც თვალნათლივ ხედავ, რომ „შიშს დიდი თვალები აქვს“, მეორეში განცდა უფრო სიზმრისეულია, მაგრამ არანაკლებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშიში და სახიფათო. თუკი პირველში, ტილოს ხორკლიანი ზედაპირის მსგავსი კოლორიტი მუქი ნაცრისფერით, მოშავო ყავისფრით და ზოგან იასამნის ელფერითა და თეთრით, ზოგადად ბინის ნანგრევებში, კარფანჯრების ჭრილში ანთებული სიმბოლური თვალების, ცხვირის, ტუჩების რაღაც უცნაურ ერთობლიობას წარმოგვიდგენს, ადამიანის სახედაც რომ შეიძლება აღიქვათ, თუმცა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, მასში უფრო მნიშვნელოვანი შიშის ფიზიკური განსხეულებაა. მეორე კომპოზიციის ფერწერული გამის მომწვანო-მოლურჯო-მოშავო ელფერი და გოგონას გაოგნებული, გამჭვირვალე ცისფერი ფიგურა მართლაც სიზმრად ნანახს მოგაგონებთ, სადაც ყველაფერი თითქოს არის და არც არის საშიში, სადაც ყვირილი გინდა, მაგრამ არ შეგიძლია, სადაც ვიღაცეები გარს გეხვევიან და შეხება სურთ, მაგრამ ვიღაც თუ რაღაც გიცავს, გეხმარება და... გაღვიძებს.

ეს მხატვრის ქვეცნობიერში დალექილი ემოციებია, დროთა განმავლობაში აზრის კონცენტრირებას რომ ახდენენ და სხვადასხვა გამოსავალს პოულობენ.

მოდერნისტულია კალმითა და ტუშით შესრულებული კომპოზიციები — „ორი სხეული", „ქალის პორტრეტი", სადაც მხატვარი-გრაფიკოსი ფერმწერზე იმარჯვებს და ხაზის ტარების განსაკუთრებულ სიფაქიზესა და სინატიფეს გვთავაზობს. ასევე კომპოზიცია „ღვთისმშობელი ყრმით", რომლის ფრაგმენტული მოხაზულობა კანონიკურ სქემას ემორჩილება, მაგრამ მხატვრის დამოკიდებულება სტილიზებულია.

მაგრამ ზაურ დეისაძის მთავარი შთაგონება ამქვეყნად არსებული ის კუთხეა, რომელიც განსაკუთრებით ეძვირფასება — მშობლიური კუთხე, სადაც დაიბადა, პირველი ნაბიჯი გადადგა და დიდ ცხოვრებაში შეაბიჯა. ზაურ დეისაძე დარწმუნებულია, რომ ყველაზე მშვენიერ, თვითმყოფად ადგილთა შორის ქუთაისი, იქაური სანახები — მინდვრები, მაღალი ლურჯი ცა, ულამაზესი გაზაფხული და მდიდარი შემოდგომა, გამორჩეულია. ქუთაისური პეიზაჟებისთვის მხატვრის გრძნობამოჭარბებული დამოკიდებულებაა დამახასიათებელი.

„პეიზაჟი ტაძრით" — საკმაოდ დიდ სივრცეში გამოსახული ეკლესიის ტეხილი ხაზები ალბათ უფრო ბზარებია, მოთეთრო-მოცისფრო კედლებზე უცნაურად ჩამოღვენთილა ხაკისფერი ლაქები — დრო-ჟამის სვლა. ტაძარი ინგრევა, მაგრამ მისი თბილი, ღამეული სილურჯე სიღრმისეულია, მშვიდი, მაინც იმედიანი.

და კიდევ ერთი „პეიზაჟი ტაძრით" — სივრცეში ჩაკარგული, ჰაეროვან გუმბათოვანი... თითქოს უფრო პირობითი, ზოგადი და მაინც კონკრეტული, ქართული... თეთრი და ფერადოვნებით თავშეკავებული...

ალბათ, ზაურ დეისაძის ცხოვრებაში ბევრი რამ იყო იმგვარი, რამაც მხატვრობა გადააწყვეტინა და ეს არჩევანი გააკეთებინა. მისი ცხოვრება შემდგარი, სავსე ცხოვრებაა, არა ესკიზი, არამედ ხორცშესხმული იდეა. მისი საფუძველი მისივე თვითმყოფადი პიროვნებაა, რომელმაც თავიდანვე აღმოაჩინა საკუთარ თავში სულიერი, ზნეობრივი კონტურები. სწორედ ამაშია მხატვრის შემოქმედებითი ძალის საწინდარი. თუმცა მის ცხოვრებაში არ ყოფილა არც ხმაური, არც რეკლამა, არც თვითდამკვიდრების დაჟინებული პრეტენზია, მისი შემოქმედება ნამდვილად იქცევს ყურადღებას, რადგან ეს შინაგანი მონოლოგი წინასწარ არ დაგეგმილა და ქაოტური კი არ არის, არამედ შედუღაბებულია ცალკეულ სიუჟეტებს შორის რთული ურთიერთდამოკიდებულებებით, მხატვრული აზრებით.

მის შემოქმედებაში ყოველთვის იკითხება თანამედროვე ნერვი. მხატვარი შესანიშნავად გრძნობს დროის, ქალაქისა და ადამიანის ინტონაციას. ცხოვრება ყოველ გამოვლინებაში აინტერესებს და ამიტომაც ხატავს ასეთი ინტერესით უბრალო გამვლელებსა თუ ახლობელ ადამიანებს. გაუნელებელია მისი ინტერესი თანამედროვისადმი და ამიტომაც უკავია მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი პორტრეტს, ფიგურულ კომ-



პოზიციებს. ზაურ დეისაძის მიერ შესრულებული პორტრეტები მხოლოდ გარეგნული მსგავსებით არ შემოიფარგლება, მისთვის მთავარია ჩაწვდეს პიროვნების არსს, ადამიანის ხასიათს. ხოლო კომპოზიციებში მოქმედების საერთო თემა და პრობლემა ამოიკითხოს. იგი მეისტორიის სიზუსტით აღწერს ქალაქის ქუჩაში მიმდინარე ამბებს. მის ყურადღებას არ ეპარება არც ერთი ნიუანსი, დეტალი, იქნება ეს შტრიხი გარეგნობასა თუ ტანსაცმელში. მისი ირონიული დამოკიდებულება ხშირად კარიკატურულ ხასიათსაც იღებს, მაგრამ არასოდეს არის დაცინვა, გაკილვა, არამედ — თანაგრძნობა და იუმორი. ასეთია მთელი ციკლი ფანქარში შესრულებული ჩანახატებისა „ქალაქის მერიასთან“.

ზაურ დეისაძე კარგად ფლობს ხატვის ტექნიკას, სამუშაოს დაწყების წინ დეტალებს ამუშავებს, ეძებს კომპოზიციას. აქვს ბუნებით მონიჭებული კოლორისტული ნიჭი და ფერწერულ თუ გრაფიკულ კომპოზიციებზე მუშაობა, მისთვის თანაბარი მნიშვნელობის პროცესია, მაგრამ გრაფიკა ხომ სახვითი ხელოვნების ალბათ ყველაზე რთული, მრავალმხრივი დარგია. გრაფიკულ ფურცელზე მუშაობისას მხატვარ-გრაფიკოსს თანაბრად კარგად უნდა ჰქონდეს განვითარებული ანალიტიკური და შემოქმედებითი უნარი. მხატვარი-გრაფიკოსი დიდხანს უღრმავდება ჩანაფიქრს, რადგან სწორედ ამ ჩანაფიქრის, იდეის შინაგანი, სულიერი განვითარებაა საფუძველი მისი შემოქმედებისა. გარე სამყაროსა და ნივთიერი სამყაროს სახიერი აღქმა, მოვლენათა შეფასება მათ სარკისებურ ანარეკლს ეფუძნება. ფიქრიც, ალბათ განსაკუთრებით სახასიათო თვისებაა მხატვარ-გრაფიკოსისა და 70-იანი წლებიდან დაწყებული, მას შემდეგ, რაც ზაურ დეისაძის პირველი ნამუშევრები გამოჩნდა საგამოფენო დარბაზებში, გამოიკვეთა მისი დამოკიდებულებაც მხატვრული ლიტერატურის, პროზისა და პოეზიის, მკითხველისადმი მიმართული წიგნის გაფორმების კეთილშობილი საქმისადმი. ის შეგრძნება, რომ დროთა განმავლობაში წიგნის მხატვრობის ნიმუში დამოუკიდებელ მხატვრულ ნაწარმოებად გადაიქცევა, წიგნის ილუსტრაციას სრულიად განყენებულ არაჩვეულებრიობას მატებს.

დროთა განმავლობაში, ჩვენში, უამრავი საინტერესო, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წიგნი დაგროვდა, რომელთა მხატვარიც ზაურ დეისაძეა. დაგროვდა გამოუცემელი წიგნებიც, რომელთა მხატვრობა ასევე ზაურ დეისაძეს ეკუთვნის და რა საწყენია, რომ გამოუცემელთა შორისაა შავი ტუშით და კალმით, ჭეშმარიტად კლასიკური გრაფიკული სულისკვეთებით შესრულებული — „გერმანული ეპოსი“.

საბედნიეროდ, არის გამომცემლობები, რომელთაც შესანიშნავად უწყიან წიგნის მნიშვნელობა და როლი ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების საქმეში და რომლებიც გამუდმებით ცდილობენ თანამედროვე ქართული საბავშვო წიგნი მაღალ საერთაშორისო სიმაღლეებს მიუსადაგონ. ამ გამომცემლობებთან თანამშრომლობა საპატიოა და შემოქმედებითად საინტერესო და ზაურ დეისაძე მათთან კიდეც თანამშრომლობს. მისი ნახატებითაა დასურათებული 2010 წელს გამომცემლობა „ანბანის“ მიერ გამოცემული ვაჟა ფშაველას „ბუნების მგოსნები“, 2000 წელს გამომცემლობა „დილას“ მიერ გამოცემული ლია კობალაძის „ჭინკები“, უფრო ადრეული — „ქართული ხალხური ზღაპრები“, იაკობ გოგებაშვილის „საბავშვო მოთხრობები“, თედო რაზიკაშვილის „საბავშვო მოთხრობები“, იროდიონ ევდოშვილის „ორი ობოლი“,

ოტია იოსელიანის "დაჩის ზღაპრები", ნოდარ დუმბაძის „ლექსებით სავსე ხურჯინი", ილია სიხარულიძის „საბავშვო ლექსები"...

ზაურ დეისაძე მწერლის მიერ შექმნილ სამყაროს ზღაპრული, არაჩვეულებრივი კუთხით ხედავს. იგი იგონებს სპეციალურ გრაფიკულ ენას, სავსეს მკვეთრი დეტალებით, კუთხეებით, მხიარული ჟესტებით, გულუბრყვილობით, რაც ავტორი-მწერლისა და ავტორი-მხატვრის გაორმაგებულ აღქმას წარმოშობს. მწერალთან ფეხაწყობილი სვლით, მისი გმირების სახის, გამომეტყველების, ტანსაცმლის, ჟესტების, მიმიკის იმგვარი ჩამოყალიბებით, რომ მკითხველმა მათი რეალური არსებობა, მათი სამოქმედო სივრცე დაიჯეროს, ნაწარმოების სიუჟეტური პერსონაჟების თავისებურ დამოუკიდებელ ყოფასა და დროში მოთავსებით, ახდენს ავტორი-მწერლის სახიერი სამყაროს თავისუფალ კონსტრუირებას და ქმნის პირობით, თითქმის შეუღწევად, სტილისტურად რთულსა და ფარული აზრით დატვირთულ სამყაროს, რომელიც ემოციურ კონტაქტთან ერთად ინტელექტუალურ შეცნობასაც საჭიროებს.

თუკი თვალს გადაავლებთ მის მიერ გაფორმებულ წიგნებს, პერსონაჟთა მრავალფეროვნებასთან ერთად მხატვრის ხელწერის მრავალფეროვნებასაც შეამჩნევთ. ყოველი ავტორი, ყოველი ნაწარმოები ხომ თავისებურ მიდგომას ითხოვს, თავისებურ გრაფიკულ ნიშან-სიმბოლოებს, ნაწარმოების თხრობის აზრს რომ გახსნიან. ყოველ ჯერზე იცვლება რიტმი, კომპოზიცია, განათება, ხაზობრივი გრაფიკა. ზაურ დეისაძის ხელში ხაზის ტარების ხერხები, ქაღალდის ფურცლის ზედაპირის ტონალური დამუშავება გარკვეულ შინაარსს იძენს, ქმნის ლამაზ, საოცრად ინტიმურ განწყობილებას და ამავე დროს, მხიარულსა და მგრძნობიარე სამყაროს. ცხოვრებისეული პოეზია გადამწყვეტი ხდება წიგნის სახიერი გადაწყვეტისას. მხატვარი ნაწარმოების ქსოვილის სტილისტიკის შესატყვის გრაფიკულ ექვივალენტს ეძიებს და ცდილობს მის აზრობრივ გამკვეთრებას, გამძაფრებას, რათა ნიჭიერ მკითხველს ხელახლა აღმოაჩენინოს ესა თუ ის, თუნდაც ნაცნობი ლიტერატურული ნაწარმოები.

და როგორც უკვე ავღნიშნე, დროთა განმავლობაში, ილუსტრაცია დამოუკიდებელ მხატვრულ ფასეულობად აღიქმება. სწორედ ამგვარია ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის", იროდიონ ევდოშვილის მოთხრობის — „ორი ობოლის" საილუსტრაციოდ შექმნილი კომპოზიციები, შესრულებული ზეთის საღებავებით, ტილოზე თუ ლითოგრაფიაში. მწერლის მიერ აღწერილი სასაცილო და უიღბლო ცოლ-ქმრის ცრემლიანი ისტორია, თოვლსა და ყინვაში ჩაძინებული საბრალო დაძმის — გაყინული ორი არსების ამბავი, ზაურ დეისაძის მიერ კომედიურ ტიპაჟთა თითქოს უჰაერო სივრცეში მოთავსებით და თოვლის ნაღვლიან ცისფერ ფიფქებში ჩაძირული ორი მიწიერი ანგელოსის სახითაა დანახული.

მხატვარი 1986 წელს დაასახელეს საუკეთესო გრაფიკოსად. 2001 წელს გაეროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში წიგნის მხატვრულ გაფორმებაზე მიღებული აქვს პირველი პრემია ფულადი ანაზღაურებით. გაიმარჯვა ა.შ. შ.-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წიგნის მხატვრული გაფორმებისათვის. რის შედეგადაც დასურათებული ორი წიგნი მსოფლიოს 30 ქვეყანაშია გამოსული და გამოცემა დღესაც გრძელდება.

ამგვარია მხატვარ ზაურ დეისაძის ქართული სახვითი ხელოვნების საუკეთესო ტრადიციებზე დამყარებული შემოქმედებითი ინდივიდუალობა და მეტაფორული აზროვნება.

ჩემს მონათხრობს დავუმატებდი იმასაც, რომ ზაურ დეისაძეს ყავს ლამაზი მეუღლე, არაჩვეულებრივი მხატვარი — მანანა მორჩილაძე, ყავს შვილები — მუსიკოსი ვაჟი და ინგლისური ენის სპეციალისტი ქალიშვილი, ყავს შვილიშვილები — ქალ-ვაჟი და... მოკლედ, ის ბედნიერი კაცია, რადგან ამდენი სილამაზის მფლობელი არ შეიძლება სხვანაირი შემოქმედი იყოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ ახალი გამოცემები







ყურადღება!

ჟურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება:
სს „მაცნეს“ პუნქტებში, გამსახურდიას 42 – ტელ: 37-61-53, 37-59-62, 37-77-89;
„ელვასერვისი“, იოსებიძის 49 – ტელ: 38-26-74, 38-26-73; 38-80-02; „ჯეომედია“– ტელ: 95-51-70,
და „საქპრესა“ – ტელ: 51-60-04; 51-57-43
6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
სალომე ფორჩხიძე

ოპერატორები::
მაია ჯინორიძე
თამუნა ოთარაშვილი

რედაქციის მისამართი:
ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4
ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.
Web: www.litandart.com.ge

ჟურნალი დაიბეჭდა შპს „ეროვნული მწერლობის“ სტამბაში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაურ ლეისაძე

ISSN 1512-3189

ფასი 3 ლარი